



რობერტ ლუის
სტივენსონი

ბანძის
კუნძული



*Of Pilgrims we have heard no more. That formidable
and strong man with one leg has been cut clean out of my life.*

რობერტ ლუის სტივენსონი

ბანძის კუნძული

წიგნის ელექტრონული ვერსია
მოამზადა: აკაკი ციციშვილმა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ინგლისურიდან თარგმნა
ალექსანდრე გამყრელიძემ

რობერტ ლუის სტივენსონი და მისი რომანი „განძის კუნძული“

მოულოდნელი განცხადებით უნდა დავიწყო – მეკობრე ვარ. ბავშვობიდან. გულის სიღრმეში. ჯიმ ჰოკინზით, რომელიც მეკობრეებს ებრძვის და ამარცხებს, მაგრამ თვითონაც მეკობრეა, ოღონდ, გულის სიღრმეში. ჩემსავით. უფრო სწორად, მე – მასავით.

მეკობრე, ანუ, თავგადასავლების მაძიებელი.

„განძის კუნძული“ ჟრუანტელის მომგვრელი წიგნია. ეს ჟრუანტელი ორგვარია – მღელვარებისაცაა და სიხარულისაც; ერთდროულად. სცენა, სადაც აღწერილია, თუ როგორ ჩაძვრება ჯიმი კასრში ვაშლის ამოსაღებად და თავისდა უნებურად როგორ მოისმენს მეზღვაურების ლაპარაკს, მეზღვაურებისა, რომლებიც თურმე მეკობრეები ყოფილან – ლიტერატურის ნამდვილი შედევრია, ისეთი, რომ დაგბურბგლავს. ისევე, როგორც მთელი რომანი.

ეს განცხადება არც გაზვიადებაა და არც გადაჭარბება, რადგან „განძის კუნძული“ არა მარტო მხატვრული პროზის შედევრია, არამედ კიდევ რაღაც ამაზე მეტი – ეს წიგნი კაცობის, ღირსების, ცხოვრების მასწავლებელია, ოღონდ, შეფარული, ძალდაუტანებელი „მასწავლებელი“ – ყველაზე საუკეთესო, ქმედითი, ალალი...

„განძის კუნძული“, ამავე დროს, საოცრად მომხიბლავი, „უგემრიელესი“ საკითხავია, – უდიდესი სიამოვნების მომგვრელი – ისეთი სიამოვნებისა, სიცოცხლის ბოლომდე რომ გაგყვება, მუდმივად შენთანაა, არ გავიწყდება... ისეთი სიამოვნებისა, სიცოცხლეს რომ მოგაწყურებს და ამ წყურვილის ძალითვე გაგაძლებინებს ყველა ჭირსა და უბედურებას, გადაგატანინებს ყველა სენსა თუ ავადმყოფობას...

ამ გაგებით, „განძის კუნძული“ ერთგვარი წიგნი-წამალია, რომელიც ავტორმა ჯერ საკუთარ თავს გამოუწერა და უკვე ამის მერე – მკითხველს...

რობერტ ლუის სტივენსონი ჭლექით (ანუ ტუბერკულოზით) იყო დაავადებული – მხოლოდ 44 წელი იცოცხლა. მას მართლაც სჭირდებოდა საშუალება, რომელიც უმძიმეს ავადმყოფობას გადაატანინებდა, ბავშვობიდან რომ სტანჯავდა.

პატარა რობერტს პერიოდულად მტკივნეული შეტევები, ციებ-ცხელება ემართებოდა, – სასტიკად იტანჯებოდა. ძალზე მგრძობიარე ბავშვი გახლდათ, თავისი გამოგონილი სამყარო ჰქონდა, ყოველ ღამე, დაძინების წინ, სხვადასხვანაირ ისტორიას იგონებდა, საკუთარ თავს უყვებოდა ხმამაღლა და ისე განიცდიდა თავისივე შეთხზულ ამბებს, რომ დაძინებას ვეღარ ახერხებდა, სანამ მშობლები არ დაამშვიდებდნენ...

უმძიმესი სენის მიუხედავად, სტივენსონმა ზრდასრულ ასაკში ბევრი იმოგზაურა, საფრანგეთში, შვეიცარიაში, ამერიკაში, სამხრეთის ზღვებში,

წყნარი ოკეანის კუნძულებზე – დედამიწის ზურგზე ეძებდა ადგილს, სადაც ჰავა სიცოცხლის გახანგრძლივების საშუალებას მისცემდა, – ასეთი ადგილი წყნარი ოკეანეს შუაგულში იპოვა, სამოაზე, სადაც დასახლდა და სადაც გარდაიცვალა კიდევ...

მისი ავადმყოფობა იყო, ალბათ, ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ მამა-პაპეულ, საგვარეულო საქმიანობას არ გაჰყვა. სტივენსონის წინაპრები მამის მხრიდან შუქურების მშენებლები იყვნენ – შოტლანდიის ნაპირებთან ვერ ნახავდით ერთ შუქურასაც კი, რომელიც მისი მამის, პაპის ანდა ბიძების მიერ არ იყო დაპროექტებული და აგებული.

რობერტ ლუის სტივენსონმა ამ ერთდროულად რომანტიკულსა და ძალზე საჭირო პროფესიაზე (შოტლანდიის კლდოვან ნაპირებზე რიგიანი შუქურა ზღვაოსანთა მშვიდობიანი ნაოსნობის აუცილებელი პირობა გახლდათ) თავიდანვე თქვა უარი – ინჟინრობა არც უცდია. უნივერსიტეტში იურისპრუდენციას სწავლობდა, ადვოკატის წოდებაც კი მიიღო, თუმცა ცხოვრებაში ვეჭილად წამითაც არ უმუშავია. მისი მოწოდება-მწერლობა იყო (წერა 5 წლის ასაკში დაიწყო, ბეჭდვა – 16 წლის ასაკში). მწერლობა ვაჟკაცური და რომანტიკული („ნეორომანტიკული“) – ალბათ, ამიტომაც ვერ მიიღეს მისი შემოქმედება მოდერნისტმა ლიტერატორებმა. სამაგიეროდ, მიიღო მკითხველმა და XXI საუკუნეშიც ისეთივე წრფელი მღელვარებითა და სიამოვნებით კითხულობს, როგორც XIX-ში.

რობერტ ლუის სტივენსონი 1850 წელს დაიბადა ედინბურგში, თომას სტივენსონისა და მარგარეტ იზაბელ ბელფურის ოჯახში. მისი სრული სახელია რობერტ ლუის ბელფურ სტივენსონი. ბელფურების საგვარეულო წარჩინებული, მაგრამ გაღარიბებული იყო... მწერალი ავტობიოგრაფიულ ნარკვევში „მოგონებები საკუთარ თავზე“ აღნიშნავს, რომ დედის მხრიდან იგი ენათესავება შესანიშნავ შოტლანდიელ მწერალს, უოლტერ სკოტსა და შესანიშნავ შოტლანდიელ პოეტს, რობერტ ბერნსს.

საფრანგეთში ყოფნისას რობერტ ლუის სტივენსონი შეხვდა ამერიკელ ქალს, ფრენსის მათილდა ვანდერგრიფტ ოსბორნს, რომელიც ორ შვილთან ერთად ევროპაში მოგზაურობდა. ერთმანეთი შეუყვარდათ და ათი წლის შემდეგ, 1880 წელს ჯვარი დაიწერეს (როდესაც ფრენსის ოსბორნს პირველმა ქმარმა ოფიციალურად მისცა განქორწინება). რობერტ ლუისი დაუმეგობრდა გერებს, ერთი მათგანი, სემუელ ლოიდ ოსბორნი, მოგვიანებით მისი ლიტერატურული მდივანი და თანაავტორიც კი გახდა, – სამი რომანი დაწერეს ერთად.

რობერტ ლუის სტივენსონის ცხოვრებაში ყველაზე ბედნიერი სიცოცხლის ბოლო ოთხი წელი იყო, რომელიც საყვარელ ცოლთან, დედასთან და გერთან ერთად სამოაზე, კუნძულ უპოლუზე გაატარა (1890 წელს იქ სახლ-კარი შეიძინა). იმ დროისთვის იგი უკვე მეტად პოპულარული მწე-

რალი იყო, სიღარიბესაც თავი დააღწია (ძალიან კარგ პონორარებს იღებდა), კუნძულის ჰავა მოუხდა, აბორიგენებს დაუმეგობრდა, იქაურები არათუ დიდ პატივის სცემდნენ, არამედ ლამის აღმერთებდნენ, – „ტუზიტალა“ შეარქვეს, რაც მათ ენაზე „მეზღაპრეს“ ნიშნავს. სტივენსონი ძალიან ბევრს მუშაობდა, და უეცრად, 1894 წელს, სისხლი ჩაექცა... დაკრძალეს იქვე კუნძულზე, მთის წვერზე...

რობერტ ლუის სტივენსონი არაერთი მშვენიერი ნაწარმოების ავტორია, თუმცა ორი მათგანი მაინც გამორჩეულია, გარდა ზემოხსენებული რომანისა, ესაა „დოქტორ ჯეკილისა და მისტერ ჰაიდის უცნაური ამბავი“ (მთავარი გმირი, ჯეკილი/ჰაიდი ისეთივე საკულტო ფიგურა გახდა თანამედროვე მასობრივი კულტურისა, როგორცაა ფრანკენშტაინი და გრაფი დრაკულა).

მაგრამ მოდით, „განძის კუნძულზე“ ორიოდ სიტყვა კიდევ ვთქვათ – ფსიქოლოგიურად ეს საოცრად დამაჯერებელი წიგნია, კითხულობ და არათუ ხედავ პერსონაჟებს, არამედ თითქოს მათ გვერდითა ხარ, მათთან ერთად განიცდი, იბრძვი, თავს აღწევ სასიკვდილო ხიფათს, სძლევ მტერს და აღწევ მიზანს... რომანის ყოველ პერსონაჟს განუმეორებელი ხასიათი აქვს (განსაკუთრებით არაორდინარული, დაუვიწყარი ფიგურაა ცალფეხა ჯონ სილვერი). ყველაფერი, რაც წიგნში ხდება, თითქოს პირადად შენ გემართება... უფრო სწორად, შენ თვითონ ხარ მთავარი გმირი... თანამყოფობის ესოდენ ძლიერი განცდა მხოლოდ ნამდვილი ლიტერატურის კითხვისას შეიძლება გაჩნდეს და, ამ მხრივ, „განძის კუნძული“ შეუდარებელია.

ირაკლი ლომოური

ნაწილი პირველი

ბებერი მეკობრე

თავი პირველი

ბებერი ზღვის მგელი ფუნდუკში „ადმირალი ბენბოუ“¹

სკვაირმა² ტრელონიმ, ექიმმა ლივსიმ და სხვა ჯენტლმენებმა მთხოვეს, დაწვრილებით ამეწერა განძის კუნძულის ამბავი, ოღონდ კუნძულის გრძედისა და განედის მაჩვენებლები კი არ გამეძხილა და ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ იქიდან განძი ჯერ კიდევ მთლიანად არ არის წამოღებული. მეც ვიღებ ხელში კალამს 17... წელს და ვუბრუნდები იმ ხანას, როცა მამაჩემს ფუნდუკი „ადმირალი ბენბოუ“ ჰქონდა და როცა ჩვენს ჭერქვეშ პირველად დაბინავდა ლოყაგაჩიხილი, მზით გარუჯული მოხუცი მეზღვაური.

თითქოს გუშინ მოხდაო, ისე მახსოვს, როგორ მოადგა იგი ლასლასით ფუნდუკის კარს, მისი საზღვაო სკივრი კი ორთვალა ურიკით უკან მოჰქონდათ. იგი ზორბა, ღონიერი, მაღალი, სპილენძისფერად დამწვარი კაცი იყო. გაკუბრული ნაწნავი ზურგს უკან, გაქონილ ლურჯ ხიფთანზე გადაეგდო, ხელები კოჟრიანი და ნაჭრილობევი ჰქონდა, ფრჩხილები — ჩაშავებული და მომტვრეული; ცალ ლოყაზე მოლურჯო-რუხი ფერის ნახმლევი აჩნდა. მახსოვს, როგორ ათვალეირებდა ყურეს და უსტვენდა თავისთვის, მერე კი ზღვაოსანთა ის ძველი სიმღერა წამოიწყო, რომელსაც შემდეგ ასე ხშირად მღეროდა:

¹ „ადმირალი ბენბოუ“ — ფუნდუკს ეს სახელი ერქვა ინგლისელი ადმირალის ჯონ ბენბოუს (1653-1702) პატივისცემით.

² სკვაირი — შემოკლებული ფორმა ინგლისური ერთ-ერთი დაბალი სააზნაურო ხარისხისა — ესკვაირი. საერთოდ მემამულესაც უწოდებდნენ.

„მკვდრის სკივრს თხუთმეტი კაციღა შერჩა...

იო-პო-პო-პო და ბოთლი რომი!“¹

მჭახე, ბებრული, ჟღერიალა ხმა ჰქონდა, რომელიც, ჩანდა, ღუზის ოწინართან მუშაობის დროს ღრიალით ჩახრინწოდა. მერე ბერკეტის მსგავსი პატარა ჯოხით მოუკაკუნა კარს და როცა მამაჩემი გამოეგება, უკმეხად მოითხოვა ერთი ჭიქა რომი. ნელა სვამდა, საქმის მცოდნის იერით ნება-ნება უსინჯაუდა სასმელს გემოს, თანაც კვლავ ათვალეერებდა ირგვლივ შემოჯარულ კლდეებს.

— მარჯვე ყურეა, — თქვა ბოლოს, — სამიკიტნოც ჩინებულად გილასაა. ძმობილო, ბვერი მუშტარი გყავს?

— არა, სამწუხაროდ, ძალიან ცოტა მუშტარი მყავს. მიუგო მამაჩემმა.

— მაშინ, ეს იქნება ჩემი სადგომი. ჰეი, ძმობილო, — გასძახა კაცს, რომელიც ურიკას მოაგორებდა, — აქეთ მოაყენე და ამომიტანე ეგ სკივრი. აქ უნდა დავდგე ცოტა ხანს, — განაგრძო მან. — მე უბრალო კაცი გახლავარ. მარტო რომი და ლორში შემწვარი კვერცხი მეყოფა და აგე, ის მწვერვალი, რომ იქიდან გემებს ვუთვალთვალო. რა უნდა მიწოდო? შეგიძლია კაპიტანი დამიძახო. პო, ვიცი, საითაც გიჭირავს თვალი... აჰა! — და სამი თუ ოთხი ოქრო გადმოყარა ზღურბლზე. — მითხარი, როცა ეგ გამოგელევა! — დასძინა მან და ისეთი რისხვით გადმოგვხედა, თითქოს ხელმწიფეაო.

მართლაც, თუმცა ცუდი სამოსი ეცვა და ტლანქადაც ლაპარაკობდა, უბრალო მეზღვაურის იერი არ ჰქონდა — მბრძანებლობასა და მუშტის ტრიალს ჩვეულ კაპიტნის თანაშემწეს, ანდა სავაჭრო გემის კაპიტანს უფრო ჰგავდა. ურიკის პატრონმა გვიამბო: წინა დილით ფუნდუკ „მეფე გეორგის“ წინ ჩამოხტა საფოსტო ეტლიდან, გამოიკითხა, სანაპიროს გაყოლებაზე რა ფუნდუკები არისო და ალბათ, როცა თქვენი ფუნდუკი კარგად დაუხასიათეს და გაიგო, განმარტოებით დგასო, ეს აირჩიაო. ეს იყო და ეს, რაც შევძელით ჩვენი სტუმრის შესახებ შეგვეტყო.

¹ რომი — მაგარი სპირტიანი სასმელი, რომელსაც უმთავრესად ლერწმის შაქრის წენისგან ხდიან.

ბუნებით ძალიან ჩუმი კაცი გახლდათ. მთელი დღე თითბრის ჭოგრიტით დაეხეტებოდა ყურის გარშემო, ანდა კლდეებზე. საღამოობით სასტუმროს დარბაზის კუთხეში იჯდა ცეცხლის პირას და წყალშერეულ მაგარ რომს მიირთმევდა. თუ ვინმე გამოელაპარაკებოდა, მეტწილად, პასუხს არ აღირსებდა, მხოლოდ თვალებს დაუბრიალებდა მრისხანედ და ისე დაიქშიტინებდა ცხვირით, თითქოს გემის სანისლე საყვირიაო¹. ჩვენც და ჩვენს ფუნდუკში მოსიარულე ხალხმაც მალე ავუღეთ ალლო და ჩამოვეხსენით. ყოველდღე, როგორც კი სეირნობიდან დაბრუნდებოდა, იკითხავდა, გზაზე ვინმე მეზღვაურს ხომ არ გაუვლიაო. თავდაპირველად გვეგონა, თავისი ჯურის ადამიანებს ისაკლისებს და იმიტომ კითხულობსო, მაგრამ ბოლოს შევამჩნიეთ, რომ, პირიქით — მათთვის თავის არიდება სურდა. როცა „ადმირალ ბენბოუში“ ვინმე მეზღვაური შემოვიდოდა (ბრისტოლის ნაპირ-ნაპირ მიმავლებმა ხანდახან იცოდნენ ხოლმე ჩვენსას შემოვლა), კაპიტანი, სასტუმრო ოთახში გამოსვლამდე, ჯერ კარს უკან ფარდას ამოფარებული შეათვალიერებდა მოსულს. თან ყოველთვის თავგვიით გაისუსებოდა, თუ ასეთი ვინმე აღმოჩნდებოდა ფუნდუკში.

ერთ დღეს გვერდზე გამიხმო და მეუბნება: ვერცხლის ოთხპენიანს² მოგცემ ყოველი თვის პირველ რიცხვში, თუ „ფხიზლად ადევნებ თვალს ცალფეხა მეზღვაურს“ და, რა წამს გამოჩნდება, მაშინვე შემატყობინებო. საკმაოდ ხშირად, როცა გასამრჯელოსთვის მივადგებოდი, იგი მხოლოდ დამიქშიტინებდა ცხვირით და ისე მომაშტერდებოდა, რომ თვალს ვეღარ ვუსწორებდი. ასეთ დროს ხელცარიელი გამოვბრუნდებოდი ხოლმე, მაგრამ კვირის დამლევამდე უეჭველად აზრს შეიცვლიდა, ჩემს ოთხპენსიანს მომიტანდა და გამიმეორებდა ბრძანებას: „ფხიზლად ადევნე თვალი ცალფეხა მეზღვაურს“.

საქმე იქამდე მივიდა, რომ, ეს იდუმალი „ცალფეხა“ ძილშიაც აღარ მასვენებდა. ქარიშხლიან ღამეებში, როცა ქარი აზანზარებდა მთელ სახლს, ხოლო ყურეში ზვირთები ბორგავდა და კლდეებს

¹ სანისლე საყვირი — საგანგაშო საყვირი, რომლითაც ერთმანეთს გამაფრთხილებელ ნიშანს აძლევენ გემები ნისლიან ამინდში.

² პენი — ბრინჯაოს ინგლისური წვრილი ფული.

ეხეთქებოდა, იგი ათასნაირი ფორმით, ათასნაირი ეშმაკური სახით წარმოდიდებოდა. ხან მუხლში ჰქონდა მოკვეთილი ფეხი, ხან — თუძოში; ხან ურჩხულის მსგავსი არსება იყო, რომელსაც ცალი ფეხის მეტი არც არასოდეს გააჩნდა და ისიც სხეულის შუაგულში ება. ყველა მაჯლაჯუნაზე უარესი მაშინ იყო, როცა მესიზმრებოდა, თითქოს ღობეებსა და თხრილებზე ხტომა-ხტომით მომდევდა. ერთი სიტყვით, ამ საზიზღარი მოჩვენებების წყალობით ძალიან ძვირად მიჯდებოდა ეს ჩემი ყოველთვიური ოთხპენიანი.

მაგრამ, თუ ცალფეხა მეზღვაურის აჩრდილი ასე მაფრთხობდა, თვითონ კაპიტნისა ყველაზე ნაკლებად მეშინოდა. ზოგჯერ ღამე ზომაზე მეტ წყალგარეულ რომს მიირთმევდა. მაშინ აინუნშიაც არავის აგდებდა და გაჰყვიროდა თავის პირქუშ, ძველებურ, უხიაკ ზღვაოსნურ სიმღერებს. ხანდახან ყველასათვის ჭიქებს მოატანინებდა და აიძულებდა აცახცახებულ სტუმრებს, მისი ნაამბობი ესმინათ, ანდა ხმა შეეწყოთ მისი სიმღერისათვის. ხშირად მომისმენია, სახლს რომ აზანზარებდა სიტყვები: „იო-ჰო-ჰო-ჰო და ბოთლი რომი“. ყველანი სიკვდილის შიშით გაჰკიოდნენ და ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ხმამაღლა ღრიალში, რათა შენიშვნა არ მიეღოთ, რადგან ასეთი მტარვალი თანამესუფრე გაგონებითაც არავის გაეგონა. ხანდახან დასთხლეშდა ხელს მაგიდას და ბრძანებდა, კრინტი არავინ დასძრასო. რისხვის ალმური მოედებოდა სახეზე, თუ ვინმე რამეს შეეკითხებოდა; ხანდახან იმაზეც განრისხდებოდა, თუ არაფერს ჰკითხავდნენ, რადგან დაასკვნიდა, ყურს არ მიგდებენო. არც არავის გაუშვებდა ფუნდუკიდან, სანამ სმისაგან ძილი არ მოერეოდა და დასაწოლად არ წალასლასდებოდა.

ყველაზე მეტად მისი ნაამბობი აფრთხობდა ხალხს. შემადრწუნებელ ამბებს ჰყვებოდა: ჩამოხრჩობაო, ფიცარზე გასვლაო,¹ ზღვის ღელვა, დრაი ტორტუგას კუნძულები,² უხამსი საქმეები და

¹ ფიცარზე გასვლა — მეკობრეები აიძულებდნენ ზოგ ტყვეს გემის ჯებირიდან ზღვაში გადაშვერილ თავდაუმაგრებელ ფიცარზე თვალახვეული გასულიყო, ვიდრე ფიცრიანად ზღვაში არ შთაინთქმებოდა.

² დრაი ტორტუგას კუნძულები — კუნძულების ჯგუფი ფლორიდის (ნახევარკუნძული და შტატი ჩრდილო ამერიკის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში) გასწვრივ.

უდაბური ადგილები ესპანეთის ზღვაში.¹ მისივე მონათხრობის თანახმად, მას მთელი სიცოცხლე ყველაზე უფრო უღმობელ ადამიანებში უნდა გაეტარებინა, რომლებიც კი ოდესმე ღმერთს განუწყესებია ზღვაში სამოგზაუროდ. მისი ლაპარაკის კილოც ისევე სცემდა თავზარს ჩვენს უბრალო სოფლელ ხალხს, როგორც აღწერილი ბოროტმოქმედებანი. მამაჩემი გაიძახოდა, ფუნდუკი გაგვიკოტრდებო: ხალხი მალე შესწყვეტს აქ სიარულს, რათა თავი დააღწიოს ძალმომრეობას, აბუჩად აგდებასა და ძილის წინ გულის ხეთქასო. თუმცა, მე ასე მგონია, რომ კაპიტნის ყოფნა სასიკეთო გახლდათ ჩვენთვის. ხალხი მაშინ კი ფრთხეობდა, როცა კაპიტანი აურზაურს ტეხდა, მაგრამ, როცა მოგონებებზე გადავიდოდა, მოსწონდათ კიდევ — ჩინებული გასართობი იყო წყნარ, სოფლურ ცხოვრებაში. თაყვანისმცემლებიც კი გაიჩინა, უფრო ახალგაზრდებში, რომლებიც მას „ნამდვილ ზღვის მგელს“, „ჭეშმარიტ ძველ ზღვაოსანს“ და სხვა ამდაგვარ სახელებს ეძახდნენ; თან ამბობდნენ, ინგლისს ზღვაზე სწორედ ამისთანა ვაჟკაცებმა მოუპოვეს მრისხანე სახელიო.

ერთი მხრივ, თითქოს მართლა გვიპირებდა გაკოტრებას. კვირა კვირას მისდევდა, თვეს — თვე. ამასობაში მის მიერ მოცემული ფული დიდი ხანია დაიხარჯა, მამაჩემი კი ვერა და ვერ ბედავდა, კიდევ მოეთხოვა მისთვის. თუ მაინც დააპირებდა, მაშინ კაპიტანი ხმამაღლა დაიქშიტინებდა, თანაც თვალებს გადმოუბრიალებდა და საბრალო მამაჩემი შეშინებული გამოვარდებოდა ხოლმე გარეთ. მინახავს, ასეთი უკმეხი უარის შემდეგ, როგორ ნერვიულად იმტკრევედა მამა ხელებს და დარწმუნებული ვარ, დარდმა და შიშმა, რომელშიც გამუდმებით იმყოფებოდა, ძალზე შეუწყო ხელი მის ნაადრევად გარდაცვალებას.

მთელ იმ ხანს, რაც ჩვენთან ცხოვრობდა, კაპიტანს სამოსიდან თითქმის არაფერი გამოუცვლია. მხოლოდ რამდენიმე წყვილი წინდა იყიდა მეწვრილმანისგან. ქუდის ერთი კუთხე ჩამოეშალა, მაგრამ ხელიც არ უხლია მისთვის, თუმცა ქარიან ამინდში ძალიან

¹ ესპანეთის ზღვა — ძველი სახელწოდება კარიბის ზღვისა, რომელიც სამხრეთ ამერიკის ჩრდილო სანაპიროებსა და ცენტრალურ ამერიკას ეკვრის.

აწუხებდა. მახსოვს მისი ხიფთანი, რომელსაც თვითონვე იკერებდა თავის ოთახში და მისგან ბოლოს მარტო დაბებკილი კონკებილა დარჩა. წერილი არასოდეს დაუწერია, არც მიუღია, არც არავის დალაპარაკებია, გარდა მეზობლებისა და მათაც, უმეტესად, მაშინ თუ გასცემდა ხმას, როცა რომით იყო გაღეშილი. მისი დიდი სკივრიც არავის უნახავს გახსნილი.

მხოლოდ ერთხელ შეუბრუნეს სიტყვა და ისიც ბოლოს, როცა საბრალო მამაჩემს ძალიან დარია ხელი სენმა, რომელმაც გადაიყოლა კიდევ. ექიმმა ლივსიმ ნაშუადღევს შემოიარა ავადმყოფის სანახავად, დედაჩემის მორთმეულ სადილს გემო გაუსინჯა და სასტუმრო ოთახში შევიდა ჩიბუხის მოსაწევად, ვიდრე სოფლიდან ცხენს მოუყვანდნენ, რადგან ჩვენს ძველ ფუნდუკს საჯინიბო არ გააჩნდა. მეც შევყევი და მახსოვს, თვალში მეცა განსხვავება თოვლივით თეთრპარიკიან, მკვირცხლთვალებიან, თავაზიან, ფაქიზ, გაკრიალებულ ექიმსა და ხეპრე სოფლელებს შორის; ყველაზე მეტად კი იმ საძაგელ, ბინძურ მეკობრეს შორის, რომელიც კვლავ გამომთვრალიყო რომით, ხელებით მაგიდას დაბჯენოდა და თავის საყვარელ სიმღერას გაჰყვიროდა:

„მკვდრის სკივრს თხუთმეტი კაციღა შერჩა...

იო-ჰო-ჰო-ჰო და ბოთლი რომი!

დალიე და ეშმაკი ბოლომდე მიგიყვანს...

იო-ჰო-ჰო-ჰო და ბოთლი რომი!“

თავდაპირველად „მკვდრის სკივრი“ ის დიდი ყუთი მეგონა, ზემოთ, წინა ოთახში რომ იდგა და ეს აზრი გადაეხლართა ჩემს გონებაში იმ ცალფეხა მეზღვაურთან დაკავშირებულ უჩემურ ზმანებებს. ჩვენ უკვე დიდი ხანია არავითარ ყურადღებას აღარ ვაქცევდით ამ სიმღერას. იგი იმ ღამეს მარტო ექიმ ლივსისთვის იყო ახალი ხილი და შევნიშნე, რომ მასზე ვერაფერი საამო შთაბეჭდილება მოახდინა; მან ერთი წუთით გაჯავრებით გახედა კაპიტანს, ხოლო მერე კვლავ განაგრძო ბაასი მოხუც მებაღე ტეილორთან, ქარების ახლებურად წამლობის თაობაზე. ამასობაში კაპიტანი ნელ-ნელა შევიდა სიმღერის ეშხში და ბოლოს მჯიღი მაგიდას დასცხო, რაც იმას ნიშნავდა, ხმა გაკმინდეთო. ყველა

მაშინვე მიჩუმდა ექიმ ლივის გარდა. ის ძველებურად მკაფიოდ და დარბაისლურად განაგრძობდა ლაპარაკს, თან ჩიბუხს აბოლებდა. კაპიტანმა ერთხანს უბრიალა თვალები, ბოლოს კვლავ სთხლიშა მაგიდას ხელი, ერთი საზიზღრად, უწმაწურად შეიგინა და იღრიალა:

— ხმა ჩაიკმინდეთ მანდ, გემბანზე!

— მაგას მე მეუბნებით, სერ? — შეეკითხა ექიმი და, როცა უგონოდ მთვრალმა გინებით დაუდასტურა, მიუგო: — მხოლოდ ერთი რამ უნდა მოგახსენოთ, სერ, თუ რომის სმას არ მოეშვებით, ქვეყანა მალე გათავისუფლდება ერთი მეტად ბინძური არამზადისგან!

კაპიტანის განრისხებას საზღვარი არ ჰქონდა. წამოუარდა, იძრო მეზღვაურის დასაკეცი დანა, გაშალა, აქეთ-იქით ქნევა დაიწყო და ექიმს დაემუქრა, ამით მიგალურსმავ კედელზეო.

ექიმი არ განძრეულა, მხოლოდ ცერად გამოხედა და იმავე კილოთი, ოღონდ ცოტა უფრო აუწია ხმას, რომ მთელ ოთახს გაეგონა, სრულიად წყნარი და მტკიცე ხმით უთხრა:

— თუ მაგ დანას ახლავე ჯიბეში არ ჩაიდებთ, პატიოსნებას გეფიცებით, პირობას გაძლევთ, სასამართლოს მორიგ სხდომაზე ჩამოხრჩობას ვერ გადაურჩებით.

ეს უთხრა და თვალი თვალში გაუყარა. რამდენიმე წამს თვალებით ებრძოდნენ ერთმანეთს, მაგრამ კაპიტანი მალე მოიდრიკა, დანა ჯიბეში ჩაიდო და ნაცემი ძალღივით ღრენით დაუბრუნდა თავის ადგილს.

— ახლა, სერ, — განაგრძო ექიმმა, — რაკი გავიგე, რომ ასეთი სტუმარი გვყავს ჩვენს კუთხეში, იცოდეთ, თვალს აღარ მოგაშორებთ არც დღე, არც ღამე. მე მარტო ექიმი როდი ვარ, მსაჯულიც გახლავარ და ერთი საჩივარიც რომ გავიგონო თქვენზე — თუნდაც ამლამინდელი უზრდელობის მსგავსი, სათანადო ღონეს ვიხმარ, რომ შეგიპყრონ და გაგაძევონ აქედან. ამჯერად, ეს ვიკმაროთ!

მალე ცხენი მოაყენეს კართან და ექიმი ლივი გაემგზავრა. კაპიტანი ჩუმად იჯდა მთელ იმ საღამოს და უამრავ შემდგომ საღამოსაც აღარ დაურღვევია მყუდროება.

თავი მეორე

შავი ძალდი გამოჩნდება და გაქრება

ამის შემდეგ დიდ დროს აღარ გაუვლია, რომ მოხდა პირველი იმ უცნაურ ამბავთაგან, რომელმაც საბოლოოდ თავიდან მოგვაშორა კაპიტანი, თუმცა, როგორც დარწმუნდებით, არა მისი საქმენი.

ცივი, სუსხიანი ზამთარი იდგა, ხანგრძლივი, სასტიკი ყინვებითა და მძაფრი ქარებით. თავიდანვე აშკარა გახდა, რომ საწყალი მამაჩემი გაზაფხულამდე ვეღარ გაატანდა. იგი დღითი დღე ილეოდა. მთელი ფუნდუკი დედაჩემისა და ჩემს ანაბარა დარჩა და იმდენად ვიყავით საქმით დატვირთული, რომ ჩვენს უსიამოვნო სტუმარს ბევრ ვეღარაფერ ყურადღებას ვაქცევდით.

იანვრის სისხამი დილა იდგა — სუსხიანი, ცივი. მთელ ყურეს ნაცრისფრად დასდებოდა ჭირხლი, სინათლის ჭავლი ნაზად ლოკავდა ქვებს. მზე კარგად არც იყო ამოსული — მხოლოდ მთის წვერებს სწვდებოდა და შორს ზღვაში კიაფობდა. კაპიტანი ჩვეულებრივზე ადრე ადგა და ზღვის ნაპირისკენ დაუყვა. მისი ზღვაოსნის დაშნა ძველი ლურჯი ხიფთანის განიერ კალთებში მიქანაობდა. ილლიაში თითბრის ჭოგრი ამოედო, ქუდი კინკრიხოზე მოექცია, მახსოვს, რომ მიაბიჯებდა, ზურგს უკან ბოლივით მიჰყვებოდა ამონასუნთქი. უკანასკნელი ხმა, რომელსაც ყური მოგკარი, როცა დიდ კლდესთან მოუხვია, გაგულისებული, ხმამაღალი ქშიტინი იყო, თითქოს მისი ფიქრი კვლავ ექიმ ლივსის დასტრიალებსო.

დედაჩემიც ზემოთ გახლდათ მამასთან, მე კი საუზმეს ვუშლიდი კაპიტანს, როცა სასტუმრო ოთახის კარი გაიღო და ვიღაც უცნობი შემოვიდა. ფერმკრთალი იყო, მარცხენა ხელზე ორი თითი აკლდა და, თუმცა ხმალი ეკიდა, მოჩხუბარს მაინცდამაინც არ ჰგავდა. მე ყოველთვის თვალი მეჭირა მეზღვაურებზე და მახსოვს, იმის დანახვამ დამაბნია. მეზღვაურს არა ჰგავდა და მაინც, რაღაც ზღვის სუნი დაჰკრავდა.

ვკითხე, რას მიირთმევთ-მეთქი. მომიგო, რომი მომიტანეო. მაგრამ მოსატანად ოთახიდან გასვლა რომ დავაპირე, მაგიდას მიუჯდა და მანიშნა, ახლოს მოდიო. ხელსახოციანად ადგილზე შევდექი.

— აქ მოდი, შვილიკო, — მითხრა მან, — ცოტა ახლოს მოდი. ერთი ნაბიჯით მიუახლოვდი.

— აგერ, ეს სუფრა, ჩემი ამხანაგი ბილისთვისაა გაშლილი? — მკითხა და რაღაც ალმაცერად გადმოძხედა.

— თქვენს ამხანაგ ბილს არ ვიცნობ; ეს სუფრა ჩვენი მდგმურისათვის გავშალე, რომელსაც კაპიტანს ვეძახით-მეთქი. — ვუთხარი მე.

— ჰო, — თქვა მან, — ჩემს ამხანაგ ბილსაც შეიძლება კაპიტანი ეწოდოს. ცალ ლოყაზე ნაჭრილობევი აქვს და ძალიან თავაზიანი ბრძანდება, მეტადრე, როცა გადაკრულშია. ვთქვით და, მაგ შენს კაპიტანს ცალ ლოყაზე ჭრილობა აქვს; თუ გნებავს, ისიც ვთქვით, რომ ეგ ლოყა, მარჯვენა ლოყაა. ჰა, გამოვიცანი? ჰოდა, ეს ჩემი ამხანაგი ბილი, სახლშია?

მიუგე, სასეირნოდაა გასული-მეთქი.

— საით წავიდა, შვილიკო? საით?

როცა დავანახვე კლდე და მოვახსენე, რა გზით და რამდენ ხანში შეიძლება დაბრუნებულიყო კაპიტანი, მან თქვა:

— ეჰ, ჩემი დანახვა სწორედ სასმელივით ეამება ჩემს მეგობარ ბილს!

ამის თქმისას მისი სახის გამომეტყველება სულაც არ ყოფილა საამური და მეც საბუთი მქონდა მეფიქრა, რომ უცნობი ვარაუდში სცდებოდა. მაგრამ, ჩემი აზრით, ეს ჩემი საქმე არ გახლდათ და თან არც ვიცოდი, რა უნდა მექნა. უცნობი ფუნდუკიდან გარეთ არ ადგამდა ფეხს და ისე იჭყიტებოდა გზისკენ, თითქოს კატა თავს უთვალთვალეხსო. ერთხელ მე თვითონ გავედი გზაზე, მაგრამ მაშინვე მომაძახა, დაბრუნდიო. ხოლო, როცა ისე სწრაფად არ შევასრულე მისი ბრძანება, როგორც ეპრიანებოდა, გაფითრებული სახე საზარლად შეეცვალა და ისეთი გინებით მიბრძანა შინ შემოსვლა, რომ გული ამომივარდა.

შემოგბრუნდი თუ არა, კვლავ ძველი იერი მიიღო. ნახევრად ლაქუცით, ნახევრად დაციხვით მომიცაცუნა მხარზე ხელი და მითხრა: კარგი ბიჭი ხარ, უკვე შემიყვარდიო.

— მეც მყავს ვაჟიშვილი, — მითხრა მან, — გაჭრილი ვაშლივით გგავს. ჩემი თვალისჩინია, მაგრამ ბიჭებისათვის მთავარი დისცი-

პლინაა, შვილო, დისციპლინა! აი, ბილთან ერთად რომ გეცურა, არამც და არამც შენთვის ორჯერ დაძახება აღარ დამჭირდებოდა. ეგ არ ჰქონდა წესად ბილს, არც სხვა მეზღვაურებს, რომლებსაც მასთან უცურავთ. აგერ, ჩემი ამხანაგი ბილიც, ილლიაში ჭოგრიტი ამოუჩრია; დაილოცოს მისი კეთილი გული. მე და შენ სასტუმრო ოთახში შევიდეთ, შვილიკო, კარს ამოვეფაროთ და მოულოდნელად გავახაროთ. კიდევ ვიტყვი, დაილოცოს მისი კეთილი გული!

ამ ლაპარაკით უცნობმა შემიყვანა სასტუმრო ოთახში და ზურგს უკან კუთხეში მიმიმწყვდია ისე, რომ ორივეს გაღებულ კარი გვეფარებოდა. ალბათ წარმოგიდგენიათ, ძალიან უხერხულად ვგრძნობდი თავს და შეშფოთებული ვიყავი; ჩემს შიშს ისიც აძლიერებდა, რომ უცნობი თვითონაც დამფრთხალი იყო. მან გამოაჩინა დაშნის ტარი. ამოსწია კიდეც ქარქაშიდან და მთელი ის ხანი, რაც იქ ვიცდიდით, სულ ნერწყვსა ყლაპავდა, თითქოს, ლუკმა გაეჩხირაო ყელში.

ბოლოს კაპიტანმაც შემოალაჯა. კარი მიაჯახუნა, არც მარჯვნივ გაუხედავს, არც მარცხნივ, პირდაპირ იქით მიაშურა, სადაც გაშლილი საუზმე ეგულებოდა.

— ბილ, — დაიძახა ამ დროს უცნობმა ისეთი ხმით, რომლისთვისაც, მგონია, ცდილობდა, მხნე და მძლავრი კილო მიეცა.

კაპიტანი ქუსლებზე შემოტრიალდა და პირისპირ შემოგვეჩეხა. ბრინჯაოსფერი სულ დაეკარგა მის სახეს; ცხვირიც კი გაულურჯდა. ისეთი კაცის იერი დაედო, რომელსაც აჩრდილი, ბოროტი სული, ანდა რაიმე უარესი (თუ შეიძლება იმაზე უარესი რამე იყოს) გამოეცხადა. გეფიცვებით, გულში შემეცოდა, ასე უცბად რომ მოტყდა და დაძახუნდა.

— აბა, ბილ, ხომ მიცანი; რასაკვირველია, იცანი შენი ძველი მეგობარი! — უთხრა უცნობმა.

კაპიტანმა ძლივს მოითქვა სული.

— „შავი ძაღლი!“ — შესძახა მან.

— მაშ, სხვა ვინ იქნება? — მიუგო უცნობმა და უფრო მხნედ იგრძნო თავი. — სწორედ რომ „შავი ძაღლი“ მოვიდა „ადმირალ ბენბოუს“ ფუნდუკში, თავისი ძველი ამხანაგის, ბილის სანახავად. ეჰ, ბილ, ბილ, რა დროება გვინახავს ჩვენ ორს მას შემდეგ, რაც

ეს ორი ბრჭყალი დაკარგე, — თან თავისი დასახიჩრებული ხელი გაუშვირა.

— მაშ ასე, — თქვა კაპიტანმა, — ჩემს კვალს მოაგენი და მეც აქ გახლავარ. აბა, ამოყაჭე, რა გნებავს?

— აი, ეგრე, ბილ, — სიტყვა ჩამოართვა „შავმა ძაღლმა“, — სწორი ხარ, ბილ. ეს საყვარელი ბაღლი, მე რომ ასე მომეწონა, ჭიქა რომს მომიტანს, ჩვენ კი დავსხდეთ, გეთაყვა, და გულახდილად ვიჭუკჭუკოთ, როგორც ძველ მეგობარ მეზღვაურებს შეეფერებათ.

რომი რომ შემოვიტანე, ისინი აქეთ-იქიდან შემოსხდომოდნენ კაპიტანის მაგიდას, ოღონდ „შავი ძაღლი“ კარისკენ გვერდელად იჯდა ისე, რომ ცალი თვალი თავის ძველ მეგობარზე ეჭირა, ცალი კი, როგორც მომეჩვენა, კარისკენ, გასაქცევად.

მიბრძანა: გადი აქედან და კარი ფართოდ გაღებული დატოვეო.

— გასაღების ჭუჭრუტანიდან რომ არ შემოიჭყიტო, შვილიკო! — დასძინა მან.

მეც დავტოვე ისინი და დახლში გავედი.

თუმცა, რაც კი შემეძლო, სმენად ვიქეცი, მაგრამ ხმადაბალი ბურტყუნის მეტს დიდხანს ვერას მოვკარი ყური. ბოლოს ხმას უფრო და უფრო აუწიეს და ერთი-ორი სიტყვა გავარჩიე — უმთავრესად, კაპიტანის გინება.

— არა, არა, არა, მორჩა და გათავდა! — შესძახა მან და მერე დასძინა, — თუ ჩამოკიდებაზე მიდგა საქმე, მაშინ, ყველა ჩამოჰკიდონ.

შემდეგ საშინელი ლანძღვა-გინება ატყდა, რასაც სხვა ხმაურიც დაერთო — სკამი და მაგიდა დაეხეთქა ძირს. ამას ფოლადის წკრიალი მოჰყვა, მერე საშინელი შეკოვლება და იმავე წამს თვალი მოვკარი კარისკენ თავქუდმოგლეჯით გაქცეულ „შავ ძაღლს“, რომელსაც ფეხდაფეხ მისდევდა კაპიტანი. ხელში შიშველი დაშნები ეჭირათ და პირველ მათგანს სისხლიც სდიოდა. სწორედ კარის ზღურბლთან კაპიტანმა შემართა იარაღი, კიდევ ერთი, უკანასკნელი დარტყმისათვის, რომელიც, უეჭველია, გააპობდა კიდევც იმ საწყალს, „ადმირალ ბენბოუს“ დიდ აბრას რომ არ შეეშალა ხელი. ის ნაჭდვეი ახლაც ამჩნევია ჩარჩოს ქვემოთა მხარეს.

ამ მოქმედებით დასრულდა შეტაკება. „შავი ძაღლი“, მიუხედავად ჭრილობისა, საოცრად მარღად გავარდა გარეთ და თვალის დახამხამებაში მიეფარა სერს. თვითონ კაპიტანი ერთხანს გაოგნებულ-ლივით მიშტერებოდა აბრას. შემდეგ რამდენჯერმე მოისვა თვალე-ბზე ხელი და სასტუმრო ოთახში შემობრუნდა.

— ჯიმ, — მითხრა მან, — რომი. — ამას რომ ამბობდა, ცოტა შეტორტმანდა და ცალი ხელით კედელს მიეყრდნო.

— დაჭრილი ხომ არ ხართ? — შევეკითხე მე.

— რომი, — გაიმეორა ისევ, — უნდა ავიბარგო აქედან. რომი! რომი!

მე სასმლის მოსატანად გავიქეცი, მაგრამ ძალზე დამაბნია ამ ამბავმა. ჯერ ჭიქა გამიტყდა, მერე კასრის ონკანი გამიფუჭდა და, სანამ იქ ვცოდვილობდი, სასტუმრო ოთახიდან მძიმე ბრაგვანის ხმა მომესმა. რომ შევეარდი, კაპიტანი იატაკზე გაშხლართული დამხვდა. სწორედ ამ დროს ყვირილითა და ჩხუბით დაფეთებულ-მა დედაჩემმაც ჩამოირბინა ძირს ჩემს მოსაშველებლად. კაპიტანს თავი წამოუწიეთ. ძალიან მძიმედ და ხმამაღლა ქშინავდა. თვალე-ბი დახუჭული ჰქონდა. სახეზე საზარელი ფერი ედო.

— ოჰ, ოჰ! — შესძახა დედაჩემმა, — რა სირცხვილია ჩვენი სახლისათვის! საწყალი მამაშენი მაინც არ იყოს აუად!

ამ დავიდარაბაში ვერაფერი მოვიფიქრეთ, როგორ გვეშველა კაპიტანისათვის, დარწმუნებული კი ვიყავით, რომ უცნობმა სასიკვდილოდ დაჭრა. რომი, რასაკვირველია, მოვიტანე და ვცადეთ პირში ჩაგვესხა, მაგრამ მას კრიჭა შეეკრა, ყბები რკინასავით ჰქონდა გამაგრებული. ამ დროს, ბედზე, კარი გაიღო და მამაჩემის სანახავად მოსული ექიმი ლიუსი შემოვიდა, მიხვდა, რაც ხდებოდა და მაშინვე კაპიტანის გასინჯვა დაიწყო.

— ოჰ, ექიმო, — შევძახეთ ერთხმად, — რა ეშველება? სად არის დაჭრილი?

— დაჭრილი? სისულელეა! — თქვა ექიმმა. — ეგ ისევ დაჭრილი, როგორც თქვენ ან მე. დამბლა დასცემია. აკი ვაფრთხილებდი კიდევ! ახლა, მისის ჰოკინზ, აბრძანდით ზევით თქვენს მეუღლესთან და, თუ შეიძლება, ნუ გააგებინებთ ამ ამბავს. ჩემი მხრივ, რაც შემიძლია ყველაფერი უნდა ვცადო, რომ

ამ კაცის სამგზის უმაქნისი სიცოცხლე გადავარჩინო. ჯიმი კი ტაშტს მომიტანს.

ტაშტიანად რომ დავბრუნდი, ექიმს უკვე აქვია კაპიტნის სახელო და მისი ზორბა, ძარღვიანი მკლავი გამოეჩინა. ხელზე ბევრგან ჰქონდა გაკეთებული სვირინგი. მკლავზე ძალიან კოხტად და მკაცრად იყო გამოყვანილი: „ბედნიერებაში“, „ზურგის ქარი გქონოდეს“, და „ნატვრა აგხდომოდეს ბილი ბოუნზ“. ზემოთ, ბეჭთან ახლოს, სახრჩობელა ეხატა ზედ ჩამოკიდებული კაცით და, მე მგონი, ძალიან კარგადაც იყო გამოყვანილი.

— წინასწარმეტყველებაა! — თქვა ექიმმა და თითი დაადო ნახატს, — აბა, ახლა, მისტერ ბილი ბოუნზ, თუ ეგ არის თქვენი სახელი, ვნახოთ, რა ფერისაა თქვენი სისხლი, ჯიმ, სისხლის ხომ არ გეშინია?

— არა, სერ.

— აბა, ტაშტი მომიმარჯვე, — ამ სიტყვებით მან აიღო ლანცეტი და ვენაში აძგერა.

ძალიან ბევრი სისხლი დასდინდა, სანამ კაპიტანი თვალს გამოახელდა და მიბნედილი მიმოიხედავდა ირგვლივ. შუბლის შეჭმუხვნაზე დაეტყო, რომ პირველად ექიმი შეიცნო, მერე მე მკიდა თვალი და ცოტა შვება დაეტყო, მაგრამ უცბად ფერი ეცვალა, წამოდგომა სცადა და იყვირა:

— სად არის „შავი ძაღლი“?

— აქ სხვა „შავი ძაღლი“ არსად არის, — უთხრა ექიმმა, — საკუთარ ზურგს უკან რომ გყავს, იმის გარდა. რომის სმა არ მოგიშლიათ და როგორც ვამბობდი, დამბლა დაგეცათ. მე მაინც, ჩემდა უნებურად, ამოგათრიეთ სამარიდან, რომელშიაც უკვე კისრამდე ბრძანდებოდით ჩაკიდებული. აბა, მისტერ ბოუნზ...

— ეგ ჩემი გვარი არ გახლავთ, — შეაწყვეტინა მან.

— ჩემთვის სულერთია, — მიუგო ექიმმა, — ეგ ერთი ჩემი ნაცნობი მეკობრის გვარია და ამიტომ გეძახით. ჰოდა, იმას მოგახსენებდით: ერთი ჭიქა რომი არ მოგკლავთ, მაგრამ ერთს რომ მიირთმევთ, მეორესა და მესამესაც თუ მიაყოლებთ, ჩემს პარიკს დავდებ სანაძლეოდ, რომ მალე სული ამოგივით. მოკვდებით... გესმით?... მოკვდებით და იქ წაბრძანდებით, სადაც ჯერ არს, როგორც

საღვთო წერილშია ნათქვამი. აბა, ახლა, სცადეთ; ამ ერთხელ გიშველით და მიგიყვანთ საწოლამდე.

დიდი ვაი-ვაგლახით ავიყვანეთ ზემოთ და დავაწვინეთ ლოგინზე. ისე გადაუვარდა თავი ბალიშზე, თითქოს გული შეუღონდაო.

— აბა, გახსოვდეთ, — უთხრა ექიმმა, — მე ხელი დამიბანია — რომის ხსენებაც კი სიკვდილია თქვენთვის.

ამ სიტყვებით მამაჩემის სანახაუდ წამოვიდა, მეც ხელი ჩამავლო და თან გამომიყოლა.

— არაფერია, — თქვა მან, როგორც კი კარი მოიხურა, — იმდენი სისხლი გამოვუღე, რომ ცოტა ხანს წყნარად იქნება. ერთი კვირა მაინც უნდა ტკეპნოს ლოგინი, ეგ მისთვისაც კარგია და თქვენთვისაც. ოღონდ, მეორედ თუ დაეცა დამბლა, ნამდვილად ბოლოს მოუღებს.

თავი მესამე

შავი ნიშანი

შუადღისას კაპიტნის ოთახში შევედი. საჭმელი და წამლები შევუტანე. თითქმის ისევ ისე იწვა, როგორც დავტოვეთ, ოღონდ თავი მაღლა ედო. მისუსტებული და აღგზნებული ჩანდა.

— ჯიმ, — მითხრა მან, — აქ მარტო შენ ვარგისხარ ადამიანად და, ხომ იცი, რა ალერსიანად გეპყრობოდი ყოველთვის. თვე ისე არ გაივლიდა, ვერცხლის ოთხპენიანი არ მომეცა შენთვის. ახლა ხომ ხედავ, მეგობარო, ძალიან ავად ვარ და თან ყველამ მიმატოვა. პოდა, ჯიმ, ახლა ერთი ფინჯანი რომი მომიტანე, ჰა! მომიტან, გეთაყვა?

— ექიმმა... — წამოვიწყე მე.

კაპიტანმა მისუსტებული, მაგრამ ძალიან გაგულისებული ხმით ლანძღვა დაუწყო ექიმს.

— ყველა ექიმი ყვეყრია, — თქვა მან, — მაგ ექიმმა აბა რა იცის ზღვაოსანი კაცების? ისეთ ადგილებში ვყოფილვარ, გეგონებოდა ადუღებულ კუპრში ჩამაგდესო. ყვითელი ციებისაგან დახოცილი ადამიანები ჭერეხებით ეყარნენ ჩემს გარშემო; კურთხეული დე-

დამიწა მიწისძვრისაგან ზღვასავით ირწეოდა... აბა ექიმმა რა იცის ამისთანა ქვეყნების? ამ უბედურებაში სწორედ რომმა გამატანინა თავი. ეგ იყო ჩემი საჭმელიცა და სასმელიც, მეგობარიც და მეუღლეც! ჰოდა, ახლა რომი რომ არ დავლიო, სადღაც მიგდებულ საცოდავ, ძველ, უვარგის გემს დავემსგავსები და ჩემი სისხლიც, ჯიმ, შენსა და იმ ყვეფი ექიმის კისერზე იყოს. — და ერთხანს კიდევ მოჰყვა ლანძღვა-გინებას. — მიყურე, ჯიმ, როგორ მიკანკალებს თითები, — განაგრძო მუდარით. — ვერა და ვერ გამიჩერებია. მთულ დღეს ერთი ყლუპიც არ დამიღვია. გეუბნები, ეგ ექიმი ტუტუცია-მეთქი. თუ რომი არ მოვწრუპე, ჯიმ, საშინელებანი მომეჩვენება. ზოგი რამ უკვე მომეჩვენა. მაგ კუთხეში, შენ უკან, ბებერი ფლინტი მომეჩვენა. ისე ცხადად დავინახე, თითქოს ცოცხალიაო. იმდენად პირქუში, უხამსი ცხოვრება მინახავს, რომ, თუ მოჩვენებები დამეწყო, ისეთ ღრიალს მოვყვები, თვით კაენსაც წამოვადებ საფლავიდან. აკი შენმა ექიმმაც თქვა, ერთი ჭიქა რას უხამსო. ერთ ფინჯანში ოქროს გინეას¹ მოგცემ, ჯიმ!

უფრო და უფრო ეგზნებოდა, ამიტომ შემეშინდა, არ შეეწუხებინა მამაჩემი, რომელიც იმ დღეს ძალიან სუსტად გრძნობდა თავს და სიწყნარე სჭირდებოდა. ამასთან, ექიმის სიტყვებმაც იქონია ჩემზე გავლენა. ცოტა არ იყოს, შეურაცხმყო კიდევ ქრთამის შემოთავაზებამ.

— მე თქვენი ფული არ მინდა, — ვუთხარი, — ამას სჯობს, მამაჩემის ვალი გაისტუმროთ. მხოლოდ ერთ ჭიქას მოგიტანთ და მეტს არა.

რომ მივუტანე, ხარბად სტაცა ხელი და გადაყლაპა.

— ჰო-ჰო, — თქვა მან, — ახლა ნამდვილად უკეთ ვარ. აბა, ძმობილო, მითხარი, იმ ექიმმა რა თქვა, როდემდე უნდა ვიწვე ამ ძველ საწოლში?

— ერთი კვირა მაინც, — მიუუგე მე.

— დალახვროს ღმერთმა! — შესძახა მან. — ერთი კვირა! არა, ეგ არ შემიძლია. ამასობაში შავ დამღას გამომიგზავნიან. ახლა იმ ლაყვებმა ჩემი სუნი იკრეს. ბრიყვებმა თავიანთ მონაგარს ვერ

¹ გინეა — ძველებური ინგლისური ოქროს ფული, უდრიდა 21 შილინგს.

მოუარეს და ნებავთ სხვისას სტაციონ ხელი. აბა, ერთი მითხარი, განა ეგ ზღვაოსან ვაჟკაცს შეეფერება? მე კი ყაირათიანი კაცი ვარ. არც არასოდეს ვფლანგავდი ჩემს ფულს, არც ვკარგავდი და ახლაც მშრალზე დავტოვებ მათ. მე იმათი არ მეშინია. ახლა სხვა აფრას გავშლი, ძმობილო, და კვლავ პირში ჩალაგამოვლებულს დავეყრი მაგათ.

ამ ლაპარაკში ძლივძლივობით წამოიძარტა ლოგინში, თან ისე მწარედ ჩამეჭიდა მხარში, კინაღამ ცრემლები წამომცვივდა. ფეხებს ისე ამოძრავებდა, თითქოს მოწყვეტილი აქვსო. მისი სიტყვები, მართალია, შინაარსით მხნე იყო, მაგრამ სულ არ შეესაბამებოდა მის მისუსტებულ ხმას. როცა საწოლის კიდეზე მოახერხა ჩამოჯდომა, შეისვენა.

— იმ ექიმმა ბოლო მომიღო, — წაიბურტყუნა მან, — ყურები მიბჟუის. ისევ დამაწვინე!

სანამ მივეშველებოდი, უკან გადავარდა; წინათ როგორც იყო, იმავე ყოფაში აღმოჩნდა და ცოტა ხანს ჩუმად იწვა.

— ჯიმ, — თქვა მან ბოლოს, — დღეს ხომ დაინახე ის მეზღვაური?

— „შავი ძაღლი“? — ვკითხე მე.

— ჰო, „შავი ძაღლი“, — მითხრა კაპიტანმა, — ეგ ცუდი ვინმეა, მაგრამ, ვინც ის გამოგზავნა, ისინი კიდევ უფრო უარესები არიან. ახლა, თუ ვერ მოვახერხებ აქედან თავის დაძვრენა და შავი ნიშანი მომართვეს, გახსოვდეს, რომ ჩემს ძველ საზღვაო ზანდუკზე უჭირავთ თვალი. შეჯექი ცხენზე... ხომ იცი ცხენზე ჯდომა? ჰოდა, შეჯექი ცხენზე და წადი... ჰო, დიახ... იმ ოხერ, ყვეყნ ექიმთან და უთხარი, ყველა შეჰყაროს... მოხელეები და სხვა მისთანანი... და „ადმირალ ბენბოუში“ ხელთ იგდებს... ბებერი ფლინტი მთელ ბრბოს, დიდსა თუ პატარას, ყველას, ვინც კი გადარჩენილია. მე ვიყავი პირველი თანაშემწე, დიახ, ბებერი ფლინტი პირველი თანაშემწე და მხოლოდ და მხოლოდ მე ვიცი ის ადგილი. მან საუანაში¹ გადმომცა ყველაფერი, როცა, აი, ჩემსავით სასიკვდილო

¹ საუანა — აქ უნდა იგულისხმებოდეს საზღვაო ნავსადგური ჩრდილო ამერიკის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე, მდ. საუანას შესართავში.

სარეცელზე იწვა. მაგრამ მანამდე არ წახვიდე დასაბეზღებლად, სანამ შავ დამლას არ გამომიგზავნიან, ან კვლავ „შავ ძაღლს“ თუ არ მოჰკრავ თვალს, ანდა ცალფეხა მეზღვაურს — ყველაზე უფრო იმას, ჯიმ!

— მერედა, რა არის შავი ნიშანი, კაპიტანო? — ვკითხე მე.

— ეგ უწყებაა, ძმობილო. გაჩვენებ, თუ მომიტანეს. მაგრამ ფხიზლად გეჭიროს თვალი. ჯიმ, და, პატიოსნებას გეფიცები, ნახევარს გიწილადებ.

ცოტა ხანს კიდევ ილაპარაკა, თან ხმაც უფრო და უფრო უსუსტდებოდა. წამალი რომ დავალევინე, ბავშვივით მორჩილად გადაყლაპა და თქვა: „ჩემსავით ჯერ არც ერთ მეზღვაურს არ დასჭირვებია წამალი“. მერე ღრმა ძილმა წაიღო. ამ ყოფაში მივატოვე კიდევ. რას ვიზამდი, ყველაფერი რომ რიგზე ყოფილიყო, არ ვიცი. ალბათ ყველაფერს ექიმს ვუამბობდი, რადგან ძალიან მეშინოდა, კაპიტანმა არ ინანოს თავისი გულახდილი აღსარება და სული არ გამაფრთხობინოს-მეთქი. მაგრამ ისე მოხდა, რომ იმ საღამოს სრულიად მოულოდნელად გარდაიცვალა საწყალი მამაჩემი და ყველა სხვა საქმე განზე დამრჩა. მწუხარებამ, სამძიმრის სათქმელად მეზობლების სიარულმა, დაკრძალვის საქმის გარიგებამ და ფუნდუკის სამუშაოებმა ისეთ დღეში ჩამაგდო, რომ კაპიტნის შიში კი არა, თვითონ კაპიტანიც აღარ გამხსენებია.

დილით კაპიტანი მაინც ჩამოვიდა ძირს და ჩვეულებისამებრ შეექცა საუზმეს. ოღონდ ცოტას ჭამდა და ზომაზე მეტი რომი გადაკრა, რადგან თვითონ ისხამდა დახლში; თანაც იბღვირებოდა და ისე ქშიტინებდა, რომ ვერავინ შეჰბედა დაშლა. დაკრძალვის წინა ღამეს ძველებურად გამოთვრა და ამაზრზენად გაისმოდა მგლოვიარე სახლში მისი უხამსი, ძველებური ზღვაოსნური სიმღერა. მაგრამ როგორ სუსტადაც უნდა ყოფილიყო იგი, ჩვენ მაინც თავზარს გვცემდა. ექიმიც სადღაც შორს გაეწვიათ საქმეზე და მამაჩემის სიკვდილის შემდეგ აღარ გაჰკარებია ჩვენს სახლს.

როგორც მოგახსენებთ, კაპიტანი სუსტად გახლდათ და მომატების ნაცვლად უფრო და უფრო აკლდებოდა ჯანი. აბობლდებოდა და ჩამობობლდებოდა კიბეზე, სასტუმრო ოთახიდან დახლში გავიდოდა და კვლავ გამობრუნდებოდა. ხანდახან ცხვირსაც გაჰ-

ყოფდა კარში, რომ ზღვის ჰაერი ესუნთქა, ოღონდ სიარულის დროს კედლებს ებლაუჭებოდა და ისე მძიმედ ქშინავდა, გეგონებოდა, ციცაბო მთაზე აღისო. პირადად მე აღარ გამოძლაპარაკებია. დარწმუნებული ვარ, თავისი აღსარებაც გადაავიწყდა, მაგრამ ფიზიკური სისუსტის მიუხედავად, წინანდელზე უფრო ჭირვეულობდა და მძვინვარებდა. ახლა, გაიღეშებოდა თუ არა, შემაშფოთებლად იქცეოდა — იძრობდა დაშნას და მაგიდაზე დაარჭობდა. ამასთან, ირგვლივ ხალხს ნაკლებ ყურადღებას აქცევდა; ჩანდა, საკუთარ ფიქრებში იყო ჩაფლული, თითქოს ძილბურანშიაო. ერთხელ, მაგალითად, ჩვენდა გასაკვირად, სრულიად სხვაგვარი ჰანგი შემოსძახა — რაღაც სოფლურ სატრფიალო სიმღერას ჰგავდა, რომელიც ალბათ ყმაწვილკაცობაში ესწავლა, ვიდრე ზღვაში გავიდოდა.

ასეთი იყო საქმის ვითარება მამაჩემის დაკრძალვის მეორე დღემდე. ერთ სუსხიან, ნისლიან დღეს, დაახლოებით სამ საათზე, მამაზე სევდიანი ფიქრებით აღვსილი ერთი წუთით კარის ზღურბლზე შევდექი და თვალი მოვკარი გზაზე მძიმედ მომავალ ვიღაც კაცს. ეტყობოდა, ბრმა იყო, რადგან ჯოხის ცეცებით მოდიოდა, თვალებსა და ცხვირზე კი დიდი, მწვანე ფერის საფარველი ეკეთა. სიბერით თუ ავადმყოფობით წელშიც იყო მოხრილი; ვეება, ძველი და დაძონძილი საზღვაო წამოსასხამი ესხა, რაც კიდევ უფრო ამახინჯებდა. ჩემს დღეში არ მინახავს იმაზე საზარელი შესახედაობის ადამიანი. იგი ფუნდუკიდან ცოტა მოშორებით შედგა და უცნაური, გაბმული, ამღერებული კილოთი თავის წინ სიცარიელეს მიმართა:

— ვინმე კეთილი ადამიანი ხომ არ ეტყვის საწყალ ბრმას, რომელმაც ძვირფასი თვალისჩინი თავისი მამულის — ინგლისისა და ღვთითკურთხეული მეფე გეორგის გმირულად დაცვას შესწირა, სად ან ამ ქვეყნის რომელ კუთხეში იმყოფება ახლა?

— თქვენ ბრძანდებით ფუნდუკ „ადმირალ ბენბოუს“ წინ, შავი სერის ყურეში, ჩემო კეთილო, — მიუუგე მე.

— მესმის ხმა, — თქვა მან, — ახალგაზრდის ხმა. იქნებ გამომიწოდო ხელი, ჩემო კეთილო მეგობარო, და შემიძღვე შინ?

გავუწოდე ხელი და საზარელმა, ალერსიანად მოღუღუნე, უსინათლო არსებამ მყის მარწუხივით ჩაბლუჯა იგი. ისე დავფრთხი,

რომ გასაქცევად გავიბრძოლე, მაგრამ ბრძამ მკლავის ერთი გაქნევით ახლოს მიმიგდო.

— ახლა კი, ბიჭო, კაპიტანთან შემიყვანე, — მითხრა მან.

— სერ, — მიუუგე მე, — გეფიცებით, არ შემიძლია.

— ოჰო, — ჩაიცინა ბრძამ, — აგრეთა საქმე! შემიყვანე, თორემ მკლავს მოგტეხ!

თქვა და ისე გადამიგრიხა მკლავი, რომ შევკვივლე.

— სერ, — ვუთხარი, — მე თქვენთვის მოგახსენებთ. კაპიტანი ის აღარ გახლავთ, რაც იყო. ამოღებული დაშნა უღვეს წინ. ერთი კაცი...

— აბა, გასწი! — შემაწყვეტინა მან.

ჩემს დღეში არ მსმენია ამაზე ბოროტი, ცივი და საზიზღარი ხმა. ტკივილზე უფრო ის ხმა მათერთხოვდა და მეც მაშინვე დავემორჩილე. პირდაპირ შევუძეხი სასტუმრო ოთახში, სადაც რომით გამოთავყვანებული მოხუცი მეკობრე იჯდა. ბრმა ფეხდაფეხ მომდევდა, რკინის ხელით ვყავდი ჩაბლუჯული და თითქმის მთელი სიმძიმით ისე მაწვებოდა, რომ ფეხზე ძლივს ვიდექი.

— პირდაპირ იმასთან მიმიყვანე და, როცა შემომხედავს, შესძახე, „აი, თქვენი მეგობარი, ბილ!“ თუ ასე არ გიქნია, აი, ამას გიზამ, — და ისე გადამიტრიალა ხელი, რომ კინალამ გული შემიწუხდა.

ამ ბრმა მათხოვარმა ისეთი თავზარი დამცა, რომ კაპიტნის შიში სულ გამიქრა და რაწამს შევალე სასტუმრო ოთახის კარი, აკანკალებული ხმით შევძახე ნაბრძანები სიტყვები.

ჩვენს დანახვაზე, საბრალო კაპიტანს თვალის დახამხამებაში გამოუნელდა რომი და სრულიად გამოფხიზლდა. სახეზე შიში იმდენად არ ეტყობოდა, რამდენადაც — მომაკვდინებელი სიძაბუნე და ავადობა. წამოდგომა სცადა, მაგრამ ძალა აღარ ეყო.

— ბილ, იჯექი, სადაც ზიხარ, — უთხრა მათხოვარმა. — ვერ გხედავ, მაგრამ თითის განძრევის ხმაც კი მესმის. საქმე საქმეა. გამომიწოდე შენი მარჯვენა ხელი. ბიჭო, მოჰკიდე მის მარჯვენა მაჯას ხელი და მარჯვენა ხელთან მომიტანე.

ორივენი დავემორჩილეთ მას და შევნიშნე, რომ ბრძამ ჯოხიანი ხელით რაღაც ჩაუდო კაპიტანს ხელისგულში, კაპიტანმაც მაშინვე ჩაბლუჯა იგი.

— ახლა საქმე გაკეთებულია, — თქვა მათხოვარმა. ამ სიტყვებით სწრაფად გამიშვა ხელი, დაუჯერებელი სიმარჯვითა და სიცქვიტით გასხლტა სასტუმრო ოთახიდან და გზაზე გავიდა. მე ისევ გაუნძრევლად ვიდექი და დიდხანს, დიდხანს მესმოდა მისი ჯოხის შორეული კაკუნი.

კარგა ხანმა განვლო, სანამ მე ან კაპიტანი გონს მოვიდოდით. ბოლოს, თითქმის ერთსა და იმავე დროს, ხელი ვუშვი მის მაჯას, მან კი თვალებთან ახლოს მიიტანა თავისი ხელი და დაკვირვებით დაიხედა ხელისგულზე.

— ათი საათი! — შესძახა მან. — კიდევ ექვსი საათი მაქვს, ჯერ კიდევ ვუჩვენებთ იმათ სეირს! — და ზეზე წამოიჭრა, მაგრამ შეტოკდა, ხელი წაივლო ყელში, ერთხანს ასე ტორტმანებდა, შემდეგ უცნაური ხმა აღმოხდა და იატაკზე გაიშხლართა.

მაშინვე მივვარდი, თან დედაჩემს ვეძახდი. მაგრამ ამაოდ ვჩქარობდი. კაპიტანს მეხვიით დაეცა დამბლა და სულიც გააფრთხობინა. უცნაურია — არასოდეს მყვარებია ეს კაცი, თუმცა კი ბოლო ხანებში მებრალებოდა. ახლა, როდესაც იგი მკვდარი დავინახე, ტირილი ამივარდა და ღაპალუპით გადმომცვივდა ცრემლები. ეს უკვე მეორე სიკვდილი ვიხილე და ისიც მაშინ, როცა პირველი სიკვდილის მწუხარება ჯერ კიდევ არ განელებულიყო ჩემს გულში.

თავი მეოთხე **მეზღაურის სკოერი**

რასაკვირველია, მაშინვე ვუამბე დედას ყველაფერი, რაც კი ვიცოდი. ეგებ სჯობდა, უფრო ადრეც მეთქვა. მივხვდით, რა ძნელ და სახიფათო მდგომარეობაში ვიყავით ჩავარდნილი. კაპიტნის ფულის ნაწილი, თუკი მართლა რამე ებადა, ნამდვილად ჩვენ გვეკუთვნოდა. მაგრამ კაპიტნის ამხანაგები, და განსაკუთრებით ჩემთვის ნაცნობი „შავი ძაღლისა“ და ბრმა მათხოვრის მსგავსნი, ძნელად თუ დასთმობდნენ თავიანთ ნადავლს მიცვალებულის ვალის გასასტუმრებლად. კაპიტნის განკარგულების შესრულება —

მაშინვე შეჯექი ცხენზე და ექიმ ლოესის მიაშურეო — ფიქრადაც არ მომდიოდა, რადგან მაშინ დედაჩემი უპატრონოდ დარჩებოდა. თანაც, ისე ჩანდა, რომ ჩვენს სახლში დიდხანს შეყოვნებაც არ შეიძლებოდა — სამზარეულოს ქურის ცხაურში ნაკვერჩხლების ცვენის ხმა, თვით საათის წიკწიკიც კი თავზარს გვცემდა. გარშემო თითქოს მოახლოებული ფეხის ხმები ისმოდა. სასტუმრო ოთახში კაპიტნის გვამი ეგდო და სადღაც ახლოს მოწანწალე იმ საზიზღარ ბრმა მათხოვარზე ფიქრიც მიტრიალებდა თავში, რომელიც წუთი-წუთზე შეიძლებოდა დაბრუნებულიყო. სასწრაფოდ უნდა გვეღონა რამე. ბოლოს აზრად მოგვივიდა მეზობელ პატარა სოფელში წავსულიყავით და მშველელი გვეძებნა. ვიფიქრეთ და შევასრულეთ კიდევ — თავშიშველნი გამოვცვივდით საღამოს ბინდბუნდსა და სუსხიან ნისლში.

სოფელი ახლოს იყო, მეორე ყურის იქითა მხარეს, მაგრამ ჩვენგან არ ჩანდა. თანაც, ძალიან მამხნევებდა ის, რომ სწორედ იმის საწინააღმდეგო მხარეს მდებარეობდა, საიდანაც ბრმა გამოგვეცხადა და საითაც, ალბათ, გაბრუნდა კიდევ. დიდხანს არ გვივლია, ხელიხელჩაკიდებულნი ყურს ვუგდებდით ყოველ ფაჩუნს, მაგრამ არავითარი უჩვეულო ხმა არ ისმოდა, ზღვის ტალღების ნელი დგაფუნისა და ტყეში ყვავების ყრანტალის გარდა.

სოფელს რომ მივადწიეთ, სანთლები უკვე ენთო. არასოდეს დამავიწყდება, როგორ გამიხარდა კარ-ფანჯრებში ყვითული შუქის დანახვა. მაგრამ, როგორც შემდეგ გამოირკვა, მხოლოდ ეს იყო ყველაზე დიდი დახმარება, რომელიც შეიძლებოდა გვეპოვა ამ მიდამოში. იქაური მამაკაცებიდან, მათდა სამარცხვინოდ, არც ერთი არ დაგვთანხმდა, ჩვენთან ერთად „ადმირალ ბენბოუს“ ფუნდუკში დაბრუნებულიყო. რაც მეტს ვლაპარაკობდით ჩვენს გასაჭირზე, მით უფრო იბუზებოდა ყველა — კაცი, ქალი თუ ბავშვი. კაპიტან ფლინტის სახელი ჩემთვის უცნობი იყო, თუმცა, ბევრმა ჩინებულად იცოდა, ვინც იყო იგი და მისმა ხსენებამ თავზარი დასცაო. ზოგმა გლახმა კიდევ გაიხსენა: „ადმირალ ბენბოუს“ იქითა მხარეს ყანაში მუშაობისას რამდენიმე უცნობი ვნახეთ გზაზე, კონტრაბანდისტები გვეგონა და გამოვიძურწეთო. ერთს კი პატარა იალქნიანი ხომალდისათვის მოეკრა თვალი, ეგრეთ წოდებულ ვეშაპის ბუნა-

გში. ამიტომ კაპიტნის ყოველი ამხანაგის ხსენებაზეც შიშით უსკდებოდათ გული. ბევრი რომ არ გავაგრძელო, სხვა მხარეს მყოფ ექიმ ლიუსისთან გასაგზავნად რამდენიმე კაცი გამოჩნდა, ოღონდ ფუნდუკში ჩვენს საშველად წამოსვლა არც ერთმა არ იკისრა.

ამბობენ, სიმხდალე გადამდებიაო; მაგრამ, მეორე მხრივ, გაბედულმა ნათქვამმაც შეიძლება გაგამხნევოს. ჰოდა, როცა ყველამ თავისი სათქმელი თქვა, დედაჩემმა განაცხადა: ჩემი ობოლი შვილის კუთვნილ ფულს ვერ დავკარგავო.

— თუ თქვენგან ვერაფერს ბედავს, — თქვა მან, — ჯიმი და მე გავბედავთ. რა გზითაც მოუვდით, იმავე გზით გავბრუნდებით, თქვენგან კი არაფერი გვექნება დასამადლებელი, ახმახო და გულწიწილა ვაჟკაცებო. თუნდაც სიკვდილი გველოდეს, ჩვენ გავხსნით იმ სკივრს, დიდად მადლობელი დაგრჩებით მისის კროსლი, — მიმართა დედაჩემმა იქვე მდგომ შუახნის ქალს, — თუ თქვენს აბგას მათხოვებთ, მაგით ჩვენ კუთვნილ ფულს წამოვიღებთ.

მეც დედაჩემს უნდა წავყვე-მეთქი, ვთქვი, და, რასაკვირველია, ყველა ერთხმად აყაყანდა, ეგ ხომ თავზეხელაღებულობააო. მაგრამ, მაინც ვერაფერს გაბედა წამოყოლა. მხოლოდ და მხოლოდ გატენილი დამბაჩა მომცეს, თუ ვინმე თავს დაგვესხმებოდა — მოსაგერიებლად, თანაც დაგვპირდნენ, ცხენები შეკაზმული გვეყოლება, დაბრუნებისას ვინმე თუ დაგედევნათო. იქვე გადაწყვიტეს, ერთი ყმაწვილი ექიმთან წასულიყო შეიარაღებული რაზმის მოსაყვანად.

ჩემს გულს ბაგაბუგი გაჰქონდა, როცა ცივ ღამეში ორნი დავადექით ამ სახითათო გზას. სავსე მთვარე აპირებდა ამოსვლას და წითლად ანათებდა კლდეების თავზე გაწოლილი ნისლიდან. ამან უფრო აგვაჩქარა, რადგან აშკარა იყო, სანამ უკან გამოვბრუნდებოდით, ყველაფერი დღესავით იქნებოდა გაკაშკაშებული და ყოველი მოთვალთვალე ადვილად შეგვაძინებდა. უხმაუროდ და სწრაფად მივიპარებოდით ღობე-ღობე. გზაზე არაფერს გვინახავს, არც არაფერს შევუშინებოვართ და მშვიდობით მივადწიეთ „ადმირალ ბენბოუს“. შევედით სახლში. კარი მივხურე და სწრაფად გავუგდე ურდული. ერთხანს სიბნელეში ვიდექით და სულს ძლივს ვითქვამდით — მთელს სახლში მარტონი ვიყავით კაპიტნის გვამთან ერთად. შემდეგ დედაჩემმა სანთელი მონახა დახლში და ხელიხელია-

კიდებულება სასტუმრო ოთახისკენ გაუწიეთ. კაპიტანი როგორც დავტოვეთ, ისე იწვა გულადმა, თვალები ღია დარჩენოდა და ერთი მკლავი გაშლილი ჰქონდა.

— ფარდა ჩამოუშვი, ჯიმ, — წაიხურჩულა დედაჩემმა, — შეიძლება მოგვეპარონ და თვალთვალი დაგვიწყონ გარედან. ახლა კი, — თქვა მან, როცა ეს საქმე შევასრულე, — გასაღები უნდა ამოვართვათ, მაგრამ, როგორ უნდა მივეკაროთ! — და ამ სიტყვებზე ცოტა არ იყოს წაისლუკუნა კიდევ.

ჩავიჩოქე. იატაკზე კაპიტანის ხელთან ახლოს, პატარა მრგვალი ქაღალდი ეგდო, ცალ მხარეს გაშავებული. უეჭველია, ეს იყო „შავი დაღა“. ავიღე ხელში და მეორე მხარეს წავიკითხე მკაფიო ხელით დაწერილი ფრაზა: „ამაღამ ათ საათამდე გეძლევა ვაღა“.

— დედა, ათ საათამდე აქვს ვაღა, — შევძახე მე და, სწორედ ამ დროს, ჩვენმა ძველმა საათმაც დაიწყო რეკვა. ამ უეცარმა ხმამ თავზარი დაგვცა, მაგრამ კეთილი ამბავი კი გვაუწყა, რადგან ჯერ მხოლოდ ექვსი საათი იყო.

— ახლა, ჯიმ, ის გასაღები გვჭირდება, — თქვა დედამ.

ერთმანეთის მიყოლებით გავუსინჯე ყველა ჯიბე. მხოლოდ ცოტაოდენი წვრილი ფული, სათითოე, ძაფი და მახათები, თამბაქოს ბოლომოკვნიტილი წნული, ტარმოკაუჭებული დიდი დანა, ჯიბის კომპასი და ტალ-კვესის კოლოფი აღმოჩნდა შიგ. სასოწარკვეთილებამ შემიძყრო.

— ეგებ ყელზე ჰკიდია, — მიკარნახა დედაჩემმა.

ვძლიე ზიზღს, გადავუღელე პერანგის საყელო და მისივე დანით შევაჭერი გაკუპრულ კანაფზე დაკიდებული გასაღები. ამ გამარჯვებამ იმედით აგვაკსო. დაუყოვნებლივ ავედით ზემოთ, კაპიტანის პატარა ოთახში, სადაც სკივრი გვეგულებოდა.

გარეგნულად იგი მეზღვაურის სხვა სკივრებიდან არაფრით გამოირჩეოდა. ოღონდ სახურავზე დიდი „ბ“ იყო ამომწვარი გავარვარებული რკინით და კუთხეები ცოტა დაჩეჩქვილი და შემომტკვრული ჰქონდა, ალბათ ხანგრძლივი, ტლანქი ხმარებით.

— მომეცი გასაღები, — მითხრა დედამ და თუმცა გაუჭირდა, მაინც გახსნა საკეტი და სახურავიც თვალის დახამხამებაში ახადა.

თამბაქოსა და კუპრის მძლავრი სუნი ამოვარდა იქიდან, მაგრამ გულმოდგინედ დაუთოებული და დაკეცილი წყვილი ტანისამოსის გარდა, ზემოდან არაფერი ჩანდა. დედაჩემის თქმით, ტანისამოსი უხმარი იყო. მის ქვეშ ნაირ-ნაირი ნივთები აღმოჩნდა: კვადრანტი,¹ თუნუქის პატარა ტოლჩა, თამბაქოს რამდენიმე ნაჭერი, ორი წყვილი კოხტა დამბაჩა, ვერცხლის ზოდი, ძველი ესპანური საათი, თითბრით მოჭედული წყვილი კომპასი, რამდენიმე იაფფასიანი წვრილმანი და ხუთი თუ ექვსი უცნაური, ვესტ-ინდური² ნიჭარა. მას შემდეგ ხშირად მიფიქრია, ნეტავი რატომ ატარებდა ამ ნიჭარებს მთელი თავისი მოხეტიალე, ფათურაკებით აღსავსე, დევნილი სიცოცხლის მანძილზე?

ვერცხლისა და წვრილმანი ნივთების გარდა, დანარჩენს არავითარი ღირებულება არ ჰქონდა ჩვენთვის. ქვევით ძველი საზღვაოსნო წამოსასხამი იდო, ნავსაყუდლებში გდებით ზღვის მარილით გათეთრებული. დედაჩემმა მოუთმენლად ამოათრია იგი და ჩვენს თვალწინ სკივრის ძირში ჩაწყობილი ნივთებიც გადაიშალა: მუშამბაში გახვეული შეკვრა, რომელშიც ეტყობოდა ქაღალდები უნდა ყოფილიყო და სქელი ტილოს აბგა, რომლიდანაც ოქროს წკრიალის ხმა გაისმა.

— მე და ვუმტკიცებ იმ არაშხადებს, რომ პატიოსანი ქალი ვარ, — თქვა დედაჩემმა. — კუთვნილი ფულის გარდა, ერთ ფართინგსაც³ არ ავიღებ. ერთი მისის კროსლის აბგა დამიჭირე!

და შეუდგა ჩვენთვის კუთვნილი თანხის გადმოთვლას მეზღვაურის აბგიდან იმ აბგაში, რომელიც მე მეჭირა.

ეს ხანგრძლივი, მძიმე საქმე გამოდგა, რადგან სხვადასხვა ქვეყნისა და ზომის ფული იყო: დუბლონები⁴, ლუიდორები⁵, გინეები,

¹ კვადრანტი — ხელსაწყო, რომლითაც შზისა და საერთოდ ცის მნათობთა სიმაღლეს ზომავდნენ გემის ადგილმდებარეობის გამოსარკვევად.

² ვესტ-ინდოეთი — ანუ დასავლეთ ინდოეთი ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკას შორის ატლანტის ოკეანესა და კარიბის ზღვაში მოთავსებული კუნძულების ჯგუფების საერთო სახელწოდება.

³ ფართინგი — ყველაზე მცირე ღირებულების მქონე ბრინჯაოს ინგლისური წვრილი ფული, პენის მეოთხედი.

⁴ დუბლონი — ძველებური ესპანური ოქროს ფული, 7,5 გრამ ოქროს შეიცავდა.

⁵ ლუიდორი — ძველებური ფრანგული ოქროს ფული, პირველად ლუი XIII-ის დროს მოჭრეს, 20 ფრანკს უდრიდა.

პიასტრები¹ და ვინ მოთვლის კიდევ რა. თან გინეები ყველაზე იშვიათად გამოერეოდა, დედაჩემმა კი მხოლოდ გინეებით იცოდა ანგარიში.

დაახლოებით შუა თველაში რომ ვიყავით, უცბად ხელი ვტაცე დედას მკლავში; წყნარ, გაყინულ ჰაერში ყური მოვკარი ისეთ ხმას, რომელმაც ენა მუცელში ჩამიგდო — მოყინულ გზაზე ბრძის ჯოხის კაკუნი მოისმა. ხმა უფრო და უფრო ახლოვდებოდა. ჩვენ გავიტრუნეთ. მერე ფუნდუკის კარს მოუკაკუნა მჭახედ; გავიგონეთ, სახელურის გადატრიალების ხმა და ურდულის ჭრიალიც — ის საძაგელი შემოსვლას ცდილობდა. შემდეგ ხანგრძლივი დუმილი ჩამოვარდა. ბოლოს კვლავ მოისმა გზაზე ჯოხის კაკუნი და, ჩვენდა სასიხარულოდ, ნელ-ნელა მიწყდა.

— დედა, — ვუთხარი მე, — სულ წამოიღე და გავიქცეთ! — დარწმუნებული ვიყავი, ურდულგაყრილი კარი საეჭვოდ მოეჩვენებოდა ბრძას და მალე მთელი კრაზანების ბუდე დაგვეცემოდა თავს. ვისაც არასოდეს უნახავს ის საზარელი ბრძა, ვერ წარმოიდგენს, რა ბედნიერი ვიყავი იმით, რომ ჩაკეტილ კარში ვერ შემოვიდა.

მაგრამ დედაჩემი არ მთანხმდებოდა, რომ იმაზე მეტი აელო, რაც კანონიერად ეკუთვნოდა; თანაც ჯიუტობდა და ნაკლების აღებაც არ სურდა: ჯერ შვიდი საათიც არ არის, დრო ბევრი გვაქვს, მე ვიცი ჩემი უფლებები და კიდევ გამოვიყენებო. ჯერ კიდევ განაგრძობდა ჩემთან კამათს, როდესაც საკმაოდ შორს, სერზე, მოკლე, წყნარი სტვენა გაისმა. ეს საკმაოდ და საკმაოზე მეტიც იყო ჩვენთვის.

— რაც ხელთ მაქვს, იმას წამოვიღებ, — თქვა დედამ და წამოხტა.

— მე კიდევ ამას დავუმატებ ანგარიშის დასამრგვალეებლად! — დავძინე და ხელი დავტაცე მუშამბაში გამოხვეულ შეკვრას.

სანთული ცარიელ სკოვრთან დავტოვეთ. თვალის დახამხამებაში ხელის ცეცებით დავყვეით კიბეს, კარი გამოვადეთ და, რაც ძალი და ღონე გვქონდა, მოვუსვით. ერთი წუთით დაგვიანებაც აღარ შეიძლებოდა. ნისლი სწრაფად იფანტებოდა; მთვარე მკაფიოდ აშუქებდა სერებს, მხოლოდ ღარტაფის ძირში და ფუნდუკის კარის

¹ პიასტრი — ინგლისურად „Piece of eight“, რომელიც ძველებური ესპანური ფული იყო და ასეთი სახელი იმიტომ ერქვა, რომ 8 რეალს შეიცავდა.

ირგვლივ ჯერ კიდევ შემორჩენილიყო თხელი ჯანდი, რომელმაც ჩვენი პირველი ნაბიჯები დაფარა. სოფლამდე ნახევარი გზაც არ გვექნებოდა გავლილი. ახლა სერის ძირთან ახლოს, მთვარის შუქში უნდა გაგვევლო. საუბედუროდ, მარტო ეს არ იყო ჩვენი გასაჭირი — უკვე მოგვწვდა სირბილით მომავალთა ფეხის ხმა და როცა იქით გავიხედეთ, შევნიშნეთ მოციმციმე შუქი, რომელიც უფრო და უფრო წინ მოიწევდა. როგორც ჩანს, მეკობრეთაგან ერთ-ერთს ფარანი ეჭირა ხელში.

— გენაცვალე, — მომიბრუნდა დედა, — წაიღე ფული და გაიქეცი. გული მიწუხდება.

ახლა კი შეჭველად დავიღუპეთ-მეთქი, გამიელვა თავში, როგორ ვწყველიდი მეზობლების სიმხდალეს! როგორ ვადანაშაულებდი საწყალ დედაჩემს მისი პატიოსნებისათვის; ადრინდელი თავზებულაღებულობისა და ახლანდელი სისუსტისათვის! საბედნიეროდ, პატარა ხილამდე ვიყავით მისული. და თუმცა დედა უკვე ტორტმანობდა, რამდენიმე ნაბიჯი კიდევ გადადგა, შემდეგ ერთი ძლიერ ამოიხვნეშა და მხარზე დამეცა. არ ვიცი, სად ვიპოვე იმდენი ძალ-ღონე და ვშიშობ, ტლანქადაც გამომივიდა, მაგრამ როგორღაც მოვახერხე, იგი ქვემოთ ჩამეყვანა და თაღქვეშ შემეთრია, უფრო შიგნით შეყვანა კი ველარ შევძელი, რადგან ხიდი ძალიან დაბალი იყო და მხოლოდ ხოხვით თუ შევიდოდი შიგ. ასე იყო თუ ისე, აქ უნდა დავრჩენილიყავით.

თავი მესამე

ბრძის აღსასრული

გავიდა ცოტა ხანი და შიშზე უფრო ცნობისმოყვარეობამ მძლია. ველარ მოვისვენე ხიდქვეშ; კვლავ ამოვიპარე ხევის პირას და ტირიფის ბუჩქს ამოვეფარე, საიდანაც მკაფიოდ მოჩანდა ჩვენი სახლის წინ ჩამავალი გზა. ის-ის იყო სათვალთვალ ადგილას დავდექი, რომ ჩემი მტრებიც გამოჩნდნენ. შვიდი თუ რვა კაცი გაცხარებული მორბოდა; არეულად გაისმოდა ფეხის ხმა, ფარნიანი კაცი რამდენიმე ნაბიჯით წინ მოუძლოდა მათ. ორ მათგანს ერთისთვის აქეთ-

იქიდან ჩაველოთ ხელი და, თუმცა ჯანლი იდგა, მაინც გავარჩიე, რომ ამ სამეულში შუალა ბრმა მათხოვარი ბრძანდებოდა. მალე მისმა ხმამაც დამიდასტურა, რომ არ ვცდებოდი.

— შეამტვრიეთ კარი! — შესძახა მან.

— ახლავე! — უპასუხა ორმა თუ სამმა და ფარნიანის თანხლებით „ადმირალ ბენბოუს“ კარს მიაშურეს.

მერე შედგნენ და ხმადაბლა რაღაც გადაულაპარაკეს ერთმანეთს — თითქოს სახტად დარჩნენ, კარი ღია რომ დახვდათ. მაგრამ დიდხანს არ შეყოვნებულან, რადგანაც ბრმა კვლავ მბრძანებლობდა. იგი თანდათან იმაღლებდა ხმას, თითქოს სულწასულობითა და რისხვით ცეცხლი ეკიდებო.

— შინ, შინ შედით! — დასჭყვივლა მან და ზოზინისათვის ამხანაგებს შეუკურთხა.

ოთხი თუ ხუთი მათგანი სახლში შევარდა, ორი კი გზაზე დარჩა საზარელ მათხოვართან. ერთხანს დუმილი ჩამოვარდა, შემდეგ განცვიფრების შეძახილი გაისმა, რასაც სახლიდან ყვირილი მოჰყვა — ბილი მკვდარიაო!

მაგრამ ბრმა მაინც ლანძღავდა მათ შეყოვნებისთვის.

— ზოგმა ეგ გაჩხრიკეთ, თქვე ლაყვებო, დანარჩენები ზევით აცვივდით და სკივრი მონახეთ, — შეჰყვირა ბრმამ.

ისეთი ბრაგაბრუგი აუტეხეს ჩვენს ძველ კიბეს, რომ ალბათ მთელი სახლი ზანზარებდა. მალე კვლავ გაისმა შეძახილები. კაპიტნის ოთახის ფანჯარა ჯახუნით გაიხსნა, ჩამსხვრეულმა მინამ წკრიალი მოიღო ძირს, ფანჯრიდან კაცი გადმოეყუდა მთვარის შუქში და ბრმა მათხოვარს გადმოსძახა:

— პიუ, ჩვენზე ადრე ყოფილან აქ. ვილაცას სულ გადაუქექავს სკივრი!

— ის მანდ არის? — შეჰღრიალა პიუმ.

— ფულია აქ.

ბრმამ წყევლა-კრულვით მოიხსენა ფული.

— მე ფლინტის ნაწერს გეუბნები! — შესძახა მან.

— არაფერი ჩანს, — მიუგო კაცმა.

— ეი, თქვენ, მანდ, ქვემოთ, ბილს ხომ არა აქვს ზედ? — დაიყვირა ბრმამ.

ამ სიტყვებზე სხვა კაცი, ალბათ ის, რომელიც კაპიტნის გვამის გასაჩხრეკად დარჩა, გადმოდგა ფუნდუკის ზღურბლზე და თქვა:

— ბილი ადრევე გაუჩხრეკიათ და აღარაფერი შეურჩენიათ.

— ამას ფუნდუკის ხალხი იზამდა... ეგ იმ ლაწირაკის საქმეა! ნეტავი თვალები დამეთხარა მისთვის!.. — შესძახა ბრმა პიუმ. — ახლახან აქ იყვნენ... მანდ შემოსვლა ვცადე, მაგრამ ურდული ჰქონდა გაყრილი კარს. ბიჭებო, გაიფანტეთ და მონახეთ ისინი!

— მართლა აქ ყოფილან, ანთებული სანთელი დარჩენიათ! — გადმოსძახა ფანჯრიდან კაცმა.

— გაიფანტეთ და ეძებეთ! გადაატრიალეთ მთელი სახლი! — იძახდა პიუ და თან მიწაზე უბაგუნებდა ჯოხს.

ჩვენს ძველ ფუნდუკში ერთი ვაიუშველებელი და ალიაქოთი ატყდა. გაისმოდა ფეხების ბრაგაბრუგი, ძირს ყრიდნენ აუეჯს, ზრიალით ამტვრევდნენ კარებს... ბოლოს ერთიმეორის მიყოლებით გამოლაგდნენ გზაზე და განაცხადეს, არსად ჩანანო. სწორედ ამ დროს ისეთივე მკვეთრი სტვენა გაისმა, როგორც წინათ, როცა მკვდარი კაპიტნის ფულს ვითვლიდით და დედაჩემი და მე დაგვაფრთხო. ახლა სტვენა ორჯერ განმეორდა. თავდაპირველად ეს ნიშანი მეგონა, რომლითაც ბრმა თავის ბრბოს იერიშისკენ მოუწოდებდა. ახლა კი დაერწმუნდი, რომ ეს იყო სოფლის სერიდან მოცემული ნიშანი და როგორც ჩანდა, მეკობრეებს საფრთხის მოახლოებას ამცნობდა.

— ისევ დერკია, — თქვა ერთმა, — ისიც ორჯერ! უნდა დავიძრათ!

— რა უნდა დაიძრათ, ქალაჩუნავ! — დასჭყვივლა პიუმ, — დერკი ყოველთვის ბრიყვი და ლაჩარი იყო... იმას ყურს ნუ უგდებთ. სადღაც ახლოს იქნებიან, შორს ვერ წავიდოდნენ; უკვე თქვენს ხელთაა განძი! გაიფანტეთ, მხდალებო, ეძებეთ! ღმერთმა დასწყევლოს, თვალები მაინც მქონდეს! — ღრიალებდა იგი.

ამ ყვირილმა თითქოს ცოტაოდენი ნაყოფი გამოიღო, რადგან ორი კაცი შეუდგა სახლში ხარახურის ქექვას, ოღონდ მგონი, უგულოდ — ცალი თვალი ალბათ სულ გაქცევაზე ეჭირათ. ამასობაში დანარჩენები დაბნეულნი იდგნენ შარაგზაზე.

— ხელი ათასებზე გიდევთ, თქვე სულელებო, და ფეხს ითრევთ! — განაგრძობდა ყვირილს ბრმა, — თუ იპოვით, მეფეებოვით

გამდიდრდებით. იცით, რომ სადღაც აქ არის, თქვენ კი გაშტერებულიხართ და ყოყმანობთ. ვერც ერთმა ვერ გაბედეთ ბილთან პირისპირ მისვლა, მე კი მივედი — ბრმა კაცი! მერედა, თქვენი გულისთვის უნდა დაგკარგო იღბალი! საბრალო, მაწანწალა გლახა უნდა ვიყო და სამადლოდ ვსვამდე რომს, მაშინ, როცა შეიძლება ჯენტლმენით ვისეირნო ეტლით! თქვენ რომ მწერისოდენა გული მაინც გქონდეთ, იმათ ახლავე ჩაიგდებდით ხელში!

— ჯანდაბას მისი თავი, პიუ! დუბლონები ხომ ხელთ ვიგდეთ!
— წამოიღრინა ერთმა.

— იქნებ გადამალეს ის ოხერი, — დასძინა მეორემ. — აილე ეგ გინეები, პიუ, და ნულა კივი.

ამ შეკამათებაზე პიუ ისე გაანჩხლდა, რომ მართლა აკივლდა. ბოლოს განრისხებამ იმდენად დაუბნელა გონება, რომ მოჰყვა ყავარჯნის აქეთ-იქით ქნევას და ბევრის ზურგზე მოადინა ბრაგვანი ჯოხმა.

ესენიც თავის მხროვ ლანძღავდნენ ბრმა არაშზადას, საზარელი სიტყვებით ემუქრებოდნენ და ამაოდ ცდილობდნენ ხელიდან გამოეგლიჯათ ყავარჯენი.

ჩხუბმა გვიხსნა. ამ ალიაქოთში სოფლის მხარეს, სერზე სხვა ხმა გაისმა — ცხენების თქარათქური. თითქმის იმავე დროს დამბაჩამაც იგრიალა და ტყვიამ ფუნდუკის მხარეს გაიელვა. ეს ამკარად საფრთხის მოახლოების უკანასკნელი ნიშანი იყო, რადგან მეკობრეებმა ერთბაშად იბრუნეს პირი, გაიქცნენ და ყოველი მიმართულებით გაიფანტნენ: ზოგმა ზღვის ნაპირს მიაშურა და ყურეს გაჰყვა, ზოგი სერის ფერდობს შეუყვა; ასე რომ, ნახევარ წუთში მათი ნიშანწყალი აღარ ჩანდა. ბრმა მარტო დააგდეს, ოღონდ არ ვიცი, შიშით თავზარი დაეცათ, თუ ლანძღვა-გინებისა და ცემისთვის შური იძიეს. გავეშებული აღმა-დაღმა დააბაკუნებდა ჯოხს მარტოდმარტო, ხელებს წინ იშვერდა და ეძახდა თავის ამხანაგებს. ბოლოს მხარი ეცვალა. რამდენიმე ნაბიჯზე ჩამოირბინა და სოფლისაკენ ქნა პირი, თანაც ღრიალებდა:

— ჯონი, „შავო ძაღლო“, დერკ, — და კიდევ სხვა სახელებსაც გაჰყვიროდა, — მართლა ხომ არ მიატოვებთ მოხუც პიუსს, ძმებო... თქვენს მოხუც პიუსს!

ამ დროს ცხენების თქარათქური ზედ ქედზე გაისმა და ოთხი თუ ხუთი მხედარი ჭენებით დაეშვა ფერდობზე.

პიუ მიხვდა თავის შეცდომას, წივილით შემოტრიალდა, პირდაპირ თხრილისკენ გაექანა და შიგ ჩაგორდა. მაგრამ თვალის დახამხამებაში კვლავ წამოხტა და ისევ სცადა გაქცევა. საწყალი, ახლა კი სულ მთლად დაიბნა და ფეხებში ჩაუვარდა წინა ცხენს. მხედარმა სცადა არიდებოდა, მაგრამ ამაოდ. პიუ ძირს დაენარცხა, ღამის სიბნელე შესძრა მისმა განწირულმა კივილმა. ცხენმა ოთხივე ფლოქვი ჩააზილა და ზედ გადაეგლო. ბრმა ცალ გვერდზე იწვა, შემდეგ ნელა გადმობრუნდა და აღარც განძრეულა.

მე წამოვხტი და ცხენოსნებს შევეხმაურე. მომხდარი ამბით შემოფოთებული მხედრები თვითონაც ცდილობდნენ დამფრთხალი ცხენების შეკავებას. მალე ვიცანი, ვინც იყვნენ. კუდში მოჩანჩალებდა ის ყმაწვილი, რომელიც სოფლიდან ექიმ ლივსისთან გაემგზავრა. სხვები საბაჟოს მოხელეები იყვნენ. ბიჭი მათ გზაში შეხვედროდა, ჭკუა ეხმარა და აქეთ გამოსძლოლოდა მათ. ვეშაპის ბუნაგში პატარა ხომალდის დგომის ამბავს საბაჟოს უფროსის, დანსის, ყურამდეც მიელწია და იმ ღამეს ყურისკენ წამოსულიყო შეიარაღებულ რაზმთან ერთად. ჩვენს გადარჩენას დედაჩემი და მე ამ გარემოებათა დამთხვევას უნდა ვუმაღლოდეთ.

პიუს ფეხები გაეჭიმა; ხოლო დედაჩემი სოფელში მიიყვანეს, ცოტაოდენი წყალი ასხურეს, ნიშადურის სპირტი აყნოსეს და მალე მოსულიერდა. იგი, მიუხედავად განცდილი შიშისა, მაინც მისტიროდა ვალის ნარჩენს. ამასობაში საბაჟოს უფროსმა, სწრაფად განაგრძო გზა ვეშაპის ბუნაგისკენ. მისი ხალხი იძულებული გახდა ჩამოქვეითებულიყო და ქვეითად ჩაეგლო ღარტაფი. ცხენებს წინ მიუძლოდნენ, თანაც გამუდმებით აქეთ-იქით იყურებოდნენ, რადგან ჩასაფრებულების ეშინოდათ. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ როცა ვეშაპის ბუნაგს მიაღწიეს, ყაჩაღების ხომალდი უკვე ზღვაში შესული დახვდათ, თუმცა ჯერ კიდევ ახლოს იყო ნაპირთან. საბაჟოს უფროსი ნაპირიდან გაეხმაურა მათ. გემიდან უპასუხეს, ეგრე იდექი, ცოტაოდენ ტყვიას გითავაზებთო და, მართლაც, ზედ მკლავთან გაუზუზუნა ტყვიამ. შემდეგ ხომალდი მალე გასცდა კონცხს და გაუჩინარდა. მისტერ დანსი, როგორც

თვითონვე თქვა, „ქვიშაზე გამორიყულ თევზით“ დარჩა, და ისლა მოახერხა, რომ კაცი გაგზავნა საბაჟოზე სადარაჯო ხომალდის გასაფრთხილებლად.

— აღარაფერი გამოვა, — თქვა მან. — თავს უშველეს, მორჩა და გათავდა! ოღონდ, მისტერ პიუს რომ ბებერაზე ფეხი დაუადგი, ეს კი მიხარია, — დასძინა ბოლოს, რადგან ჩემი ნაამბობი უკვე მოსმენილი ჰქონდა.

მასთან ერთად დავბრუნდი ფუნდუკში და, ვერ წარმოიდგენთ, რა აოხრებულ-გაპარტახებული დაგვხვდა იქაურობა. დედაჩემის და ჩემს ძებნაში, გაშმაგებულებს კედლის საათიც კი ძირს დაეხეთქებინათ. მართალია, კაპიტნის ფულიანი აბგისა და დახლში დარჩენილი ცოტაოდენი ვერცხლის ფულის გარდა წაღებით სხვა არაფერი წაუღიათ, მაგრამ მივხვდი, რომ გაკოტრებული ვიყავით. მისტერ დანსმა ვერც თავი გაუგო და ვერც ბოლო მომხდარ ამბავს.

— შენ ამბობ, ფული იპოვესო! აბა, მაშ რაღა ჯანდაბას ეძებდნენ, ჰოკინზ? კიდევ ფულს თუ?

— არა, სერ, მგონი, ფულს არა, — მივუგე მე; — რასაც ეძებდნენ, დარწმუნებული გახლავართ, აქ, გულის ჯიბეში მიდევს და მართალი მოგახსენოთ, მინდა უშიშარ ადგილას დავაბინავო.

— მართლაც, ბიჭიკო, სწორი ხარ, — თქვა მან. — თუ გინდა, მე შევინახავ.

— ვიფიქრე, ეგებ ექიმი ლივსი... — წამოვიწყე მე.

— სრული ჭეშმარიტებაა, — გამაწყვეტინა გახარებულმა, — სრული ჭეშმარიტებაა! ექიმი ჯენტლმენიც არის და მსაჯულიც. ახლა მეც აზრად მომივიდა, თვითონ შევიარო მასთან ან სკვაირთან და ყოველივე მოვახსენო. სხვა რომ არა იყოს რა, მისტერ პიუს სული განუტევა. მე ამაზე გული არ მწყდება, მაგრამ ხომ ხედავ, მკვდარია და ეს ფაქტი, ზოგიერთებმა, მისი უდიდებულესობის საბაჟოს მოხელის წინააღმდეგ შეიძლება გამოიყენონ. იცი რას გეტყვი, ჰოკინზ, თუ გინდა, შენც თან წაგიყვან.

მე დიდი მადლობა მოვახსენე და გამოვბრუნდით სოფელში, სადაც ცხენები იდგა. სანამ დედაჩემს გაუანდობდი ჩემს განზრახვას, უკვე ყველანი შემსხდარიყვნენ ცხენებზე.

— დოგერ, — უთხრა მისტერ დანსმა ერთ მხედარს, — შენ კარგი ცხენი გყავს და ეს ბიჭი შემოისვი.

როგორც კი შემოუჯექი დოგერს და სარტყელში ხელი ჩავსვლე, საბაჟოს უფროსმა ბრძანა და რაზმი ჩოროთით გაუდგა გზას ექიმ ლივის სახლისკენ.

თავი მეთხუთსე კაპიტნის ქაღალდები

მთელი გზა გამალებული მივქროდით, სანამ ექიმ ლივის კარს არ მივაღექით. წინიდან სახლი სულ ჩაბნელებულიყო.

მისტერ დანსმა მითხრა, ჩახტი და დაუკაკუნეო. დოგერმა უზანგი მომაშველა ჩამოსახტომად. თითქმის დაკაკუნებისთანავე გააღო კარი მოახლემ.

— ექიმი ლივი შინ ბრძანდება? — ვკითხე მე.

— არა, — მომიგო მან. ექიმი ნაშუადღევს დაბრუნებულიყო შინ, მაგრამ მერე სასახლეში წასულიყო სადილად და სკვიართან საღამოს გასატარებლად.

— მაშ, იქ წავიდეთ, ბიჭებო! — თქვა მისტერ დანსმა.

რაკი სკვიარის სახლი ახლოს იყო, აღარ შევმჯდარვარ ცხენზე. დოგერის უზანგის თასმაზე ხელმოკიდებულმა მივირბინე ალაყაფამდე, შემდეგ გრძელი, ფოთლებგაძარცული, მთვარის შუქით განათებული ხეივანიც გავიარე, საიდანაც უზარმაზარი ეზოს ორივე მხარეს სასახლის სვეტების თეთრი რიგი მოჩანდა. აქ მისტერ დანსი ცხენიდან ჩამოხტა, სასახლისაკენ გაეშურა და მეც წამიყვანა. მაშინვე შეგვიწვიეს შინ.

მსახურმა გაგვატარა ნოხით დაფენილი ტალანი და დიდ ბიბლიოთეკაში შეგვიძღვა. ბიბლიოთეკის კედლებს წიგნების კარადები მიუყვებოდა, რომელთა თავზე ქანდაკებები იდგა. სკვიარი და ექიმი ლივი აგიზგიზებულ ბუხარს უსხდნენ და ჩიბუხებს ეწეოდნენ.

სკვიარი ასე ახლოდან წინათ არ მენახა. იგი წარმოსადგევი კაცი იყო, ექვს ფუტზე მაღალი და მხარბეჭიანი. მკაცრი, მოტლანქო,

მაგრამ კეთილი სახე ჰქონდა, ხანგრძლივი მოგზაურობებისაგან გახეშეშებული, გაწითლებული და დაღარული, ხოლო წარბები — ძალიან შავი და მოძრავი. ეს მას ცოტა ფიცხ და სულსწრაფ გამოუმეტყველებას აძლევდა, მხოლოდ, ბოროტის კი — არა. ამასთან, მისი ყოველი მოძრაობიდან ამპარტავანი კაცის ხასიათი გამოსჭვივოდა.

— მობრძანდით, მისტერ დანს, — თქვა მან მედიდური და თან მოწყალე კილოთი.

— საღამო მშვიდობისა, დანს, — თავის დაკვრით მიესალმა ექიმიც, — შენც გაგიმარჯოს, ჯიმ. რომელმა კეთილმა ქარმა გადმოგადოთ აქეთ?

საბაჟოს უფროსი წესისამებრ გამოიჭიმა, გაკვეთილივით მოჰყვა ყველაფერს და, უნდა გენახათ, რა გაფაციცებით უსმენდნენ, თანაც როგორ გადახედავდნენ ხოლმე ერთმანეთს ეს დარბაისელი ჯენლტმენები. განცვიფრებისა და ცნობისმოყვარეობისაგან თამბაქოს მოწვევაც კი დაავიწყდათ. მისტერ ტრელონი (თუ გახსოვთ, ასე ერქვა სკვაირს) სავარძლიდან წამოდგა და აქეთ-იქით დააბოტებდა ოთახში; ექიმმა კი, თითქოს უკეთ გავიგონებო, გაპუდრული პარიკი მოიძრო. იგი მართლაც და უცნაური შესახედავი იყო თავისი მოკლედ გაკრეჭილი შავი კინკრიხოთი. როცა მოისმინეს, როგორ დაბრუნდა ფუნდუკში დედაჩემი, ექიმმა ლივსიმ პირდაპირ თეძოზე შემოირტყა ხელი, ხოლო სკვაირმა „ვაშაო!“ შესძახა და თავისი გრძელი ჩიბუხი ბუხრის მოაჯირზე გადაამსხვრია.

ბოლოს მისტერ დანსმა ჩაათავა თავისი სათქმელი.

— მისტერ დანს, — თქვა სკვაირმა, — თქვენ ფრიად კეთილშობილი ვაჟკაცი ბრძანდებით. ხოლო, რაც შეეხება იმ საზიზღარი არამზადის გაქელვას, მე ამას კეთილ საქმედ ვთვლი, თითქოსდა ხოჭო გაგესრისოთ! ეს ჰოკინზიც, როგორც ვხედავ, კარგი ყმაწვილია. ჰოკინზ, ერთი ეგ ზარი დარეკე, მისტერ დანსს ლუდი ეკუთვნის!

— მაშასადამე, ჯიმ, — მითხრა ექიმმა, — რასაც ისინი ეძებდნენ, შენა გაქვს? არა?

— ღიახ, სერ, — მოვახსენე მე და მუშამბაში გამოხვეული შეკვრა გადავეცი.

ექიმმა ყოველმხრივ დაათვალიერა, თითქოს თითები ექავებოდა მის გასახსნელად, მაგრამ არ გაუხსნია — დინჯად ჩაიღო იგი ქურთუკის ჯიბეში.

— სერ, — მიმართა მერე სკვაირს, — დანსი რომ ლუდს გადაჰკრავს, შემდეგ, რასაკვირველია, მისი უდიდებულესობის სამსახურს უნდა მიხედოს, მაგრამ ჯინ ჰოკინზი მინდა ჩემთან დავიტოვო დასაძინებლად. ამიტომ, თქვენის ნებართვით, ცივი ღვეზელი მოვატანინოთ და ვავახშმოთ.

— როგორც გენებოთ, ლივსი, — მიუგო სკვაირმა. — ჰოკინზი ცივ ღვეზელზე უფრო მეტის ღირსიც არის!

შემოიტანეს მტრედისხორციანი ვეებერთელა ღვეზელი, გვერდით, პატარა მაგიდაზე დადეს და მადიანად ვივახშმე, რადგან ქორივით ვიყავი დამშეული. ამასობაში მისტერ დანსს ბევრი ქათინაური უთხრეს და გაისტუმრეს.

— აბა, ახლა, მისტერ სკვაირ! — თქვა ექიმმა.

— აბა ახლა, მისტერ ლივსი! — თქვა სკვაირმა.

— ერთდროულად გამოგვივიდა! — გაეცინა ექიმს. — ალბათ გაგიგონიათ ამ ფლინტის ამბავი?

— გაგიგონიათო! — შესძახა სკვაირმა. — თქვენ ამბობთ, გაგიგონიათო! მაგაზე სისხლისმსმელი მეკობრე არც გასულა ზღვაში! ფლინტთან შედარებით, შავწვერა ღლაპი იყო. ესპანელებს ისეთ თავზარს სცემდა, რომ, გამოგიტყდებით, სერ, ხანდახან შეამაყებოდა კიდევ, რომ ინგლისელი იყო. საკუთარი თვალთ დამინახავს მისი ხომალდის ანძების წვერები ტრინიდადის¹ გასწვრივ და იმ ლაჩარმა, რომლის გემზეც მე ვიმყოფებოდი, შეაბრუნა გემი... შეაბრუნა და პორტ-ოვ-სპეინში გასწია!²

— ჰო, მეც გამიგონია მისი ამბავი ინგლისში, — თქვა ექიმმა, — მაგრამ საქმე ის არის, ფული თუ ჰქონდა!

— ფულიო! — შესძახა სკვაირმა. — განა არ მოისმინეთ, რა თქვეს? აბა რას ეძებდნენ ის არაშხადები, თუ არა ფულს? ფულის გარდა, სხვა რა ენდომებოდათ? აბა რისთვის ჩაიგდებდნენ საფრთხეში თავიანთ მყრალ მძორებს?

¹ ტრინიდადი — კუნძული კარიბის ზღვაში, ჩრდილო და სამხრეთ ამერიკას შორის.

² პორტ-ოვ-სპეინ (ესპანურად — პუერტო დე ესპანა) — სიტყვასიტყვით, ესპანეთის ნავსადგურს ნიშნავს, კუნძულ ტრინიდადის მთავარი ქალაქი იყო.

— მაგას მალე შეეიტყობთ, — მიუგო ექიმმა. — მაგრამ თქვენ ისე შეხვედით ლაპარაკის ეშხში, სიტყვა ვეღარ ჩამირთავს. აი, რა მინდა ვიცოდეთ. ვთქვათ, ჯიბეში მართლაც რაიმე ნიშანდობლივი ცნობები მიდევს, რომელშიც ჩანს, სად გადაუმაღლავს ფლინტს თავისი განძი; მერე ეგ განძი ვითომ ბევრი იქნება?

— ბევრი იქნებაო, — სერ! — შესძახა სკვაირმა. — იმდენი იქნება, რომ, თუ ასეთი ცნობები მართლა აღმოგვაჩნდა, მე გავაწყობ გემს ბრისტოლის დოკში, ჩაგსვამთ თქვენ და ჰოკინზს შიგ და მთელ წელიწადს რომ მოვუნდე, მაინც ვიპოვი იმ განძს!

— კეთილი და პატიოსანი, მაშინ, თუ ჯიბი თანახმაა, ვნახოთ, რას ეძებდნენ მეკობრეები, — თქვა ექიმმა და შეკვრა მაგიდაზე დადო.

აბგა გაკერილი გახლდათ; ექიმმა ხელსაწყოების ყუთი გახსნა და ძაფები სამედიცინო მაკრატლით გაჭრა. შიგ ორი ნივთი აღმოჩნდა — წიგნაკი და ქაღალდის დალუქული კონვერტი.

— ჯერ წიგნაკი გავსინჯოთ, — განაცხადა ექიმმა.

ექიმმა ლივსიმ ახლოს მიმიხმო, რათა ძიების ციებ-ცხელებაში მონაწილეობა მიმეღო. მეც წამოვდექი პატარა მაგიდიდან, სადაც ვახშამს შევექცეოდი. სკვაირი და მე თავს ვადექით ექიმს, როცა წიგნაკი გადაშალა. პირველ გვერდზე აქა-იქ ისეთი ნაჯღაბნები იყო, რომ ძლივს ამოვიკითხეთ. ერთგან ეწერა: „ნატვრაც ახდომია ბილი ბოუნზს“, — სწორედ ის ფრაზა, ხელზე რომ ჰქონდა ამოსვირინგებული; მერე — „მისტერ უ ბოუნზი, კაპიტნის თანაშემწე“, „მეტე აღარ რომი“, „პალმ-კის¹ გასწვრივ მიიღო მან...“ და კიდევ რამდენიმე სხვა ნაწყვეტი ეწერა, უმეტესად თითო-ოროლა გაუგებარი სიტყვა. ძალიან მინდოდა გამეგო, ვინ იყო ის, ვინც „მიიღო“ და ნეტავი რა მიიღო — ალბათ, დანა თუ უთავაზეს ზურგში.

— აქედან ბევრს ვერაფერს გაიგებს კაცი, — თქვა ექიმმა ლივსიმ, როცა ჩაათვალიერა გვერდი.

მომდევნო ათი თუ თორმეტი გვერდი უცნაური ჩანაწერებით იყო სავსე. სტრიქონის დასაწყისში თარიღი ეწერა, ბოლოში კი — თანხა, როგორც ჩვეულებრივ საბუღალტრო დავთრებშია. მაგრამ

¹ პალმ-კი — პატარა კუნძული ფლორიდის ახლოს.

არაუითარი განმარტება არ ჰქონდა დართული, მარტო სხვადასხვა რაოდენობის ჯვრები ავსებდა შუალედს. მაგალითად, 1745 წლის 12 ივნისის გასწვრივ სამოცდათხუთმეტი გირვანქა სტერლინგი¹ აღენიშნა, მაგრამ ექვსი ჯვრის გარდა არაფერი ჩანდა, რომ აეხსნა, რა თანხა იყო ეს. რამდენიმე შემთხვევაში ადგილის სახელწოდებაც ერთვოდა, როგორც, მაგალითად, „კარაკასის“ გასწვრივ, ანდა განედისა და გრძედის მაჩვენებელი ციფრები, როგორც — „62° 17' 20", 19° 2' 40"“.

ნუსხა თითქმის ოც წელიწადზე მეტს დროს მოიცავდა, თანაც, რაც დრო გადიოდა, თანხების რაოდენობა უფრო და უფრო იზრდებოდა. ბოლოს, ხუთ-ექვსჯერ შეცდომით გამოყვანილი და წაშლილი შეჯამების შემდეგ, საერთო ჯამიც გამოეყვანა, რაც ამ სიტყვებით ბოლოვდებოდა: „ბოუნზის წილი“.

— თავი და ბოლო ვერ გავუგე, — ჩაილაპარაკა ექიმმა ლივსიმ.

— ყველაფერი დღესავით ნათელია, — შესძახა სკვაირმა, — ეს იმ პირშავი ქოფაკის შემოსავლის დაუთარია. ჯვრები იმ გემებისა და ქალაქების სახელების ნაცვლად არის დასმული, რომლებიც ჩაუძირავთ ან გაუძარცვავთ. თანხები არაშზადის წილია და სადაც საჭიროდ ჩაუთვლია, ასახსნელად სიტყვებიც ჩაურთავს. „კარაკასის გასწვრივ“, აი, ხომ ხედავთ, აქ, ამ სანაპიროს გასწვრივ რომელიღაც ბედშავი ხომალდი შეუპყრიათ. უფალმა განუსვენოს მის საწყალ მეზღვაურებს — ალბათ დიდი ხანია მარჯნად იქცნენ.

— სწორია! — დაუდასტურა ექიმმა, — აი, რას ნიშნავს მოგზაური! სწორია! და მერე, ხომ ხედავთ, დაუთარის პატრონს ხარისხი რომ ემატება, მისი წილი თანხაც იზრდება!

წიგნაკში სხვა აღარაფერი იყო, გარდა რამდენიმე ადგილის დასახელებისა, რომლებიც ბოლო სუფთა ფურცლებზე ქწერა, ასევე, ფრანგული, ინგლისური და ესპანური ფულის კურსის გადასაყვანი ცხრილისა.

— წუწურაქი ვინმე ყოფილა! — შესძახა ექიმმა, — მაგას ადვილად ვერავინ გააბრიყვებდა!

¹ გირვანქა სტერლინგი — ფულის ძირითადი ერთეული ინგლისში. უდრის ოც შილინგს, ანუ 240 პენის.

— ახლა მეორეს ჩავხედოთ, — თქვა სკვაირმა.

ქალაქის კონვერტი რამდენიმე ადგილას იყო დალუქულ-დაბეჭდილი. ბეჭდად სათითო გამოყენებინათ. შეიძლება სწორედ ის სათითოც, მე რომ კაპიტნის ჯიბეში ვიპოვე. ექიმმა ფრთხილად ახსნა ლუქები. კონვერტში რომელიღაც კუნძულის რუკა აღმოჩნდა. ზედ აღნიშნული იყო განედი და გრძედი, ზღვის სიღრმეები ნაპირებთან, ბორცვების სახელები, უბნები და ყურეები, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც საჭირო იყო მის ნაპირებთან გემის დაუზიანებლად მისაყენებლად. კუნძულის სიგრძე ცხრა მილი იქნებოდა, სიგანე — ხუთი. გეგონებოდათ, წამომართული უშველებელი გველემაპიაო. ყურეებით შემოზღუდული ორი მშვენიერი ნავმისადგომი ჰქონდა და შუაგულში მწვერვალი „ჭოგრიტი“ აღმართულიყო. ბევრი რამ ჩაემატებინათ შემდგომში, მაგრამ ყველაზე მეტად წითელი მელნით დასმული სამი ჯვარი იქცეოდა ყურადღებას: ორი — კუნძულის ჩრდილო ნაწილში, ერთი — სამხრეთ-აღმოსავლეთით და ამ უკანასკნელის გასწვრივ კი, იმავე წითელი მელნით და წვრილი, ნატიფი ხელწერით, რომელიც ძალიან განსხვავდებოდა კაპიტნის აჩხაბაჩხა ნაჯღაბნისაგან, ეს ფრაზა ეწერა: „უმთავრესი განძი აქ არის“. ამავე ხელით რუკის უკანა მხარესაც ეწერა შემდეგი ცნობები: „მაღალი ხე“. „ჭოგრიტის კალთა“. „მიმართულება ჩ.ჩ. ა-დან ჩ-სკენ“. „ჩონჩხის კუნძული ა.ს-დან ა-სკენ“. „ათი ფული“. „ვერცხლის ზოდები ჩრდილოეთ საცავშია: მიაგნებ აღმოსავლეთ ბორცვის ფერდობებზე — ათი საყენი შავი კლდის სამხრეთით, თუ პირი მისკენ გექნება“. „იარაღს ადვილად იპოვი ქვიშიან სერზე, ჩრდილო კონცხის ჩრდილო წერტილში აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის ერთი მეოთხედის მიმართულებით“.

„ჯ.ფ.“

ეს იყო და ეს. მაგრამ რა მოკლე და გაუგებარიც უნდა ყოფილიყო ეს ფრაზები ჩემთვის, სკვაირი და ექიმი ცას ეწიენ სიხარულით.

— ლოესი, — შესძახა სკვაირმა. — ახლავე გაანებეთ თავი მაგ თქვენს უბადრუკ ხელობას. ხვალვე მივემგზავრები ბრისტოლს. სამ... სამ კვირაში!.. არა, ორ კვირაში... ათ დღეში... საუკეთესო გემი და მთელ ინგლისში რჩეული ეკიპაჟი იქნება ჩვენს განკარგუ-

ლებაში, სერ. პოკინზი იუნგად წამოვა. შენ ჩინებული იუნგა იქნები, პოკინზ! თქვენ, ლიუსი, გემის ექიმი ხართ, მე კი — ადმირალი. ჩვენ წავიყვანთ რედრუთს, ჯოისს და ჰანთერს. ქარიც ხელს მოგვიმართავს, სწრაფად გადავლახავთ ზღვას, სულ არ გაგვიჭირდება იმ ადგილის პოვნა და ფულსაც ხელთ ვიგდებთ, ბევრ ფულს — მთელი სიცოცხლე გეყოფა საჭმელად... თუნდაც შიგ საგორაოდ...!

— ტრელონი, — უთხრა ექიმმა, — მეც მოვდივარ. მე და ჯიმიც პირს არ შევირცხვენთ ამ საქმეში. ოღონდ, მარტო ერთი კაციისა მეშინია.

— მერე და, ვინა გდია ეგ? — შეჰყვირა სკვაირმა. — მითხარით მაგ წუპაკის სახელი, სერ!

— თქვენ ბრძანდებით, — მიუგო ექიმმა, — რადგან არ შეგიძლიათ ენას კბილი დააჭიროთ! მარტო ჩვენ როდი ვიცით ამ ქალღლის ამბავი. იმ ძმაბიჭებს, რომლებიც ამაღამ თავს დაესხნენ ფუნდუკს, — აშკარაა, გაბედულ, თავზე ხელაღებულ ჯეელებს, — გულში აქვთ ამოჭრილი, რომ რაც უნდა დაუჯდეთ, ხელთ იგდონ ის განძი. არც ერთი ჩვენგანი უნდა დარჩეს მარტო, სანამ ზღვაში არ გავალთ. მანამდე ჯიმი და მე ერთად ვიქნებით. თქვენ რომ ბრისტოლს წახვალთ, ჯოისი და ჰანთერი გაიყოლეთ და, რაც მთავარია, ჩვენი მონაპოვრის შესახებ არც ერთმა კრინტი არ დაუძრათ.

— ლიუსი, — სიტყვა ჩამოართვა სკვაირმა, — თქვენ ყოველთვის ჭეშმარიტებას ღაღადებთ. სამარესავით დავიდუმებ პირს!

ნაწილი მეორე

გემის მზარეული

თავი მუხვიდე

ბრისტოლში მივდივარ

ზღვაში გასვლისათვის სამზადისს გაცილებით მეტი დრო მოუნდა, ვიდრე სკვირი ვარაუდობდა. თავდაპირველად დაწყობილი არც ერთი ჩვენი გემი, თვით ექიმ ლოსის გემაც — მე გვერდიდან არ მოვეშორებინე — არ გაგვიმართლდა. ექიმი იძულებული გახდა, ლონდონში გამგზავრებულიყო მკურნალის ჩამოსაყვანად, რომლისთვისაც თავისი საქმე უნდა გადაეხარებინა; სკვირი გუდმოდგინედ ჩალიჩობდა ბრისტოლში; ხოლო მე თითქმის პატიმაროვით ვცხოვრობდი სასახლეში რედრუთის, მოხუცი ტყისმცველის, მზრუნველობის ქვეშ, მაგრამ გატაცებული კი ვიყავი საზღვაოსნო ოცნებებით და განძის კუნძულის ხილვისა და თავგადასავალთა განცდის მომხიბლავი მოლოდინით. საათობით ჩაკირკიტებდი რუკას და მისი ყოველი წვრილმანი კარგად ჩავიბეჭდე მეხსიერებაში. მოურავის ოთახში ცეცხლის პირას მიმჯდარი ოცნებაში ყველა შესაძლო მხრიდან მივადექი იმ კუნძულს. მისი ყოველი აკრი¹ გამოვიკვლიე. ათასჯერ აუედი იმ მაღალ მწვერვალზე, ჭოგრიტი რომ ეწოდებოდა, და მისი თხემიდან ვტკებობდი განსაცვიფრებელი, ნაირფერი სანახაობით. კუნძული ხან ველურებით იყო საუსე, რომელთაც ვებრძოდით; ხან — ნადირებით, რომელნიც თავს გვესხმოდნენ. მაგრამ ჩემს ოცნებებში ისეთი უცნაური და საბედისწერო არაფერი გადაგვხდენია თავს, როგორიც ჩვენი ნამდვილი თავგადასავალი აღმოჩნდა.

¹ აკრი — ფართის საზომი ერთეული ინგლისში; უდრის 4047 კმ-ს.

ასე გაიარა რამდენიმე კვირამ, სანამ ერთ მშვენიერ დღეს ექიმ ლოვსის სახელზე წერილი არ მოვიდა, რომელსაც ეს სიტყვებიც ჰქონდა დართული: „თუ ის არ იყოს, გახსნას ტომ რედრუთმა, ანდა ახალგაზრდა ჰოკინზმაო“. ამ წერილით შევიტყვეთ, ანუ, უფრო სწორად, მე შევიტყვე, რადგან ტომი ხელნაწერის კითხვაზე მწყრალად იყო, შემდეგი მნიშვნელოვანი ამბები:

„სასტუმრო „ძველი ღუზა“, ბრისტოლი:

17... წლის 1 მარტი.

„ძვირფასო ლოვსი, ვინაიდან არ ვიცი, სასახლეში ხართ თუ კვლავ ლონდონში იმყოფებით, ამ წერილს ორივეგან ვგზავნი.

„ხომალდი ვიყიდე და ზღვაში გასასვლელად გამზადებული ღუზაზე დგას. უკეთეს ორანძიან გემს ვერ წარმოიდგენთ — ბავშვიც კი შეძლებს მის მართვას. ორასტონიანია. სახელად „ისპანიოლა“ ჰქვია.

„შევიძინე ჩემი ძველი მეგობრის, ბლენდლის, შემწეობით, რომელიც ყველაფერში საოცრად კარგი ახალგაზრდა გამოდგა. ეს ჩინებული კაცი პირდაპირ მონად გამიხდა და შემიძლია ვთქვა, ასევე იქცეოდა ბრისტოლში ყველა, როგორც კი ყურს მოჰკრავენ, რომ კუნძულზე, მინდოდა მეთქვა — განძისათვის მივებგზავრებოდით“.

— რედრუთ, — ჩაუურთე მე წერილის კითხვაში, — ექიმ ლოვსის არ ეამება ეს ამბავი. ბოლოს და ბოლოს, სკვაირს მაინც წამოსცდენია!

— მერე უფლება არა აქვს თუ? — წაიბურტყუნა ტყისმცველმა, — მე მგონი, სასაცილოც იქნება, სკვაირმა კრინტი აღარ დასძრას, აქაოდა ექიმ ლოვსის არ ეამებაო.

ამაზე შევწყვიტე ახსნა-განმარტება და პირდაპირ განვაგრძე კითხვა:

„ბლენდლიმვე აღმოაჩინა „ისპანიოლა“ და საოცარი სიმარჯვითაც შემაძენინა სულ იაფად. ბრისტოლში ზოგიერთები ძალიან აუად იხსენებენ ბლენდლის. უფრო მეტიც, ამ პატიოსან კაცს სწამებენ, ფულისათვის, რასაც გინდა, იმას იზამსო და რომ თითქოს „ისპანიოლა“ მას ეკუთვნოდა და საარაკო ფასში მომყიდა. მა-

გრამ, ეს აშკარა ცილისწამებია. ამ გემის ღირსებას კი ვერაფერს უარყოფს.

აქამდე არაფერს დაუბრკოლებიარ. რასაკვირველია, ხელოსნები — იალქნების გამწვობნი და სხვანი — ძალიან ზოზინობდნენ, მაგრამ, მაინც მოამთავრეს თავისი საქმე. ოღონდ ეკიპაჟის ამბავმა გამაწვალა. მინდოდა ოცი კაცი მაინც შემეკრიბა იმ შემთხვევისათვის, თუ ველურებს, მეკობრეებს, ანდა საძაგელ ფრანგებს წავაწყდებოდით, მაგრამ გველის ტყავში გავძვერი და ექვსიოდეზე მეტი ვერ მოვაგროვე, სანამ, ბედად, სწორედ ისეთ კაცს არ გადავეყარე, რომელიც მესაჭიროებოდა.

ნავსადგურში ვიდექი და სულ შემთხვევით გამოველაპარაკე მას. შევითყვე, რომ ძველი მეზღვაური ყოფილა. ახლა სამიკიტნო ჰქონია გახსნილი; ბრისტოლში ყველა მეზღვაურს იცნობს; ხმელეთზე სენი მორეჟია და სურდა გემის მზარეულის ადგილი ეშოვა, რათა კვლავ ზღვაში გასულიყო. იმ დღით იგი, როგორც თქვა, ზღვის ჰაერის ჩასაყლაპად ჩამოჩლახუნებულყო სანაპიროზე.

ძალიან შემეცოდა, — ალბათ თქვენც ასევე შეგეცოდებოდათ, — სიბრალულის გულისთვის ავიყვანე გემის მზარეულად. აყლაყუდა ჯონ სილვერს ეძახიან და ცალი ფეხი არა აქვს, მაგრამ ეს საუკეთესო რეკომენდაციად ჩავუთვალე, რაკი იგი სამშობლოს სამსახურში დაუკარგავს — უკვდავი ჰოკის¹ სარდლობით რომ იბრძოდა. პენსია არ გააჩნია, ლივსი. წარმოიდგინეთ, რა საძაგელ ხანაში ვცხოვრობთ!

ღიახ, სერ, მეგონა, მარტო მზარეული ვიშოვე და თურმე მთელი ეკიპაჟი მიპოვია. სილვერმა და მე რამდენიმე დღეში მოვუყარეთ თავი მართლაც გამობრძმედილ, ძველი ზღვაოსნების გუნდს. თვალად ვერაფერი ლამაზები არიან, მაგრამ სახეზე ეტყობათ, ერთობ შეუპოვარი ვაჟკაცები იქნებიან. მოგახსენებთ, რომ ჩვენს ფრეგატსაც² კი ვუმკლავდებით.

აყლაყუდა ჯონმა ჩემგან უკვე დაქირავებული ექვსი თუ შვიდი მეზღვაურიდან ორი თავიდან მოიშორა. მან თვალის დახამხამებაში

¹ ადმირალი ჰოკი — ინგლისელი ადმირალი ედუარდ ჰოკი (1705-1781 წ.წ.).

² ფრეგატი — სამანძიანი იალქნიანი სამხედრო გემი ძველ ფლოტში, სახაზო გეშზე მოძვრო. 28-დან 60 ზარბაზნამდე შეიძლება ჰქონოდა.

დამიბტკიცა, რომ ისინი უმაქნისი მეზღვაურები იყვნენ და მათი ნდობა სამძიმო საქმეში არამც და არამც არ შეიძლებოდა.

მე არაჩვეულებრივ ჯანსა და გუნებაზე გახლავარ; მოზვეროვით ვჭამ, კუნძოვით მძინავს, მაგრამ მაინც ვერ მოვისვენებ, სანამ ჩემი გამოცდილი მეზღვაურების ფეხების ბაგაბუგს არ გავიგონებ ღუზის ამოსაღები ოწინარის გარშემო. ზღვისაკენ! ჯანდაბას წაუღია განძი! საზღვაო დიდება მახვევს თავბრუს. დრო არ ითმენს, ლოვსი, სასწრაფოდ ჩამოდით. ერთი საათიც არ დაკარგოთ, თუ ჩემი პატივისცემა გაქვთ.

დაე, ახალგაზრდა ჰოკინზმა რედრუთის თანხლებით სასწრაფოდ მონახულოს დედამისი, მერე ორივემ სასწრაფოდ ბრისტოლს მოაშურონ“.

ჯონ ტრელონი

P.S. აქამდე არ მითქვამს თქვენთვის, რომ ბლენდლიმ, რომელმაც, სხვათა შორის, მაშველი ხომალდი უნდა გამოგვიგზავნოს, თუ ვინიცობაა, აგვისტოს ბოლოსთვის არ დაუბრუნდით, კაპიტნად საუცხოო ვინმე გვიშოვა. სამწუხაროდ, ცოტა უხიაკი კაცია, მაგრამ სხვა მხრივ ნამდვილი განძია. აყლაყუდა ჯონ სილვერმა ძალიან გამოცდილი კაცი მოძებნა კაპიტნის თანაშემწედ, გვარად ეროუ. აგრეთვე, მყავს ბოცმანი¹, რომელიც უსტვენს. ასე რომ, საქმე სამხედრო გემის ყაიდაზე იქნება დაყენებული ჩვენს საუცხოო „ისპანიოლაზე“.

დამავიწყდა მეთქვა — სილვერი შეძლებული კაცია. მე თვითონ დაერწმუნდი: ბანკში ანგარიში აქვს. სამიკიტნოს ცოლის გამგებლობაში ტოვებს და, რაკი იგი ფერადკანიანი დედაკაცია, მგონი მეპატიება, თუ ვიფიქრებ, რომ სილვერს ცოლიც ისევე მიერეკება ზღვაში სახეტილოდ, როგორც ჯანმრთელობა.

ჯ.ტ.

P.P.S. ჰოკინზს შეუძლია ერთი ღამე დედამისთან გაათიოს.

ჯ.ტ.“

შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, როგორ ამაფორიაქა ამ წერილმა. სიხარულით ფეხზე აღარ ვიდექი. თუ ქვეყნიერებაზე ვინ-

¹ ბოცმანი — უფროსი მეზღვაური გემზე, რომელსაც ვვალეობდა სისუფთავის დაცვა, გემის ნაგებისა და გაწყობილობის მეთვალყურეობა, აგრეთვე მეზღვაურთა ზედამხედველობა.

მე მძულდა, ეს იყო მოხუცი ტომ რედრუთი, რომელიც სულ ბუზღუნებდა და წუწუნებდა. დილით მე და ის ქვეითად გაუუღექით გზას „ადმირალ ბენბოუსაკენ“. დედაჩემი ჯანსაღად და კარგ გუნებაზე დამხვდა. კაპიტანმა, რომელიც იმდენ ხანს იყო ჩვენი შეწუხების მიზეზი, სული განუტევა, სკვირს ყველაფერი შეეკეთებინა. სასტუმრო ოთახები და აბრა ხელმეორედ მოეხატვინებინა. ცოტაოდენი ავეჯიც შემოემატებინა — სხვათა შორის, დახლში მშვენიერი სავარძელი დაედგა დედაჩემისთვის. თანაშემწედ ბიჭიც ეშოვა მისთვის, ასე რომ, ჩემს არყოფნაში დედას არა გაუჭირდებოდა რა.

სწორედ იმ ბიჭის დანახვაზე მივხვდი პირველად, რა მდგომარეობაში ვიმყოფებოდი. მანამდე მხოლოდ ჩემს მომავალ თავგადასავალზე ვფიქრობდი და სახლი, რომელსაც ვტოვებდი, სულ არ მაგონდებოდა. ახლა კი უცნობი ბიჭის დანახვაზე, რომელსაც დედაჩემის გვერდზე ჩემი ადგილი უნდა დაეჭირა, პირველად მომადგა ცრემლი თვალზე. ალბათ გავაწამე ის საწყალი ბიჭი. მუშაობაში ახალბედა იყო და, როგორც კი შემთხვევა მომეცემოდა, ვუსწორებდი და ხმას ვაკმენდინებდი.

მეორე დღეს, ნასადილევს, რედრუთი და მე კვლავ გზას დავადექით. გამოვეთხოვე დედაჩემს და ყურეს, სადაც დაბადებიდან ვცხოვრობდი; გამოვესალმე ძვირფას „ადმირალ ბენბოუს“, რომელზეც, რაკი ახლად იყო მოხატული, ისე აღარ მიმდიოდა გული. გამახსენდა კაპიტანი, რომელიც ასე ხშირად დასეირნობდა სანაპიროზე თავისი სამკუთხა ქუდით, ნახმლევი ლოყითა და ძველი თითბრის ჭოგრით. მალე გადავუხვიეთ და ჩემი სახლიც თვალს მიეფარა.

მზის ჩასვლის ხანს, ყამირზე მდგარ „მეფე გეორგთან“ საფოსტო ეტლში ჩავსხედით. მე რედრუთსა და ერთ ჩასუქებულ მოხუც დარბაისელ კაცს შორის ჩამაკვეხეს. მიუხედავად სწრაფი მოძრაობისა და ღამის სუსხისა, მალე ჩამთვლიდა და მკვდარივით მეძინა მთელ აღმართ-დაღმართში სადგურიდან სადგურამდე. ბოლოს, გვერდში ქიმუნჯის კვრამ გამომალვიდა. თვალი გავახილე, რომელიღაც დიდი შენობის წინ ვიდექით ქალაქის ქუჩაში და კარგა ხნის გათენებულ იყო.

— სადა ვართ? — ვიკითხე მე.

— ბრისტოლში, — მომიგო ტომმა, — ჩამოდი!

მისტერ ტრელონის ნავსადგურის ახლოს მდებარე სასტუმროში დაედო ბინა, რათა თვალყური ედევნებინა ხომალდის მოძრაობებისთვის. ჩვენც იქ უნდა მივსულიყავით და, ჩემდა სასიხარულოდ, გემების მისაბმელი სანაპიროს გასწვრივ, ყველა ზომისა და აღკაზმულობის უამრავი ხომალდის გვერდით უნდა ჩაგვევლო. ერთში მეზღვაურები მუშაობდნენ და მღეროდნენ, მეორეში — მაღლა ასულიყვნენ და ზევით, თოკებზე ეკიდნენ, რომლებიც ქვემოდან აბლაბუდას ქსელივით ჩანდა. მთელი სიცოცხლე ზღვის პირას მქონდა გატარებული, თუმცა, ახლა ისე ვგრძნობდი თავს, თითქოს მანამდე ახლოსაც არ გავკარებოდი ზღვას. კუპრისა და მარილის სუნი ახალი ხილი იყო ჩემთვის. საოცარი გამოსახულებები ამოეჭრათ იმ გემების ცხვირებზე, რომელთაც შორი ოკეანეები მოევლოთ. ვნახე საყურებიანი, დაკულულებულქილვაშებიანი და გაკუპრულნაწნავეებიანი მეზღვაურები და მათი უგერგილო, ზღვაოსნური ტორტმანით სიარული. იმდენივე მეფე და არქიეპისკოპოსი რომ მეხილა, ასე არ გამიხარდებოდა.

მე თვითონაც ზღვაში გავდიოდი, ზღვაში! ისიც ორანძიანი ხომალდით, რომელზეც სასტვენიანი ბოცმანი და ნაწნავეებიანი მომღერალი მეზღვაურები იქნებოდნენ; ზღვაში გავდიოდი უცნობი კუნძულისა და დამარხული განძის საძიებლად!

სანამ საამურ ოცნებებში ვიყავი გართული, ერთი დიდი სასტუმროს წინ აღმოვჩნდი და თავიდან ფეხებამდე საზღვაო ოფიცრის მსგავსად სქელ, ლურჯ ტანსაცმელში გამოწყობილ სკვირ ტრელონის შევეჩხეთ. იგი ღიმილით გამოდიოდა კარში და ჩინებულად ჰბაძავდა ზღვაოსანთა სიარულს.

— თქვენც აქა ხართ! — შემომძახა მან, — ექიმიც გუშინ სალამოს ჩამოვიდა ლონდონიდან. ვაშა! გემის ეკიპაჟი მთლიანად შეკრებილია!

— ოჰ, სერ! — შევყვირე მე, — როდის მივემგზავრებით?

— როდის მივემგზავრებით? — ჩამომართვა სიტყვა მან, — როდის და ხვალ!

თავი მერვე სამიკიტნო „ჭოგრიტი“

ნასაუზმევს სკვაირმა ბარათი მომცა სამიკიტნო „ჭოგრიტში“ ჯონ სილვერისათვის გადასაცემად და მითხრა, იმ ადგილს ადვილად იპოვი, თუ გაჰყვები დოკების რიგს და ყურადღებით მოძებნი პატარა სამიკიტნოს, რომელსაც აბრის ნაცვლად თითბრის დიდი ჭოგრი უკეთიაო. გახარებული გავუდექი გზას — გემებსა და მეზღვაურებს კიდევ შევაღვლებ-მეთქი თვალს. ახლა ნავსადგურში გახურებული მუშაობის დრო იყო და გზას ხალხის დიდ ბრბოში, ურმებსა და ბარდანებში მივიკვლევდი. ბოლოს ხსენებულ სამიკიტნოს მივაღწიე.

პატარა, საკმაოდ კოხტა დუქანი იყო. აბრა ახლად შეეღებათ; სარკმლებზე ფაქიზი, წითელი ფარდები ეფარა; ძირს სუფთა სილა მოეფრქვიათ. ორივე მხარეს ქუჩები ჩაუდიოდა, კარები ორივე მხარეს ღია ჰქონდა, რის გამოც ფართო, დაბალჭერიან დარბაზში, მიუხედავად თამბაქოს ბოლისა, მშვენივრად ჩანდა ყველაფერი.

მუშტრების უმრავლესობა მეზღვაური იყო და ისე ყაყანებდნენ, რომ ზღურბლზე შევდექი და შემეშინდა კიდევ შიგ შესვლის.

ამ ყოყმანში ვიყავი, რომ გვერდითა ოთახიდან კაცი გამოვიდა. მაშინვე მივხვდი, ეს უნდა ყოფილიყო აყლაყუდა ჯონი. მარცხენა ფეხი თუძოსთან ჰქონდა მოკვეთილი, მარცხენა ილლიაში კი ყავარჯენი ამოეჩარა, რომელსაც საოცარი სიმარჯვით ხმარობდა და ჩიტოვით დახტოდა. ძალიან მაღალი და ხმელი კაცი იყო. დაშაშხული ღორის ბარკალივით გამოშშრალი სახე ჰქონდა, ბრტყელი და ფერმკრთალი, ზედ ჭკვიანურად მოშზირალი, მოღიმარი თვალებით. ჩინებულ გუნებაზე ბრძანდებოდა — მაგიდებს შორის სტვენით მიმოდოდა და ნაცნობ სტუმრებს თითო-ოროლა მხიარულ სიტყვას გადაულაპარაკებდა, ანდა ბეჭზე ხელს დაუტყაპუნებდა.

მართალი მოგახსენოთ, მისტერ ტრელონიმ წერილში აყლაყუდა ჯონი რომ ახსენა, თავიდან გულში შიში შემეპარა, ის ცალფეხა მეზღვაური არ გამოდგეს, რომელსაც „ადმირალ ბენბოუში“ დაბი-

ნავებული კაპიტანი შიშით ახსენებდა. მაგრამ ამ კაცისთვის ერთი თვალის შევლება საკმარისი იყო, რომ მსგავსი ეჭვი გაგფანტვოდა. ნანახი მყავდა კაპიტანი, შავი ძაღლი, ბრმა პიუ და დარწმუნებული ვიყავი, ვიცოდი, როგორი უნდა ყოფილიყო მეკობრე. ზღვის ყაჩაღს, ჩემი აზრით, სამიკიტნოს ამ ფაქიზ, ალერსიან მეპატრონესთან შედარებით, სრულიად განსხვავებული შესახედაობა უნდა ჰქონოდა.

გული მომეცა, გადავაბიჯე ზღურბლს და თამამად გავემართე იქით, სადაც ყავარჯენს დაყრდნობილი ის კაცი ვილაც მუშტარს ემუსაიფებოდა.

— მისტერ სილვერი ბრძანდებით, სერ? — ვკითხე და ბარათი გაუწოდე.

— დიახ, ჩემო ბიჭუნავ, — მომიგო, — ეგ გახლავს ჩემი სახელი. შენ ვინლა ბრძანდები? — და მერე, როგორც კი სკუაირის წერილი დაინახა, მომეჩვენა, თითქოს შეკრთაო.

— აჰ! — შესძახა მან საკმაოდ ხმამაღლა და ხელი გამომიწოდა, — მივხვდი: შენ ჩვენი ახალი გემის იუნგა ხარ! მოხარული ვარ, რომ გნახე და მაგრად ჩაბლუჯა ჩემი ხელი თავის დიდრონ თათში.

სწორედ მაშინ, მოშორებით მდგარი ერთი მუშტარი ზეზე წამოიჭრა, კარისკენ გაეშურა და თვალის დახამხამებაში ქუჩაში გაუარდა. მისმა აჩქარებამ ჩემი გულისყური მიიპყრო და ერთი თვალის შევლებით გავიცანი. ეს გახლდათ ორთითმოჭრილი კაცი, რომელმაც პირველად მოაკითხა კაპიტანს „ადმირალ ბენ-ბოუში“.

— ოჰ! — შევყვირე მე, — დაიჭით, ეგ „შავი ძაღლია!“

— ჩირად არ მიღირს, ეგ ვინ არის! — შესძახა სილვერმა, — მაგრამ, ნახარჯი არ გადაუხდია... ჰარი, გაიქეცი და დაიჭირე!

კართან ახლოს მყოფი ერთი ვილაც წამოხტა და დაედევნა.

— ადმირალი ჰოკიც რომ ბრძანდებოდეს, დანახარჯი უნდა გაისტუმროს, — შესძახა სილვერმა. მერე ხელი უშვა ჩემს ხელს და ჩამეკითხა: — რა თქვი, ვინ არისო? შავი რა?

— „შავი ძაღლი“, სერ, — მოვახსენე მე. — განა მისტერ ტრელონიმ არ გიამბოთ მეკობრეების ამბავი? ეგ სწორედ ერთი მათგანია.

— ჰოო! — შესძახა სილვერმა, — მერე და ჩემს სახლში! ბენ, გაიქე და შენც მიეშველე ჰარის. მაშ ერთი იმ უმაქნისთაგანი იყო, არა? შენ სვამდი, მორგან, იმასთან ერთად? მობრძანდი აქ.

კაცი, რომელსაც მორგანი უწოდეს, — ხნიერი, ჭალარა, წითელსახიანი მეზღვაური, — მორჩილად ეახლა თამბაქოს ღეჭვით.

— აბა, მორგან, — უთხრა აყლაყუდა ჯონმა ძალიან მკაცრად, — თვალი მოგიკრავს ოდესმე იმ შავი... შავი ძაღლისთვის? მოგიკრავს, განა?

— არა, სერ, — მიუგო მორგანმა და თან თავი ჩაქინდრა.

— შენ მისი სახელი ხომ არ იცოდი, იცოდი?

— არა, სერ.

— მეხის მადლმა, ტომ მორგან, შენი ბედი, რომ არ იცოდი, — წამოიძახა მიკიტანმა. — შენ რომ იმისთანა ხალხში გეტრიალა, ჩემს ჭერქვეშ ფეხს ვეღარ შემოდგამდი, ეგ კარგად დაიმახსოვრე. რას ყბედობდა?

— კარგად არ ვიცი, სერ, — მიუგო მორგანმა.

— შენც იტყვი თავი მახია მხრებზეო. თავი კი არა, ნამდვილი მორგვი გაბია! — დასჭყიოლა აყლაყუდა ჯონმა, — კარგად არ იცი, არა?.. ეგებ ისიც არ იცი, ვის ელაპარაკებოდი? აბა, ახლავე დაფქვი, რაზე ლაყობდა: ზღვაოსნობაზე, კაპიტნებზე თუ ხომალდებზე? ამოყაჭე: რას ყბედობდა!

— გემქვეშ გატარებაზე¹ ვლაპარაკობდით, — უპასუხა მორგანმა.

— გემქვეშ გატარებაზე? შესაფერი საგანი ამოგირჩევიათ სამუსაიფოდ. წადი შენს ადგილას, ტომ, შე ლაყე, შენა!

და მერე, როცა მორგანი თავისი ადგილისკენ წაბაჯბაჯდა, სილვერი იდუმალი ჩურჩულით გამენდო; ეს კი, როგორც მეგონა, დიდი პატივი იყო ჩემთვის:

— ეგ ძალიან პატიოსანი კაცია, ეგ ტომ მორგანი, ოღონდ ყვეფჩია. ახლა, — განაგრძო კვლავ ხმამაღლა, — ერთი ვნახოთ... „შავი ძაღლი?“ არა, ეს სახელი არასოდეს გამიგონია, თუმცა, რაღაც მა-

¹ გემქვეშ გატარება — მძიმე სასჯელის ერთ-ერთი სახე ინგლისის ძველ ფლოტში.

გონდება... დიახ, ადრეც მინახავს ეგ უმაქნისი, ბრმა მათხოვართან ერთად დაიარებოდა, აქ, დიახ, დაიარებოდა!

— ასე იქნებოდა, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, — მიუუგე მე, — მეც ვიცი ის ბრმა — პიუ ერქვა.

— სწორედ ეგ არის! — შესძახა ახლა უკვე ძალიან აღელვებულმა სილვერმა, — პიუ! მართლაც აგრე ერქვა. ოჰ, თაღლითი კი ჩანდა, თაღლითი! ახლა, თუ ეს „შავი ძაღლი“ ვიგდეთ ხელთ, კაპიტან ტრელონისთვის ცხელ-ცხელი ამბები გვექნება! ბენი კარგი მორბენალია — მეზღვაურებში ბევრი ვერავინ აჯობებს. ზეცის მაღლმა, თვალის დახამხამებაში დაეწევა! გემქვეშ გატარებაზე ყბედობდა, არა? მე გაუატარებ იმას გემქვეშ!

ამ სიტყვებს რომ ისროდა, ყავარჯნით წაღმა-უკუღმა დახტოდა დუქანში, ხელს უტყაპუნებდა მაგიდაზე და ისეთ აღშფოთებას ამჟღავნებდა, რომ ოლდ-ბეილის¹ მსაჯულს, ანდა ბოუ-სთრითის² პოლიციელსაც დააჯერებდა. ეჭვი საფუძვლიანად გამიცხოველდა, „შავი ძაღლი“ რომ „ჭოგრიტში“ ვიპოვე და ცალფეხას ბეჯითად ვაკვირდებოდი, მაგრამ იგი ჩემთან შედარებით გაცილებით გამოცდილი, გამჭრიახი და ეშმაკი გახლდათ: როცა ორივე მღევარი ქლოშინით დაბრუნდა და მოახსენეს, ბრბოში კვალი დაკარგეთო, ისე დატუქსა, თითქოს ქურდები ყოფილიყვნენ და მე უკვე შემეძლო თავდებადაც დავდგომოდი აყლაყუდა ჯონ სილვერს, რომ იგი უმწიკვლო ადამიანი ბრძანდებოდა.

— ჰოკინზ, — თქვა მან, — ხედავ, რა ხათაბალაში გავები, ჰა? აბა, რას იფიქრებს კაპიტანი ტრელონი? ეს წყეული სალახანა ჩემს ჭერქვეშ იჯდა და ჩემს რომს შეექცეოდა; შენც მოდიხარ და ყველაფერს მეუბნები, მე კი თვალსა და ხელს შუა მისხლტება ასეთი კაცი! ჰოკინზ, იცოდე სიმართლე არ დამიკარგო კაპიტნის წინაშე. მართალია, ჯერ ყმაწვილი ხარ, ყმაწვილი, მაგრამ გონება გიჭრის. ამას მაშინვე მივხვდი, როგორც კი თვალი მოგკარი. აბა თავად განსაჯე: რა უნდა მექნა ამ სახტუნაო დამპალი შეშით?

¹ ოლდ-ბეილი — ინგლისის უზენაესი სასამართლო სისხლის სამართლის დამნაშავეთათვის ლონდონში.

² ბოუ-სთრითის პოლიციელი — ბოუ-სთრითზე, ლონდონში, პოლიციის სამმართველო იყო და ამიტომ არის ასე ნახმარი.

მე რომ ჯანსაღი მეზღვაური ვყოფილიყავი, დავედევნებოდი და თვალის დახამხამებაში დავიჭერდი, ვერ გამისხლტებოდა! მაგრამ ახლა...

მერე უცბად შედგა და, თითქოს რაღაც მოაგონდაო, პირი და-
ალო:

— დანახარჯი! — იღრიალა მან, — სამი ჭიქა რომი! ოჰ, შენი... კისერიც გიტეხია, ვითომ სულაც არ დაგელიოს... და სკამზე დაცემულს ისეთი სიცილი აუტყდა, რომ თვალებიდან სულ ღაპაღუპით გადმოსცვივდა ცრემლები. მეც თავი ველარ შევიკავე, შევუერთდი და ორივენი ავხარხარდით, მალე ირგვლივმოფნიც ავიყოლიეთ და მთელი დუქანი დგანდგარებდა ჩვენი ხარხარით.

— ოჰ, რა სასაცილო ზღვის ხბო გამოვდექი! — თქვა მან ბოლოს, ცრემლების წმენდით. — მე და შენ ჩინებულად შევეწყობით ერთმანეთს, ჰოკინზ, რადგან, გეფიცები, მეც უბრალო გემის ბიჭი ვარ და მეტი არაფერი. მაგრამ ახლა საქმეს მივხედოთ, ასე არ ივარგებს, მოვალეობა მოვალეობაა; ჩემს სამკუთხა ქუდს დავიხურავ და ვეახლოთ კაპიტან ტრელონის, რომ ეს ამბავი მოვახსენოთ. ვინაიდან, დამიჯერე, ეს სერიოზული საქმეა, ჩემო ახალგაზრდა მეგობარო. ესეც არ იყოს, ვერც იმას ვიტყვი, რომ მე ან შენ ძალიან პირიანად გამოვედით ამ დავიდარაბიდან. უნდა აღიარო, რომ ვერც შენ ივარგე... ვერ ვიმარჯვეთ... ვერც შენ, ვერც მე! მაგრამ, დალახვროს ღმერთმა! დანახარჯზე კი კარგად გამაცურა. და კვლავ ისე გულიანად მოჰყვა ხარხარს, თუმცა სასაცილოს ვერაფერს ვხედავდი, იძულებული გავხდი, მხარი ამება მისთვის ამ მხიარულებაში.

ჩვენს ხანმოკლე მგზავრობაში ნავმისადგომის გაყოლებით, იგი ფრიად საამური თანამგზავრი გამოდგა. მიყვებოდა იმ გემების შესახებ, რომელთაც ჩავუარეთ — მათ აღკაზმულობას, წყალწყვას, ეროვნულ კუთვნილებას მიხსნიდა, რა მუშაობა მიმდინარეობდა — როგორ ცლიდნენ ერთს, როგორ ტვირთავდნენ მეორეს, მესამე კი როგორ აპირებდა ზღვაში გასვლას. თან წამდაუწუმ ჩაურთავდა ხომალდების ანდა ზღვაოსანთა რაიმე არაკს; ან კიდევ იმდენჯერ გაიმეორებდა მეზღვაურთა რომელიმე გამოთქმას, სანამ კარგად არ ვისწავლიდი; ვრწმუნდებოდი, რომ ზღვაში ამაზე უკეთეს ამხანაგს ძნელად იპოვიდა კაცი.

როცა სასტუმროში მივდივით, სკვაირი და ექიმი ლივსი ერთად ისხდნენ და, ვიდრე ხომალდის საბოლოოდ გასასინჯად წავიდოდნენ, ლუდს შექცევოდნენ, თან შებრაწულ პურს ატანდნენ.

აყლაყუდა ჯონი თავიდან ბოლომდე მოჰყვა სამიკიტნოში დატრიალებულ ამბავს, დიდი აღელვებით და სრული სიმართლით.

— ხომ ასე იყო საქმე, ჰოკინზ? — წამდაუწუმ გამომელაპარაკებოდა და მეც ყოველთვის კვერს ვუკრავდი, რომ იგი მართალს ამბობდა.

ორივე ჯენტლმენს ძალიან ეწყინა, „შავი ძაღლი“ რომ გაგვისხლტა ხელიდან, მაგრამ ყველასთვის აშკარა იყო, რომ ამას აღარაფერი ეშველებოდა. მას შემდეგ, რაც ქათინაურები მოისმინა, აყლაყუდა ჯონიც უკან გაბრუნდა.

— ყველა მეზღვაური გემზე იყოს ნაშუადღევის ოთხი საათისთვის, — მიაძახა სკვაირმა.

— არის, სერ! — გამოეხმაურა მიმაგალი.

— სერ, — უთხრა ექიმმა ლივსიმ ტრელონის, როდესაც ცალფეხა თვალს მიეფარა — საერთოდ, თქვენი დაქირავებული ხალხი დიდად არ მომწონს, მაგრამ ამას კი ვიტყვი: ჯონ სილვერი თვალში მომივიდა.

— ჩინებული კაცია! — ბრძანა სკვაირმა.

— ახლა კი, — დასძინა ექიმმა, — ჯიმსაც შეუძლია ჩვენთან ერთად ავიდეს გემზე, ხომ?

— რასაკვირველია, შეუძლია, — კვერი დაუკრა სკვაირმა, — დიახურე ქუდი, ჰოკინზ, და დაუათვალიეროთ გემი.

თავი მეცხრე

თოფისწამალი და საჭურველი

„ისპანიოლა“ ნაპირიდან ცოტა მოშორებით იდგა, ამიტომ მრავალი ხომალდის ცხვირზე ამოჭრილი ფიგურის ქვეშ გავლა, ანდა კიჩოს¹ შემოვლა მოგვიხდა; მათი ბაგირები ხან ჩვენს ნავსებზე ჭრია-

¹ კიჩო — გემის უკანა ნანაწილი

ლებდა, ხან ჩვენს თავზე ეკიდა. ბოლოს, როგორც იქნა, გაუაღწიეთ, გემბანზე ფეხის შედგმისთანავე საღმით შემოგვეგება კაპიტნის თანაშემწე მისტერ ეროუ, საყურეებიანი, მზით გარუჯული, ელამი ძველი მეზღვაური. ის და სკვაირი ძალიან ტკბილ, მეგობრულ ურთიერთობაში იყვნენ, მაგრამ მალე შევნიშნე, რომ ასეთივე დამოკიდებულება არ ჰქონდათ ერთმანეთთან მისტერ ტრელონისა და კაპიტანს.

კაპიტანი ფიცხი კაცი ჩანდა, თითქოს ყველაფერზე ჯავრობდა და მალე გვითხრა კიდევ, რატომ. ის-ის იყო კაბინაში შევედით, რომ მეზღვაური შემოგვეყვა.

— კაპიტანი სმოლეთი გთხოვთ, თქვენთან ლაპარაკი მინდაო, — თქვა მან.

— ყოველთვის მზად ვარ კაპიტანს ვემსახურო, სთხოვე, მობრძანდეს, — უთხრა სკვაირმა.

კაპიტანი, რომელიც ფეხდაფეხ მოსდევდა შიკრიკს, მაშინვე შემოვიდა და კარი მიკეტა.

— აბა, კაპიტანო, რას გვეტყვით? იმედი მაქვს, ყველაფერი რიგზეა, სრულ წესრიგშია და ზღვაში გასვლისთვის მზად არის!

— სერ, — თქვა კაპიტანმა, — მე მგონი, საწყენიც რომ იყოს, სჯობს გულახდილად მოგახსენოთ, მე არ მომწონს ეს მგზავრობა, არ მომწონს ეს მეზღვაურები და არ მომწონს ჩემი თანაშემწეც. აი — მოკლედ და კონკრეტულად!

— ეგებ, სერ, გემიც არ მოგწონთ? — დაეკითხა, როგორც შევატყვე, ძალიან გაჯავრებული სკვაირი.

— მაგის თქმა არ შემიძლია, სერ, სანამ საქმეში არ გამოვცდი! — მიუგო კაპიტანმა, — კარგი ზომალდი ჩანს, მეტს ჯერ ვერაფერს გეტყვით.

— იქნებ, სერ, თქვენი დამქირავებელიც არ მოგწონთ? — ეუბნება სკვაირი.

მაგრამ აქ ექიმმა ჩამოართვა სიტყვა.

— ცოტა მოითმინეთ, — თქვა მან, — ცოტა მოითმინეთ. მაგისტანა კითხვები მხოლოდ უსიამოვნებას მოიტანს და საქმეს არაფერს არგებს. კაპიტანმა ან ძალიან ბევრი გვითხრა, ან ძალიან ცოტა, და მე იძულებული ვარ ვთქვა, რომ მის ნათქვამს დამატე-

ბით ახსნა-განმარტება ესაჭიროება. თქვენ ბრძანეთ, ეს მგზავრობა არ მომწონსო, მერედა, რატომ?

— მე დამიქირავეს, სერ, როგორც იტყვიან, ბრძად, რათა ეს გემი იქ წამყვანა, სადაც ეს დარბაისელი ჯენტლმენი მიბრძანებდა. კეთილი, ამაზე თანახმა ვარ. მაგრამ ახლა ვხედავ, რომ ყველა უბრალო მეზღვაურმა ჩემზე მეტი იცის. აი, ეს არ მიმაჩნია სწორად. თქვენ რაღას იტყვით?

— მართალია, არ არის სწორი, — კვერი დაუკრა ექიმმა ლივსიმ.

— შემდეგ, — განაგრძო კაპიტანმა, — შევიტყვე, განძისთვის მივდივართ, ასევე შევიტყვე, გთხოვთ გაითვალისწინოთ, საკუთარი მეზღვაურებისგან, ეს საქმე ძალიან სადავიდარაბო საქმე ყოფილა. მე საერთოდ არ მომწონს განძის საძებრად სიარული; მით უფრო არ მომწონს, როცა იგი საიდუმლოდ ხდება და როცა (ბოდიშს ვიხდი თქვენთან, მისტერ ტრელონი) ეს საიდუმლო თუთიყუშმაცკი იცის.

— სილვერის თუთიყუშმა? — შესძახა სკვაირმა.

— არა, ასეთი გამოთქმა გახლავთ, — თქვა კაპიტანმა. — მე იმის თქმა მინდა, რომ თქვენი საიდუმლო გახმაურებულია. დარწმუნებული ვარ, ჯენტლმენებო, არც ერთმა თქვენგანმა არ იცით, რა საქმეს მოჰკიდეთ ხელი. მაგრამ მე ჩემს აზრს მოგახსენებთ: სიკვდილ-სიცოცხლის საქმეა და ბეწვზე ჰკიდია ჩვენი გადარჩენა.

— ეგ ყველაფერი ნათელია და, უნდა ითქვას, საკმაოდ მართალიც, — მიუგო ექიმმა ლივსიმ, — დიდი გაბედვაა ჩვენი მხრივ, მაგრამ ისეთი უბირები მაინც არ გახლავართ, როგორც გგონიათ. მერე კიდევ, თქვენ ბრძანეთ, ეკიპაჟი არ მომწონსო, განა კარგი ზღვაოსნები არ არიან?

— არა, არ მომწონს, — სერ, — უპასუხა კაპიტანმა სმოლეტმა. — და, თუ მაგაზე მიდგება საქმე, მე მგონი, თავად უნდა მქონოდა საკუთარი ეკიპაჟის არჩევის საშუალება.

— ეგებ უნდა გქონოდათ კიდევც, — სიტყვა ჩამოართვა ექიმმა, — ეგებ ჩემს მეგობარს თქვენც მხარში უნდა სდგომოდით ეკიპაჟის არჩევის დროს, მაგრამ ეს შემთხვევით მოხდა. მაშ, მისტერ ეროუც არ მოგწონთ?

— არ მომწონს, სერ, დარწმუნებული ვარ, კარგი ზღვაოსანია, მაგრამ ისე უყადრებს თავს ეკიპაჟს, რომ კარგ თანაშემწედ არ იფარგებს. კაპიტნის თანაშემწემ თავი უნდა დაიჭიროს — მეზღვაურებთან სმა არ ეკადრება!

— თქვენ გინდათ თქვათ, რომ სვამს? — შესძახა სკვაირმა.

— არა, სერ, — მიუგო კაპიტანმა, — მხოლოდ იმას მოგახსენებთ, რომ ძალიან შინაურულად ეპყრობა ხელქვეითებს.

— აბა, ახლა, მოკლედ რომ მოუჭრათ, კაპიტანო, — თქვა ექიმმა, — გვითხარით, რა გნებაეთ.

— მაშასადამე, საბოლოოდ გადაწყვეტილი გაქვთ ეს მგზავრობა?

— უეჭველად, — უპასუხა სკვაირმა.

— კეთილი, სიტყვა ჩამოართვა კაპიტანმა, — მაშინ, რაკი აქამდე მისმენდით მოთმინებით, როცა იმას მოგახსენებდით, რაც არ მომდიოდა თვალში, კიდევ რამდენიმე სიტყვაც მომისმინეთ. მეზღვაურები ტყვია-წამალსა და საჭურველს გემის წინა ნაწილში ინახავენ, თქვენ კი ჩინებული ადგილი მოგეპოვებათ ამისთვის კაიუტების ქვეშ; არ შეიძლება, რომ იქ დაუაწყოთ? — ეს ერთი საკითხი. მეორეც, თქვენ მოგყავთ თქვენი ოთხი კაცი, რომელთაგან ზოგი, როგორც მითხრეს, აგრეთვე გემის წინა ნაწილში უნდა მოთავსდეს, რატომ არ უნდა დაუაწვინოთ ისინიც კაიუტების გვერდით? — ეს მეორე საკითხი.

— კიდევ არის საკითხი? — დაეკითხა მისტერ ტრელონი.

— ერთი კიდევ გახლავთ, — თქვა კაპიტანმა, — უკვე ძალიან ბევრს ლაყბობენ!

— მეტისმეტს, — კვერი დაუკრა ექიმმა.

— იმას მოგახსენებთ, რაც ჩემივე ყურით გამიგონია, — განაგრძო კაპიტანმა სმოლეტმა, — ამბობენ, რომ რაღაც კუნძულის რუკა გაქვთ; რომ იმ რუკაზე დასმული ჯვრები განძის ადგილს აღნიშნავენ და რომ ის კუნძული მდებარეობს... და ზუსტად დაასახელა იმ კუნძულის განედი და გრძედი.

— მე ეგ არავისთვის მითქვამს! — შეჰყვირა სკვაირმა.

— მეზღვაურებმა კი იციან, სერ, — მიუგო კაპიტანმა.

— ლოესი, მაგას თქვენ ან ჰოკინზი იტყოდით? — შესძახა სკვაირმა.

— რა მნიშვნელობა აქვს, ვინ თქვა, — უპასუხა ექიმმა.

შვენიშნე, რომ არც მას და არც კაპიტანს არ სჯეროდათ მისტერ ტრელონის უარისა. იგი ისეთი ენაჭარტალა ბრძანდებოდა, რომ, რა თქმა უნდა, არც მე უნდა დამეჯერებინა მისტერის; მაგრამ ამ შემთხვევაში, დარწმუნებული ვარ, არ ტყუოდა — კუნძულის მდებარეობა არც ერთ ჩვენგანს არ გაუთქვამს.

— ჰოდა, ჯენტლმენებო, — განაგრძო კაპიტანმა, — არ ვიცი, ეგ რუკა ვის აქვს, მაგრამ ვისაც უნდა ჰქონდეს, მოვითხოვ, რომ იგი საიდუმლოდ შეინახოთ თვით ჩემგან და ეროუსგანაც. თუ არა და, გთხოვთ, გამათავისუფლოთ სამსახურიდან.

— მივხვდი, — თქვა ექიმმა, — თქვენ გინდათ ეს საქმე საიდუმლოდ შეინახოთ; გემის კიჩო გავამაგროთ ჩემი მეგობრის ხალხით და საჭურველი და ტყვია-წამალი მოვიმარაგოთ. სხვანაირად რომ ვთქვათ, ამბოხების გეშინიათ.

— სერ, — სიტყვა ჩამოართვა კაპიტანმა სმოლეტმა, — საწყენად ნუ მიიჩნევთ და, რაც ჩემი პირიდან არ ამოსულა, იმას ნუ მომაწერთ. არც ერთი კაპიტანი, სერ, არ იქნება მართალი, თუ მაგის თქმის საბაბი ექნება და ზღვაში მაინც გავა. რაც შეეხება მისტერ ეროუს, დარწმუნებული ვარ, ნამდვილად პატიოსანი კაცია; პატიოსანია ზოგი მეზღვაურიც — შეიძლება ყველაც. მაგრამ მე პასუხს ვაგებ გემის უშიშროებისა და მასზე მყოფი ყოველი ადამიანის სიცოცხლისთვის. ჩემი ვარაუდით, საქმე მთლად კარგად არ მიდის. გთხოვთ, ზოგიერთი გასაფრთხილებელი ღონისძიება მივიღოთ, ანდა სამსახურიდან დამითხოვეთ. ეს არის და ეს!

— კაპიტანო სმოლეტ, — წამოიწყო ექიმმა ღიმილით, — ხომ არ გაგიგონიათ მთისა და წრუწუნას არაკი? ბოდიშს ვიხდი, ამას რომ გეუბნებით, მაგრამ იმ არაკს მაგონებთ. თქვენ რომ შემობრძანდით, ჩემს პარკს დაუდებ სანაძლეოდ, თუ უფრო მეტის თქმას არ აპირებდით.

— ექიმო, — თქვა კაპიტანმა, — თქვენ გამჭრიახი ადამიანი ბრძანდებით. როცა აქ შემოვდგი ფეხი, განზრახული მქონდა სამსახურიდან გათავისუფლება მეთხოვა. არ მეგონა, თუ მისტერ ტრელონი ყურს ათხოვებდა ჩემს ნათქვამს.

— არც ვათხოვებდი! — შესძახა სკვაირმა. — ლივსი რომ აქ არ იყოს. ჯანდაბაში გაგგზავნიდით! ასეა თუ ისე, მოგისძინეთ

და, რასაც ითხოვთ, შეგისრულებთ, მაგრამ უარესი აზრი შემექმნა თქვენზე.

— როგორც გენებოთ, ჯენტლმენებო, — მოახსენა კაპიტანმა, — მერე ნახავთ, რომ მე ახლა ჩემს მოვალეობას ვასრულებ.

ამ სიტყვებით გავიდა კიდეც.

— ტრელონი, — უთხრა ექიმმა, — წინააღმდეგ ყველა ჩემი მოსაზრებისა, დაურწმუნდი, რომ თქვენ ორი პათიოსანი კაცი მაინც გიშოვიათ გემისთვის — ეს კაცი და ჯონ სილვერი.

— სილვერი, თუ გნებავთ, ჰო, — შესძახა სკვაირმა, — მაგრამ ამ წუწუნა კაცის ქცევა კი, ვაცხადებ, ვაჟკაცისთვის, მეზღვაურისა და ინგლისელისთვის შეუფერებელია.

— კარგი, ვნახოთ, — თქვა ექიმმა.

გემბანზე რომ გავედით, მეზღვაურებს უკვე დაეწყოთ საჭურვლისა და ტყვია-წამლის გადატანა, თან იო-ჰო-ჰოს იძახდნენ, ხოლო კაპიტანი და ეროუ თავს დასტრიალებდნენ მათ.

ცვლილებები თვალში მომივიდა. გემის მთელი მოწყობა გადახალისდა; კიჩოზე, მთავარი ტრიუმის¹ უკანა ნაწილში, ექვსი კაიუტა იყო გამართული. ეს კაიუტები სამზარეულოსა და წინა ერდოს მარტო ძელური გასასვლელით უკავშირდებოდა გემის მარცხენა მხარეს. თავდაპირველად ისე იყო ნავარაუდები, რომ კაპიტანს, ეროუს, ჰანთერს, ჯოისს, ექიმს და სკვაირს უნდა დაეჭირათ ეს ექვსი კაიუტა. ახლა ორი მათგანი რედრუთს და მე უნდა გვრგებოდა, ხოლო მისტერ ეროუსა და კაპიტანს ერთად უნდა დაეძინათ გემბანზე, ტრიუმში ჩასასვლელი კიბის თავთან რომელიც ისე იქნა გაგანიერებული ორივე მხრიდან, რომ თითქმის გემბანის კაიუტას დაემსგავსა. რასაკვირველია, იგი მაინც ძალიან დაბალი იყო, მაგრამ ორი ჰამაკის დასაკიდებელი ადგილი კი გამოვიდა და კაპიტანის თანაშემწეც კმაყოფილი ჩანდა ამ განაწილებით. ეტყობოდა, იმასაც აეჭვებდა ეკიპაჟი, მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდი გახლდათ, რადგან, როგორც შემდეგ გაიგებთ, აღარ დაგვცალდა მისი აზრების შეტყობა.

¹ ტრიუმი — გემის ქვემო ნაწილი გემბანსა და ფსკერს შორის, სადაც ტვირთს აწყობდნენ ჩვეულებრივ.

გახურებულ მუშაობაში ვიყავით გართული — ადგილს ვუცვლი-
დით ტყვია-წამალს და ვმართავდით კაიუტებს, როცა უკანასკნელი
ორი შეგვიანებული მეზღვაური და აყლაყუდა ჯონი მოვიდნენ ნაჟით.

მზარეული მაიმუნის სიმარჯვით ამოცოცდა გემზე და, თვალი
მოჰკრა თუ არა ჩვენს საქმიანობას, შესძახა:

— ჰეი, მეგობრებო! რა ამბავია?

— ტყვია-წამალს ადგილს ვუცვლით, ჯეკ, — უპასუხა ერთმა.

— მერე და, რატომ?, — შესძახა აყლაყუდა ჯონმა, — მაგას
რომ გაყვეთ, დილის მიქცევა ხელიდან წაგვივა!

— ჩემი განკარგულებაა! — მოკლედ მოუჭრა კაპიტანმა. —
თქვენ ძირს ჩადით, ხალხს ვახშამი დასჭირდება.

— მესმის, ბატონო, — მიუგო მზარეულმა. ხელი მიიღო ქოჩორ-
ზე და მაშინვე სამზარეულოსკენ გაეშურა.

— ეგ კარგი კაცი ჩანს, კაპიტანო, — თქვა ექიმმა.

— ფრიად შესაძლებელია, სერ, — მიუგო კაპიტანმა სმოლეტმა.

— ფრთხილად ასწიეთ ეგ, ბიჭებო, ფრთხილად! — და იმ მეზღვაუ-
რებს მიაშურა, რომელთაც ტყვია-წამალი გადაჰქონდათ.

შემდეგ უცებ მე მომკრა თვალი, გემის შუა ადგილას დამაგრე-
ბულ მბრუნავ ზარბაზანს, სპილენძის გრძელლულიან ცხრაგირ-
ვანქიანს რომ ვსინჯავდი, და დამჭყვივლა:

— აბა, ბიჭო, მოსწყდი მანდედან! წადი მზარეულთან და რამე
საქმეს მოჰკიდე ხელი!

და, როცა მივიჩქაროდი, ყური მოვკარი, ხმამაღლა ეუბნებოდა
ექიმს: საგანგებოდ არავის გამოვარჩევ გემზეო.

გარწმუნებთ, მაშინ მეც სკვაირის აზრზე დავდექი და ჭირივით
შემძულდა კაპიტანი.

თავი მათი

საზღვაო მეზავრობა

მთელ იმ ღამეს დიდ დავიდარაბაში ვიყავით — თავ-თავის ად-
გილას ვაწყობდით ყველაფერს, თანაც მისტერ ბლენდლის მსგავს
სკვაირის მეგობრებს ვუმასპინძლებოდით, რომლებიც გემზე

მოდოდნენ, რათა ჩვენთვის კეთილი მგზავრობა და დაბრუნება ესურვებინათ. არც ერთი ღამე არ მახსოვს „ადმირალ ბენბოუ-ში“, რომ ამის ნახევარი საქმე მქონოდეს. უკვე ძალღივით მოქანცული ვიყავი, როცა განთიადამდე ცოტა ხნით ადრე ბოცმან-მა სასტვენს ჩაჰბერა და მეზღვაურებმა ხელი მოჰკიდეს ღუზის ამოსაღებ ოწინარს. ორჯერ იმაზე უფრო ქანცგამოლეული რომ ვყოფილიყავი, მაინც აღარ მოვშორდებოდი გემბანს. ყველაფერი ახლად და საინტერესოდ მეჩვენებოდა: მოკლე ბრძანებები, სასტვენის მჭახე ხმა, გემის ფარნების შუქზე მეზღვაურების ფუს-ფუსი.

— აბა, დაბრაწულო, ერთი სიმღერა შემოსდახე, — შესდახა ერთმა.

— ძველებური, — დაურთო მეორემ.

— კარგი, ბიჭებო! — თქვა აყლაყუდა ჯონმა, რომელიც იქვე იდგა ილლიაში ყავარჯენამოჩრილი და მყისვე გაისმა ჩემთვის კარგად ნაცნობი სიტყვები:

„მკვდრის სკივრს თხუთმეტი კაციღა შერჩა...“

მთელმა ეკიპაჟმა ხმა მისცა:

„იო-ჰო-ჰო-ჰო, და ბოთლი რომი!“

და მესამე „ჰო“-ზე ძალუმად დააწვნენ ჯალამბრის ძელს.

ამ ამაღელვებელ წუთებშიც ერთი წამით ძველი „ადმირალი ბენბოუ“ დამიდგა თვალწინ და თითქოს კაპიტნის ხმაც მომესმა, გუნდს რომ უწყობდა ხმას. ღუზა ამოიღეს, გემის ცხვირზე დაამაგრეს; მალე აფრებიც დაიბერა; მიწა და გემები ამოძრავდა ორივე მხარეს და, სანამ ერთი საათით თვალის მოსატყუებლად მივწვებოდი, „ისპანიოლა“ დაადგა განძის კუნძულის გზას.

დაწვრილებით არ მოყვები ჩვენი მგზავრობის ამბავს — მშვიდობით ვიმგზავრეთ. გემი კარგი გამოდგა, ეკიპაჟი გამობრძმედილი ზღვაოსნებისგან შედგებოდა, კაპიტანსაც საფუძვლიანად ესმოდა თავისი საქმე. მაგრამ, სანამ განძის კუნძულს მივადწევდით, ორისამი ისეთი ამბავი მოხდა, რომელთა ცოდნა საჭიროა.

უპირველეს ყოვლისა, მისტერ ეროუ იმაზე უარესი გამოდგა, ვიდრე კაპიტანს ეგონა. მეზღვაურებში არავითარი გავლენა არ ჰქონდა და რაც მოეპრიანებოდათ, იმას უშვრებოდნენ ხელქვეითე-

ბი. მარტო ეს არ იყო უბედურება. ზღვაში გასვლის ერთითუ ორი დღის შემდეგ გემბანზე უკვე თვალეზამღვრეული, ლოყებაღაჟღა-ჟებული გამოდიოდა, ენა ებმოდა და სიმთვრალის სხვა ნიშნებსაც ამჟღავნებდა. დროდადრო სამარცხვინოდ უბრძანებდნენ, ძირს ჩა-დიო. ხან წაიქცეოდა და ერთხელ დაშავდა კიდევც, ხან მთელი დღე იწვა თავის პატარა საწოლში; ხან, ერთ-ორ დღეს ფხიზლობდა და, ასე თუ ისე, თავს ართმევდა სამუშაოს.

ვერც მოვახერხეთ გამოგვერკვია, სად შოულობდა სასმელს. ეს გემის საიდუმლოება გახლდათ. ბევრი ვუთვალთვალეთ, მაგრამ ვერაფერი გავუგეთ. როცა პირდაპირ დავეკითხებოდით, თუ მთვრალი იყო, მხოლოდ გაიცინებდა, ხოლო თუ ფხიზელი — იფიცებოდა, წყლის გარდა არაფერს გავკარებოვარო.

იგი არა მარტო არ ვარგოდა, როგორც კაპიტნის თანაშემწე, და ცუდ გავლენას ახდენდა ხელქვეითებზე, არამედ, ასეთი ქცევით, აშკარა იყო, თავსაც დაიღუპავდა. ამიტომ არავის გაჰკვირვებია და ძალიანაც არავინ დამწუხრებულა, როცა ერთ ბნელ, ქარიშხლიან ღამეს სრულიად გაქრა და მერე თვალით აღარ გვიხილავს.

— გემიდან გადაუარდა! — დაასკვნა კაპიტანმა. — ამით მისი ბორკილებში ჩასმის დავიდარაბისგან მაინც გავთავისუფლდით.

მაგრამ, რაკი კაპიტნის თანაშემწე აღარ გვყავდა, რასაკვირვე-ლია, აუცილებელი გახდა, სხვა რომელიმე დაწინაურებინათ. გემ-ზე მყოფთაგან ბოცმანი ჯობ ენდერსონი ყველაზე შესაფერი ჩანდა საამისოდ, და, თუმცა ძველი სახელი შერჩა, კაპიტნის თანაშემწის მოვალეობას ასრულებდა. მისტერ ტრელონი ზღვაში ნაუალი კაცი ბრძანდებოდა და მისი ცოდნა ძალიან გამოგვადგა — კარგ ამინდ-ში თვითონაც ხშირად დგებოდა ხოლმე საჭესთან. ნავის მესაჭე იზრავს ჰენდზიც ფრთხილი, გამოჯეკილი, ძველი, ნაცადი ზღვაო-სანი იყო, რომლისთვისაც, გაჭირვების დროს, თითქმის ყველაფე-რი შეიძლებოდა მიგვენდო.

ის აყლაყუდა ჯონ სილვერის გულის მესაიდუმლე ჩანდა და, რაკი სიტყვამ მოიტანა, ახლა ჩვენი გემის მზარეულ „დაბრაწულ-ზეც“ მოგახსენებთ, როგორც მას მეზღვაურები ეძახდნენ.

გემზე ყოფნისას ყავარჯენს ზონრით კისერზე ჩამობმულს ატარებდა, რათა ორივე ხელი თავისუფალი ჰქონოდა. ერთ რა-

მედ ღირდა მისი დანახვა, როცა ყავარჯნის წვერს ტიხარს მიაბ-
ჯენდა, ზედ მიეყუდებოდა და გემის ქანაობას აყოლილი ისე
საქმიანობდა სამზარეულოში, როგორც ჯანსაღი ადამიანი —
ხმელეთზე. კიდევ უფრო უცნაური სანახავი იყო ავდარში გემ-
ბანზე სიარულის დროს. მისთვის ხელჩასაჭიდებლად ერთი-ორი
თოკიც გამოებათ, როგორც მეზღვაურები უწოდებდნენ, აყლა-
ყუდა ჯონის საყურეები. ერთი ადგილიდან მეორეზე რომ გადა-
დიოდა, ხან ყავარჯენს ხმარობდა, ხან მას ყელზე ჩამოკიდე-
ბულს მიათრევდა და ისე სწრაფად მიხტუნაობდა, სხვას ორი
ფეხითაც გაუჭირდებოდა. მაინც ზოგი მეზღვაური, რომელსაც
წინათ მასთან ერთად ემსახურა, წუხდა, ასეთ ყოფაში რომ ხე-
დავდა ცალფეხას.

— ეგ „დაბრაწული“ უბრალო ვინმე არ გეგონოს, — მეუბ-
ნებოდა ნავის მესაჭე. — ახალგაზრდობაში კარგი სწავლა აქვს
მიღებული, და, როცა მოეპრიანება, წიგნივით შეუძლია ლაპა-
რაკი. გულადიცაა — აყლაყუდა ჯონს ლომიც ვერას დააკლებს!
მინახავს, უიარალომ ოთხი კაცი რომ ჩაბლუჯა და თავებით ერთ-
მანეთს ახალა.

მთელი ეკიპაჟი პატივს სცემდა და ემორჩილებოდა. ყველასთან
გამონახული ჰქონდა საერთო ენა და ყველას რაიმე სამსახურს
უწევდა. ჩემდამიც მუდამ კეთილად იყო განწყობილი და ყოველთ-
ვის უხაროდა, როცა დამინახავდა სამზარეულოში, რომელსაც
ახალი ქინძისთავივით გაკრიალებულს ინახავდა. გალაპლაპებული
ჭურჭელი კედელზე ეკიდა, ერთ კუთხეში თავისი თუთიყუში მოე-
თავსებინა გალიით.

— მობრძანდი, ჰოკინზ, — მეტყოდა იგი, — მობრძანდი და
ერთი წაემუსაიფე ჯონს. შენზე უფრო არავის ნახვა ეამება, ჩემო
შვილიკო. ჩამოჯექი და მიგდე ყური. აი, კაპიტანი ფლინტი —
ჩემს თუთიყუშს, სახელგანთქმული მეკობრის პატივისცემით, კაპი-
ტან ფლინტს ვეძახი — ეს კაპიტანი ფლინტი კეთილ მგზავრობას
გვიწინასწარმეტყველებს. ხომ, კაპიტანო?

თუთიყუშიც სხაპასხუპით დააყრიდა:

— პიასტრები, პიასტრები, პიასტრები! — სანამ არაქათი არ
გამოელეოდა, ან ჯონი ცხვირსახოცს არ გადააფარებდა გალიას.

— ახლა, ეს ჩიტი, — იტყოდა იგი, — იქნებ ორასი წლისაც არის, ჰოკინზ — ესენი პირდაპირ უკვდავები არიან და ამაზე მეტი ბოროტება ალბათ მართო ეშმაკს თუ უნახავს. ეგ ხომ დიდ კაპიტან ინგლენდთან, მეკობრესთან, ცურავდა. ეგ ყოფილა მადაგასკარზე¹ და მალაბარში², სურინამსა³ და პროვიდენსზე⁴, აგრეთვე პორტობელო-შიც⁵. ეგ იყო ჩაძირული გემებიდან განძის ამოღების მოწმე. სწორედ მაშინ ისწავლა „რვიანები“ და არცაა გასაკვირი. მაშინ ხომ სამას ორმოცდაათი ათასი რვიანი ამოიღეს, ჰოკინზ! იგი ესწრებოდა „ინდოეთის მეფისნაცვალზე“⁶ თავდასხმას გოას⁷ გასწვრივ. რომ შეხედავ, ბლარტი გეგონება, არადა გვარიანად უყნოსავს დენთის სუნი, ასე არ არის, კაპიტანო?

— მზად იყავით შემობრუნებისთვის! — დასჭყვოლებდა თუთიყუში.

— ეჰ, კარგი რამ არის, კარგი! — დაასკვნიდა მზარეული და ჯიბიდან ამოღებულ შაქარს უთავაზებდა, მერე ფრინველი მოჰყვებოდა გალიის ჯოხების კორტნას და გულდაგულ გინებას. — აი, — დასძენდა ჯონი, — კუპრს ისე ვერ შეეხები, არ გაგსვაროს, ყმაწვილო. ეს ჩემი საბრალლო, უმანკო ჩიტი გინების კორიანტელს აყენებს, მაგრამ დარწმუნებული იყავი, არაფერი ესმის, თვით ხუცესის წინაშეც ისევე მოჰყვება გინებას, ვითომდა რაიმე სასიამოვნოს ლაპარაკობსო. — და ჯონი ისე მზრუნველად გადაუსვამდა თუთიყუშს ქოჩორზე ხელს, მაფიქრებინებდა, ამისთანა გულისხმიერი კაცი ქვეყანაზე არ მოიპოვება-მეთქი.

სკვაირსა და კაპიტან სმოლეტს კვლავ საკმაოდ ცივი დამოკიდებულება ჰქონდათ ერთმანეთთან. სკვაირი არც მალავდა კაპიტანისადმი სიძულვილს. კაპიტანიც, თავის მხრივ კრინტს არ სძრავდა.

¹ მადაგასკარი — კუნძული ინდოეთის ოკეანეში აფრიკის აღმოსავლეთით.

² მალაბარი — სანაპირო მხარე ინდოეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში

³ სურინამი — იგივე ნიდერლანდის გვიანა, მხარე სამხრეთ ამერიკის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში.

⁴ პროვიდენსი — პატარა კუნძული ინდოეთის ოკეანეში.

⁵ პორტობელო — ნავსადგური პანამაში.

⁶ „ინდოეთის მეფისნაცვალი“ — გემის სახელია

⁷ გოა — პორტუგალიის კოლონია ინდოეთის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროზე.

თუ დაელაპარაკებოდნენ, მაშინაც უკმეხად, მოკლედ და მშრალად იტყოდა სათქმელს და არც ერთი ზედმეტი სიტყვა არ დასცდებოდა, როცა კუთხეში მიიმწყვდევდნენ, აღიარებდა: ეტყობა შვეცდი ეკიპაჟის საქმეში — ზოგი მათგანი, უკეთესი რომ არ შეიძლება, ისე მუყაითია და ყველანი ჩინებულად იქცევიანო. ხომალდზე ხომ ნამდვილად შეყვარებული იყო.

— ეს გემი საკუთარ ჯვარდაწერილ ცოლზე უფრო გამგონეა, სერ. მაგრამ, — დასძენდა იგი, — კვლავ ვიტყვი: ეს მგზავრობა მაინც არ მომწონს! სკვაირი ამ სიტყვების გაგონებაზე პირს იბრუნებდა და ცხვირაბზეკილი მოჰყვებოდა გემბანზე ბოლთის ცემას.

— კიდევ ცოტა და, ეს კაცი მოთმინების ფიალას ამივსებსო, — იტყოდა იგი.

ცოტა ავდარი შეგვხვდა, მაგრამ ამან მხოლოდ დაადასტურა „ისპანიოლას“ სიმტკიცე და გამძლეობა, ყველა კმაყოფილი დარჩა, რაც ძნელი იქნებოდა, საქმე სხვაგვარად რომ წასულიყო. გარდა ამისა, დარწმუნებული ვარ, მას შემდეგ, რაც ნოე შევიდა ზღვაში, ასე განებოვრებული ეკიპაჟი არც ერთ გემს არ ღირსებია. წამდაუწუმ ორმაგ გროგს¹ არიგებდნენ: ყოველ გამორჩეულ დღეს — მაგალითად, მაშინ, როცა სკვაირი ყურს მოჰკრაუდა, რომელიმეს დაბადების დღეაო — ღვეხელი მოერთმეოდათ; ხოლო გემის შუაგულში მუდამ იდგა ვაშლით სავსე კასრი და ვისაც ნებავდა, შეეძლო პირი გაესველებინა.

— ჯერ არ გამიგონია, ამისთანა მოპყრობას კარგი ნაყოფი გამოეღოს, — ეუბნებოდა კაპიტანი ექიმ ლივისის. — მარტო აფუჭებს და აეშმაკებს მეზღვაურებს. ეგ მე ღრმად მწამს.

მაგრამ ვაშლის კასრიდან, როგორც შეიტყობთ, კეთილი საქმეც გამოვიდა, რადგან ის რომ არ დაედგათ, წინასწარ ვერაფერს გავიგებდით და შეიძლება ყველანი ღალატის მსხვერპლი გავმხდარიყავით.

აი, როგორ მოხდა, ეს ამბავი.

¹ გროგი — მაგარი სასმელი, რომელიც რომის ან კონიაკისა და დაშაქრული ცხელი წყლის შეზავებით კეთდება.

ჩვენ პასატებში¹ გავედით, რათა ის ქარი დაგვეჭირა, რომელიც კუნძულზე მიგვაგდებდა. ახლა იმას მოვყვებოდით, თან დღე და ღამე თვალი ფხიზლად გვეჭირა. ჩვენი ანგარიშით, ეს იყო მგზავრობის უკანასკნელი დღე. იმ ღამეს, ან მეორე დღის შუადღემდე მაინც, თვალი უნდა მოგვეკრა განძის კუნძულისათვის. გეზი სამხრეთ-დასავლეთისაკენ გვეჭირა. ქარი განუწყვეტლივ გვერდიდან გვცემდა. ზღვა მშვიდი იყო. „ისპანიოლა“ მტკიცედ მიიწევდა წინ და გემის ცხვირიდან გაშვერილი ძელი ხანდახან თუ გაეხვეოდა წყლიდან ავარდნილი შხეფების ღრუბელში. ყველა აფრა დაბერილი იყო, ყველა ჩინებულ გუნებაზე იდგა, რომ ასე მივუახლოვდით ჩვენი მოგზაურობის პირველი ნახევრის დასასრულს.

ჰოდა, სწორედ მზის ჩასვლის შემდეგ, როცა საქმეები მოვათავე და საწოლისკენ მივდიოდით, ვაშლი მომინდა. ავირბინე გემბანზე. გუშაგი სულ წინ იცქირებოდა კუნძულის დანახვის მოლოდინში. საჭესთან მდგარი მეზღვაური აფრის იმ მხარეს აკვირდებოდა, საიდანაც ქარი უბერავდა და უსტვენდა თავისთვის. ეს იყო ერთადერთი ხმაური, ზღვის შხუილის გარდა.

უზარმაზარ კასრში ვაშლი აღარ ჩანდა და იმის იმედით, რომ ძირზე მაინც იქნებოდა ცოტაოდენი დარჩენილი, თავიან-ფეხებიანად ჩავძვერი შიგ და ვნახე, რომ ერთი ვაშლიც აღარ დარჩენილიყო. სანამ იქ, სიბნელეში, ვიჯექი, წყლის შხუილსა და გემის რწვევაში კინალამ ჩამთვლიმა, რომ ვიღაც მძიმე კაცმა ზღართანი მოიღო იქვე ახლოს. კასრი შეტოკდა კიდევ, როცა ის ზურგით მოეყრდნო. ამოხტომას ვაპირებდი, რომ კაცმა ლაპარაკი დაიწყო. ეს სილვერის ხმა გახლდათ. ათიოდე სიტყვაც არ მქონდა მოსმენილი, მაგრამ უკვე აღარაფრის გულისთვის აღარ ამოვყოფდი თავს, პირიქით — უკიდურესი შიშითა და ცნობისმოყვარეობით აცახცახებული მოვწექი და ყური მივუგდე: მის მიერ ნათქვამი იმ ათიოდე სიტყვიდანაც მივხვდი, რომ გემბანზე მყოფი ყველა პატიოსანი კაცის სიცოცხლის გადარჩენა მხოლოდ და მხოლოდ ჩემზე იყო დამოკიდებული.

¹ პასატები — ჩრდილო-აღმოსავლეთის მუდმივი ქარები ჩრდილო ნახევარსფეროში და სამხრეთ-აღმოსავლეთის ქარი სამხრეთ ნახევარსფეროში, რომლებიც ტროპიკებსა და ეკვატორს შორის ქრიან.

თავი მეთერთმეტი

რა გავიგონე ვაშლის კასრში

— არა, მე არა, — თქვა სილვერმა. — ფლინტი იყო კაპიტანი. ჩემი ხის ფეხის გამო კვარტირმაისტერი¹ ვიყავი. ზარბაზნების ბათქმა მე ცალი ფეხი დამაკარგვინა, იმავე ბათქმა დასთხარა თვალები პიუსაც. კარგი დასტაქარი კი იყო, ვინც ფეხი მომჭრა — უნივერსიტეტი ჰქონდა დამთავრებული, ლათინური წყალივით იცოდა და რაღა არ იცოდა, მაგრამ ისიც წუწკი ძაღლივით ჩამოჰკიდეს მზეზე გასახმობად კორსო-კასლში. ეგ რობერტის ხალხი ბრძანდებოდა და, რაც დაემართათ, ყველაფერი ხომალდების სახელების წამდაუწუმ ცვლის წყალობით — ხან „მეფის ბედს“ არქმევდნენ, ხან რას და ხან რას. მე კი ვამბობ: როგორცაა მონათლული ხომალდი, ეგრეც უნდა დარჩეს. ასე იყო „კასანდრას“ საქმე, რომელმაც ყველა საღსალამათად ჩამოგვიყვანა მალაბარიდან, როცა ინგლენდმა „ინდოეთის მეფისნაცვალი“ იგდო ხელთ; ასე იყო „ლომვეშაპის“, ფლინტის ძველი გემის ამბავიც, რომელიც სისხლით იყო გაჟღენთილი და ოქროს სიმძიმით ლამის იძირებოდა.

— ოჰ! — შესძახა აღტაცებით მეორე ხმამ, რომელიც ყველაზე ახალგაზრდა მეზღვაურს ეკუთვნოდა, — რა ვაჟკაცი იყო ეგ ფლინტი!

— ყველა ამბობს, დევსიც კარგი ვაჟკაცი იყო, — ჩამოართვა სიტყვა სილვერმა, — მე კი არ მიცურავია მასთან ერთად. ჯერ ინგლენდთან ვცურავდი, შემდეგ ფლინტთან — ეს იყო და ეს. ახლა კი, ასე ვთქვათ, ჩემი საკუთარი ტყავით გამოვედი ასპარეზზე. ინგლენდთან ყოფნის დროს ცხრაასი გირვანქა სტერლინგი ნაღდი გადავდე, ფლინტთან — ორი ათასი. ეს ცოტა არ არის უბრალო მეზღვაურისთვის, და თანაც საიმედო ბანკშია შენახული. მთავარი შოვნა კი არ არის, გახსოვდეს, მთავარი — შენახვაა... ახლა სად არის ინგლენდის ხალხი, არ ვიცი... ფლინტისა სადღა არიან? მათი უმეტესობა ამ გემზეა და უხარიათ, ღვეხელი რომ ერგებათ

¹ კვარტირმაისტერი — საზღვაო ფლოტში უმცროსი ოფიცერი, რომელიც საჭეს, სიგნალიზაციასა და სხვა საქმეებს მეთვალყურეობდა.

ხოლმე — ზოგი მათგანი აქამდე მათხოვრობდა კიდევ. ბებერმა პიუმ რომ თვალის სინათლე დაკარგა, კი არ გაუფრთხილდა — წელიწადში ათას ორასი გირვანქის ხარჯვა დაიწყო პარლამენტის წევრი ლორდივით. ჰოდა, სად არის ახლა? მკვდარია და მიწას ამოფარებული. მაგრამ სიკვდილამდე ორი წლით ადრე, დალახვროს ღმერთმა, უკვე შიმშილით სული ხდებოდა — მათხოვრობდა, ქურდბაცაცობდა, ყელებს ღადრაუდა ხალხს და, ზეცას ვფიცავ, მაინც შიმშილით კვდებოდა!

— მაშ, ბოლოს და ბოლოს, დიდი არაფერი ბედენა ყოფილა ეგ თქვენი მეკობრეობა, — თქვა ახალგაზრდა მეზღვაურმა.

— დიდი არაფერი ბედენაა, იცოდე, ტუტუცებისთვის — მათ არც ეგ უშველის და არც სხვა რამ, — შესძახა სილვერმა. — მაგრამ, აი, ყური დამიგდე. შენ ახალგაზრდა ხარ, ახალგაზრდა! თანაც გონება გიჭრის. ეს მე, თვალი მოგკარი თუ არა, მაშინვე შევნიშნე, და გეტყვი კიდევ, როგორც ვაჟკაცს.

უნდა წარმოიდგინოთ, რას ვგრძნობდი, როცა მესმოდა, ეს საზიზღარი, ბებერი არამზადა სწორედ ისეთივე პირფერ და ქლესა სიტყვებს რომ ელაპარაკებოდა სხვას, როგორც მე მეუბნებოდა ხოლმე. მგონი, რომ შემძლებოდა, სულს გაუაფრთხოებინებდი. იგი განაგრძობდა მუსაიფს და აინუნშიაც არ მოსდიოდა, რომ სხვა ვინმე უსმენდა.

— აი, ასეთი გახლავს ბედ-იღბლის მაძიებელი ვაჟკაცების საქმე: მათი ცხოვრება მძიმეა — სულ სახრჩობელის შიმშიში არიან, მაგრამ მებრძოლი მამლებივით არ ეპუებიან გასაჭირს და, როცა მოგზაურობას ამთავრებენ, ჯიბეებში ასობით ფართინგის ნაცვლად ასობით გირვანქა სტერლინგი უჩხრიალებთ. მერე უმეტესი ნაწილი სმასა და კარგ დროს ტარებაში იხარჯება და კვლავ პერანგის ამარანი გადიან ზღვაში. მე არ მივდევდი მაგ გზას. მთელ თანხას ზოგს აქ ვინახავდი, ზოგს — იქ, რომ ეჭვი არავის აეღო. იცოდე, ახლა ორმოცდაათი წლისა ვარ. ამ საქმიდან რომ დავბრუნდები, უკვე ნამდვილი ჯენტლმენი გავხდები. ხანიც საკმაო გქონიაო, მეტყვი. ჰო, მაგრამ დროც ტკბილად მიტარებია: რაც გულს მონდომებია, არაფერი დამიკლია. მუდამ არხეინად მეძინა და გემრიელადაც ვჭამდი, გარდა იმ დროისა,

როცა ზღვაში ვიყავი, მერედა, როგორ დავიწყე? მეც შენისთანა უბრალო მეზღვაური გახლდი!

— ახლა, — სიტყვა ჩაურთო მეორემ, — მთელი შენი ფული ხომ დაგეკარგა. ჰა? ამის შემდეგ ბრისტოლში ხომ ცხვირს ველარ გამოყოფ!

— მერე, რა გგონია, სად უნდა მქონოდა ფული? — დაცინვით ჰკითხა სილვერმა.

— ბრისტოლში, ბანკსა და სხვა ადგილებში, — მიუგო თანამოსაუბრემ.

— მართლაც იქ იყო, — თქვა მზარეულმა, — იქ იყო, როცა ღუზა ამოვიღეთ, მაგრამ, ამჟამად, მთელი თანხა ჩემი ბებრუხანას ხელშია. „ჭოგრიტიც“ გაყიდულია მთელი თავისი საიჯარო ხელშეკრულებით, მუშტრებითა და მოწყობილობით და ჩემი ბებერიც გზას ადგას ჩემს შესახვედრად. გეტყოდი, სადაც უნდა შემხვდეს, რადგან შენ გენდობი, მაგრამ სხვებს შეშურდებათ.

— მერე, შენს ქალბატონს კი ენდობი? — ჰკითხა მეორემ.

— ბედ-იღბლის ვაჟკაცები, — მიუგო მზარეულმა, — ჩვეულებრივ, ერთმანეთს ნაკლებად ენდობიან და, დამიჯერე, მართალნიც არიან. მაგრამ მე ჩემი წესი და ადათი მაქვს! თუ მეგობარმა კვანტი დამიდო, იცოდე, ბებერ ჯონთან ერთად სააქაოს აღარ ედგომება. ზოგს პიუსი ეშინოდა, ზოგს — ფლინტისა, თვითონ ფლინტს კი ჩემი ეშინოდა და ვეამაყებოდი კიდევ. ფლინტის ეკიპაჟისთანა თავზე ხელაღებულ ხალხს ზღვაში არასოდეს გაუდგამს ფეხი! ეშმაკიც მოერიდებოდა მათთან ერთად ზღვაში გასვლას. ჰოდა, ახლა, გეტყვი, ტრაბახი არ მიყვარს და, თვითონვე ხედავ, რა კეთილი ბუნების კაცი ვარ; მაგრამ როცა ფლინტის ხომალდზე ვიყავი, მისი მეკობრეები სულ კრავებივით მემორჩილებოდნენ. ეჰ, უნდა ნახო, რა გემი ეყოლება მალე ბებერ ჯონს!

— მე კი, უნდა გითხრა, — მიუგო ახალგაზრდამ, — სულაც არ მეპიტნავენოდა ეს საქმე, სანამ შენ არ დაგელაპარაკებოდი, ჯონ, მაგრამ ახლა, აი, ჩემი ხელი!

— გულადი და გონიერი ყმაწვილი ყოფილხარ, — უთხრა სილვერმა და ისე გულიანად ჩამოართვა ხელი, რომ მთელი კასრი შეინძრა. — თანაც ბედ-იღბლის ვაჟკაცის საქმეში გამოსადეგი

შენზე ჩინებული ყმაწვილისთვის ჯერ არც მომიკრავს თვალი ჩემს დღეში.

ამასობაში, ნელ-ნელა უკვე ჩავხვდი მათი სიტყვების აზრს. „ბედ-იღბლის ვაჟკაცს“, არც მეტი, არც ნაკლები, ისინი აშკარად ჩვეულებრივ მეკობრეებს უწოდებდნენ. ხოლო ის მორიგება, რომლის უნებური მოწმეც მე აღმოვჩნდი, შეიძლება, გემზე მყოფთაგან უკანასკნელი პატიოსანი მეზღვაურის გადაბირების ცდის დაგვირგვინებას წარმოადგენდა. მაგრამ ეს საკითხი მალევე გაირკვა. სილვერმა წყნარად დაუსტვინა. ვიღაც მესამე კაცი მოვიდა და გვერდით მიუჯდა მათ.

— დიკთან საქმე გაჩარხულია, — ახარა ჯონმა.

— ოჰ, ვიცოდი, რომ ასე იქნებოდა, — ვიცანი ნავის მესაჭის, იზრაელ ჰენდზის ხმა. — ეს დიკი, ბრიყვი არ არის. — თან საღეჭი თუთუნის ნაჭერი შეატრიალა პირში და გადააფურთხა. — ოღონდ, გამიგონე, განაგრძო მან, — აი, რა მინდა ვიცოდე, „დაბრაწულო“: როდემდე უნდა ვიყილოთ უთავბოლოდ? თავი მომაბეზრა კაპიტანმა სმოლეტმა. დალახვროს ღმერთმა, ილაჯი აღარ არის! მე მსურს მის კაიუტაში შევიდე, დიახ, სწორედ მის კაიუტაში! მსურს მათი მწნილები, ღვინოები და მთელი ავლადილება!

— იზრაელ, — უთხრა სილვერმა, — ეგ შენი გოგრა დიდი ვერაფერი შვილია და არც არასოდეს ყოფილხარ ჭკუის კოლოფი, მაგრამ მგონია, მოსმენა შეგიძლია; ყოველ შემთხვევაში, ყურები საკმაოდ დიდრონი გაბია. ჰოდა, აი, რას მოგახსენებ: შენ კვლავ ძველებურად განაგრძობ შენს საწოლში ძილს, გასაჭირს მოითმენ, ტკბილად ილაპარაკებ და ფხიზლად დაიჭერ თავს, ვიდრე სიტყვას არ გეტყვი. კარგად დაიხსომე ეგ, შვილო ჩემო!

— არა, მე ხომ უარს არ ვამბობ, განა უარზე ვარ? — წაიბუზღუნა ჰენდზმა, — მე მხოლოდ ვამბობ, როდის-მეთქი! ეგ არის და ეგ!

— როდისო! ზეცის მადლს ვფიცავ! — შეჰყვირა სილვერმა. — კარგი, თუ გნებავს იცოდე, მოგახსენებ, როდის: რამდენადაც შესაძლებელია და მოვახერხებ, მოგზაურობის სულ უკანასკნელ წუთს, აი, როდის! ჩინებული პირველი რანგის ზღვაოსანი გვყავს — კაპიტანი სმოლეტი, რომელსაც ჩვენთვის მიჰყავს ეს დალოც-

ვილი გემი. აქა გვყავს სკვაირი და ექიმი თავიანთი რუკით და სხვა რამეებით; მე არ ვიცი, ის განძი სად არის, თქვენ ამბობთ, არც ჩვენ ვიცი. ჰოდა, ვფიქრობ, უკეთესი იქნება ამ სკვაირმა და ექიმმა იპოვონ ის ხარახურა და ამოგვიტანონ გემზე. მაშინ ვნახოთ. მე რომ თქვენი, თქვე ეშმაკის კერძებო, იმედი მქონდეს, კაპიტან სმოლეტს, საბოლოო დარტყმამდე, უკან, ნახევარ გზასაც ვატარებინებდი ხომალდს.

— ვითომ რატომ, აქ გემზე, მე მგონი, ყველანი ზღვაოსნები ვართ, — ჩაურთო სიტყვა ახალგაზრდა დიკმა.

— ჩვენ, ყველანი, გინდოდა გეთქვა, უბრალო მეზღვაურები ვართ, — მოუჭრა სილვერმა, — ჩვენ შეგვიძლია გეზს მივყვეთ, მაგრამ ამ გეზს ვინლა გამოითვლის? აი, სწორედ ამაში ჩაფლავდებით, ყველანი, ყმაწვილებო. ჩემი ნება რომ იყოს, კაპიტან სმოლეტს უკან, პასატებამდე მაინც მივაყვანინებდი თავს. მაშინ მიმართულება იქნებ აღარ აგვრეოდა. მაგრამ ვიცი, რა ვაჟბატონებიც ბრძანდებით. მე მათ კუნძულზე დაუშვებთ საქმეს, როგორც კი განძი გემზე იქნება და, სამწუხარო კია, მაგრამ თქვენი ბედნიერება რა ბედნიერებაა, სანამ არ გამოილეშებით. გეციფებით, თუ გული არ მეთანაღრებოდეს, თქვენისთანებთან რომ ვცურავ.

— მორჩი, აყლაყუდავ, — შესძახა იზრაელმა. — ვინ გეწინააღმდეგება, მერე?

— ახლა, როგორ გგონიათ, რამდენი მაღალი გემი მინახავს შეპყრობილი და რამდენი კარგი ვაჟკაცი — სახრჩობელაზე ჩამოკიდებული ძხეზე გასახმობად? — შეპყვირა სილვერმა, — და ყველაფერი ეს სულ ამ აჩქარების, აჩქარების და აჩქარების წყალობით ხდებოდა. ერთი და ორი საქმე არ გამიკეთებია ზღვაში, ერთი და ორი საქმე! თქვენ რომ ჭკუას მოუხმობდეთ, შემდეგ ეტლებით ისეირნებდით, ეტლებით! მაგრამ თქვენ მაგას ვერ იზამთ! მე ვიცი თქვენი ამბავი, ხვალვე გატყვევებით რომით და ჩამოახრჩობინებთ თავს.

— ყველამ იცის, შენ რომ რაღაც კაპელანივით იყავი იქ, ჯონ, მაგრამ სხვებიც ხომ იყვნენ, ვისაც შენსავით შეეძლო წინამძღოლობა და ბელადობა, — თქვა იზრაელმა, — იმათაც ხომ უყვართ ცოტაოდენი გულის გადაყოლება, ხომ უყვართ!

— ჰოო? — ჩაეკითხა სილვერი, — მერუდა ახლა სადღა ბრძანდებიან? პიუ სწორედ მაგ ჯიშის გახლდათ და მათხოვრად ჩაკვდა. ფლინტი იყო, და რომმა სავანაში გააცხებინა სული. ეჰ, კარგი ხალხი იყო, მართლა კარგი, მაგრამ აბა ახლა სადღა არიან?

— მაგრამ, — ჩაერია ლაპარაკში დიკი, — იმათ რომ ხელთ ვიგდებთ, ბოლოს და ბოლოს, რა უნდა ვუყოთ?

— აი, ეს კაცი მომწონს! — შესძახა შზარეულმა აღტაცებით. — აი, ეს არის საქმე! აბა, შენ როგორ ფიქრობ? სადმე დაუსახლებელ ნაპირზე გადასხამ? — ეგ ინგლენდის წესი იქნება, თუ ღორებივით ყველას ყელს დაღადრავ? — ეს კი ფლინტის ანდა ბილი ბოუნზისებური იქნება.

— ეგ სწორედ ბილის ხელობა იყო, — თქვა იზრაელმა. — მკვდრები არ იკბინებიანო, იტყოდა. ახლა თვითონაც მკვდარია და კარგად იცის ამ საქმის თავიც და ბოლოც. ბილისთანა თავზე ხელაღებულს ჯერ ნავსადგურში არ დაუდგამს ფეხი.

— მართალი ხარ, — კვერი დაუკრა სილვერმა, — იმან მართლაც ტლანქად და სწრაფად იცოდა, მაგრამ, აბა დაუკვირდით: მე ხომ მშვიდობიანი კაცი ვარ, ნამდვილი დარბაისელი ხარო, ამბობთ; მაგრამ ახლა ვალდებული ვარ — მოვალეობა, მოვალეობაა, მეგობრებო. ჩემი მხრივ ვამბობ: სიკვდილი-მეთქი. როცა პარლამენტში ვიჯდები და საკუთარი ეტლი მექნება, სულაც არ მეპრიანება, ამ შარისთავებიდან რომელიმე უცბად ეშმაკივით მომადგეს კარს. მე ვამბობ, მოცდაა საჭირო; ხოლო როცა დრო დადგება, მაშინ აღარ უნდა დავინდოთ.

— ჯონ, — შესძახა მესაჭემ, — აი, შენა ხარ მართლა ვაჟკაცი!

— მაგაში მაშინ დარწმუნდები, იზრაელ, როცა საქმეში მნახავ, — თქვა სილვერმა. — ოღონდ ერთი სათხოვარი მაქვს: მე გთხოვთ ტრელონის სიცოცხლეს, მე თვითონ, ამ ხელებით მინდა მოვაგლიჯო ის ხბოს თავი. დიკ! — დაიძახა მან უცბად, — შენ ხომ კარგი ბიჭი ხარ, წამოხტი ერთი, ვაშლი მომაწოდე, პირი გავისველო.

შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რა თავზარი დამეცემოდა! ამოვხტებოდი და მოვკურცხლაუდი, ძალა რომ მყოფნოდა, მაგრამ კუნთებმა და გულმა ორივემ ერთად მიღალატა. გავიგონე, დიკი

როგორ აპირებდა წამოდგომას, მერე ეტყობოდა, რომელიღაცამ შეაჩერა და ჰენდზემა წამოიძახა:

— ოჰ, თავი დაანებე მაგას; აღარ მოგბეზრდა მაგ ოხრის ლოლნა, ჯონ, მოდი, ერთი რომი გადავკრათ!

— დიკ, — თქვა სილვერმა, — შენ გენდობი. იცოდე კი, რომ პატარა კასრი მონიშნული მაქვს. აი, გასაღები. თუნუქის პატარა ტოლჩა აავსე და მოარბენინე.

თუმცა შიშით გაოგნებული ვიყავი, მაინც ძალაუნებურად გამიელვა თავში, ალბათ, მისტერ ეროუც ასევე შოულობდა სასმელს, რამაც ბოლო მოუღო-მეთქი.

დიკი სულ მცირე ხნით მოშორდა მათ და მის არყოფნაში იზრაველი პირდაპირ ყურში ჩასჩურჩულებდა მზარეულს. ამ ნალაპარაკებიდან მხოლოდ ერთ-ორ სიტყვას მოვკარი ყური და ერთი მნიშვნელოვანი ამბავი მაინც შევიტყვე. გავიგონე ასეთი ნათქვამი: „იმათგან სხვა აღარავინ გვიერთდება“. მაშასადამე, გემზე ჯერ კიდევ მოიპოვებოდნენ ჩვენი ერთგული მეზღვაურები.

დიკი რომ დაბრუნდა, სამივემ რიგრიგობით მოიყუდა ტოლჩა და დალიეს სადღეგრძელოები: ერთმა — „ბედ-იღბლისა“, მეორემ — „ბებერ ფლინტს გაუმარჯოსო“, ხოლო თვითონ სილვერმა სიმღერის კილოთი თქვა: „ჩვენ გაგვიმარჯოს, ნუ მოგვაკლოს კეთილი ქარი; ვიყოს იქ, სადაც ბევრი დაულა და ლხინია!“

სწორედ მაშინ კასრში ზემოდან რაღაც შუქი დამეცა. ავიხედე და დავინახე, მთვარე ამოსულიყო, მოვეერცხლა უკანა ანძის წვერი და თეთრად აექათქათებინა პირველი ანძის ქვემო აფრის საქარე მხარე. ამ დროს გუშაგის ხმაც გაისმა:

— ეჰეი, მიწა!

თავი მეთორმეტი

ომის თათბირი

გემბანზე ატყდა ფეხების ბრაგაბრუგი, მესმოდა, როგორ გამოვბოდა ხალხი კაიუტებიდან და მეზღვაურთა სამყოფელიდან. მეც თვალის დახამხამებაში ამოვხტი კასრიდან, გავძვერი წინა

აფრის ქვეშ, პირი ვიბრუნე კიჩოსკენ და ღია გემბანზე გემის ცხვირის საქარე მხრისაკენ სირბილით მიმავალ ჰანთურსა და ექიმ ლივსის შვეურთდი.

უკვე ყველა მეზღვაური იქ იყო. ნისლის ზოლი მთვარის გამოჩენისთანავე გაიფანტა. ჩვენგან სამხრეთ-დასავლეთით დავინახეთ ორიოდე მილით ერთმანეთს დაშორებული ორი დაბალი ბორცვი, ხოლო ერთ-ერთის უკან — მესამეც, უფრო მაღალი, რომლის მწვერვალი კვლავ ნისლში იყო გახვეული. სამივე ბორცვი წვეტიანი და კონუსისებური ჩანდა.

რაც დავინახე, ყველაფერი სიზმარი მეგონა, ჯერ კიდევ ვერ გამოვრკვეულიყავი ერთი-ორი წუთის წინ გამოვლილი შემაძრწუნებელი შიშისაგან, ამასობაში კაპიტან სმოლეტის ხმა გავიგონე — ბრძანებებს იძლეოდა. „ისპანიოლა“ რამდენიმე დანაყოფით მიტრიალდა ქარისაკენ და ახლა ისეთი გეზი ეჭირა, რომ კუნძულს სწორედ აღმოსავლეთის მხარეს ჩაუვლიდა.

— აბა, ბიჭებო, — თქვა კაპიტანმა, როცა ყველა აფრა თავის რიგზე გააწყვეს, — ადრე ხომ არავის უნახავს ეს კუნძული?

— მე მინახავს, სერ, — მოახსენა სილვერმა. — წყალი ამიღია მანდ, როცა ერთ სავაჭრო გემზე მზარეულად ვმუშაობდი.

— ნაჰმისადგომი, მე მგონი, სამხრეთით, პატარა კუნძულის უკან უნდა იყოს, არა? — დაეკითხა კაპიტანი.

— დიახ, სერ, მაგას ჩონჩხის კუნძულს ეძახიან, ერთ ღროს მეკობრეთა მთავარი სადგომი იყო. გემზე ერთი მეზღვაური გვყავდა, რომელმაც იცოდა ყველა აქაური ადგილის მათგან შერქმეული სახელები. იმ ბორცვს, ჩრდილოეთის მხარეს რომ არის, „წინა ანძა“ ჰქვია; სამი ბორცვია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ ჩამორიგებული — წინა ანძა, მთავარი ანძა და უკანა ანძა, სერ. მაგრამ შუა ანძას — აი, იმას, ყველაზე დიდი რომ არის და ღრუბელშია გახვეული — ჩვეულებრივ „ჭოგრიტს“ ეძახიან, რადგან იქ გუმაგი ჰყავდათ დაყენებული, როცა ღუზაზე იდგნენ გემის გასაწმენდად. ბოდიშს ვიხდი, სერ, სწორედ აქ წმენდდნენ ხოლმე ისინი თავიანთ ხომალდებს.

— მე აქ რუკა მაქვს, — ეუბნება კაპიტანი სმოლეთი. — ერთი დახედეთ, ეგ ადგილი არის თუ არა.

რუკა რომ ხელში აიღო, აყლაყუდა ჯონს თვალები ნაკვერ-
ჩხლებივით გაუხდა, მაგრამ, ზედ რომ დახედა, როგორც მოველო-
დი, იმედი გაუცრუვდა. ეს ის რუკა არ იყო, რომელიც ბილი ბოუნ-
ზის სკოტში ვიპოვეთ, არამედ მისი ასლი, ყოველმხრივ სრული, —
სახელებით, სიმაღლეებით, სიღრმეებით, — ოღონდ მარტო წითე-
ლი ჯვრები და წარწერილი შენიშვნები აკლდა. თუმცა, როგორც
უნდა სწყენოდა, სილვერმა იმდენი სიმტკიცე გამოიჩინა, რომ თავი
შეიკაჟა და არაფერი გამოუმჟღავნებია.

— დიახ, სერ, — მიუგო მან, — ეს მართლაც ეგ ადგილია და
ჩინებულადაც არის გამოხატული. ნეტავი ვინ გააკეთა? მე მგონი,
მეკობრეები იმდენად უბირნი იყვნენ, მაგას ვერ შეძლებდნენ. დიახ,
აი, აქ არის „კაპიტან კიდის ნავსაყუდელი“ — სწორედ ის სახე-
ლი, რომელსაც ჩემი მეგობარი მეზღვაური ახსენებდა. აქ მძლავრი
დინება მიემართება სამხრეთით, შემდეგ ჩრდილოეთისაკენ უხვევს
დასავლეთ სანაპიროს გასწვრივ. თქვენ სწორად მოიქეცით, სერ,
— დასძინა მან, — უფრო ალმაცერად რომ დაიჭირეთ გეზი ქარის
მიმართ და საქარე მხარეს რომ მოექეცით კუნძულს. ყოველ შე-
მთხვევაში, თუ დადგომა და გემის გასინჯვა გნებაუთ, ამ წყლებში
უკეთეს ადგილს ვერ იპოვით.

— გმადლობთ, — უთხრა კაპიტანმა სმოლეტმა, — მერე დაგი-
ძახებ კიდევ, თუ შველა დაგვჭირდა. შეგიძლიათ წახვიდეთ.

მე სახტად დავრჩი, რა არხეინად აღიარა ჯონმა, ეს კუნძული
ვიციო, და გამოვტყდები, ცოტა შემეშინდა, როცა მომიახლოვდა.
მან, რასაკვირველია, არ იცოდა, ვაშლის კასრში მჯდომმა რომ
მოვისმინე მისი ბჭობა, მაგრამ მაინც ისე შეძრწუნებული ვიყავი
მისი სიბოროტით, ფლიდობითა და ცბიერებით, რომ კინალამ ცახ-
ცახმა ამიტანა, როცა მკლავში ხელი მომკიდა.

— ოჰ, — მითხრა მან, — რა მშვენიერია ეს კუნძული... რა
მშვენიერია ყმაწვილისთვის ნაპირზე სასეირნოდ, იბანავებ, ხეებზე
აცოცდები, თხებზე ინადირებ და თვითონაც თხასავით მოველები
წვერზე იმ მთებს. ეს ყველაფერი მეც კი მახალგაზრდავებს. ლამი-
საა ჩემი ხის ფეხი გადამაუიწყდეს. კარგია, ახალგაზრდა რომ ხარ
და ფეხზე ათივე თითი გაქვს — კარგადაც დაიმახსოვრე ეგ. ცოტა
გავლა-გამოვლა რომ მოგინდება, უთხარი ბებერ ჯონს და მაშინ-

ვე სასუსნავს გაგიშვადებს საგზლად. — თან ფრიად ალერსიანად დამიტყაპუნა მხარზე ხელი, ხტუნვა-ხტუნვით განაგრძო გზა და ქვევით ჩავიდა.

კაპიტანი სმოლეტი, სკვარი და ექიმი ლიუსი ერთად მუსაიფობდნენ გემბანზე. მართალია, ძალიან მოწადინებული ვიყავი, მალე მეთქვა მათთვის ჩემი სათქმელი, მაგრამ ვერ გავბედე საჯაროდ ჩავრუულიყავი მათ ლაპარაკში. სანამ თავს ვიმტვრევდი, რა მეღონა, ექიმმა მიმიხმო. ჩიბუხი დარჩენოდა ქვევით და, რაკი თამბაქოს გარეშე სიცოცხლე არ შეეძლო, უნდოდა მის მოსატანად გავეგზავნე. როგორც კი ისე ახლო მივუდექი, რომ ჩუმად დალაპარაკება შემეძლო, მივახალე:

— ექიმო, მომისმინეთ: ჩაიყვანეთ კაპიტანი და სკვარი ქვემოთ, კაბინაში და მერე, რაიმე საბაბით, მეც დამიძახეთ — საშინელი ამბავი გავიგე!

ექიმს ცოტა შეეცვალა სახე, მაგრამ იმწამსვე შეიკავა თავი.

— გმადლობთ, ჯიმ, — მითხრა მან კარგა ხმამაღლა, — სწორედ მაგის შეტყობა მინდოდა, — თითქოსდა რაღაცა მკითხაო.

ამ სიტყვებით იგი მიტრიალდა და კვლავ იმ ორს შეუერთდა, ცოტა ხანს კიდევ ილაპარაკეს და თუმცა არც ერთი არ შემკრთალა, არც ხმა აუმაღლებია და არც დაუსტვენია, აშკარა იყო, ექიმმა ლიუსიმ მათაც გადასცა ჩემი თხოვნა. შემდეგ გავიგონე, კაპიტანმა უბრძანა ჯობ ენდერსონს, იმანაც ჩაბერა სასტვენს და მთელი ეკიპაჟი გემბანზე შეჰყარა.

— ბიჭებო, — თქვა კაპიტანმა, — ერთი სიტყვა მინდა გითხრათ, ეს კუნძული, რომელსაც ხედავთ, სწორედ ის ადგილია, სადაც უნდა ჩამოვსულიყავით. მისტერ ტრელონიმ, რომელიც, ყველამ ვიცით, რა ხელგაშლილი და დარბაისელი ბრძანდება, ეს-ესაა, თქვენ შესახებ მკითხა და, რაკი შემეძლო მეთქვა, რომ ყველა გემზე მყოფმა, უფროსმაც და უმცროსმაც, ჩინებულად შეასრულა თავისი მოვალეობა, მისტერ ტრელონი, მე და ექიმი ქვემოთ კაიუტაში ვაპირებთ დავლიოთ თქვენი სადღეგრძელო და თქვენც გროგი მოგერთმევით ჩვენი სადღეგრძელოს დასაღწევად. ჩემი მხრიდან, უნდა მოგახსენოთ, რომ ეს ჩინებული საქმეა და, თუ თქვენც ასევე ფიქრობთ, აბა, ერთი კარგი ზღვაოსნური „ვაშა“ შესძახეთ ამ საქმის მოთავე ჯენტლმენის პატოვსაცემად.

რასაკვირველია, „ვაშა“ გაისმა, მაგრამ ისე ომახიანი და გულ-
ლიანი, რომ, უნდა ვაღიარო, არც მჯეროდა, იგივე ხალხი ჩვენი
სისხლის დაღვრას რომ აპირებდა.

— აბა, ერთი „ვაშა“ კიდევ შევძახოთ კაპიტან სმოლეტის პა-
ტოსაცემად, — შეჰყვირა აყლაყუდა ჯონმა, როცა პირველის ხმა
მიწყდა.

ესეც ხალისით აასრულეს.

ამის შემდეგ სამი ჯენტლმენი ძირს ჩავიდა და დიდხანს არ გაუ-
ვლია, შემოთვალეს, ჯიმ ჰოკინზს ეძახიანო.

როცა შევედი, სამივენი უკვე მაგიდას უსხდნენ, წინ ესპანური
ღვინის ბოთლი და ქიშმიში ჰქონდათ. ექიმს პარიკი კალთაში ჩაე-
დო და ჩიბუხს აბოლებდა. ეს კი, იმას ნიშნავდა, რომ იგი აღელ-
ვებული გახლდათ. რადგან თბილი ღამე იდგა, კიჩოს სარკმელი
გაეღოთ და ცაზე მოქათქათუ მთვარე მოჩანდა.

— აბა, ჰოკინზ, — მითხრა სკვაირმა, — რაღაც გქონია სათქ-
მელი და თქვი!

მეც ისე მოვიქცევი, როგორც მითხრეს, და, რაც შემეძლო, მო-
კლედ, მაგრამ დაწვრილებით ვუამბე სილვერის ნალაპარაკევი.
სანამ არ დაგასრულე, კრინტი არავის დაუძრავს, არც იმ სამთაგან
განძრეულა რომელიმე — მხოლოდ თვალი არ მოუცილებიათ ჩე-
მთვის და სულ პირში შემომყურებდნენ.

— ჯიმ, — მითხრა ექიმმა ლივსიმ, — ჩამოჯექი.

და გვერდით მომისვეს, დამისხეს ღვინო და მუჭები ქიშმიშით
ამოვსეს. მერე სამივემ თავის დაკვრით დალია ჩემი სადღეგრძელო:
დიდი მადლობა მომახსენეს, მისურვეს ჯანმრთელობა, კარგი ბედი
და ჩემი გულადობა აქეს.

— მაშ ასე, კაპიტანო, — თქვა სკვაირმა, — თქვენ მართალი
ბრძანდებოდით და მე კი — მტყუანი. ვაღიარებ, რომ ბრიყვი გამო-
ვდექი და ველი თქვენს ბრძანებას.

— ჩემზე უფრო ბრიყვი მაინც ვერ იქნებით, სერ, — მიუგო კა-
პიტანმა, — ჯერ არ მსმენია, ეკიპაჟს ამბობება განეზრახოს და
დაკვირვებული თვალის პატრონს მათთვის უკულმართობის რაიმე
ნიშანი ვერ შეემჩნიოს. ამ ეკიპაჟმა, — დასძინა მან, — სწორედ
რომ, გამაცურა.

— კაპიტანო, — თქვა ექიმმა, — ნება მიბოძეთ, მოგახსენოთ, რომ ეგ ყველაფერი სილვერის მოფიქრებულია. მართლაც განსაკუთრებული ადამიანი ყოფილა!

— უფრო განსაკუთრებული იქნებოდა, ანძის ჯვარედინ ძელზე რომ იყოს ჩამოკონწიალებული, სერ, — სიტყვა ჩამოართვა კაპიტანმა, — მაგრამ გრძელი ლაპარაკი არაფერს გვარგებს. მე სამიოთხი რამ მაქვს სათქმელი და, მისტერ ტრელონის ნებართვით, მოგახსენებთ.

— კაპიტანი თქვენ ბრძანდებით და პირველი სიტყვაც თქვენ გეკუთვნით, — ზვიადი კილოთი ბრძანა მისტერ ტრელონიმ.

— პირველი, — დაიწყო მისტერ სმოლეტმა, — გზა მაინც უნდა განვაგრძოთ, რადგან უკან დაბრუნება არ შეგვიძლია. უკან დაბრუნების ბრძანება რომ გავცე, მაშინვე აჯანყდებიან, მეორე — ჩვენ ჯერ კიდევ გვაქვს დრო, მანამდე მაინც, სანამ იმ განძს ვიპოვიდეთ. მესამე — გეშხე ჩვენი ერთგული მეზღვაურებიც არიან. გარდა ამისა, სერ, ადრე თუ გვიან, ხელის გამოლება მოგვიხდება. ამიტომ, ჩემი აზრით, დრო უნდა ვიხელთოთ და მაშინ დავცხოთ, როცა ყველაზე ნაკლებად მოელოიან. მე მგონი, თქვენს შინამოსამსახურებს შეიძლება ვენდოთ, არა, მისტერ ტრელონი?

— როგორც მე, — განაცხადა სკვაირმა.

— სამნი არიან, — მოითვალა მოსამსახურეები კაპიტანმა, — ჩვენიანად, თუ ჰოკინზსაც ჩავთვლით, შვიდნი ვიქნებით. ახლა პატროსანი მეზღვაურების საქმეა გამოსარკვევი.

— ტრელონის ხალხი, ალბათ, სანდო იქნება, — თქვა ექიმმა, — ისინი, ვინც თვითონვე დაიქირავა, ვიდრე სილვერს წააწყდებოდა.

— არა, — სიტყვა ჩამოართვა სკვაირმა, — მასე, ჰენდზიც მე დავიქირავე, მოლალატე კი გამოდგა.

— მეც მეგონა, ჰენდზის ნდობა შეიძლება-მეთქი, — დასძინა კაპიტანმა.

— მერე, ყველანი ინგლისელები მაინც არ იყვნენ! — აღმოხდა სკვაირს, — ჯენტლმენებო, გული ისე დამიმძიმდა, რომ ძზად ვარ, პირდაპირ ავაფეთქო ეს ხომალდი!

— არა, ჯენტლმენებო, — თქვა კაპიტანმა, — ჩვენ უნდა ველოდოთ და ფხიზლად გვეჭიროს თვალი. ვიცი, ეს დიდი გამოცდაა

კაცისათვის. ამას პირდაპირ შებრძოლება სჯობია. მაგრამ ამას ვერ ვიზამთ, სანამ ჩვენი მომხრეები არ შეგვიცნია. წყნარად ვიყოთ და ხელსაყრელ ქარს ველოდოთ, აი, ჩემი აზრი!

— სხვა ვინმეზე უფრო, — თქვა ექიმმა, — ჯიშს შეუძლია ჩვენი შეველა. მეზღვაურები მას არ ერიდებიან და ჯიში კი გამჭრიახი ყმაწვილია.

— ჰოკინზ, შენი დიდი იმედი მაქვს, — დასძინა სკვაირმა.

სასოწარკვეთილებაში ჩავვარდი, სრულიად უმწეოდ ვგრძნობდი თავს, მაგრამ უცნაურ გარემოებათა წყალობით მართლაც მოვახერხე მათთვის ხიფათის არიდება. მოკლედ, ასე იყო თუ ისე, ოცდაექვსი კაციდან ჩვენ მხოლოდ შვიდნი ვიყავით. ამ შვიდიდანაც ერთი მე გახლდით — გამოუცდელი პატარა ბიჭი; ასე რომ, ცხრამეტის წინააღმდეგ ჩვენს მხარეს მხოლოდ ექვსი ვაჟკაცი გვყავდა.

ნაწილი მესამე

ჩემი თავგადასავალი ხმელეთზე

თავი მეცამეტი

როგორ დაიწყო ჩემი თავგადასავალი ხმელეთზე

მეორე დილით, გემბანზე რომ გამოვედი, კუნძული სრულიად შეცვლილი მეჩვენა, თუმცა ქარი ჩამდგარიყო, ღამე მაინც დიდი მანძილი გაგვევლო და ახლა აღმოსავლეთ სანაპიროდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, დაახლოებით ნახევარ მილზე ვიდექით. კუნძულის დიდ ნაწილს ნაცრისფერი ტყე ფარავდა, რასაც აქა-იქ, დაბლობებში, ყვითელი ქვიშიანი ზოლები და ფიჭვის ჯიშის მაღალი ხეები ერეოდა, რომლებიც სხვა ხეების ზემოთ ყელყელაობდნენ, ზოგი ეულად, ზოგი კი — კორომებად. საერთოდ, კუნძულზე ერთფეროვნება და მოწყენილობა შეიმჩნეოდა. მწვანით შეფენილი ბორცვები შიშველი კლდეებით ბოლოვდებოდა. ყველას უცნაური ფორმა ჰქონდა, ხოლო ჭოგრიტის მთა მათ შორისაც გამოირჩეოდა. იგი სამასი თუ ოთხასი ფუტით¹ სხვებზე მაღალი გახლდათ, ამასთანავე, მოყვანილობითაც ყველაზე უცნაური იყო. თითქმის ყოველი მხრიდან ჩამოლესოდა ფერდობები, წვერი კი წაკვეთილი ჰქონდა, თითქოს ქანდაკების დასადგმელად კვარცხლბეკი მოუმზადებიათო.

„ისპანიოლა“ ისე ძალუმად ქანაობდა ოკეანის ტალღებში, რომ წყალი გემბანის დასაწრუტ ღარებშიც ასხამდა. აფრების დასამაგრებელი ძელები ერთმანეთს ეხლებოდა, საჭის სახელური იქით-აქეთ აწყდებოდა და მთელი გემი ხმაურობდა, ჭრაჭუნებდა და

¹ ფუტი — ინგლისური სიგრძის საზომი ერთეული, უდრის დაახლოებით 30,48 სმ-ს.

კვნესოდა. თავბრუ დამესხა და იძულებული გავხდი, ანძის სამაგრ ბაგირს ჩავჭიდებოდი, რადგან, მართალია, მგზავრობის მანძილზე უკვე საკმაოდ შევეჩვიე ზღვას, მაგრამ ღუზაზე დგომასა და ტომარასავით აქეთ-იქით ხეთქებას, ისიც დილაადრიან, ცარიელ კუჭზე, ველარ გაუძელი და გული ამერია.

შეიძლება მიზეზი ეს იყო, შეიძლება — კუნძულის ხედი, მისი რუხი, მოწყენილი ტყეებით, უდაბური კლდოვანი მწვერვალებით და ოკეანის აქაფებული ზედაპირით, რომელიც ღრიალით ეხეთქებოდა ციცაბო ნაპირებს; მზე კაშკაშებდა და აცხუნებდა, ხოლო სანაპიროს ფრინველები ჭყვილით იკლებდნენ იქაურობას, თან ამდენ ხანს ოკეანეში მგზავრობის შემდეგ, თითქოს უნდა გამხარებოდა ხმელეთის დანახვა, მაგრამ, მაინც გული მიკვდებოდა და პირველი დანახვისთანავე განძის კუნძულზე ფიქრიც კი შემძაგდა.

დილის მოსაბეზრებელი სამუშაო წინ გვედო. რაკი ქარის ნიშანწყალი არ ჩანდა, ნაუები უნდა ჩავვეშვა, შიგ მეზღვაურები ჩავგვესვა, გემი სამი-ოთხი მილის მანძილზე მეორე ღუზის მეშვეობით კონცხის გარშემო შემოგვეტარებინა და ჩონჩხის კუნძულის უკან, ვიწრო სრუტეში მდებარე ნავსაყუდელში შეგვეთრია. მე, ჩემი ნებით, ერთ-ერთ ნავში ჩავხტი, თუმცა, რასაკვირველია, საქმე არა მქონდა-რა. მომქანცავი პაპანაქება იდგა და მეზღვაურები ბუზღუნით მუშაობდნენ. ჩემი ნავის უფროსად ენდერსონი იყო და ნაცვლად იმისა, რომ მეზღვაურებში წესრიგი დაემყარებინა, სხვებზე უარესად ბუზღუნებდა.

— მაგრამ, სულ ასე ხომ არ იქნება! — შესძახა მან გინებით.

ვიფიქრე, ეს ძალიან ცუდი ნიშანია-მეთქი, რადგან იმ დღემდე მეზღვაურები თავიანთ საქმეს მკვირცხლად და ხალისიანად აკეთებდნენ, ხოლო როგორც კი კუნძულს მოჰკრეს თვალი, დისციპლინა მოეშვა.

მთელი ამ ხნის განმავლობაში აყლაყუდა ჯონი გვერდით ედგა მესაჭეს და გემს მიმართულებას აძლევდა. სრუტე ხუთი თითოვით იცოდა და, თუმცა მზომელმა ყველგან უფრო მეტი სიღრმე აღმოაჩინა, ვიდრე რუკაზე იყო აღნიშნული, ჯონი ერთხელაც არ შეყოყმანებულა.

— აქ ზღვის მიქცევა და მოქცევა მძლავრად ღრღნის მიწას, — თქვა მან, — ეს სრუტე, თითქოს ნიჩბითაა გათხრილიო.

სწორედ იმ ადგილას მივალწიეთ, სადაც რუკაზე ღუზა ეხატა — მთავარი ხმელეთიდან და ჩონჩხის კუნძულიდანაც თანაბრად ერთი მესამედი მილის სიშორეზე. ფსკერი წმინდა სილას დაეფარა. ჩვენი ღუზის დგაფუნმა ფრინველების მთელი გუნდი დააფრთხო, რომლებმაც ჭყვილით დაიწყეს ტყის თავზე ტრიალი. მაგრამ ერთ წუთში ისევ დასხდნენ და კვლავ ყოველივე მიყურდა.

მიდამო ყოველმხრივ ხმელეთით იყო შემოზღუდული და ტყეებში ჩაფლული. ხეები პირდაპირ წყლამდე ჩამოდიოდა. ნაპირები უმეტესად ვაკე იყო, ხოლო მწვერვალები აქა-იქ ამფითეატრივით შეჭრილი. ორი პატარა მდინარე, უფრო სწორად, ორი ლაქაში ერთვოდა გუბეს, როგორც შეიძლება ვუწოდოთ ამ წყნარ სრუტეს. სანაპიროს იმ ნაწილის მცენარეულობას რაღაც შხამიანი სიკაშკაშის იერი დაჰკრავდა. ხომალდიდან არც სახლი მოჩანდა, არც მესერი. მათ ხეები ფარავდა და, რუკა რომ არა, გვეგონებოდა, კუნძულის გაჩენის შემდეგ პირველად ჩვენ შემოვდგითო აქ ფეხი.

ნიაზი არ იძვროდა და არც სხვა ხმა ისმოდა, გარდა ნახევარი მილის მოშორებით, სანაპიროსა და გარე კლდეებზე, ზღვის ტალღების გრიალისა. თავისებური სუნი ტრიალებდა ღუზის ჩასაშვებ ადგილას — სუნი ჩანოტივებული ფოთლებისა და ჩამპალი ხეებისა. შევნიშნე, ექიმი იყნოსავდა და იყნოსავდა ჰაერს, თითქოს ლაყე კვერცხს სუნავსო.

— განძისა არ ვიცი, მაგრამ ჩემს პარიკს ჩამოვალ, თუ აქ ციებ-ციხელება არ იყოს, — თქვა ბოლოს.

თუ მეზღვაურების მოქმედება ნავში მხოლოდ შემაშფოთებელი გახლდათ, გემზე ნამდვილ მუქარად იქცა. უქმად დაყიალებდნენ გემბანზე და ერთმანეთში ბუზღუნებდნენ. სულ უბრალო განკარგულებასაც მტრულად ხვდებოდნენ და უხალისოდ, აგდებით ასრულებდნენ. პატიოსან მეზღვაურებსაც გადაედო ეს სენი, რადგან გემზე არავინ მოიპოვებოდა ისეთი, რომ კეთილი რჩევა წამოსცდენოდა. აშკარა იყო, ამბოხების საფრთხე სამეხე ღრუბლებივით გროვდებოდა ჩვენს თავზე. და არა მარტო ჩვენ ვგრძნობდით ამ საფრთხეს, აყლაყუდა ჯონიც გაცხარებით ფართიფურთობდა —

გადადიოდა ჯგუფიდან ჯგუფში, არიგებდა, ურჩევდა... პირდაპირ, საკუთარ თავს გადააჭარბა ხალისსა და თავაზიანობაში; ღიმილით იბადრებოდა, თუ რაიმე ბრძანებას გაიგონებდა. თვალის დახამხამებაში მზად იყო თავისი ყავარჯნით და ყველაფერზე მხიარულად შესძახებდა:

— არის, არის, სერ!

როცა აღარაფერი იყო გასაკეთებელი, სიმღერას სიმღერაზე ამბობდა, თითქოს სხვათა უკმაყოფილების დაფარვა სწადიაო.

ამ პირქუშ ნაშუადღევს, ყველა საგანგაშო ნიშანს შორის, აყლაცუდა ჯონის ეს აშკარა ღელვა ყველაზე უარესად ჩანდა.

კაიუტაში თათბირი გაუმართეთ.

— ჯენტლმენებო, — თქვა კაპიტანმა, — კიდევ ერთი ბრძანება რომ გავცე, მთელი გემი თავზე დაგვემხობა. მოგახსენებთ, საქმე როგორც არის: ბრძანებაზე ხომ მიპასუხებენ უხეშად, ჰოდა, სიტყვა თუ შევუბრუნე, მაშინვე ხელჩართული ბრძოლა ატყდება; თუ არ ვუპასუხე, სილვერი რალაცას იეჭვებს, აქ რალაც ამბავიაო, და ჩვენი საქმე გათავებულა. ახლა მხოლოდ ერთადერთი კაცის იმედოღობა შეიძლება გვქონდეს.

— ვინ არის მერე ეგ კაცი? — იკითხა სკვირმა.

— სილვერი, სერ, — მიუგო კაპიტანმა, — იმასაც თქვენსავით და ჩემსავით სწადია საქმის გარკვეულ დრომდე მიფუჩიჩება. თუ ჩვენც ხელს შევუწყობთ, შეძლებს თავისიანების დაყოლიებას, რომ დროზე ადრე არ ატეხონ ამბოხი. მე მინდა სწორედ ასეთი შემთხვევა შევთავაზო. მოდით, ნაშუადღევს სანაპიროზე გავუშვათ მეზღვაურები. თუ ყველანი წავლენ — ძალიან კარგი — გემს ხელთ ვიგდებთ და დავიცავთ. თუ არავინ წავა, მაშინ კაიუტაში გავმაგრდეთ. თუ მხოლოდ ნაწილი წაიყოლა, ჩემი სიტყვა დაიმახსოვრეთ, ჯენტლმენებო, კრავებივით მოთვინიერებულებს დააბრუნებს უკან.

ასეც გადაწყდა. ყველანი საიმედო კაცს გატენილი დამბაჩები დაურიგდა: ჰანთერს, ჯოისს და რედრუთს გავენდეთ. მათ ეს ამბავი უფრო ნაკლები განცვიფრებითა და მხნედ მიიღეს, ვიდრე გვეგონა. შემდეგ კაპიტანი გემბანზე გავიდა და ეკიპაჟს მიმართა:

— ბიჭებო, დღეს ცხარე დღე დაგვადგა; ყველანი მოვიქნაცეთ და გუნებაზეც ვეღარ ვართ. ნაპირზე გავლა-გამოვლა არავის აწყენს —

ნაუბი ჯერ კიდევ წყალშია. ვისაც გნებავთ, ჩასხედით და ნაშუადღევ სანაპიროზე გაატარეთ. მზის ჩასვლამდე ნახევარი საათით ადრე ზარბაზანს დაუცლი!

დარწმუნებული ვარ, იმ სულელებს ეგონათ, ხმელეთზე რომ გადავალთ, განძი ჩეჩქოვით ეყრებაო; რადგან მაშინვე კარგ გუნებაზე დადგნენ და ისეთი „ვაშა“ შესძახეს, რომ მათი ხმა შორს მთებში გაისმა. ფრინველები ერთხელ კიდევ დაფრთხნენ და ჭყვილი დაიწყეს ნავსადგომის თავზე.

კაპიტანმა ჭკუა იხმარა და თვალის დახამხამებაში მოშორდა ეკიპაჟს, სილვერს მიაჩნდა ხმელეთზე გადამსვლელი ჯგუფის შედგენის საქმე და, მგონი, კარგადაც მოიქცა. გემბანზე რომ დარჩენილიყო, ვეღარ მოახერხებდა თავი ისე მოეჩვენებინა, თითქოს ვერაფერს ხვდებოდა. დღესავით ნათელი იყო: სილვერი ბრძანდებოდა კაპიტანი, რომელსაც ძალიან შფოთიანი ეკიპაჟი ჰყავდა. პატიოსანი მეზღვაურები — ასეთები კი, მალე დავრწმუნდი, რომ ნამდვილად იყვნენ გემზე, — ერთობ სულელები უნდა ყოფილიყვნენ; ანდა, შეიძლება უკმაყოფილო მოთავეების მაგალითს აჰყვნენ, ზოგი — მეტად, ზოგი — ნაკლებად. რამდენიმე კარგი ყმაწვილი კი ვერც აიყოლიეს და ვერც დაითანხმეს უფრო გაბედულ ნაბიჯზე. ერთია — ზარმაცობა, ზოზინი და ჩუმ-ჩუმად ბუზღუნი და სრულიად სხვა — გემის ხელში ჩაგდება და უდანაშაულო ხალხის ამოწყვეტა.

ბოლოს მაინც შედგა ჯგუფი. ექვსნი გემზე უნდა დარჩენილიყვნენ, ხოლო დანარჩენი ცამეტი, მათ შორის სილვერი, ნაუბში ჩაჯდომას შეუდგა.

სწორედ მაშინ მომივიდა თავში იმ გიჟურ განზრახვათაგან პირველი, რომელმაც ასე შეუწყო ხელი ჩვენი სიცოცხლის გადარჩენის საქმეს. რაკი სილვერმა ექვსი კაცი დატოვა, აშკარა იყო, ჩვენი გუნდი გემს ვეღარ ჩაიგდებდა ხელში. ამიტომ ხმელეთზე გადასვლა გადავწყვიტე. თვალის დახამხამებაში გადავძვერი და უახლოესი ნავის ცხვირზე მოვიკალათე, რომელიც თითქმის მაშინვე დაიძრა.

ჩემთვის ყურადღება არავის მოუქცევია, მხოლოდ წინა ნიჩბის მომსმელმა გადმომილაპარაკა:

— ეს შენა ხარ, ჯიმ? თავი დაღუნე!

მაგრამ მეორე ნავიდან სილვერმა გადმოიხედა, უკმეხად იკითხა, მართლა მე ვიყავი თუ არა და იმ წუთში კი ვინანე, ეს რატომ ჩავიდინე-მეთქი.

ნაუები ერთმანეთს გაეჯიბრნენ, რომელი უფრო ადრე მოვიდოდა ნაპირთან. ჩვენი ნავი ცოტა ადრე დაიდრა, თან უფრო მსუბუქიც იყო და უკეთესი მენიჩბეებიც ჰყავდა, ამიტომ შორს გაასწრო მეტოქეს და მალე ცხვირით შეიჭრა ნაპირზე მდგარ ხეებში. სილვერი და სხვები ჯერ კიდევ ასიოდე ნაბიჯით მაინც იქნებოდნენ ჩამორჩენილი. მე ხის ერთ ტოტს ვტაცე ხელი, ამოვხტი ნავიდან და იქვე ახლოს ჯაგნარში შევვარდი.

— ჯიმ, ჯიმ! — გავიგონე ძახილი, მაგრამ შეგიძლიათ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ მე ყურიც არ მითხოვებია მისთვის. ხტუნვა-ხტუნვით, ჯაგებში ძრომითა და ტოტების ლაწალუწით ვირბინე, რაც ძალი და ღონე მქონდა სანამ არაქათი არ გამომეცალა.

თავი მეთოთხმეტი

პირველი დარტყმა

ისე მეამა აყლაყუდა ჯონის ხელიდან დასხლტომა, რომ გუნებაზე მოვედი და ცნობისმოყვარეობით დავუწყე თვალიერება უცნაურ ქვეყანას.

გადავჭერი ტირიფებით, ლელითა და საკვირველი, უცხო ჭაობის ხეებით სავსე, ლაქაშიანი ზოლი და ერთ მილამდე სიგრძის ოღროჩოღრო, გაშლილ ველზე გავედი. მასზე აქა-იქ რამდენიმე ფიჭვი და მოყვანილობით თითქოს მუხის მსგავსი და ტირიფივით მკრთალი ფერის მრავალი დაღრეცილი ხე იდგა. შორს, მინდვრის ბოლოს, უშნო, კლდოვანი, ორწვერიანი ბორცვი მოჩანდა და მკაფიოდ კაშკაშებდა მზის სინათლეზე.

პირველად ახლა ვიგრძენი უცხო ქვეყნის შემსწავლელის სიხარული. კუნძული უკაცრიელი იყო. თანამგზავრები უკან მოვიტოვე და ჩემ წინ უტყვი ცხოველებისა და ფრინველების გარდა აღარაფერი ბოგინობდა. მივდი-მოვდიოდი ხეებს შორის. აქა-იქ ჩემთვის

უცნობი ყვავილოვანი მცენარეები ხარობდა. აქა-იქ გველებიც შევნიშნე. ერთმა თავიც გამოჰყო კლდის ქიმზე, დაისისინა და ჩხარუნის მაგვარი ხმა გამოსცა. რას წარმოვიდგენდი, რომ ეს ადამიანის მომაკვდინებელი მტერი იქნებოდა და ეს ხმა — სახელგანთქმული ჩხრიალა გველის ჩხრიალი.

მერე შევედი მუხის მსგავსი ხეების — როგორც შემდეგ გავიგე, მუდამ მწვანე მუხების ტევრში, რომელიც კვრინჩხნარით მოდებულიყო ქვიშაზე, ტოტები უცნაურად ჩაეხლართა და ისე სქლად ესხა ფოთლები, თითქოს ჩაღის სახურავიაო. ტევრი ერთ-ერთი ქვიშის ბორცვის თხემიდან ქვემოთ ეშვებოდა და, რაც უფრო ძირს ჩამოდებოდა, მით უფრო იშლებოდა, მალღდებოდა და ბოლოს განიერ ლელიან ჭაობს აწყდებოდა, რომელშიც პატარა მდინარე იკაფავდა გზას ნავსადგომისკენ. ლაქაშს ოხშივარი ასდიოდა მხურვალე მზეზე და მსუბუქ ბურუსში ჭოგრიტის მწვერვალის თავი ტორტმანებდა.

უცბად ლელიანში რაღაც ხმაური ატყდა. გარეული იხვი ყიყინით აფრინდა, მერე მეორე მიჰყვა და მალე მთელი ლაქაშის თავზე ფრინველების ვეება გუნდი ჭყვილით დატრიალდა ჰაერში. მაშინვე მივხვდი: ალბათ რომელიღაც ჩემი თანამგზავრი ახლოღდებოდა და მოჰყვებოდა ჭაობის კიდეს. არც მოვტყუებულვარ, მალე გავიგონე ადამიანის შორეული ხმა, რომელიც, ყური რომ მივუგდე, თანდათან მომძღავრდა და მოახლოღდა.

ამან თავზარი დამცა. შევძვერი უახლოესი მარადმწვანე მუხის ქვეშ, მივიყუყუე და თავკივით გასუსულმა მივუგდე ყური.

ორნი იყვნენ და ერთმანეთში საუბრობდნენ. ერთმა, რომელიც ახლა სიღვერისად ვიცანი, ჩამოართვა სიტყვა და დიდხანს ლაპარაკობდა. მხოლოდ ხანდახან თუ შეაწყვეტინებდა მეორე. ხმის კილოზე ეტყობოდა, გაცხარებით და თითქმის ბრაზიანად ლაპარაკობდნენ, მაგრამ გარკვევით ვერა გავარჩიე-რა.

ბოლოს მოსაუბრენი, ჩანდა, შედგნენ და იქნებ ჩამოსხდნენ კიდევც; ვინაიდან, არა მარტო აღარ მიახლოღდებოდნენ, არამედ თვით ფრინველებიც უფრო დაწყნარდნენ და ისევ დაუბრუნდნენ ჭაობს.

ახლა ვიგრძენი, რომ ჩემს მოვალეობას ვღალატობდი. რაკი ასე ტუტუცურად გამოვეღვენე ნაპირზე ამ თავზე ხელღღებულებს, მათი

თათბირისათვის მაინც უნდა მიმეგდო ყური. ამიტომ, მოვალე ვიყავი, რაც შეიძლება, ახლოს მივპარულიყავი მოღრეცილი ხეების საფარქვეშ.

ზუსტად შემეძლო გამომეცნო, თუ საით მიდიოდნენ მოსაუბრეები, არა მარტო მათი ხმების, არამედ იმ ფრინველების ქცევის მიხედვითაც, რომელნიც კვლავ დასტრიალებდნენ თავს მათ საბრძანებელში შემოჭრილთ.

ნელა მივიწვევდი მათკენ, სანამ ბოლოს, ფოთლებში ღიად დარჩენილ სარკმელში, მკაფიოდ არ დავინახე ლაქაშის გვერდით ხეებით მჭიდროდ შემოსალტული პატარა, მწვანე კორდი, სადაც აყლაყუდა ჯონი და ერთი სხვა მეზღვაური პირისპირ დამდგარიყვნენ და ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ.

პაპანაქება მზეში იდგნენ. სილვერს იქვე მიწაზე დაეგდო ქუდი და სიცხით ალაპლაპებული მისი ფართო, ფერმკრთალი სახე რაღაც ვედრებით იყო მიმართული მეორე მოსაუბრისკენ.

— მეგობარო, — ეუბნებოდა იგი, — ეს იმიტომ, რომ ოქროდ მიმაჩნიხარ, ოქროდ, და კარგად დაიმახსოვრე ეგ! შენ რომ ასე ძალიან არ მიყვარდე, გგონია, ახლა აქ ვიქნებოდით და გაგაფრთხილებდი? ყველაფერი მზად არის — შენ ვეღარც ვერაფერს გააწყობ, ვერც ვერას უშველი. მარტო შენი კისრის გადარჩენისთვის გელაპარაკები და, რომელიმე თავზე ხელაღებულმა რომ იცოდეს, ამას ვაკეთებ, ხომ იცი რას მიზამდნენ, ტომ... აბა, მითხარი, რას მიზამდნენ?

— სილვერ, — მიუგო მეორემ და შევნიშნე, არა მარტო წამოწითლებული იყო, არამედ ხმაც უთრთოდა, — სილვერ, — ეუბნება იგი, — შენ ხნიერი და პატიოსანი კაცი ხარ, ანუ პატიოსნის სახელი მაინც გაქვს; მოგეპოვება ფული, რაც ბევრ საწყალ მეზღვაურს არ გააჩნია; გულადიც ხარ, თუ არ ვცდები და მითხარი, განა დაუჯერებდი იმისთანა უთავბოლო უმაქნისებს? ხომ არ დაუჯერებდი! მეც, ღმერთმანი, ხელის მოჭრა მირჩევნია. თუ ჩემს მოვალეობას ვუღალატე...

ამ დროს ახალგაზრდას ანაზღეულად პირში სიტყვა გაუწყვიტა შორიდან მოსულმა ხმამ. შედეგად, ერთი პატიოსანი მეზღვაური ხომ აღმოვაჩინე, მეორის ამბავიც შევიტყვე. შორს, ჭაობში, უცბად განრისხებული ხმა გაისმა, მას მეორე მოჰყვა, შემდეგ კი საზა-

რელმა, გაგრძელებულმა კვილმა შესძრა იქაურობა. ჭოგრიტის კლდეებმა ოცჯერ მაინც მისცეს ხმა; ჭაობის ფრინველთა ლაშქარი კვლავ წამოიშალა და ცა დააბნელა. მას შემდეგაც დიდხანს მედგა ყურებში სასიკვდილოდ განწირულის კვილი. კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა და მხოლოდ საბუდარში ჩამობრუნებული ფრინველების ფრთხილი და შორეული ტალღების გრუხუნით არღვევდა ნაშუადღევის მყუდროებას.

ტომი დეზნაკრავი ბედაურივით შეხტა, მაგრამ სილვერს თვალშიც არ დაუხამხამებია. იგი, სადაც იყო, იქვე დარჩა ყავარჯენზე მსუბუქად დაყრდნობილი და დასაგესლად მომზადებული გველივით უთვალთვალებდა თანამოსაუბრეს.

— ჯონ! — შესძახა მეზღვაურმა და ხელები გაიწოდა მისკენ.

— გასწიე ხელი! — დასჭყივლა სილვერმა და ერთი ნაბიჯით უკან გადახტა, გაწვრთნილი სპორტსმენის სიმკვირცხლითა და სიმარჯვით.

— თუ გნებავს, ასე იყოს, ჯონ სილვერ, — მიუგო მეორემ, — მაგ შენი შავი ზრახვების გამო გეშინია ჩემი. მაგრამ, ზეცის მადლს გაფიცებ, მითხარი, ეს რა ხმა იყო?

— ეგა? — ღიმილით შემოუბრუნა კითხვა სილვერმა, რომლის ფართო სახეზე ისედაც ქინძისთავებად ქცეული თვალები კიდევ უფრო მოჭუტულიყო და შუშის ნატეხებივით ბზინავდა, — ეგა? ჰო, ეგ, მგონი, ალანი უნდა იყოს!

აქ საბრალო ტომი გმირივით მოიქცა.

— ალანი! — შესძახა მან, — მაშ, უფალმა განუსვენოს, როგორც ჭეშმარიტ ზღვაოსანს! შენ კი ჯონ სილვერ დიდხანს იყავი ჩემი მეგობარი, მაგრამ ამიერიდან ჩემი სახელი აღარ ახსენო. თუნდაც ძალღვივით ჩამკლან, მოგკვდები და ჩემს მოვალეობას არ ვუღალატებ. ალანი ხომ მოკალით, ხომ მოკალით? მეც მომკალით თუ შეგიძლიათ, მაგრამ თქვენი კი არ მეშინია!

ეს რომ თქვა, ამ შეუპოვარმა ვაჟკაცმა ზურგი აქცია მზარეულს და სანაპიროსაკენ გაუდგა გზას, მაგრამ შორს წასვლა არ ეწერა. ჯონმა შედახილით სტაცა ხელი ხის ტოტს, ილლიდან ყავარჯენი გამოიძრო და ეს უცნაური სასროლი იარაღი ზუზუნით გასტყორცნა. მისი წვერი საზარელი ძალით მოხვდა საბრალო ტომს

შიგ ზურგში, ბეჭებს შორის. საწყალმა ხელები აიქნია ჰაერში, კენესა აღმოხდა და ძირს დაეცა.

ვერ ვიტყვი, მძიმედ დაშავდა თუ მსუბუქად. ხმის მიხედვით თუ ვიმსჯელებ, შესაძლოა, იქვე გადაემსხვრა ხერხემალი. მაგრამ სულის მოთქმა აღარ დასცალდა. სილვერი უყვარჯნოდაც თვალის დახამხამებაში მაიმუნის სიმკვირცხლით მივარდა და იმ უმწეო სხეულს ორჯერ ტარამდე ჩასცა დანა, ჩემს საფარში მესმოდა, როგორ ქშინავდა იგი ყოველ მოქნივაზე.

კარგად არ ვიცი, გულის შეღონება როგორია, მაგრამ ის კი ვიცი, რომ, ამის დანახვაზე, ცოტა ხანს მთელი ქვეყანა ჩემს წინაშე დაგრაგნილ ბურუსში ატოვტივდა; სილვერი, ფრინველები, ჭოგრიტის მთის მწვერვალი სულ წაღმა-უკულმა დამიტრიალდა თვალწინ, ყურებში კი ათასი ზარის გუგუნი და შორეული ყვირილი მედგა.

როცა გონს მოვეგე, ურჩხული უკვე გამოწკეპილი იდგა — ყავარჯენი ილღიაში ჰქონდა ამოჩრილი და ქუდიც თავზე ეხურა. მის წინ ბალახზე ტომი იწვა უძრავად. მაგრამ მკვლელს აინუნშიაც არ მოსდიოდა იგი — ბალახის ბლუჯით გულდასმით წმენდდა სისხლით გასვრილ დანას. სხვა ყველაფერი უცვლელი იყო; მზე კვლავ უმოწყალოდ აცხუნებდა ოხშივარაუარდნილ ლაქაშსა და მთის მაღალ მწვერვალს. მე ძლივს დავარწმუნე თავი, რომ მკვლელობა მართლაც მოხდა და რომ ჩემ თვალწინ, ერთი წუთის წინ, ადამიანი ბოროტად გამოასალმეს სიცოცხლეს.

ჯონმა ხელი ჩაიყო ჯიბეში, სასტვენნი ამოიღო, რამდენჯერმე სხვადასხვა კილოზე ჩაჰბერა. სტვენის ხმა შორს გაისმა გავარვარებულ ჰაერში. რასაკვირველია, არ ვიცოდი, მიცემული ნიშნის აზრი, მაგრამ შიში გამიახლდა, რომ უფრო მეტი ხალხი მოცვივდებოდა, შეიძლება მეც ვეპოვე. ორი პატიოსანი კაცი უკვე მოკლეს. ტომისა და ალანის შემდეგ ჩემი რიგიც ხომ არ დადგა?

მაშინვე შევუდექი, რაც შემეძლო, სწრაფად და ჩუმად უკან გაძრომას და ტყის უფრო გაშლილი მხარისკენ გავცოცდი. ამასობაში მესმოდა გადაძახილ-გადმოძახილები ცალფეხასა და მის ამხანაგებს შორის და საფრთხემაც კიდევ უფრო შემასხა ფრთები. როგორც კი ჯაგნარს გავცდი, ისე მოვკურცხლე, რომ ასე ჩემს

სიცოცხლეში არ მირბენია — მიმართულებას აღარც ვაქცევდი ყურადღებას, ოღონდ მკვლევებისაგან შორს გადავხვეწილიყავი. სირბილში შიში უფრო და უფრო მემატებოდა და გაგიჟებას ცოტადა მაკლდა.

სულიერად და ხორციელად ჩემზე დაძაბუნებული ადამიანი ძნელად მოიპოვებოდა იმ წუთებში. როცა ზარბაზანს დაცლიდნენ, როგორ უნდა გამებედა ნავებთან მისვლა იმ ტარტაროზებში, რომელთაც ჯერ კიდევ სისხლი არ შეშრობოდათ ხელზე? განა პირველივე მათგანი ჩიბუხასაყით¹ არ მომიგრებდა კისერს? თუნდაც ის, რომ მათ გუნდში არ ვიყავი, განა, საკმაო საბუთი არ იქნებოდა მათთვის, რომ შეუბრალებლად გამსწორებოდნენ? ყველაფერი მორჩა, — გავიფიქრე მე. მშვიდობით, „ისპანიოლაუ“, მშვიდობით, სკვირო, ექიმო და კაპიტანო! შიმშილით ანდა მეამბოხეთა ხელით სიკვდილის გარდა სხვა აღარაფერი დამრჩენოდა.

მთელი ამ ხნის განმავლობაში, როგორც მოგახსენეთ, კვლავ გავრბოდი და, შეუმჩნევლად, ორწვერიან პატარა მთის ძირს მივახლოვებოდი. კუნძულის იმ ნაწილში მოვხვდი, სადაც მუდამ მწვანე მუხები უფრო შორი-შორს იდგნენ და თავიანთი მოყვანილობითა და სიდიდით უფრო წააგავდნენ ტყის უზარმაზარ ხეებს. მათში გამორეულიყო ორმოცდაათი, ზოგი კი თითქმის სამოცდაათი ფუტის სიმაღლის რამდენიმე ფიჭვი. ჰაერიც უფრო საღი ჩანდა, ვიდრე ქვემოთ, ჭაობის ახლოს.

ჰოდა, სწორედ აქ, ახლა სხვა ამბავმა დამცა თავზარი, ერთ ადგილას გამაშეშა და გულმაც ბაგაბუგი დამიწყო.

თავი მეთხუთმეტი

კუნძულელი

მთის ფერდობიდან, რომელიც ამ ადგილას ციცაბო და კლდოვანი იყო, ქვის წვრილი ნამსხვრევების ნაკადი მოსწყდა და ჩხრიალითა და ხტუნვა-ხტუნვით ჩამოზვავდა ხეებში. ინსტინქტურად

¹ ჩიბუხა — გარეული ფრინველია.

ავიხედე და თვალი მოკარი, რომ რაღაც სხეული მკვირცხლად ამოეთარა ფიჭვს. რა იყო — დათვი, კაცი თუ მაიმუნი — ვერ მივხვდი. შავი და ბანჯგვლიანი ჩანდა, მეტი ვერაფერი გავარჩიე, მაგრამ ამ ახალმა მოჩვენებამ მუხლები მომკვეთა.

ახლა ორივე მხრიდან მქონდა მოჭრილი გზა: უკან მკვლევები იყვნენ, წინ — ეს ჩასაფრებული რაღაც ქმნილება. ბოლოს, ნაცნობი საფრთხე ვარჩიე, უცნობს. სილვერიც უფრო ნაკლებად შემაძრწუნებელი მეჩვენა ტყის ამ გაურკვეველ სულიერთან შედარებით. ფხიზელი თვალთ ვიყურებოდი უკან, თანაც პირი ვიბრუნე და კვლავ ნავებისაკენ მიმავალ გზას დაუადექი.

უცხად უცხო არსება ისევ გამოჩნდა, დიდი წრე დაარტყა და თავის დავლა დამიწყო. მართალია, მოქანცული ვიყავი, მაგრამ, სრულ ძალ-ღონეზეც რომ ვყოფილიყავი, დავრწმუნდი, ამაოდ ჩამივლიდა ამისთანა მეტოქესთან სისწრაფეში გაჯიბრება. ეს არსება ხიდან ხემდე ირემივით ხტოდა და ადამიანივით ორი ფეხით დარბოდა, ოღონდ, სხეული თითქმის ორად მოხრილი მიქროდა, რაც არასოდეს შემინიშნავს ადამიანებში. მაინც, უკვე აღარ მეეჭვებოდა, რომ ჩემს წინ ადამიანი იყო.

გამახსენდა, კაციჭამიებზე გაგონილი ამბები და კინალამ ყვირილი დავიწყე, მიშველეთ-მეთქი, თუმცა, იმ გარემოებამ, რომ იგი თუნდაც ველური, მაგრამ მაინც ადამიანი იყო, ცოტა შემაყოყმანა, სილვერის შიშმა კი ისევ იმატა ჩემში. ამიტომ ხმაგაკმენდილი ვიდექი და ვფიქრობდი, რა მელონა თავის გადასარჩენად. უცებ, ჩემი დამბაჩა მომაგონდა და, როგორც კი დავრწმუნდი, რომ თავდასაცავი იარაღი მომეპოვებოდა, მაშინვე მომეცა გული. მტკიცედ ვიბრუნე პირი და სწრაფად მივაშურე ამ უცნობ კუნძულელს.

ამ დროს იგი ერთ ხეს ეფარებოდა, მაგრამ ალბათ ფრთხილად მადევნებდა თვალს, ვინაიდან, როგორც კი მისკენ გავემართე, კვლავ გამოჩნდა და ნაბიჯი გადმოდგა ჩემთან შესახვედრად. მერე შედგა, უკან დაიხია, ისევ წინ წამოვიდა და, ბოლოს, ჩემდა გასაოცრად, მუხლებზე დაეცა და ერთმანეთს გადაჭდობილი ხელები ვედრებით გამომიწოდა.

ამან დამაბნია და ერთხელ კიდევ შევდექი.

— ვინ ხარ? — შევეკითხე მე.

— ბენ განი, — მომიგო მან. მისი ჩახლეჩილი ხმა დაჟანგებული ბოქლომის ჩხაკუნით გაისმოდა. — მე საწყალი ბენ განი ვარ, ბენ განი. სამი წელიწადია ქრისტიანისთვის ხმა არ გამიცია!

ახლა შემედლო გამერჩია, რომ ისიც ჩემსავით თეთრკანიანი ადამიანი იყო და სანდომიანი სახეც ჰქონდა. კანი, სადაც უჩანდა, მზით ისე გარუჯოდა, რომ ბაგეებიც ჩაშავებოდა. გამურულ სახეზე უცნაურად გამოიყურებოდა ცისფერი თვალები. ჩემს დღეში არც მინახავს და არც გონების თვალთ წარმომიდგენია, ამაზე უფრო დაძონძილი მათხოვარი. ხომალდის ძველი აფრის ნაფლეთები და მეზღვაურის დაკონკილი სამოსი ეცვა. ეს საოცარი ძონძეულობა შეკოწიწებული იყო ნაირ-ნაირი, უცნაური სამაგრებით: სპილენძის ღილებით, ჩხირებითა და გაკუპრული კანაფის ყულფებით. წელზე სპილენძისბალთიანი ძველი ტყავის ქამარი ერტყა, რომელიც მის მოკაზმულობაში ერთადერთი შემორჩენილი მთელი ნივთი იყო.

— სამი წელიწადი! — შევყვირე მე, — გემი დაგემსხვრათ?

— არა, მეგობარო, — მითხრა მან, — ამ უკაცრიელ კუნძულზე გადმომსვეს!

ასეთი ამბისთვის მეც მქონდა ყური მოკრული. მეგობრები საკმაოდ ხშირად ხმარობდნენ დასჯის ამ საზარელ წესს — დამნაშავეს რომელიმე უკაცურ და შორეულ კუნძულზე გადასვამდნენ ტყვია-წამლის მცირეოდენი მარაგით.

— სამი წლის წინათ გადმომსვეს, — განაგრძო მან? — და მას შემდეგ თხის ხორცით, კენკრითა და ხამანწკებით ვიკვებები. სადაც უნდა მოხვდეს კაცი, თავს გაიტანს, მაგრამ, მეგობარო, იცი, როგორ მენატრება ქრისტიანული საჭმელი! ეგებ შემთხვევით ყველის ერთი პატარა ნაჭერი გქონდეს სადმე, ჰა? არა? ოჰ, რამდენჯერ დამსიზმრებია ყველი... უფრო ხშირად შემწვარი... გავიღვიძებდი და აქ კი ვეგდე!

— თუ კვლავ გემზე მოვხვდი, — ვუთხარი მე, — მთელ თავ ყველს მოგცემ.

მთელი ამ ხნის განმავლობაში იგი მისინჯავდა ქურთუკის ქსოვილს, ხელს მისვამდა ხელებზე, დასცქეროდა ჩემს ფეხსაცმელებს

და საერთოდ, ლაპარაკში დროდადრო ბავშვურ სიხარულს ამჟღავნებდა თავისი მოდგმის არსების დანახვაზე. მაგრამ უკანასკნელ სიტყვებს რომ მოჰკრა ყური, შეჩქვიფებულმა ეშმაკურად შემომაშტერა თვალები.

— თუ კვლავ გემბანზე მოვხვდიო, შენ ამბობ? — გაიმეორა მან — მერე და ვინ უნდა დაგიშალოს?

— ეს კი ვიცი, რომ შენ ვერ დამიშლი, — ვუპასუხე მე.

— მართალიც ხარ, — შესძახა მან. — ახლა ეს მითხარი... რა გქვია, მეგობარო?

— ჯიმი, — ვუთხარი მე.

— ჯიმი, ჯიმი, — ამბობდა იგი, ეტყობოდა, ფრიად ნასიამოვნები იყო, — ჰოდა, ჯიმ, ისეთ საძაგელ ცხოვრებას ვეწეოდი, სირცხვილით ყურებს დაიცავდი, რომ მოგესმინა. აი, მაგალითად, ჩემს შეხედვაზე ხომ არ იფიქრებ, რომ მე ღვთისმოსავი დედიკო მყავდა? — დამეკითხა ის.

— ჰო, არა, მაინცდამაინც ვერ ვიფიქრებდი, — მიუუგე მე.

— მე კი — მითხრა მან, — ძალიან, ძალიან, ღვთისმოსავი დედა მყავდა. მეც ზრდილი, ღვთისმოსავი ბიჭი ვიყავი და ისე სხაპასხუპით შემეძლო მეთქვა კატეხიზმო, რომ ერთ სიტყვას მეორისგან ვერ გამოარჩევდი. აი, ამ დღეში კი ჩავვარდი, ჯიმ. დაწყებით კი, ეს ამბავი, დალოცვილ საფლავის ქვებზე უბრალო ფულაობის თამაშით დაიწყო. ამით დაიწყო, მაგრამ მერე უფრო შორს წავიდა საქმე. დედაჩემი კი ჩამჩინებდა და მიწინასწარმეტყველებდა ყველაფერს... მიწინასწარმეტყველებდა კეთილი ქალი! მაგრამ განგებამ აქ გადმომაგდო. ამ უდაბურ კუნძულზე ყველაფერი ავწონ-დავწონე და კვლავ ღვთისმოსავი გაუხდი. ახლა რომს ვერ მიმატანინებ პირთან. მარტო ერთი ყლუპი, სადღეგრძელოდ, რა თქმა უნდა, თუ შემთხვევა იქნება, შეიძლება დალიოს კაცმა. ვთქვი, კარგად მოვიქცევი-მეთქი და ვიცი კიდევ, რაც უნდა ვქნა. მერე, ჯიმ, — თან მიიხედ-მოიხედა გარშემო და ჩურჩულით დასძინა: — მე ხომ მდიდარი ვარ!

ახლა კი დავრწმუნდი, რომ საწყალი მარტოობაში გაგიჟებულ იყო და, მგონი, ეს აზრი სახეზეც დამეტყო, რადგან იგი კვლავ გაცხარებით ამტკიცებდა:

— მდიდარი ვარ, მდიდარი, გეუბნები! და ამასაც გეტყვი: კაცად გაგხდი, ჯიმ. ოპ, ჯიმ, შენს ბედის ვარსკვლავს დალოცავ, შენს ბედის ვარსკვლავს, პირველმა რომ მიპოვე!

აქ უცბად პირქუშმა ჩრდილმა გადაჰკრა სახეზე, ჩემი მაჯა ჩაბლუჯა და მეორე ხელის სალოკი თითი მუქარით ცხვირწინ დამიქნია.

— ახლა, ჯიმ, მართალი მითხარი: ეგ ფლინტიც გემი ხომ არ არის? — მკითხა მან.

ამ სიტყვებმა გონივრული აზრი შთამაგონა. მივხვდი, მოკავშირე ვიპოვე-მეთქი და მაშინვე ვუპასუხე.

— ეგ ფლინტიც გემი არ არის და ფლინტიც მკვდარია. ოღონდ, რაკი მკითხე, სიმართლეს გეტყვი: იმ გემზე ფლინტის რამდენიმე კაცია.

— ცალფეხა... ცალფეხაც ხომ არ არის მანდ? — ძლივს მოითქვა სული.

— სილვერი? — შევუბრუნე სიტყვა.

— ჰო, სილვერი! სილვერი იყო გვარად! — მომახალა მან.

— შხარეულად მუშაობს და მათი ბელადიც ეგ არის.

მას კვლავ მაჯაში ეკიდა ჩემთვის ხელი და ამ სიტყვებზე კინაღამ მომაგლიჯა.

— თუ აყლავდა ჯონის მოგზავნილი ხარ, — მითხრა მან. — ვიცი, სამარე არ ამცდება. მაგრამ, ის თუ იცი, შენ რაღა დაგემართება?

მაშინვე ავუღე ალლო მის ნათქვამს და, პასუხის ნაცვლად, მთელი ჩვენი მოგზაურობისა და გასაჭირში ჩავარდნის ამბავი ვუამბე. გულდასმით მომისმინა და, როცა დავასრულე, თავზე ხელი გადამისვა.

— შენ კარგი ბიჭი ხარ, ჯიმ, — მითხრა მან, — და თქვენ ყველანი ხათაბალაში ჩაცვენილხართ, ხომ? ჰოდა, ენდეთ, ბენ განს... ბენ განი დაგიხსნით. ახლა როგორ გგონია, თქვენი სკვაირი სიკეთეს დაიმახსოვრებს, თუ დავეხმარე... თუ დავიხსენი ხათაბალიდან?

მე მოვახსენე, სკვაირი ძალიან კეთილი და ხელგაშლილი ადამიანია-მეთქი.

— ჰო, მაგრამ, იცი რა, — მომიგო ბენ განმა, — მე არ ვგულისხმობ მეკარის თანამდებობით დაჯილდოებას, ლაქის სამოსის წყალობას ან სხვა ამგვარს — ეგ ჩემი საქმე არ არის, ჯიმ. მე იმას ვგულისხმობ, ვითომ დათანხმდება იმაზე, რომ ვთქვათ, ათასი გირვანქა სტერლინგი მისცეს კაცს იმ ფულიდან, რომელიც, თითქმის უკვე, ამ კაცის საკუთრებას წარმოადგენს?

— დარწმუნებული ვარ, მისცემს, — ვთქვი მე, — ნათქვამიც აქვს — წილი ყველა მეზღვაურს უნდა ერგოსო.

— სამშობლოშიც წაიყვანს? — დაუმატა მან და დაკვირვებით დამაცქერდა.

— რატომაც არა! — შეეძახე მე. — სკვადრი ჯენტლმენია! თან კიდევ, თუ სხვებს თავიდან მოვიშორებთ, შინ დასაბრუნებლად შენი შველა ისედაც დაგვჭირდება.

— აჰა, მაშ წაიყვანს! — თქვა მან და, ეტყობოდა, გულს მოეშვა.

— ახლა, აი, რას გეტყვი, — განაგრძო მან. — ამ ერთს გეტყვი და მეტს არაფერს. მე ფლინტის გემზე ვიყავი, როცა მან განძი მიწაში ჩაფლა. იმან და მასთან ერთად ექვსმა... ექვსმა ზორბა მეზღვაურმა. ნაპირზე თითქმის ერთ კვირას დარჩნენ, ჩვენი ძველი „ლომვეშაპი“ კი მოშორებით იდგა და იდგა. ერთ მშვენიერ დღეს ნაპირიდან ნიშანი მოგვცეს და ლურჯი ხელსახოცით თავშეხვეული ფლინტი მარტოდმარტო მოგვადგა პატარა ნავით. მზე ამოდოდა. სახე მომაკვდავივით გასთეთრებოდა. მაგრამ ცოცხალი იყო, გახსოვდეს, და ექვსივენი კი დახოცილნი... დახოცილნი და დასაფლავებულნი! გემზე კაციშვილმა ვერ გაიგო, როგორ მოახერხა მან ეს. ბრძოლა და კაცის კვლა უნდა ყოფილიყო... მაგრამ, მაინც... იგი ერთი იყო, ისინი — ექვსნი. ბილი ბოუნზი კაპიტნის თანაშემწედ მუშაობდა, აყლაყუდა ჯონს — მომარაგების საქმე ებარა. მათ ჰკითხეს ფლინტს, განძი რა უყავიო. „ოჰ, თქვა მან, თუ გნებავთ, გადაბრძანდით ნაპირზე და მოძებნეთ, გემი კი, მეხის მადლმა, გზას გაუდგება!“ — აი, რა თქვა მან.

ჰოდა, სამი წლის შემდეგ, სხვა გემზე რომ ვიყავი, ეს კუნძული დავინახეთ. ბიჭებო, — ვთქვი მე, — აქ ფლინტის განძია დაფლული. მოდით, გადავსხდეთ ნაპირზე და ვიპოვოთ. კაპიტანს არაფრად

ეჭაშნიკა ეს ამბავი, მაგრამ ჩემს ამხანაგებს ყველას ჭკუაში დაუ-
ჯდა და გადმოვსხედით. თორმეტ დღეს ეძებეს და დღითიდღე სულ
უფრო უმატებდნენ ჩემს ლანძღვას, სანამ, ერთ მშვენიერ დილას,
ყველანი გეშხე არ დაბრუნდნენ. შენ კი, ბენჯემინ გან, — მითხრეს
მე, — აი, თოფი, ნიჩაბი და წერაქვი. ბრძანდებოდე აქ და ეძებე
ფლინტის ფულებიო.

ჰოდა, ჯიმ, სამი წელი დაუყავი აქ და ერთი ლუკმა ქრისტიანუ-
ლი საჭმელი აღარ ჩამსვლია პირში, მაგრამ ახლა, მოიხედე; აბა
შემომხედე: მე უბრალო მეზღვაურს ვგავარ? არაო, იტყვი, და მარ-
თალიც იქნები, არც არასოდეს ვგვანებივარ, ამას გეუბნები!

ამ სიტყვებზე თვალი ჩამიკრა და მწარედ მიჩქმიტა.

— ეს სიტყვები მოახსენე შენს სკვირს. ჯიმ, — განაგრძო მან,
— არც არასოდეს ჰგვანებია-თქო, აი, ასე. სამი წელი იყო-თქო ამ
კუნძულზე მარტო, დღე და ღამე, დარსა თუ ავდარში. ხანდახან
იქნებ ლოცვა მოაგონდებოდა, მაგრამ ბენ განის დროის უმეტესი
ნაწილი, მისი დროის უმეტესი ნაწილი სხვა საქმეს ხმარდებოდა-
თქო. და მერე ერთი ისე უჩქმიტე, როგორც მე. და კვლავ მიჩქმიტა
ძალიან შინაურულად.

— მერე, — განაგრძო მან, — მერე, უთხარი... აი, ეს უთხარი:
განი კარგი კაცია-თქო და უფრო ენდობა... უფრო ენდობა-თქო,
კარგად დაიხსომე... ნამდვილ ჯენტლმენს, ვიდრე ბედ-იღბლის
კაცს, რაც ადრე თვითონვე იყო-თქო.

— ეჰ, — ვთქვი მე, — შენი ნათქვამიდან ვერც ერთი სიტყვა ვერ
გავიგე, ან რალა აზრი აქვს მაგას — აბა როგორ უნდა მოვხვდე
გეშხე?

— ჰო, — თქვა მან, — ეგ მართლაც ძნელია. მაგრამ მე მაქვს
ჩემი საკუთარი ხელით ნაკეთები ნავი. თეთრი კლდის ქვეშ ვინახავ.
თუ გაჭირდა, შეიძლება იმით ვცადოთ ბედი სიბნელეში. ჩუ! —
გაწყვიტა მან სიტყვა შუაზე, — ეს რა ამბავია!

სწორედ მაშინ, თუმცა მზის ჩასვლას კიდევ ერთი თუ ორი საათი
აკლდა, მთელი კუნძული ზარბაზნის გრიალმა შეაზანზარა.

— ბრძოლა დაიწყო! — შევძახე მე. — მომყევი!

შიში სულ გადამავიწყდა და მოკურცხლე ნავსადგომისაკენ.
გვერდში ცქვიტად და მსუბუქად მომდევდა კუნძულელი კაცი.

— მარცხნივ, მარცხნივ, — მეუბნება იგი, — მარცხენა მხარეს ირბინე, მეგობარო ჯიმ! ხეების ქვეშ! პირველად აგე იქ მოკალი თხა. ისინი ახლა აქ, ქვემოთ აღარ ჩამოდიან; ბენჯემინ განის შიშით სულ იმ მთის მწვერვალებზე ტრიალებენ. ოჰ! აი, სასაფლაოც! ხომ ხედავ საფლავის ბორცვებს? ხანდახან, როცა მეგონა, ალბათ კვირაა-მეთქი, მოვდიოდი აქ და ვლოცულობდი. ნამდვილი ეკლესია არ იყო, მაგრამ მაინც უფრო საზეიმო ელფერი ჰქონდა. თანაც, ბენ განს არც ხუცესი ჰყავდა და, ასე განსაჯე, ბიბლიაც არ გააჩნდა.

ასე განაგრძობდა იგი ყბედობას სანამ მივრბოდით და არც ელოდა და არც იღებდა რაიმე პასუხს.

კარგა ხნის შემდეგ ზარბაზნის სროლას თოფების ზალპი მოჰყვა.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა და მერე ერთი მეოთხედი მილის დაშორებით, ჩემ წინ, ტყის თავზე ჰაერში მოფრიალე ბრიტანეთის ეროვნული დროშა დავინახე.

წიგნის ელექტრონული ვერსია
მოამზადა: აკაკი ციცქიშვილმა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნაწილი მეოთხე

მესერი

თავი მეთექვსმეტი

ექიმი აგრძელებს თხრობას: როგორ დატოვეს გემი

იქნებოდა დაახლოებით ორის ნახევარი, ზღვასანთა თქმით, სამი შუშა ჩამოთავდებოდა¹, როცა „ისპანიოლადან“ ორი ნავი გაემართა ნაპირისაკენ. კაპიტანი, სკვაირი და მე კაბინაში ვათათბირობდით. მცირე ქარიც რომ ყოფილიყო, თავს დავეცემოდით გემზე დატოვებულ ექვს მეამბოხეს, გადავჭრიდით ბაგირს და ზღვაში შევცურდებოდით. მაგრამ ქარი არ ჩანდა, თან გასაჭირი კიდევ უფრო მოგვემატა, როცა ჰანტერი ჩამოვიდა და გვითხრა, ჯიმ ჰოკინზიც ნავში ჩახტა და სხვებთან ერთად ნაპირზე გადავიდაო.

ჯიმ ჰოკინზისგან ღალატი გულში არ გაგვივლია, ოღონდ მისი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებამ შეგვაფიქრიანა. ასე გახლებულ მეზღვაურებში ჩავარდნილი ბიჭის კვლავ ნახვის იმედი თითქმის აღარც გვქონდა. ავცვივდით გემბანზე. ფიცარსა და ფიცარს შუა კუპრი ამობუყბუყებდა. მიდამოს საზიზღარი სიმყრალისგან გულს შემომეყარა. თუ სადმე შეიძლებოდა ოდესმე კაცს ციებ-ცხელებისა და დიზენტერიის სუნი ეყნოსა, უთუოდ ამ საძაგელ ნავსაყუდელში უნდა მომხდარიყო. ექვსი არამზადა მიმჯდარიყო აფრის ქვეშ, გემის წინა მხარეს, და ბუზღუნებდა. ნაპირზე, იქვე ახლოს, სა-

¹ სამი შუშა ჩამოთავდებოდა — აქ შუშა იმ აზრით არის ნახმარი, რომ მაშინ ქვის საათებს ხმარობდნენ. წმინდა ქვიშა მინის ზიარ ჭურჭელში იყო მოთავსებული და ერთი მხრიდან მეორეში გადაცლა დროის გარკვეულ მონაკვეთში ხდებოდა.

დაც მდინარე ზღვას ერთვოდა, დაბმული ნავეები მოჩანდა. ორივეში თითო მეზღვაური იჯდა, ერთი მათგანი — „ლილიბულეროს“¹ უსტვენდა.

უმოქმედოდ ყოფნა ძალიან მძიმე გამოდგა და გადაწყდა, იქაურობის დასაზვერად ჰანთერი და მე ნაპირზე გადავმსხდარიყავით პატარა ნავით.

ნავეები მარჯვენა მხრიდან მიადგნენ ნაპირს; ჰანთერმა და მე კი პირდაპირ რუკაზე აღნიშნული მესრისკენ ავიღეთ გეზი. ნავეების გუშაგებად დატოვებული ორი მეზღვაური, ჩანდა, შეშფოთდა ჩვენს დანახვაზე. „ლილიბულეროს“ ჰანგი შეწყდა და ვუცქეროდი, როგორ ეთათბირებოდნენ ერთმანეთს, რა ვქნათო. სილვერისტვის სათქმელად რომ წასულიყვნენ, ყველაფერი იქნებ სხვანაირად დატრიალებულიყო, მაგრამ, მგონი, მათ თავიანთი საქმე ებარათ და დაასკვნეს, მშვიდად მსხდარიყვნენ და კვლავ „ლილიბულეროს“ დაბრუნებოდნენ.

ნაპირი აქ ოდნავ იყო გამოზნექილი და ისე მივმართე ნავი, რომ იგი ჩვენსა და გუშაგებს შორის მოგვექცია და მათი თვალთახედვიდან დაფარული ვყოფილიყავით. როგორც კი ნაპირს მივადექით, სასწრაფოდ გადმოვხტი, საგრილობლად აბრეშუმის დიდრონი ხელსახოცი ამოვიღე ქუდქვეშ, სიფრთხილისათვის ორივე ხელში გატენილი დამბაჩები დავიჭირე და, რაც შეეძლო, მოვკურცხლე.

ასიოდე ნაბიჯიც არ გამეწვლო, რომ მესერს მივადექი.

აი, საქმე როგორ გახლდათ: თითქმის ბორცვის თავზე ანკარა წყარო ამოჩუხჩუხდა. ზედ ბორცვზე და წყაროს თავზე მოზრდილი ძელური დაედგათ, რომელიც ორმოცამდე კაცს დაიტევდა. ყოველ მხარეს სათოფურები ჰქონდა დატანებული. მის ირგვლივ ფართო ადგილი მოეკაფათ და გარშემო ექვსი ფუტის სიმაღლის მესერი შემოეყოლებინათ, რომელსაც არც კარი გააჩნდა, არც რაიმე სხვა შესასვლელი. იგი იმდენად მაგარი იყო, მის გარღვევას დიდი დრო და ჯაფა დასჭირდებოდა და ძელურში მჯდომი ხალხისთვის ყოველმხრივ ხერხიანი ჩანდა — მათ შეეძლოთ მშვიდად

¹ლილიბულერო — პოპულარული ძველი ინგლისური სიმღერა.

მსხდარიყვნენ საფარში და თავდამსხმელნი კაკბებოვით დაეხოცათ. მართო ფხიზელი გუშაგობა და სურსათი სჭირდებოდათ, რადგან, თუ მოულოდნელად არ დაესხმოდნენ თავს, იქიდან მთელ ლაშქარს გაუძკლავდებოდნენ.

განსაკუთრებით წყარომ მიიპყრო ჩემი გულისყური. ვინაიდან, მართალია, „ისპანიოლას“ კაიუტაც საკმაოდ კარგი ადგილი იყო, ბლომად საჭურველი, ტყვია-წამალი, სანოვაგე და ჩინებული ღვინოები გვქონდა მომარაგებული, მაგრამ ერთი რამ გამოგვეპარა — წყალი არ გაგვაჩნდა. ამაზე ფიქრში ვიყავი გართული, რომ სასიკვდილოდ განწირული ადამიანის კივილმა შესძრა კუნძული. ძალდატანებით სიკვდილის ამბავი უცხო არ გახლავთ ჩემთვის — მისი მეფური უმაღლესობის, კამბერლენდის მთავრის¹ ხელქვეითად ვმსახურობდი და თვითონ მეც დამჭრეს ფონტენუასთან² — მაგრამ ამ ხმის გაგონებაზე პირდაპირ სისხლი გამეყინა ძარღვებში. „ჯიმ ჰოკინზი გამოესალმა სიცოცხლეს“, გამიელვა მაშინვე თავში.

ძველი ჯარისკაცობა ბევრს ნიშნავს, მაგრამ ექიმობა კიდევ უფრო მეტია. ჩვენს საქმეში ყოყმანის დრო არ გვაქვს, ამიტომაც დაუყოვნებლივ დავუბრუნდი სანაპიროს და პატარა ნავში ჩავხტი.

საბედნიეროდ, ჰანთერი კარგად უსვამდა ნიჩაბს. სწრაფად გავსრიალდით და მალე გემბანზე გავჩნდი.

ბუნებრივია, ყველანი თავზარდაცემულნი დამხვდნენ. ქალღმერთით გათუთრებული სკვაირი იჯდა და საწყალი ღრმა ფიქრებს წაედო, ეს რა ხიფათში ჩავყარე ხალხიო. იმ ექვსი მეზღვაურიდანაც ერთ-ერთი, უკეთეს დღეში არ იყო!

— იმ კაცისთვის, — მითხრა კაპიტანმა სმოლეტმა და იმ მეზღვაურზე მანიშნა, — ასეთი საქმე ახალი ხილია. კინალამ გული შეუღონდა, ექიმო, კივილი რომ გაიგონა. ერთი ბიძგი უნდა და ეგ ჩვენს მხარეს გადმოვა.

¹ კამბერლენდის მთავარი — ინგლისელი სარდალი, ცხოვრობდა XVIII საუკუნის შუა ხანებში.

² ფონტენუა — სოფელი ბელგიაში, სადაც 1745 წლის 11 მაისს ფრანგებმა დაამარცხეს ინგლისელების, პოლანდიელებისა და ავსტრიელების გაერთიანებული ლაშქარი.

ჩემი გეგმა კაპიტანს გაუაცანი და დაწვრილებით მოვითათბირეთ, როგორ გაგვეხორციელებინა იგი.

მოხუცი რედრუთი კაიუტასა და გემის წინა ნაწილს შორის გასასვლელში ჩავსაფრეთ რამდენიმე გატენილი თოფით, თან ლეიბი გავატანეთ, რომ საჭიროების შემთხვევაში, ამოჰფარებოდა. ჰანთურმა ნავი კიჩოს სარკმელთან მოაყენა და ჯოისი და მე შევუდექით მის დატვირთვას დენტის ყუთებით, თოფებით, ორცხობილის ტომრებით, ლორითა და რომით სავსე კასრებით და ჩემი ძვირფასი საექიმო ხელსაწყოების ყუთით.

სკვაირი და კაპიტანი გემბანზე დადგნენ. უკანასკნელი შეეხმაურა ნავის მესაჭეს, რომელიც მემბოხეებთან უფროსად იყო დატოვებული გემზე.

— მისტერ ჰენდზ, — უთხრა მან, — აქ ჩვენ ორნი ვდგავართ ორ-ორი დატენილი დამბაჩით. თქვენ ექვსიდან თუ რომელიმემ გაბედა ნაპირზე რაიმე ნიშნის მიცემა, სულს გაგაფრთხოვინებთ!

ისინი გვარიანად შეჩქვიფდნენ და, ცოტა ხნის თათბირის შემდეგ, ყველანი ქვევით ჩავიდნენ. შეჭველია, ჩვენი ზურგიდან დავლაუნდოდით, მაგრამ გასასვლელში ჩასაფრებულ რედრუთს რომ წააწყდნენ, მყის შემობრუნდნენ და ერთის თავი ისევ გამოჩნდა გემბანზე.

— ძირს, ძაღლო! — დასჭყვივლა კაპიტანმა.

თავი ისევ ჩაიმალა და ერთხანს აღარ გამოჩენილან.

ამასობაში სახელდახელოდ დავტვირთეთ პატარა ნავი. ჯოისი და მე გადავძვერით კიჩოს სარკმელში და, რაც ძალი და ღონე გვქონდა, მოუუსვით ნიჩბები ნაპირისკენ.

მეორედ რომ დაგვინახეს, ნაპირზე დატოვებული გუშაგები უკვე ძალიან შეშფოთდნენ. „ლილიბულერო“ კვლავ შეწყდა და, სანამ პატარა კონცხს მოვეფარებოდით, ერთი მათგანი გადმოხტა ნავიდან და მიიმალა. გული მეუბნებოდა, გეგმა შემეცვალა და მათი ნაუბი გამენადგურებინა, მაგრამ, მეფიქრებოდა, სილვერი და სხვები ახლოს არ იყვნენ და ბევრის დევნაში ყველაფერი არ გამოგვცლოდა ხელიდან.

წინანდელ ადგილას მივადექით ხმელეთს და ძელურში ტვირთის გადაზიდვას შევუდექით. პირველ გზაზე სამივენი მძიმედ დავიტვირ-

თუთ და ჩვენი ბარგი მესერს იქით გადავყარეთ. შემდეგ ჯოისი დარაჯად დაუტოვეთ; მართალია, ერთი იყო, მაგრამ ექვსიოდეთ თოფი მაინც ჰქონდა. ჰანთური და მე დაუბრუნდით ნავთან და ერთხელ კიდევ დავიტვირთეთ. როდესაც მთელი ტვირთი დავაბინავეთ, ორი მსახური ძელურში ჩასათრდა, ხოლო მე მთელი ძალით მოვუსვი ნიჩაბი „ისპანიოლასაკენ“.

ნავის მეორედ დატვირთვა, წესით, არ უნდა გაგვჭირვებოდა. მართალია, ისინი რიცხვით გვჭარბობდნენ, მაგრამ იარაღით ჩვენ ვჯობდით, ნაპირზე გადასულთაგან არც ერთს თოფი არ გააჩნდა და, ვიდრე ისინი დამბაჩის სასროლზე მოგვიახლოვდებოდნენ, ჩვენი ფიქრით, შეგვეძლო, ბევრი მათგანი სიცოცხლეს გამოგვესალმებინა.

სკვაირი კიჩოს სარკმელთან მულოდებოდა. ცოტა ფერზე მოსულიყო. მან ხელი სტაცა ბაგირს, დაამაგრა და გამწარებით შევუდექით ნავის კვლავ დატვირთვას. ბარგს შეადგენდა ლორი, დენთი და ორცხობილა, აგრეთვე, თოფები და დაშნები სკვაირისთვის, ჩემთვის, რედრუთისა და კაპიტანისათვის. დანარჩენი იარაღი და თოფის წამალი წყალში ჩავყარეთ ორ-ნახევარი საზღვაო საჟენის¹ სიღრმეზე; ასე რომ, ვხედავდით მზის შუქში კრიალა ფოლადი როგორ კამკამებდა შორს, ქვემოთ, წმინდა სილიან ფსკერზე.

ამ დროს ზღვის უკუქცევა დაიწყო და ხომალდიც ღუზაზე შეტრიალდა. ნაპირზე მიბმული ორი ნავის მხრიდან ყრუდ მოისმა გადაძახილ-გადმოდახილები. ამან გაგვახსენა, რომ წასვლის დრო იყო.

რედრუთმა საფარს თავი მიანება და ჩამოხტა ნავში, რომელიც გემს ისე მივაყენეთ, რომ კაპიტან სმოლეთისათვის უფრო მარჯვედ ყოფილიყო.

— აბა, ყმაწვილებო, — დაიძახა მან, — გესმით ჩემი ხმა? არავინ გაეპასუხა.

— შენ გეუბნები, აბრაჰამ გრეი... შენ გეუბნები! კვლავ არავინ გასცა პასუხი.

— გრეი, — კვლავ დაიძახა მისტერ სმოლეთმა ცოტა უფრო ხმამაღლა, — მე გემს ვტოვებ და გიბრძანებ, შენს კაპიტანს გამო-

¹ საზღვაო საჟენი — (ინგლისურად *fathom*) 182 სმ. უდრის.

ჰყვე. ვიცი, გულში კარგი კაცი ხარ და, იმასაც ვიტყვი, რომ არც სხვები არიან ისე ცუდები, როგორც თავს აჩვენებენ. აი, ხელში საათი მიჭირავს: ოცდაათ წამს გაძლევ მოსაფიქრებლად!

დუმილი ჩამოვარდა.

— წამო, ჩემო კარგო, — განაგრძო კაპიტანმა, — ნულა ითრევ ფეხს. შენ გელოდები და ყოველ წამს სულ უფრო მეტ საფრთხეში ვაგდებ ჩემსა და ამ პატიოსანი ხალხის სიცოცხლეს!

უცბად ქვემოდან შეხლა-შემოხლის, დარტყმების ხმა გაისმა და ორიოდ წუთში ზვეით ამოიჭრა აბრაჰამ გრეი, რომელსაც ლოყაზე დანით მიყენებული ნაჭრილობევი ეტყობოდა. მან გამგონე ძალღვივით მოაშურა კაპიტანს.

— მეც თქვენთან გახლავარ, სერ, — თქვა მან.

მაშინვე ის და კაპიტანი ნაჟში ჩასხდნენ და ნაპირისკენ დავიდართით.

მართალია, გემს მოვწყდით, მაგრამ კუნძულზე მდებარე ძელურის მესრისგანაც ჯერ კიდევ შორს ვიყავით.

თავი მერვედი

ექიმი აგრძელებს თხრობას:

პატარა ნავის უკანასკნელი მგზავრობა

ეს მეხუთე მგზავრობა სრულიად განსხვავდებოდა ყველა დანარჩენისაგან. უპირველეს ყოვლისა, ჩვენი პატარა ნავი მეტი-მეტად მძიმედ გახლდათ დატვირთული. ხუთი ვაჟკაცი, მათგან სამი — ტრელონი, რედრუთი და კაპიტანი — ექვს ფუტზე უფრო მაღლები, უკვე აღემატებოდა მისი ტევადობის უნარს; ამას ერთვოდა დენთი, ლორი და პურის ტომრები. ნავის კიჩო პირამდე წყალში იჯდა. რამდენჯერმე შემოასხა კიდევ წყალმა და, ასიოდე იარღი არ გაგვევლო, რომ შარვალი და ქურთუკის კალთები დამისველდა.

კაპიტანმა ტვირთი გაგვაწონასწორებინა და ნავი ცოტა უფრო თანაბრად ჩაჯდა წყალში, მაგრამ მაინც სულის მოთქმისა გვეშინოდა.

მეორე მხრივ, ზღვის მიქცევამ დასავლეთის მძლავრი დინება შექმნა, რომელიც შემდეგ სამხრეთისაკენ და ზღვისაკენ მიემართებოდა და, დილით რომ შემოვედით, იმ სრუტეს დაუყვებოდა. ჩვენი მძიმედ დატვირთული ნავისთვის უბრალო ჭაულებიც სახიფათო იყო და ვეღარ ვახერხებდით კონცხს გაღმა ჩვენი ძველი მისადგომისაკენ გზის გაკვლევას. დინებას რომ მოეწვდომოდით, ნაუბთან მიგვაგდებდა, სადაც ყოველ წუთს შეიძლებოდა გამოჩენილიყვნენ მეკობრენი.

— ვეღარ ვახერხებ მესრისკენ გეზის დაჭერას, სერ, — მოვახსენე კაპიტანს. საჭესთან მე ვიჯექი, ხოლო ის და რედრუთი, ორი მოუღლეელი კაცი, ნიჩბებს უსვამდნენ. — მიქცევას მივყავართ. ეგებ ცოტა უფრო ღონივრად მოუსვათ?

— უფრო ღონივრად რომ მოუსვათ, წყალი შემოასხამს, — მითხრა მან. — მაგრად უნდა დაუდგეთ, სერ, მაგრად, სანამ თქვენსას არ გაიტანთ!

მიქცევა დასავლეთისაკენ გვეწეოდა, სანამ ნავის ცხვირი პირდაპირ აღმოსავლეთისკენ არ მიემართე.

— ამ ყოფით ნაპირს ვერასოდეს მივალწევთ, — ვთქვი მე.

— თუ ეგ ერთადერთი გეზია, რომლითაც თავის შეკავება შეგვიძლია, სერ, მაშინ მაგ გეზს არ უნდა ვუღალატოთ, — მომიგო კაპიტანმა, — ჩვენ დინების აღმა უნდა დავიჭიროთ გეზი. იქნებ ასე უკეთესიც იყოს, ხედავთ, სერ, — განაგრძო მან, — თუ ახლავე ჩვენი მისადგომი ადგილისკენ გავემართეთ, ძნელი იქნება გარჩევა, სად უნდა გადავსხდეთ ნაპირზე; თანაც, შეიძლება, ნაუბში მყოფი მეკობრეები დაგვესხნენ თავს. ამ გეზზე კი დინება ნელ-ნელა შესუსტდება და მაშინ შევძლებთ გზა ნაპირ-ნაპირ გავიკვლიოთ.

— დინება სუსტდება, სერ, — ჩაურთო სიტყვა გრემი, რომელიც ნავის ცხვირზე იჯდა, — შეგიძლიათ უკვე ცოტა ირიბად მიმართოთ ნავი.

— გმადლობთ, გეთაყვა, — ვუთხარი მე, თითქოს ცოტა ხნის წინ, არაფერი მომხდარიყოს, რადგან ყველამ ერთხმად გადავწყვიტეთ, ისე მოვპყრობოდით მას, როგორც ჩვენიანს.

უცბად კვლავ კაპიტანის ხმა გაისმა, ოღონდ შევატყვე, ცოტა შეშფოთებული იყო.

— ზარბაზანი! — შესძახა მან.

— ეგ მეც ვიფიქრე, — ვთქვი მე, რადგან, დარწმუნებული ვიყავი, ჩვენი თავშესაფრისთვის ყუმბარების დაშენას გულისხმობდა. — მაგრამ ეგენი ვერ შეძლებენ ზარბაზნის გადმოტანას ნაპირზე და, კიდევ რომ გადმოიტანონ, ტყეში ვერ გამოათრევენ.

— აბა, უკან მოიხედეთ, ექიმო, — მომიგო კაპიტანმა.

ზარბაზანი სრულიად გადაგვავიწყდა და ჩვენდა საუბედუროდ, ახლა მას ხუთი არაშადა შალითას ხსნიდა, როგორც ისინი ეძახდნენ სქელი ბრეზენტის საფარს, რომელიც მოგზაურობის დროს ზედ ეხვია. იმანაც გამიელვა მაშინვე თავში, რომ ზარბაზნის ყუმბარები და დენთიც ხელუხლებლად დაგვრჩა და ყველაფერი ბოროტმოქმედებს ჩაუვარდებოდათ ხელთ.

— იზრაველი ფლინტის მეზარბაზნე იყო, — თქვა გრემ ჩახლეჩილი ხმით.

გავბედეთ და ნავს პირდაპირ მისადგომი ადგილისაკენ ვუქენით პირი. ამასობაში დინებას იმდენად დაუაღწიეთ თავი, რომ ნიჩბის ნელი მოსმითაც მივიწევდით წინ და შემედლო მტკიცედ დამეჭირა გეზი მიზნისკენ. ოღონდ ცუდი ის იყო, რომ ახლანდელი გეზის წყალობით გემის პარალელურად მივცურავდით, ჩვენი ნავი კიჩოს ნაცვლად, მთელი სიგრძით მიუშვირეთ „ისპანიოლას“ და უფრო იოლი სამიზნე გავხდით.

მესმოდა და ვხედავდი რომით გამობრუებული არაშადა იზრაველ ჰენდზი ყუმბარას როგორ მოარახრახებდა გემბანზე.

— ვინ არის ჩვენ შორის ყველაზე უკეთესი მსროლელი? — იკითხა კაპიტანმა.

— მისტერ ტრელონის ვერავინ შეედრება, — ვუთხარი მე.

— მისტერ ტრელონი, ვერ მომაშორებთ თავიდან ერთ იმათგანს? სასურველია... ჰენდზს — მიმართა კაპიტანმა.

ამ შემთხვევაში ტრელონი ფოლადივით ცივი ბრძანდებოდა. თოფს ფალა გაუსინჯა.

— თუ შეიძლება, — შესძახა კაპიტანმა, — ფრთხილად იხმარეთ ეგ თოფი, სერ, თორემ ნავს გადააბრუნებთ. როცა მიზანში ამოიღებს, ყველანი მზად იყავით, წონასწორობა შეუნარჩუნოთ ნავს.

სკვადირმა თოფი ასწია; ნიჩბის მოსმა შეწყდა. ჩვენ მოპირდაპირე მხარეს გადავიხარეთ, რათა თოფის უკუცემით გამოწვეული ბიძგის დროს წონასწორობა დაგვეცვა და ყველაფერი ისე მარჯვედ მოვახერხეთ, რომ ერთ წვეთ წყალსაც არ შემოუსხამს.

ამასობაში ზარბაზანი საბრუნზე დადეს და შემოატრიალეს. ჰენდზი, რომელიც ზუმბით ხელში ლულასთან იდგა, ყველაზე უკეთ ჩანდა. ბედმა მაინც არ გაგვიღიმა, ვინაიდან რაწამს ტრელონიმ თოფი დაცალა, იგი ძირს დაიხარა, ტყვიამ თავზე გადაუქროლა და მის უკან მდგომი ოთხი მეკობრიდან ერთ-ერთი დაეცა.

ყვირილს, რომელიც მას აღმოხდა, არა მარტო ხომალდზე მყოფი მისი ამხანაგები გაეხმაურნენ, არამედ ნაპირიდანაც ბევრმა მისცა ხმა. გავიხედე იქით და დავინახე, რომ ტყიდან ჯგროდ გამოცვივდნენ სხვა მეკობრეები და ნაუებში ჩახტნენ.

— ნაუებით მოგვდევენ, სერ, — ვთქვი მე.

— მაშ, შინ გავწიოთ, — შესძახა კაპიტანმა. — ახლა აღარ ღირს ნავის მოფრთხილება. თუ ნაპირს დროზე ვერ მივაღწიეთ, ჩვენი საქმე ცუდად იქნება!

— მხოლოდ ერთ ნაუში ჩასხდნენ, სერ, — დავძინე მე, — დანარჩენები, ეტყობა, ნაპირ-ნაპირ მორბიან ჩვენთვის გზის მოსაჭრელად.

— კარგად სირბილი მოუხდებათ, სერ, — მომიგო კაპიტანმა. — ხმელეთზე მეზღვაური დიდი ვერაფერი მორბენალია. მე მაგათი დარდი არ მაქვს — ყუმბარისა მეფიქრება! იოლი სამიზნე ვართ! პირისფარეში გოგოც კი არ ააცილებს! გვითხარით, მისტერ ტრელონი, როცა სროლას დააპირებენ და ნიჩბის მოსმას შეწყვეტთ.

ამასობაში, ასე მძიმედ დატვირთული ნავის კვალობაზე, საკმაოდ სწრაფად მივიწვედით წინ და მხოლოდ ცოტაოდენი წყალი მოხვდა შიგ. ახლა შორს აღარ ვიყავით — ოცდაათი-ორმოცი მოსმა და ნაპირს მივადგებოდით, რადგან მიქცევამ უკვე გააშიშვლა ვიწროქვიშიანი ზოლი ნაპირს მოჯარულ ხეებს ქვემოთ, ამიტომ მტრის ნავის შიში აღარ გვქონდა. პატარა კონცხი ჩვენ შორის მოექცა და თვალთახედვიდან მოგვეფარნენ. დინება, რომელმაც ასე შეგვაფერხა, ახლა ჩვენს მდე-

ვარს აფერხებდა. საფრთხის ერთადერთი წყარო ზარბაზანილა გახლდათ.

— რომ არ მეშინოდეს, — თქვა კაპიტანმა, — ნავს გავაჩერებდი და ერთ კაცსაც მოვიშორებდით თავიდან.

მაგრამ აშკარა იყო, მათ განზრახვას, ესროლათ, აღარაფერი დააბრკოლებდა. ზედაც არ დაუხედავთ თავიანთი დაჭრილი ამხანაგისთვის, თუმცა იგი არ მომკვდარა და, გავარჩიე კიდევც, განზე გაცოცებას ცდილობდა.

— ახლა ისვრიან! — შესძახა სკვირმა.

— სდექ! — მაშინვე მიადევნა ბრძანება კაპიტანმა.

მან და რედრუთმა ისეთი ძალით მოუსვეს ნიჩბები უკუსვლისთვის, რომ ნავის კიჩო მთლიანად წყალში ამოევლო. ზარბაზანიც იმ წამს გავარდა. ვერავინ გაიგო, დანამდვილებით, სად გადაიარა ყუმბარამ, მაგრამ, მგონი, თავზე გადაგვიქროლა და ალბათ მის მიერ ჰაერში გაჩენილმა ტალღამ გამოიწვია ჩვენი ნავის ჩაძირვა.

ყოველ შემთხვევაში, ნავი ძალიან წყნარად დაეშვა კიჩოთი ფსკერზე სამი ფუტის სიღრმის წყალში. მხოლოდ კაპიტანი და მე დავრჩით სანახევროდ მშრალი, — დანარჩენი სამი მთლიანად წყალში ამოევლო და გალუმპულნი ფრუტუნით გაიმართნენ წელში.

დიდი არაფერი ზიანი მოგვსვლია; ჩვენიანი არავინ მომკვდარა და შეგვეძლო ნაპირზე მშვიდობიანად გავსულიყავით. მაგრამ, მთელი მარაგი ფსკერზე დაგვრჩა და, რაც კიდევ უფრო უარესი იყო, ხუთი თოფიდან სროლისთვის მხოლოდ ორილა ვარგოდა. ჩემი თოფი მაშინვე ავიტაცე და ინსტინქტურად თავს ზემოთ დავიჭირე; კაპიტანი კი თავის თოფს ფალასკასავით მხარზე მოგდებულს ატარებდა და, როგორც ჭკვიან კაცს, კონდახი ზემოთ ჰქონდა მოქცეული. დანარჩენი სამი ნავთან ერთად ჩაიძირა.

ჩვენდა სამწუხაროდ, უკვე ნაპირს მოახლოებულთა ხმებიც მოგვესმა ტყიდან და ისედაც გაჭირვებულ ყოფაში, არა მარტო მესრისკენ მიმავალი გზის მოჭრის საფრთხე შეგვექმნა, არამედ იმისაც შეგვეშინდა, ვაითუ, ჰანთერსა და ჯოისს უკვე დაესხნენ თავს, იმათ კი გულმა და სიმტკიცემ უმტყუნოთ-თქო. ვიცოდი,

ჰანთერი შეუპოვარი კაცი იყო, ოღონდ, ჯოისი გვეჭვებოდა — მსახურის კვალობაზე საამო, თავაზიანი კაცი ჩანდა და ჯაგრისით ტანსაცმლის გაწმენდა ემარჯვებოდა, მაგრამ დიდი ვერაფერი მეომარი ბრძანდებოდა.

ამ ფიქრებში გართულებმა, რაც შეგვეძლო სწრაფად გავტოპეთ ნაპირზე და ჩვენი საწყალი ნავი, დენთისა და სანოვანის მარაგითურთ, წყალში ჩავტოვეთ.

თავი მეთვრამეტი

ექიმი აგრძელებს თხრობას:

პირველი დღის ბრძოლის დასასრული

რაც ძალი და ღონე გვქონდა, მესრისაკენ მოკურცხლეთ და შევცვიოდით ტყის ზოლში, რომელიც ახლა მისგან გვყოფდა. ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე, უფრო და უფრო ახლოს ისმოდა მეკობრეთა ხმები. მალე მათი ფეხების ბაგაბუგი და ტოტების ლაწალუწიც გავიგონეთ; ეტყობოდა, ჯაგნარში მოიკაფავდნენ გზას.

ვგრძნობდი, ცხარე შეტაკება მოგველოდა და თოფს ფალია გავუსინჯე.

— კაპიტანო, — გადავულაპარაკე სმოლეტს, — ტრელონი სწორუპოვარი მსროლელია. თქვენი თოფი იმას მიეცით, მისი გამოუსადეგარია.

მათ შეცვალებს თოფები და ტრელონი მდუმარედ და მშვიდად, როგორც საერთოდ ამ დავიდარაბის დასაწყისიდანვე იყო, ერთი წამით შედგა, ყველაფერი რიგზეა თუ არა სროლისთვისო. ამ დროს შევნიშნე, რომ გრეის იარაღი არ გააჩნდა და ჩემი დაშნა გადავეცი. გული გაგვეხსნა სიხარულით, როცა დავინახეთ, როგორ დაიფურთხა მან ხელზე, შეიჭმუხნა წარბები და მახვილის პირი ჰაერში ააშხუილა. მისი საქციელი აშკარად მოწმობდა, რომ ჩვენი ახალი თანამებრძოლი იმედს არ გაგვიცრუებდა.

ორმოციოდე ნაბიჯის შემდეგ ტყის პირას გავედით და ჩვენს წინ მესერი დავინახეთ, რომელსაც სამხრეთის მხრიდან მივადექით; თითქმის იმავე დროს, სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხესთან, კისრის-

ტყებით მოძაული შვიდი მეამბოხეც გამოჩნდა ბოცმან ჯონ ენდერ-სონის მეთაურობით.

ისინი შეყოვნდნენ, თითქოს შეკრთნენო და, სანამ გონს მოვიდოდნენ, არა მარტო სკვაირმა და მე, არამედ ძელურში ჩასაფრებულმა ჰანთურმა და ჯოისმაც მოასწრეს სროლა. ოთხი ტყვია თითქმის ერთბაშად გაუარდა და კარგი საქმეც გააკეთა — მტრებიდან ერთი წაიქცა, დანარჩენებმა კი მაშინვე პირი იბრუნეს და ტყეს შეეროვნენ.

კვლავ დავტყენეთ თოფები და ღობეს ჩაყვებით დამარცხებული მტრის სანახავად. იგი უსულოდ ეგდო — შიგ გულში მოხვედროდა ტყვია.

ის იყო გამარჯვების სიხარული შეგვიდგა, რომ ბუჩქებში დამბაჩამ იჭექა, ტყვიამ ზედ ყურთან გამიზუზუნა, საწყალი ტომ რედრუთი წაბარბაცდა და მიწაზე გაიშხლართა. ორივემ, სკვაირმა და მეც, ვისროლეთ საპასუხოდ, მაგრამ, რაკი სამიზნე არ ჩანდა, ალბათ ფუჭად დავხარჯეთ ტყვია. შემდეგ ისევ გავტყენეთ თოფები და საბრალო ტომს მივუბრუნდით.

კაპიტანი და გრეი უკვე სინჯავდნენ მას. ერთი თვალის გადავლებით მივხვდი, საწყალს აღარაფერი ეშველებოდა.

მე მგონი, ჩვენმა სწრაფმა საპასუხო სროლამ ერთხელ კიდევ გაფანტა მეამბოხენი და მესერზე ისე გადაუათრიეთ და ძელურში ისე შევიყვანეთ საბრალო მოხუცი, რომელსაც სისხლი სდიოდა და კვნესოდა, აღარავის შეუწუხებოდა.

საწყალ ბერიკაცს შეშფოთების, ჩივილის ანდა შიშის სიტყვაც არ დასცდენია გასაჭირში ჩვენი ჩავარდნის წუთიდან იმ დრომდე, როცა იგი ძელურში სასიკვდილო სარეცელზე დავასვენეთ. იგი ტროელივით¹ იდგა ლეიბის საფარს უკან გემის გასასვლელში; ყოველ განკარგულებას სიტყვის შეუბრუნებლად, გულმოდგინედ და წარმატებით ასრულებდა; ყველაზე მხცოვანი იყო გემზე და ახლა ეს სიტყვაძვირი, თავაზიანი მოხუცი უნდა მომკვდარიყო.

¹ ტროელი — ტროის, მცირე აზიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარე უძველესი ქალაქი-სახელმწიფოს, მკვიდრი. აქ „ტროელი“ ნახმარია შეუდრეკელი, მამაცი მეომრის სინონიმად.

სკაირი მუხლებზე დაეცა მის წინაშე და ხელზე ემთხვია, თან ბავშვივით გულამომჯდარი ქვითინებდა.

— მივდივარ, ექიმო? — მკითხა მოხუცმა.

— ტომ, გეთაყვა, — ვუთხარი მე, — შინ მიდიხარ.

— ნეტავი ერთხელ მაინც მომესწრო თოფის სროლა, — თქვა მან.

— ტომ, — ჩაილაპარაკა სკაირმა, — გთხოვ, მაპატიე, თუ რამ მიწყენინებია.

— განა ეგ წესიერი იქნება ჩემი მხრიდან, სერ, რომ საკუთარი ბატონის საქციელი განვსაჯო? — მიუგო მან, — ყველაფერი ღვთის ნებაა, ამინ!

მერე დუმილის შემდეგ გვთხოვა, ეგებ ვინმემ ლოცვა თქვასო.

— ჩვეულება გახლავთ, სერ, — ბოდიშის მოხდით დასძინა მან და დიდხანს აღარ გაუვლია, ხმაამოუღებლივ მიიცვალა კიდეც.

ამასობაში კაპიტანმა, რომელსაც მკერდი და ჯიბეები საოცრად გამოჰბეროდა, ნაირ-ნაირი საგანი ამოალაგა: ბრიტანეთის დროშა, ბიბლია, მაგარი კანაფის გორგალი, საწერ-კალამი, გემის ჟურნალი და ფუნტობით თუთუნი. შემოდობილში იპოვა მოჭრილი, გასხეპილი ნაძვი და ჰანთერის დახმარებით ძელურის კუთხეში აღმართა იგი. შემდეგ სახურავზე აფოფხდა და საკუთარი ხელით მიამაგრა ზედ დროშა.

ჩანდა, ამან დიდი შვება მიანიჭა. კვლავ შემოვიდა შიგნით და ისე მიუჯდა მარაგის გადათვლას, თითქოს ქვეყანაზე სხვა სადარდებელი არ ჰქონოდა. ცალი თვალი მაინც ტომისაკენ ეჭირა და, როგორც კი გარდაიცვალა, სხვა დროშა ამოიღო და მოწიწებით გადააფარა მის გვამს.

— ნუ დაღონდებით, სერ, — უთხრა მან სკაირს და ხელი ჩამოართვა, — ის თავისი მოვალეობის შესრულების დროს დაიღუპა, თავისი კაპიტანისა და პატრონისათვის დადო თავი და არაფერია საგლოვი. შეიძლება ღვთისმეტყველებაში გაწაფული არა ვარ და სწორად ვერ ვამბობ, მაგრამ, ასე კი არის.

მერე განზე გამიხმო.

— ექიმო, — მითხრა მან, — რამდენ კვირაში ელით თქვენ და სკაირი მაშველ ხომალდს?

მე ავუხსენი: ეს კვირების კი არა, მთელი თვეების ამბავია-მეთქი — თუ აგვისტოს ბოლოს არ დავბრუნდებოდით, ბრენდლის ჩვენს საძებნად გემი უნდა გამოეგზავნა, მაგრამ არც უფრო ადრე და არც უფრო გვიან.

— ახლა თქვენ თვითონ განსაჯეთ, — დაუძინე მე.

— ჰოდა, — მომიგო კაპიტანმა და კეფა მოიქექა, — რაც უნდა გვწყალობდეს ბედი, უნდა მოგახსენოთ, რომ ძალიან გაგვიჭირდება.

— როგორ? — ვკითხე მე.

— სამწუხაროა, მეორე გზაზე ტვირთი რომ დაუკარგეთ. მინდა გითხრათ, — მიპასუხა კაპიტანმა, — ტყვია-წამალი სამყოფი გვაქვს, მაგრამ სურსათის მარაგია მცირე, ისე მცირე, ექიმო ლივსი, რომ, ეგებ ჯობია კიდევ, ერთი მჭამელი რომ გამოგვაკლდა, თან დროშის ქვეშ გვაშზე მანიშნა.

სწორედ ამ დროს გრუხუნითა და სტვენით ყუმბარამ გადაუქროლა ძელურს და ჩვენ უკან ტყეში გაისმა გრიალი.

— ოჰო, — შესძახა კაპიტანმა, — უბათქუნეთ, უბათქუნეთ! მალე შემოგაკლდებათ დენთი, ჩემო ძვირფასებო!

მეორე ცდაზე უკეთესად დამიზნებული გამოუვიდათ. ყუმბარა მესერს შიგნით დაეცა, ქვიშის ბული დააყენა, მაგრამ სხვა არაფერი დაუზიანებია.

— კაპიტანო, — თქვა სკვაირმა, — ეს სახლი გემიდან სულ არა ჩანს. ალბათ დროშას თუ უმიზნებენ. არ ემჯობინება, ჩამოვხსნათ?

— ჩემი დროშა ჩამოვხსნათ! — შესძახა კაპიტანმა. — არა, სერ, მე მაგას ვერ ვიზამ!

და, როგორც კი ეს სიტყვები წარმოთქვა, ყველანი დავეთანხმეთ მას; რადგან ჩვენი სიმაგრის თავზე აღმართული დროშა არა მარტო ჩვენ გვმატებდა ძალასა და სიამაყეს, არამედ ჩვენს მტრებს უჩვენებდა, რომ არად ვაგდებდით მათი ზარბაზნის ბათქაბუთქს.

მთელი საღამო გრძელდებოდა ზარბაზნის გრიალი. ყუმბარა ყუმბარაზე ეცემოდა ჩვენი მესრის წინ, ანდა თავზე გადაგვიქროლებდა, ან კიდევ შემოღობილში თხრიდა ქვიშას; რაკი მთის ბორცვი გვიფარავდა, იძულებული იყვნენ, ისე მაღლა ესრო-

ლათ, ვერც წესიერად გვიმიზნებდნენ, ამიტომ ყუმბარა ძალას კარგავდა, მოწყვეტით ვარდებოდა ძირს და უმეტესად ქვიშაში ეფლობოდა. თუმცა, ერთმა მათგანმა სახურავი გახვრიტა და იატაკსაც გაატანა. მალე შევეჩვიეთ ამ უკუღმართ თამაშს და ისე აღარ ვაგდებდით აინუნში, როგორც ჭრიჭინობელას ჭრიჭინს.

— მთელ ამ საქმეს ერთი სიკეთე მაინც ახლავს, — შენიშნა კაპიტანმა. — ეტყობა, ჩვენს ირგვლივ ტყე გაწმენდილია მეკობრეებისგან; ზღვის მიქცევა კარგა ხანია გრძელდება; წყალში ჩაძირული ჩვენი მარაგი ალბათ გამოჩნდებოდა. მოხალისეებს შეუძლიათ წავიდნენ და გადმოზიდონ ლორი.

პირველად გრეიმ და ჰანთერმა იკისრეს წასვლა. კარგად შეიარაღებულნი გადაიპარნენ მესერზე, მაგრამ ფუჭად ჩაუარათ ცდამ. მეამბოხენი უფრო გულადები გამოდგნენ, ვიდრე გვეგონა, ან იზრავლის მეზარბაზნეობის იმედი ჰქონდათ, რადგან ოთხი თუ ხუთი მათგანი გაფაციცებით ეზიდებოდა ჩვენს მარაგს უახლოესი ნავისკენ, რომელსაც დროდადრო ნიჩბის მოსმით აკავებდნენ, რათა დინებას არ გაეტაცა. კიჩოზე სილვერი წამომჯდარიყო და მბრძანებლობდა, თანაც ყველას თითო თოფი ჰქონდა ჩამორიგებული მათ მიერ გადამალული რომელიღაც საწყობიდან.

კაპიტანი კუნძთან ჩამოჯდა და, სანაოსნო ჟურნალის შევსება დაიწყო:

„ალექსანდრ სმოლეთი — კაპიტანი; დევიდ ლიუსი — გემის ექიმი; აბრაჰამ გრეი — დურგლის თანაშემწე; ჯონ ტრელონი — გემის პატრონი; უონ ჰანთერი და რიჩარდ ჯოისი — გემის პატრონის მსახურები, — ყველანი, ვინც კი თავისი მოვალეობის ერთგულნი დარჩნენ გემის ეკიპაჟიდან — საკვების ათი დღის მარაგით გადმოსხდნენ დღეს ხმელეთზე და აღმართეს ბრიტანეთის დროშა განძის კუნძულზე მდებარე ძელურის თავზე. ტომას რედრუთი, გემის პატრონის მსახური, მეამბოხეებმა მოკლეს. ჯეიმზ ჰოკინზი, გემის იუნგა...“

სწორედ მაშინ, მეც საბრალო ჯიმ ჰოკინზის ბედზე ვფიქრობდი. უცებ ტყის მხრიდან ვიღაცა შემოგვეხმაურა...

— ვილაც იძახის, — თქვა ჰანთურმა, რომელიც გუშაგად იდგა.
— ექიმო! სკვაირო! კაპიტანო! ჰეი, ჰანთურ, ეს შენა ხარ? —
ისმოდა ხმა.

კართან იმ დროს მივუარდი, როცა საღსალამათი ჯიმ ჰოკინზი
მესერზე გადმოდიოდა.

თავი მეცხრამეტი

კვლავ ჯიმ ჰოკინზი აგრძელებს თხრობას: მეციხონენი ძელურში

როგორც კი ბენ განმა თვალი მოჰკრა დროშას, შედგა, მეც შე-
მაჩერა და დაჯდა.

— შეხედე, — თქვა მან, — იქ უთუოდ შენი მეგობრები არიან.

— უფრო მტრები უნდა იყვნენ, — მივუგე მე.

— იქა? — შესძახა მან: — ამ ადგილას, სადაც ბედ-ილბლის
ვაჟკაცები ბინადრობენ, უეჭველი, სილვერი მეგობრეთა შავ დრო-
შას ააფრიალებდა. არა, ეგენი შენი მეგობრები არიან! შეხლა-შე-
მოხლაც იქნებოდა. მე მგონი, შენმა მეგობრებმა გაიმარჯვეს და
ახლა ისინი ნაპირზე იმყოფებიან ძველი მესრის შიგნით, ფლინტმა
რომ გააკეთა დიდი ხნის წინათ. ეჰ, აი, იმასა ჰქონდა გოგრა, იმ
ფლინტს! რომი რომ არა, მისი ბადალი არავინ იყო. არავისი არ
ეშინოდა, არავისი, სილვერის გარდა... სილვერი იყო ის ვაჟბატო-
ნი...

— კარგი — ჩავურთე მე, — ეგ შეიძლება ეგრეც არის, მაშინ კი-
დე უფრო მეტი საბუთი მაქვს, რომ ავჩქარდე და ჩემს მეგობრებს
შევუერთდე.

— არა, მეგობარო, — მიუგო ბენმა, — ჯერ მოიცა. შენ კარგი
ბიჭი ხარ, თუ გული არ მატყუებს; მაგრამ, რაც უნდა იყოს, მაინც
ბიჭი ხარ. ბენ განი ჭკვიანი ვინმეა. რომიც ვერ მიმადგმევინებს
ფეხს იქ, სადაც შენ მიდიხარ... რომიც! სანამ არ ვნახავ ნამდვილ
ჯენტლმენს და პატიოსან სიტყვას არ ჩამოვართმევ! თანაც ჩემს
სიტყვას ნუ დაივიწყებ: გაცილებით უფრო, ასე უთხარი, გაცილე-
ბით უფრო გენდობა-თქო... და მერე უჩქმიტე.

და მან შესამედ მიჩქმიტა ეშმაკურად.

— და როცა ბენ განი დასჭირდებათ, იცი, სადაც უნდა მიპოვონ, ჯიმ, სწორედ იქ, სადაც დღეს მნახე. ვინც მოვა, თუთრი რამ უნდა ეჭიროს ხელში და მარტო უნდა მოვიდეს. ჰოდა, როგორც დაგარიგე, შენ იტყვი, „ბენ განს-თქო, თავისი საკუთარი მიზეზები აქვს-თქო“.

— აჰა, — ვთქვი მე, — მგონი, მოხვდით: შენ გინდა რაღაც პირობა დაგვიდო; გსურს სკვადრი ანდა ექიმი ნახო, პოვნით კი იქ გიპოვიან, სადაც დღეს შეგ ხვდით. სულ ეგ არის?

— მერე როდის? რატომ არ მეკითხები? ასე უთხარი, — დაუმატა მან, — შუადღიდან ექვს შუშამდე აქვს მიღება-თქო, ასე გადაეცი.

— კარგი, — ვუთხარი მე, — ახლა შემიძლია წავიდე?

— ხომ არ დაგავიწყდება? — აღელვებით დამეკითხა იგი, — თავისი საკუთარი მიზეზები აქვს-თქო, თავისი საკუთარი მიზეზები — ეს არის მთავარი. ვაჟკაცურად მოვილაპარაკოთ-თქო. ჰო, ახლა, — თან ხელს არ მიშვებდა, — მგონი შეიძლება წახვიდე, ჯიმ. თუ სილვერი დაგხვდა იქ, ხომ არ უღალატებ ბენ განს? ქანჩითაც ხომ ვერ ამოგგლეჯენ პირიდან მის ამბავს? არა-თქო, თქვი. მერე, თუ ის მეკობრეები ნაპირზე დაბანაკდნენ, ჯიმ, დილით ხომ არ გადაიფიქრებ... ამ დროს გრიალმა გააწყვეტინა სიტყვა. ზარბაზნის ყუმბარა ლაწალუწით შემოიჭრა ხეებში და სადაც ჩვენ ვლაპარაკობდით, იქიდან ასიოდე ნაბიჯზე ქვიშაში ჩაეფლო. იმავე წამს ორივემ სხვადასხვა მიმართულებით მოუსვით.

მერე მთელი საათი აზანზარებდა კუნძულს ზარბაზნის გრიალი და ყუმბარები ხათქახუთქით ცვიოდა ტყეში. მე ერთი საფრიდან მეორეში გადავრბოდი და მეჩვენებოდა, თითქოს მე მომდევდნენ ფეხდაფეხ ეს თავზარდამცემი მოციქულები. სროლა ცოტა მინელდა, თუმცა კვლავ ვერ ვბედავდი მესრისკენ გეზის აღებას, სადაც ყუმბარები უფრო ხშირად ეცემოდა; მაინც ცოტა გული მომეცა და აღმოსავლეთის მხრიდან, შორი გზით მოვლის შემდეგ სანაპიროზე მდგარი ხეებისაკენ ჩამოვიპარე.

მზე, ის-ის იყო, ჩავიდა. ზღვის ნიავი შრიალებდა, ტყეს ახმაურებდა და სრუტის რუხ ზედაპირზე ჭავლებს აჩენდა. მიქცევის

ტალღაც კარგა შორს ჩაწეულიყო და ქვიშის ფართო ზოლი გაეშეშვლებინა. დღის პაპანაქების შემდეგ სიცოვე ქურთუკში ატანდა.

„ისპანიოლა“ კვლავ ძველ ადგილას იდგა ღუზაზე. მაგრამ მის თავზე მართლაც „მხიარული როჯერი“¹ — მეკობრეთა შავი დროშა ფრიალებდა. სწორედ იმ წუთში, მე რომ შევხედე, კიდევ გამოტყვრა იქიდან ცეცხლის ენა და გაისმა გრიალი, რომელსაც გრუხუნით ხმა მისცა მიდამომ, და კიდევ ერთმა ყუმბარამ გაიზუზუნა ჰაერში. ამით დასრულდა კიდევ ზარბაზნის სროლა.

ცოტა ხანს ვიწექი და ვუთვალთვალედი ფაციფუცს, რომელიც იერიშს მოჰყვა. სანაპიროზე, მესრის სიახლოვეს ვიდაცები ცულებით ჩეხდნენ რაღაცას, შემდეგ მივხვდი — ჩვენს პატარა ნავს. შორს, მდინარის შესართავთან დიდი ცეცხლი გუზგუზებდა ხეებში; ხოლო იმ ადგილსა და გემს შორის, ნავი მიდი-მოდოდა და შინ მსხდომნი, რომელნიც ისე პირქუშად მახსოვდნენ დილით, ბავშვებით ხალისითა და ყვირილ-ჭყვივლით უსვამდნენ ნიჩბებს. ხმის კილოზე ეტყობოდათ, რომ უკვე რომი შესჯდომოდათ თავში.

ბოლოს ვიფიქრე, ახლა შეიძლება მესრისკენ მობრუნება-მეთქი. საკმაოდ შორს ვიყავი ჩასული დაბალ ქვიშნარზე, რომელიც აღმოსავლეთიდან უვლიდა ნავსადგომს და ზღვის მიქცევის დროს, ჩონჩხის კუნძულს უერთდებოდა. როცა წამოვდექი, მოშორებით, ქვიშნარის დაყოლებაზე, დაბალი ჯაგნარიდან განმარტოებით თავამოყოფილი საკმაოდ მაღალი და უცნაური თეთრი ფერის კლდე დავინახე. თავში გამიელვა, რომ ეს სწორედ ის თეთრი კლდე უნდა ყოფილიყო, რომელიც ბენ განმა ახსენა და, თუ ოდესმე ნავი დამჭირდებოდა, მეცოდინებოდა, სად მომეძებნა იგი.

შემდეგ ნაპირ-ნაპირ გავყევი ტყეს, მესერს ზურგიდან, ანუ ხმელეთის მხრიდან, შემოვუარე და მალე ჩემი მისვლით გახარებული მეკობრების წრეში ამოვყავი თავი.

სწრაფად მოვითავე სათქმელი და იქაურობის თვალიერება დავიწყე. მთელი ძელური — სახურავი, კედლები და იატაკი გაურანდავი ძელებისაგან გაეკეთებინათ. იატაკი ბევრგან ფუტით ან

¹ „მხიარული როჯერი“ — მეკობრეთა შავი ალაში, რომელზეც გამოსახული იყო ადამიანის თავის ქალა და გადაჯვარდინებული წვივის ძვლები.

ფუტ-ნახევრით იყო დაშორებული ქვიშიან ნიადაგს. კარს პარმალი ჰქონდა წინ და გადმოხურულს ქვეშ პატარა წყარო ჩაედინებოდა უცნაური შესახედაობის ხელოვნურ აუზში, რომელიც სხვა არა იყო რა, თუ არ გემის ძირგავარდნილი, სანახევროდ ქვიშაში ჩაფლული დიდი ქვაბი.

შიგნით ბევრი არაფერი იდგა; მხოლოდ ერთ კუთხეში, ცეცხლის დასანთებად იღო ქვის ფილა, რომელიც კალათის ფორმის რკინის ცხაურით იყო შემოზღუდული, ნაკვერჩხალი რომ არ გადმოცვენილიყო ხის იატაკზე.

ახლომდებარე ბორცვის ფერდობები ქოხის ასაგებად გაეჩხათ და გადანაჭრებზე ეტყობოდა, რა მშენიერი მაღალი კორომი გაენადგურებინათ. ხეების გაკაფვის შემდეგ ნიადაგის უმეტესი ნაწილი წვიმას ჩაერეცხა, ანდა ქარით მოტანილ ქვიშას დაეფარა. მხოლოდ იქ, ქვევით, სადაც ქვაბიდან გადმოდენილი წყარო ქვიშიან კალაპოტში ჩამჯდარი მიიკვლევდა გზას, კვლავ სქლად ხასხასებდა ხავსი, გვიძრა და დაბალი, ჯუჯა ბუჩქნარი, გარშემო მესერს ძალიან ახლოს (ამბობდნენ, თავდაცვისათვის ფრიად საზიანოდ) მოსჯარვოდა მაღალი და ხშირი ტევრი; ხმელეთის მხარეს სულ ნაძვისა, ხოლო ზღვისაკენ მარადმწვანე მუხაც მრავლად შერეოდა.

საღამოს ცივი ნიავი სტვენით უბერავდა ტლანქად აგებული შენობის ყოველ ნაპრალში და იატაკზე განუწყვეტლივ აფრქვევდა წმინდა სილას. სილა გვქონდა თვალეებში, კბილებში, საჭმელში, სილის მარცვლები ცეკვავდა წყაროს წყალში, ქვაბის ფსკერზე, სწორედ ისე, როგორც საფაფე ბურღულმა იცის ხოლმე დუღილის დასაწყისში. ბუხრის მილის მაგიერ ოთხკუთხა ხერელი იყო დატოვებული სახურავში. იქ მხოლოდ კვამლის მცირე ნაწილი ადიოდა, დანარჩენი სახლშივე ტრიალებდა და მუდამ ხველასა და ცრემლის დენაში ვიყავით.

ამას ისიც დაუმატეთ, რომ ახალშემომატებულ გრეის სახე ჰქონდა გადახვეული მეამბოხეების ხელიდან გასხლტომის დროს მიღებული ჭრილობის გამო და საწყალი მოხუცი ტომ რედრუთიც ჯერ დაუძარხავი იწვა კედელთან, ბრიტანეთის დროშის ქვეშ უძრავად გაჭიმული და გაშეშებული.

ჩვენ რომ გულხელდაკრეფილნი ვმსხდარიყავით, ყველანი დავიზაფრებოდით, მაგრამ კაპიტანი სმოლეთი ისეთი კაცი არ გახლდათ, ამის ნება მოეცა. ყველა გამოიძახა და ორ ჯგუფად გაჰყო. ექიმი, გრეი და მე ერთ გუნდში მოვექეცით; სკვაირი, ჰანტერი და ჯოისი — მეორეში. თუმცა დაღლილნი ვიყავით, ორი კაცი შეშისთვის გაიგზავნა; კიდევ ორი რედრუთის სამარის თხრას შეუდგა; ექიმს მზარეულობა მიენდო; მე გუშაგად დამაყენეს კარში; ხოლო კაპიტანი კი ხან ერთთან მიდიოდა, ხან მეორესთან, ამხნევებდა მათ და, სადაც საჭირო იყო, ხელსაც წააშველებდა ხოლმე.

დროდადრო ექიმი მოადგებოდა კარს სუფთა ჰაერით ცოტა სულის მოსათქმელად და თვალებისათვის შეღავათის მისაცემად, რომლებიც ბოლმა თითქმის დასთხარა და, როცა მოვიდოდა, თითო-ოროლა სიტყვითაც გამომეხმაურებოდა.

— ეგ სმოლეთი, — გადმომილაპარაკა ერთხელ, — ჩემზე უკეთესია და რაკი თავად ვაღიარებ ამას, მართლა რაღაცას ნიშნავს ჯიმ.

მეორეჯერ რომ მოადგა კარს, ცოტა ხანს დუმდა. მერე ჩემკენ მოაბრუნა თავი და ყურადღებით შემომხედა.

— მაგ ბენ განს დაეჯერება? — მკითხა მან.

— არ ვიცი, სერ, — მოვახსენე მე. — ბოლომდე არა ვარ დარწმუნებული, რომ ის საღ ჭკუაზეა.

— ალბათ, ასეც არის, — მომიგო ექიმმა. — კაცი, რომელიც სამ წელიწადს საკუთარ ფრჩხილებს იღრღნიდა უდაბურ კუნძულზე, შენსავით ან ჩემსავით საღ გონებაზე ვერ იქნება, ჯიმ. ადამიანის ბუნება ვერ უძლებს მარტობას! რაო, ყველს ნატრულობდაო?

— დიახ, ბატონო, ყველს, — ვუპასუხე მე.

— ჰოდა, ჯიმ, — მითხრა მან, — ახლა, დაინახავ, რა სასარგებლოა, როდესაც სასუსნავი გიყვარს; ხომ გინახავს ჩემი ბურნუთის კოლოფი, განა ოდესმე შეგიძინებია, იქიდან ბურნუთი ამომეღოს? ამის მიზეზი ის გახლავს, რომ ჩემს ბურნუთის კოლოფში პარმეზანის ყველის ნატეხი მიდევს. ამ ყველს იტალიაში აკეთებენ და ძალიან ნოყიერია. ჰოდა, ეგ ბენ განისთვის იქნება!

ვახშობამდე მოხუცი ტომი მიწას მივაბარეთ და ერთხანს მისი სამარის გარშემო თავშიშველნი ვიდექით ნიაგზე. შეშა ბლომად შე-

მოზიდეთ, მაგრამ კაპიტანს მაინც ეცოტავა თვალში და გვითხრა: ხვალ უფრო გულმოდგინედ უნდა მოუკიდოთ ამ საქმეს ხელიო. შემდეგ, როცა ვივანშემეთ და თითო მოზრდილი ჭიქა გროგიც და-ვაყოლეთ, კაპიტანი, სკვაირი და ექიმი კუთხეში შეიკრიბნენ მომა-ვალი გეგმის დასაწყობად.

ეტყობოდა, აღარ იცოდნენ, რა ელონათ, რადგან სურსათი ისე ცოტა გვქონდა, ვიდრე მაშველი გემი მოაღწევდა, სული ამო-გვძვრებოდა შიმშილით. გადაწყდა, მანამდე გვეხოცა მეკობრეები, სანამ არ დაგვნებდებოდნენ, ან „ისპანიოლათი“ არ გაიქცეოდნენ კუნძულიდან. ცხრამეტეიდან უკვე თხუთმეტზე ჩამოვიდნენ; ორი კიდევ დაჭრილი ჰყავდათ და ერთი მათგანიც, რომელსაც ზარბა-ზანთან მოხვდა ტყვია, მკვდარი თუ არა, მძიმედ დაჭრილი მაინც იქნებოდა. ყოველთვის, როდესაც თოფის სასროლ მანძილზე წა-ვასწრებდით, სახეირო შემთხვევა არ უნდა გაგვეშვა ხელიდან; ოღონდ ჩვენს თავსაც ძლიერ უნდა გავფრთხილებოდით. გარდა ამისა, ორი მძლავრი მოკავშირეც გვყავდა — რომი და კუნძულის ჰავა.

რომი უკვე მოქმედებდა — თუმცა ნახევარი მილით მაინც ვი-ყავით დაშორებული გემისგან, მაინც გარკვევით გვესმოდა მათი მთვრალი ღრიანცელი და სიმღერა; ხოლო ჰავასთან დაკავშირე-ბით, ექიმი თავის პარიკს იფიცებდა, — რაკი ჭაობში არიან დაბა-ნაკებულნი, უწამლოდ ერთ კვირაში მეკობრეების ნახევარი მაინც გულაღმა დაეყრებაო.

— ამგვარად, — დასძინა მან, — თუ თავიდანვე ყველანი არ ამო-გვხოცეს, მალე თავად აიბარგებიან აქედან. მათთვის გემია მთავა-რი, რომ თავისი ძველი საქმიანობა — მეკობრეობა გააგრძელონ!

— ეს პირველი გემია, რომელიც მე დავკარგე, — დანანებით თქვა კაპიტანმა სმოლეტმა.

დაღლილობისაგან მისავათებული ვიყავი და როცა მივწექი, მართალია, დიდხანს ვიტრიალე შამფურივით, მაგრამ მერე მკვდა-რივით დამეძინა.

სხვები კარგა ხნის ამდგარნი იყვნენ, ფაციფუცმა და ხმაურო-ბამ რომ გამაღვიძა. უკვე ესაუზმათ კიდევც და ბლომად შეშაც მოე-ტანათ.

— თუთრი დროშა! — მომესმა ვიღაცის ხმა, რასაც მაშინვე განცვიფრებული შეძახილიც მოჰყვა:

— თვითონ სილვერი!

ამ სიტყვებზე მეც წამოვხტი, თვალები მოვიფშენიბე და კედელში დატანებულ სათოფურს ვეცი.

თავი მეოცე სილვერის მოციქულობა

მესერს ორი კაცი მოსდგომოდა. ერთი თუთრ ქსოვილს აფრიალებდა, მეორე, პირადად სილვერი, წყნარად იდგა მის გვერდით.

ჯერ ძალიან ადრე იყო და, მე მგონი, არც არასოდეს განმიცდია ასეთი ცივი დილა; სუსხი ძველ-რბილში ატანდა. ცა მოწმენდილ-მოკრიალებული გახლდათ, ხეების კენწეროები ვარდისფრად ღვიოდნენ მზის შუქში. მაგრამ იქ, სადაც სილვერი და მისი მხლებელი იდგნენ, კვლავ ჩრდილი იდგა და მუხლებამდე სწვდებოდათ დაბალი, თუთრი ნისლი, რომელიც დამე ლაქაშიდან ამოცოცებულიყო. სუსხი და ნისლი კუნძულისათვის კარგს არას მოასწავებდა — იგი აშკარად ნოტიო, ციებიანი და ჯანმრთელობისათვის მავნე ადგილი ჩანდა.

— გარეთ არ გახვიდეთ, მეგობრებო, — თქვა კაპიტანმა, — ნიძლავს ვდებ, ათს ერთის წინააღმდეგ, რომ ეს რაღაც ხრიკია!

მერე მეგობრებს შეეხმაურა:

— ვინ არის? შესდექ, თორემ გესვრით!

— სამშვიდობო აღმით ვართ! — დაიძახა სილვერმა.

კაპიტანი პარმალზე იდგა, ოღონდ ფრთხილად ეჭირა თავი, რომ, თუ ღალატი ედოთ გულში, ტყვიას არიდებოდა. იგი მოგვიბრუნდა და გვითხრა:

— ექიმის ჯგუფი — საგუშაგოზე! ექიმო, თქვენ ჩრდილოეთის მხარე დაიჭირეთ, გეთაყვა; ჯიმ, შენ — აღმოსავლეთის; გრეი — დასავლეთის, მეორე ჯგუფმა თოფები ტენოს. სწრაფად, ბიჭებო და, გაფრთხილდით!

შემდეგ ისევ მეამბოხეებს მიუტრიალდა.

— მერედა, რა გნებავთ მაგ თქვენი სამშვიდობო ალმით? — გას-
ძახა მან.

ამჯერად უკვე მეორემ გასცა პასუხი.

— კაპიტან სილვერს უნდა, სერ, თქვენთან ამოვიდეს და ხელშე-
კრულება დადოს. — დაიყვირა მან.

— კაპიტან სილვერს?! მე ასეთს არ ვიცნობ! ვინა ბრძანდება?
— შესძახა კაპიტანმა და გავიგონეთ თან როგორ ჩაილაპარაკა
თავისთვის: — კაპიტანიო? თავო ჩემო, რა ძალე დაწინაურებულა!

აყლაყულა ჯონმა თვითონვე უპასუხა.

— ეგ მე გახლავარ, სერ. ამ საწყალმა ბიჭებმა, თქვენ რომ თავი
აარიდეთ სამსახურს, მე ამირჩიეს კაპიტნად, — თანაც, განსაკუ-
თრებული ტკეპნით წარმოთქვა „თავი აარიდეთ“. — ჩვენ ძველე-
ბურად დაგემორჩილებით, თუ შევთანხმდებით და არაფერი იქნა
საშიში. მანამდე კი იმას გთხოვთ, სიტყვა მომცეთ, კაპიტანო სმო-
ლეტ, რომ საღად და უვნებლად გამიშვებთ ამ მესერს გარეთ, ვი-
დრე სათოფე მანძილს არ გავცდები.

— ჩემო ძვირფასო, — მიუგო კაპიტანმა სმოლეტმა, — მე არა-
ფერი მაქვს თქვენთან სალაპარაკო. თუ თქვენ გაქვთ რაიმე სათქმე-
ლი, შეგიძლიათ მობრძანდეთ, ეგ არის და ეგ. თუ რაიმე მუხთლობა
გაქვთ ჩაფიქრებული თქვენს თავს დააბრალეთ!

— ეგ საკმარისია, კაპიტანო, — მხიარულად დაიძახა აყლაყუ-
და ჯონმა. — ერთი თქვენი სიტყვა სრულიად საკმარისია. დარწ-
მუნებული ბრძანდებოდეთ, მე შემიძლია ნამდვილი ჯენტლმენის
ცნობა!

ვხედავდით, ალმიანი კაცი როგორ ცდილობდა, სილვერი არ გა-
მოეშვა. ეს არც იყო გასაკვირი, რაკი ნახა, რა მკვახე პასუხი გასცა
კაპიტანმა. მაგრამ მის ლაპარაკზე სილვერმა ხმამაღლა გაიცინა
და ზურგზე ხელი დაუტყაპუნა, ვითომდა სისულელეა ღალატზე
ფიქრიო. შემდეგ მესერს მოადგა; ჯერ ყავარჯენი გადმოსდო, მერე
ფეხი ასწია. დიდი სიმარჯვითა და სიმკვირცხლით მოაჯდა ღობეს
და მშვიდობით დაეშვა მეორე მხარეს.

უნდა ვაღიარო, ისე ძალიან გამიტაცა ამ ამბებმა, რომ სულაც
აღარ ვვარგოდი გუშაგად. მივატოვე კიდევაც ჩემი სათოფური და
კაპიტნის ზურგს უკან დავდექი, რომელიც ახლა ზღურბლზე ჩა-

მომჯდარიყო, იდაყვები მუხლებზე დაეყრდნო, თავი კი — ხელებზე და წყალს მიშტერებოდა, ძველი რკინის ქვაბიდან გადმოსული ქვიშაში რომ მიჩუხჩუხებდა. კაპიტანი თავისთვის სტვენდა ჰანგს: „მოდით, ჰე, გოგო-ბიჭებო“.

სილვერს საშინლად უჭირდა ფერდობზე ამოსვლა. ციცაბო აღმართში, ხეების მსხვილ გადანაჭერ ჯირკებსა და რბილ ქვიშაში, ის და მისი ყავარჯენი ისევე უმწეონი იყვნენ, როგორც რიფებს შორის მიმაკალი ხომალდი. მაგრამ მან უღრტვინველად გამოიარა მთელი გზა და ბოლოს მოაღწია კიდეც კაპიტანამდე, რომელსაც დიდი მოწიწებით მიესალმა. სილვერი თავის საუკეთესო სამოსში გამოწყობილიყო. თითბრის დილებით უხვად მოჭედილი ვეება ლურჯი ხიფთანი მუხლამდე სწვდებოდა, ხოლო ნატიფად მოსირმული ქუდი კინკრიხოზე მოეგდო.

— აი თქვენც მოხვედით, ჩემო კარგო? — წამოსწია თავი და გადაულაპარაკა კაპიტანმა. — დაჯექით!

— შიგნით არ შემიშვებთ, კაპიტანო? — წაიწუწუნა აყლაყუდა ჯონმა, — მართლაც ძალიან სუსხიანი დილაა, სერ, და ძნელია გარეთ ქვიშაზე ჯდომა.

— სილვერ, — უთხრა კაპიტანმა, — თქვენ რომ მოვალეობისთვის არ გელალატათ და წესიერ ადამიანად დარჩენილიყავით, კვლავ თქვენს სამზარეულოში იჯდებოდით, თბილად. ეგ ყველაფერი თქვენი ნამოქმედარია. თქვენ ან ჩემი გემის მზარეული იქნებით, — და მაშინ ჩინებულადაც მოგეპყრობით, ან კაპიტანი სილვერი, ჩვეულებრივი მეამბოხე და მეკობრე — და მაშინ კი ჯანდაბას თქვენი თავი, ჩემგან სახრჩობელის მეტს ნურაფერს ელით!

— კარგით, კარგით, სერ, — სიტყვა ჩამოართვა გემის მზარეულმა და, როგორც უთხრეს, ქვიშაზე მოიკალათა, — მხოლოდ ადგომისას ხელი მომაშველეთ, ეგ არის და ეგ. რა კობტა, ლამაზი ადგილია! ოჰ, ჯიმიც აქ ყოფილა! დილა მშვიდობისა, ჯიმ. ჩემი სალამი ექიმს! სწორედ რომ, ასე ვთქვათ, ბედნიერი ოჯახივით მოგიყრიათ თავი.

— თუ სათქმელი გაქვთ რამე, ჩემო კეთილო, სჯობს თქვათ, — უთხრა კაპიტანმა.

— მართალი ბრძანდებით, კაპიტანო სმოლეტ, — მიუგო სილვერმა. — რასაკვირველია, საქმე საქმეა! აბა, ახლა ყური მიგდეთ: წუხელ კარგი ოინი გვიყავით, მართლა კარგი ოინი! რომელიღაც თქვენგანი ძალიან მარჯვედ ხმარობს ბერკეტს და არც იმას უარყოფ, რომ ზოგიერთი ჩემიანი დაფრთხა... იქნებ ყველანიც დაფრთხნენ; იქნებ მე თვითონაც შევფრთხი; იქნებ ამიტომაც ვარ ახლა აქ მოსალაპარაკებლად. მაგრამ, დაიხსომეთ, კაპიტანო, მეხის მადლმა, ეგ მეორეჯერ აღარ გამოგივით. ჩვენ შემოვიღებთ გუშაგობას და რომსაც იმდენად აღარ მივეტანებით. იქნებ გგონიათ, ყველანი უგონოდ გალეშილნი ვყარეთ? მაგრამ უნდა გითხრათ, რომ მე ფხიზელი ვიყავი, ოღონდ ძალღივით ქანცმიხდილი ვეგდე, და, ერთი წამით ადრე რომ გამომღვიძებოდა, პირდაპირ საქმეზე წაგასწრებდით, სწორედ წაგასწრებდით! ის ჯერ კიდევ არ იყო მკვდარი, როცა მე მასთან მივედი!

— მერე! — რაც შეიძლება გულგრილად მიუგო კაპიტანმა სმოლეტმა.

სილვერის ნალაპარაკევი მისთვის ნამდვილ გამოცანას წარმოადგენდა, მაგრამ ამას ვერანაირად ვერ შეატყობდით კილოზე, მე კი ბენ განის უკანასკნელი სიტყვები მომაგონდა. მივხვდი, რომ ის ესტუმრა მეკობრეებს მაშინ, როცა ყველანი მთვრალები ეყარნენ ცეცხლის ირგვლივ და სიხარულით გამოვითვალე, რომ ახლა მხოლოდ თოთხმეტი მტერიღა დაგვრჩა.

— აი, როგორ არის საქმე, — განაგრძო სილვერმა: — ჩვენ განძი გვინდა და ვიპოვით კიდევ... ეგ არის ჩვენთვის მთავარი! ასევე, როგორც თქვენთვისაა მთავარი, საკუთარი სიცოცხლის გადარჩენა. თქვენ რუკა გაქვთ, ხომ ასეა?

— შესაძლებელია, — მიუგო კაპიტანმა.

— ოჰ, ვიცი, რომ გაქვთ, — სიტყვა ჩამოართვა აყლაყუდა ჯონმა. — რა საჭიროა ჩემთან ეგრე უკმეხად ლაპარაკი; დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ეს ხეირს არ მოგიტანთ. მე იმას მოგახსენებთ, რომ ეგ რუკა ჩვენ გვჭირდება. სულ ეს არის, პირადად მე არასოდეს თქვენთვის ავი არ მნდომებიან.

— ეგ ჩემთან არ გაგივა, ძვირფასო, — გააწყვეტინა კაპიტანმა, — ჩვენ ზუსტად ვიცით, რა განზრახვაც გქონდათ, მაგრამ მაგას

აღარ აქვს ახლა მნიშვნელობა, რადგან ველარაფერს დაგვაკლებთ, — მშვიდად გადახედა კაპიტანმა და ჩიბუხის გატენა განაგრძო.

— თუ ეიბ გრეიმ... — წამოიწყო სილვერმა.

— მოკვტე! — დასჭყივლა ბატონმა სმოლეტმა. — გრეის არაფერი უთქვამს, მეც არაფერი მიკითხავს მისთვის და, რაც მთავარია, სიამოვნებით აგაფეთქებდით და ჰაერში აგისვრიდით თქვენ, მასაც და მთელ ამ კუნძულსაც. აი, ამას ვფიქრობ, ჩემო კეთილო, მაგ საქმეზე.

ამ ფიცხმა შეტევამ სილვერი თითქოს დააშოშმინა. გაგულისება კი ეტყობოდა, მაგრამ ახლა თავი შეიკავა.

— ცხადია, — თქვა მან, — მე ვერ ვუკარნახებ ჯენტლმენებს, რა მიიჩნიონ სწორ საქციელად და რა — არა. რაკი ჩიბუხის მოწევას აპირებთ, კაპიტანო, იმდენად გაუკადნიერდები, რომ მეც მოუუკიდებ.

მართლაც გატენა ჩიბუხი, ცეცხლი მოუკიდა და ორივენი კარგა ხანს მდუმარედ ეწეოდნენ. ოღონდ დროდადრო ერთმანეთს შეხედავდნენ სახეში, ხანაც თამბაქოს აჭერდნენ თითს ჩიბუხში, ხან კი გადაიხრებოდნენ და აპურჭყებდნენ. პირდაპირ სასეირო საყურებელი იყო მათი ქცევა.

— ახლა, — ისევ წამოიწყო სილვერმა, — ეს არის ჩვენი პირობა: თქვენ მოგვცემთ რუკას, რომ განძი ვიპოვოთ და თავს დაანებებთ საწყალი მეზღვაურებისთვის თოფის სროლასა და მძინარეებისათვის თავების ხეთქას. ამაზე თუ დაგვთანხმდებით, არჩევანს შემოგთავაზებთ. გინდათ, გემში ჩასხედით ჩვენთან ერთად, როცა განძს დავაბინავენ, და ფიცით გარწმუნებთ და პატიოსან სიტყვას გაძლევთ, უვნებლად გადაგსვამთ სადმე ნაპირზე. ანდა, თუ ეგ არ დაგიჯდებით ჭკუაში, — რადგან ზოგი ჩემი მეზღვაური ხეპრეა და ჯაფით გაბეზრებისთვის უფროსობასთან ძველი ანგარიშები აქვთ, — შეგიძლიათ აქაც, აქაც დარჩეთ! ჩვენ გავიყოფთ სურსათის მარაგს და მე ფიცით გარწმუნებთ, როგორც გითხარით, პირველივე შეხვედრილ ხომალდს ვაცნობებ და თქვენს წამოსაყვანად გამოგზავნი, უნდა აღიაროთ, რომ ეს ჩინებული პირობაა. ამაზე უკეთესი აღარ შეიძლება და არც უნდა გქონდეთ მეტის იმედი. თან იმედი მაქვს, — ხმას აუწია მან, — ამ ძელურში მყოფი ყველა მეზღვაური

აწონ-დაწონის ჩემს სიტყვებს, რადგან, რაც ერთს ვუთხარი, იმას ყველას ვეუბნები.

კაპიტანი სმოლეთი წამოდგა და მარცხენა ხელისგულზე დაიბერტყა ჩიბუხის ფერფლი.

— სულ ეგ არის? — იკითხა მან.

— მეხის მაღლმა, უკანასკნელი სიტყვაა! — მიუგო ჯონმა. — თუ ამას უარყოფთ, ჩათვალეთ, რომ უკანასკნელად მხედავთ და მერე მარტო თოფის ტყვიასლა იხილავთ!

— კეთილი და პატიოსანი, — მიუგო კაპიტანმა. — ახლა მე მომიხმინეთ: თუ სათითაოდ ჩამბარდებით იარაღაყრილნი, ვკისრულობ ყველას ბორკილები დაგადოთ და შინ, ინგლისში, წაგიყვანოთ პატიოსნად გასასამართლებლად. არა და, მე ალექსანდრ სმოლეთი გახლავართ, მე გაუშალე ჩემი სახელმწიფოს დროშა და ყველა თქვენგანს ეშმაკის გზას გაგიყენებთ. განძს ვერ იპოვით; ხომალდით გამგზავრება არ შეგიძლიათ — თქვენ შორის ვერავინ შეძლებს გემის მართვას. ვერც ბრძოლაში გამოგვყვებით — მარტო გრეი ხუთ თქვენგანს დაუსხლტა ხელიდან. თქვენი გემი რიფზეა შემჯდარი, კაპიტანო სილვერ; თავად თქვენც დიდ გასაჭირში ბრძანდებით. ეს არის უკანასკნელი კეთილი სიტყვები, რომელთაც ჩემი პირიდან ისმენთ; ღმერთმანი, მეორედ თუ შეგხვდით, ტყვიას მოგაყოლებ ზურგში. ახლა წაბრძანდი, ძმობილო, აქედან მოუსვი, გეთაყვა, თანაც, რაც შეიძლება, მკვირცხლად!

სასეირო დასანახი იყო სილვერის სახე: ბრაზისაგან კინაღამ თვალები წამოსცვივდა. ჩიბუხი გადმობერტყა.

— ხელი გამომიწოდეთ წამოსადგომად! — შესძახა მან.

— ვერ გამოგიწვდით, — მიუგო კაპიტანმა.

— ვინ გამომიწოდებს ხელს? — დაიღრიალა სილვერმა.

არც ერთი ჩვენგანი არ განძრეულა. უსაზიზღრესი ლანძღვაგინების ბურტყუნით წამობობლდა ქვიშაზე, პარმალს მოეჭიდა და ყავარჯენზე წამოიმართა. შემდეგ წყაროში ჩაათურთხა.

— აი! — შეჰყვირა მან, — ამის ღირსად მიმაჩნიხართ. მეხის მაღლმა, თქვენს ძველ ხუხულას რომიანი კასრივით შევახურებ! იცინეთ, იცინეთ! ერთ საათში სხვაგვარად გაიცინებთ. ვინც ცოცხალი გადარჩება, სიკვდილს სანატრელს გაუუხდით!

და საშინელი გინებით წაჩლახუნდა, ძლივს ჩაიარა ქვიშიანი ფერდობი; ოთხი-ხუთი ფუჭი ცდის შემდეგ სამშვიდობო ალმიანი კაცის შემწეობით გადაბობლდა მესერზე და ტყეში გაუჩინარდა.

თავი ოცდამეერთი

იერიში

როგორც კი სილვერი გაუჩინარდა, კაპიტანი, რომელიც დაკვირვებით ადევნებდა თვალს, შემობრუნდა და აღმოაჩინა, რომ გრეის გარდა არც ერთი გუშაგი თავის ადგილზე აღარ იყო. პირველად მაშინ განვიცადეთ მისი რისხვა.

— ადგილზე! — დაიღრიალა მან. მერე, როცა ყველანი ჩვენი ადგილებისაკენ გავიძურწეთ, დასძინა: — გრეი, თქვენს სახელს გემის დღიურში ჩავწერ, თქვენ ისე შეასრულეთ თქვენი მოვალეობა, როგორც მეზღვაურს შეშვენის. მისტერ ტრელონი, თქვენმა საქციელმა გამაკვირვა. ექიმო, მეგონა სამეფო მუნდირი გეცვათ! თუ ფონტენუასთანაც ეგრე იმსახურეთ, აჯობებდა შინიდან ფეხი არ გაგედგათ!

ექიმის ჯგუფი კვლავ სათოფურებს დაუბრუნდა. დანარჩენები სათადარიგო თოფების ტენას შეუდგნენ. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ყველას ალმური ასდიოდა სახეზე და, როგორც იტყვიან, შეხურებულები იყვნენ.

კაპიტანი ერთხანს ჩუმად გვიყურებდა. მერე ხმა ამოიღო.

— მეგობრებო, — თქვა მან, — სილვერს მე, რომ იტყვიან, გემის ყველა ზარბაზანი დაუშინე, განგებ გავაცოფე ისე მწარედ. როგორც თქვა, ერთ საათში შემოგვიტყვენ. რა თქმა უნდა, რიცხვით გვჭარბობენ, მაგრამ ჩვენ საფრიდან ვიბრძვით და, ერთი წუთის წინ ისიც შემედლო მეთქვა, საბრძოლო დისციპლინა გვაქვს-მეთქი. თუმცა, ეჭვი არ მეპარება, თუ მოვინდომებთ, შეგვიძლია მათი დამარცხება!

მერე ირგვლივ შემოიარა და დარწმუნდა, რომ ყველაფერი თავის რიგზე იყო.

სახლს, აღმოსავლეთისა და დასავლეთის მხარეებზე, ორ-ორი სათოფური ჰქონდა; სამხრეთის მხარეს, სადაც პარმადი იყო, აგრეთვე — ორი; ხოლო ჩრდილოეთით — ხუთი. შვიდ კაცს ოცი თოფი გვქონდა. შეშა ოთხ გროვად ეწყო, თითო გროვა ყოველი მხარის შუა ადგილას, და მაგიდებს მოგაგონებდათ.

ყველა „მაგიდაზე“ ცოტაოდენი ტყვია-წამალი და ოთხ-ოთხი გატენილი თოფი იდო, ხოლო შუაში დაშნები ეწყო.

— ცეცხლი ჩააქრეთ, — თქვა კაპიტანმა, — სუსხი უკვე მოტყდა და კვამლი მხოლოდ თვალებს დაგვწვავს.

რკინის ცხაურით მისტერ ტრელონიმ ციმციმ გაიტანა ნაკვერცხლები გარეთ.

— ჰოკინზს არ უსაუზმია. ჰოკინზ, წაიღე საუზმე და შენს საგუშაგოზე შეექცი, — განაგრძო კაპიტანმა სმოლეტმა, — აბა, მკვირცხლად, ჩემო ბიჭიკო. ჩქარა, თორემ ჭამასაც ვერ მოასწრებ. ჰანთერ, ყველას გროვი ჩამოურიგეთ!

და, სანამ ამ საქმეში ვიყავით გართულნი, კაპიტანმა გუნებაში საბოლოოდ დააწყო თავდაცვის გეგმა.

— ექიმო, თქვენ კარი გებარებოდეთ, — განაგრძო მან. — უთვალთვალეთ და ნუ გამოჩნდებით; შიგნით გეჭიროთ თავი და აქედან ისროლეთ. ჰანთერ, აღმოსავლეთ მხარეს დადექით, ჯოის, თქვენ დასავლეთი მხარე დაიკავეთ, მისტერ ტრელონი, თქვენ ყველაზე უკეთესი მსროლელი ხართ, თქვენ და გრემ გრძელი ხუთსათოფურიანი ჩრდილოეთი მხარე დაიცავით — სწორედ აქედან გველის საფრთხე. თუ მოაღწიეს და ჩვენზე სათოფურებიდან დაგვიწყეს სროლა, ცუდად დატრიალდება საქმე. ჰოკინზ, არც შენ და არც მე სროლის დროს სათვალავში ჩასაგდები არა ვართ; ჩვენ აქვე ვიდგეთ, თოფები ვტენოთ და, სადაც საჭირო იქნება, ხელიც შევაშველოთ.

სუსხმა მართლაც გადაიარა. მზემ მალლა აიწია, ირგვლივ შემორტყმული ხეების თავზე მოექცა, მთელი ძალით დააცხრა ნაკაფს და მაშინვე გააქრო ნისლი. მალე ქვიშა გაფიცხდა და შენობის ძელების ფისმაც დნობა დაიწყო. ქურთუკები და ხიფთანები გავიდრეთ; პერანგები გავიღედეთ, მკლავებამდე დავიკაპიწეთ და ისე ვიდექით საგუშაგოებთან, პაპანაქებისა და აღელვების ციებ-ცხელებით შეპყრობილნი.

გავიდა ერთი საათი.

— ჯანდაბას მათი თავი! — შესძახა კაპიტანმა. — ისეთი სიწყნარეა, თითქოს ეკვატორის მშვიდ წყლებში ვიყოთ. გრეი, ერთი ქარს დაუსტვინე!¹

სწორედ ამ დროს, იერიშზე გადასვლის ნიშანიც მოისმა.

— სერ, — თქვა ჯოისმა, — თუ ვინმეს მოვკარი თვალი, ვესროლო?

— ხომ გითხარით, ესროლეთ-მეთქი! — მიაძახა კაპიტანმა.

— გმადლობთ, სერ, — უთხრა ჯოისმა ისევე წყნარად და თავაზიანად.

ერთხანს აღარაფერი მომხდარა, მაგრამ ამ კითხვაზე ყველანი დავიძახეთ — ყურები დავცქვიტეთ და თვალები დავაჭყიტეთ; მეთოფეები ხელს აღარ უშვებდნენ თოფებს, კაპიტანი კი ძელურის შუაგულში იდგა მოღუშული და პირი მაგრად მოეკუმა.

ასე გაიარა რამდენიმე წამმა, სანამ უცბად ჯოისმა არ დაუმიზნა თოფი და არ დაცალა. მისი გამოძახილი არც კი მიმწყდარიყო, რომ გარედან მოისმა სროლის ხმა. მესრის ყოველი მხრიდან ზალპით მოდიოდა ტყვიები. რამდენიმე ძელურსაც მოხვდა, მაგრამ შიგნით არც ერთს არ შემოულწევია. როცა ბოლი გაიფანტა, მესერი და გარშემო ტყე კვლავ წინანდელივით მიწყნარებული და ცარიელი იყო. არც ერთი შტო არ ირხეოდა და არც ერთი თოფის ლულის ლაპლაპი არ ამჟღავნებდა ჩვენი მტრების იქ ყოფნას.

— მოარტყით, ვისაც უმიზნებდით? — იკითხა კაპიტანმა.

— არა, სერ, — მიუგო ჯოისმა, — მგონი ვერ მოვარტყი.

— კარგია, სიმართლის თქმა სჯობს, — წაიბურტყუნა კაპიტანმა. — გაუტენე თოფი, ჰოკინზ. რას იტყვით, რამდენი ისროლეს თქვენს მხარეს, ექიმო?

— ზუსტად ვიცი, — თქვა ექიმმა ლოესიმ. — ამ მხარეს სამჯერ ისროლეს. სამი გაელვება დავინახე.

— სამი! — გაიმეორა კაპიტანმა: — თქვენს მხარეზე რალამდენი იქნებოდა, მისტერ ტრელონი?

¹ ქარს დაუსტვინე — ზღვაოსანთა ძველი ცრურწმენის თანახმად, ვითომ სტვენით შეიძლება ქარის გამოწვევა.

მაგრამ არც ისე ადვილი იყო პასუხის გაცემა. ჩრდილოეთის მხრიდან ბევრი ისროლეს: სკვაირის ანგარიშით — შვიდი; გრუის აზრით — რვა თუ ცხრა. აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან მხოლოდ თითო. აშკარა იყო, იერიშს ჩრდილოეთის მხრიდან მოიტანდნენ და დანარჩენი სამი მხრიდან მხოლოდ ჩვენს შესაშფოთებლად ისროდნენ. მაგრამ კაპიტანმა სმოლექტმა მაინც არ შეცვალა თავისი განრიგი. ის ამტკიცებდა: თუ მეამბოხებმა მოახერხეს მესრის გადმოლაზვა, ხელთ იგდებენ რომელიმე დაუცველ სათოფურს და ჩვენზე სიმაგრეში ვირთხებოვით ამოგვქვლექნო.

ბევრი ფიქრიც აღარც დაგვცალდა. უცბად ხმამაღალი „ვაშათი“ მეკობრეთა მცირე გუნდი გამოხტა ჩრდილოეთის მხრიდან და მესერს მოაშურა. იმავე ღროს ტყიდან კვლავ განახლდა სროლა: ერთი ტყვია კარში შემოიჭრა და ექიმის თოფი ნამსხვრევებად აქცია.

მოიერიშენი მაიმუნებოვით ჯგროდ მოასხდნენ ღობეს. სკვაირმა და გრეიმ კიდევ და კიდევ გაისროლეს. სამი კაცი დაეცა: ერთი მესერს შიგნით ჩამოვარდა; ორი უკან გადავარდა. ამ ორში ერთი, ალბათ, დამფრთხალი უფრო იყო, ვიდრე დაჭრილი, რადგან თვალის დახამხამებაში ზეზე წამოიჭრა და მყის ხეებში მიიმალა.

ამასობაში ოთხი მეკობრე ღობის შიგნით ჩამოხტა, ხოლო ტყეში ჩასაფრებული შვიდი თუ რვა კაცი, რომელთაგან თითოს რამდენიმე თოფი უნდა ჰქონოდა, გაცხარებით, თუმცა ფუჭად უშენდა ტყვიას ძელურს.

მესერს შიგნით გადმომხტარმა ოთხმა მოიერიშემ პირდაპირ სახლს მოაშურა. მორბოდნენ, თან ყვიროდნენ და ტყეში ჩასაფრებულებიც ხმას აძლევდნენ გასამხნეველად. რამდენჯერმე კიდევ დაიცალა თოფები, მაგრამ ჩვენი მეთოფეები ისევ ისე ისროდნენ, ჩანს, არავის მოხვედრია. ამასობაში მესერზე გადმოსულმა ოთხმა მეკობრემ ბორცვზე ამოირბინა და ბოცმან ჯობ ენდერსონის თავი შუალა სათოფურში გამოჩნდა.

— ერთად, ერთად, დასცხეთ! — მეზოვით დასჭექა მან.

სწორედ იმავე წუთს მეორე მეკობრემ ლულაში უტაცა ხელი ჰანთერს, წაჰკვლიჯა თოფი, კვლავ შემოჰყო სათოფურში და ერთი ძლიერი დარტყმით იატაკზე უგრძნობლად გაშხლართა საბრალო.

ამასობაში მესამემ უვნებლად შემოურბინა ირგვლივ მთელ სახლს, უცბად კარის ზღურბლზე გამოჩნდა და დაშნით შეუტია ექიმს.

ჩვენი მდგომარეობა სრულიად შეიცვალა. ერთი წუთის წინ ჩასაფრებულნი ვესროდით თვალხილულ მტერს, ახლა კი ჩვენ თვითონ ვიყავით უსაფროდ და სხვადასხვა მხრიდან გვიტყვდნენ.

ძელური დენტის წვისგან ავარდნილი ბოლით გაივსო, რომლის წყალობითაც შედარებით იოლად გადავრჩით. შეძახილებისა და ჩოჩქოლის, დამბაჩების ბათქაბუთქისა და ვილაცის კვნესისაგან ჩემს ყურებს ზრიალი გაჰქონდა.

— გარეთ, ბიჭებო, გარეთ გადით და გაშლილში იბრძოლეთ დაშნებით! — დასჭყიულა კაპიტანმა.

მე დასტიდან ერთი დაშნა დაუაძვრე. იმავე დროს ვილაც სხვა-მაც გამოაძრო მეორე, თითებზე გამკრა და გამისერა, მაგრამ არც მიგრძნია. კარში გამოვარდი კაშკაშა შხის შუქზე. უკან, ფეხდაფეხ ვილაცა მომყვებოდა; არ ვიცი, ვინ. ჩემ წინ თავდაღმართში ექიმი მისდევდა თავდამსხმელს. სწორედ იმ დროს, როცა მე ვკიდე თვალი, გააგდებინა კიდეც იარაღი, მძლავრად დაჰკრა სახეში და ზურგზე დასცა.

სახლს შემოურბინეთ, ბიჭებო, სახლს! — კვლავ დაიძახა კაპიტანმა და თვით ამ ალიაქოთშიაც შევატყვე, რომ ხმის კილო შეეცვალა.

მექანიკურად დავემორჩილე განკარგულებას, პირი ვიბრუნე აღმოსავლეთისკენ და შემართული დაშნით სახლის კუთხეს შემოვურბინე. მეორე წაშში პირისპირ შევეჩხე ენდერსონს. მან იღრიალა და მისმა აქნეულმა დაშნამ შხის სხივებში გაიელვა. შეშინების დროც აღარა მქონდა, მაგრამ, რაკი დარტყმა შემუქრებოდა, გვერდზე გადავხტი, ფხვიერ ქვიშაზე ფეხი დამიცდა და თავდაყირა დავგორდი ფერდობზე.

როცა პირველად გარეთ გამოვარდი, შევნიშნე, რომ დანარჩენი მეამბოხენიც შემოსჯარვოდნენ მესერს ჩვენთვის ბოლოს მოსაღებად. ერთ წითულჩაჩიან მეკობრეს დაშნა კბილებით დაეჭირა, ღობის თავზე შემომჯდარიყო და ცალი ფეხი აქეთ გადმოედო. მას შემდეგ ისე მცირე ხანი გამოხდა, რომ, როცა კვლავ ფეხზე წამოვდექი, ეზოში ყველაფერი ისევ ისე დამხვდა: წითულჩაჩიანს კვლავ ნახე-

ვრად გადმოელაჯებინა, მეორეს ჯერ კიდევ უჩანდა თავი მესერს ზემოთ და მაინც, ამ ერთ სულსმოთქმაში, ბრძოლა დასრულდა და გამარჯვება ჩვენ დაგვრჩა.

გრეის, რომელიც ფეხდაფეხ გამოძვდა, ზორბა ბოცმანი დაეჩეხა, სანამ იგი ხელს მოინაცვლებდა უკანასკნელი მოქნევის შემდეგ. მეორეს ტყვია მოხვედროდა სათოფურთან იმ დროს, როცა სახლში ისროდა და ახლა სულთმობრძავი გორავდა; მას ხელში დამბაჩა ეჭირა, რომელსაც ჯერ კიდევ ასდიოდა ბოლი. მესამე, როგორც მე დავინახე, ექიმმა მოცელა დაშნის დარტყმით. მესერს შიგნით გადმოსული ოთხი კაციდან მხოლოდ ერთი გადარჩა უვნებლად. იმასაც ბრძოლის ველზე მიეტოვებინა დაშნა და, სიკვდილის შიშით დაზაფრული, ისევ ღობეზე გადაფოფხებას ცდილობდა.

— ისროლეთ, ისროლეთ სახლიდან! — დაიძახა ექიმმა. — თქვენ კი, ბიჭებო, საფარში დაბრუნდით!

მაგრამ მისი სიტყვები უპასუხოდ დარჩა — თოფი არავის უსვრია; უკანასკნელმა მოიერიშემ თავს უშველა და დანარჩენებთან ერთად ტყეში მიიძალა. რამდენიმე წამში მოიერიშეთა ჭაჭანება აღარ იყო, გარდა ხუთი დამარცხებულისა, რომელთაგან ოთხი მესერს შიგნით ეგდო, ერთი კი — გარეთ.

ექიმმა, გრეიმ და მე სასწრაფოდ მივაშურეთ თავშესაფარს. გადარჩენილ მეკობრეებს შეეძლოთ მალე მიეღწიათ იქ, სადაც თოფები ჰქონდათ დატოვებული და შეიძლებოდა ყოველ წამში განეახლებინათ სროლა.

ამასობაში სახლი ცოტა გაწმენდილიყო ბოლისაგან და ერთი თვალის გადავლებით ცხადი გახდა, რა ფასად დაგვიჯდა გამარჯვება. ჰანთერი თავის სათოფურთან იწვა უგონოდ; ჯოისი თავის სათოფურთან — ტყვიით თავგახვრეტილი და სამუდამოდ გაშეშებული; ძელურის შუაგულში კი სკვაირი მხარში შესდგომოდა კაპიტანს და ორთავენი ერთნაირად იყვნენ გადაფითრებული.

— კაპიტანი დაჭრილია, — თქვა მისტერ ტრელონიმ.

— გაიქცნენ? — იკითხა მისტერ სმოლუეტმა.

— დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ყველა გაიქცა, ვისაც შეეძლო, — მიუგო ექიმმა, — ხუთი მათგანი კი ველარასოდეს გაიქცევა.

— ხუთი! — შესძახა კაპიტანმა, — ოჰო, ეს უკვე კარგია! თუ იმათ ხუთი დაკარგეს, ხოლო ჩვენ სამი, ოთხნი დაურჩენილვართ ცხრის წინააღმდეგ. ეს უკეთესი შეფარდებაა, ვიდრე დასაწყისში გვქონდა: მაშინ შვიდნი ვიყავით ცხრამეტის წინააღმდეგ, — ანუ ვფიქრობდით, რომ ასე ვიყავით (სინამდვილეში, სულ მალე, ცოცხალი მხოლოდ 8 მეამბოხელა დარჩა, რადგან მისტერ ტრელონიმ რომ კაცი დათოფა ხომალდის გემბანზე, იგი იმ საღამოს გარდაიცვალა ჭრილობისგან. ეს, რასაკვირველია, ჩვენ მოგვიანებით გავიგეთ).

ნაწილი მესამე

ჩემი თავდაგასაუალი ზღვაში

თავი ოცდამეორე

როგორ დაიწყო ჩემი საზღვაო ფათურაკები

მეამბოხენი აღარ დაბრუნებულან — ერთი თოფიც აღარ უსვრიათ ტყიდან. მათ, როგორც კაპიტანმა თქვა, „იმ დღის ულუფა უკვე მიიღეს“, და ჩვენ დრო და შესაძლებლობა მოგვეცა, წყნარად გაგვესინჯა დაჭრილები და გვესადილა. სკვაირი და მე, მიუხედავად საფრთხისა, გარეთ ვმზარეულობდით, მაგრამ იქაც დარეტიანებული დავდიოდით, ისე გვზარავდა დაჭრილების ხმამაღალი კვნესა.

შეტაკებაში დაცემული რვა კაციდან მხოლოდ სამი დარჩენილიყო ცოცხალი: ის მეკობრე, რომელსაც სათოფურთან მოარტყეს ტყვია, ჰანთერი და კაპიტანი სმოლეთი. ამათგან, მეამბოხე ექიმის დანის ქვეშ, ოპერაციის დროს მიიცივალა, ხოლო ჰანთერს, რაც შეგვეძლო, მოვუარეთ, მაგრამ მაინც ველარ მოვიყვანეთ გონს. იგი მთელი დღე სულთმობრძავი იყო და ხმამაღლა ქშინავდა იმ ბებერ მეკობრესავით, ჩვენს დუქანში რომ დაეცა დამბლა, მკერდის ძვლები ჩალეწილი ჰქონდა დარტყმისგან, თავიც გახეთქოდა წაქცევის დროს და მეორე ღამეს უხმოდ განუტევა სული.

კაპიტანიც მძიმედ დაიჭრა, მაგრამ არა სასიკვდილოდ. მას ორი ტყვია ჰქონდა მოხვედრილი. ენდერსონის ტყვიამ — რადგან პირველად ჯობმა დაახალა მას — ბეჭის თავი გაუხვრიტა და ფილტვსაც გაჰკრა, ოღონდ მსუბუქად; მეორე ტყვიამ მხოლოდ კუნთების მყესები დაუზიანა. ექიმმა განაცხადა, რომ კაპიტა-

ნი უსათუოდ გამომჯობინდებოდა, მხოლოდ ამისათვის დრო იყო საჭირო; რამდენიმე კვირას არც უნდა ეწლო, არც მკლავი გაენძრია და, თუ მოახერხებდა, არც ელაპარაკა.

ჩემი განაკაწრი კი რწყილის ნაკბენივით მსუბუქი აღმოჩნდა. ექიმმა ლივსიმ სალბუნი დამადო და თანაც ყური ამიწია.

ნასადილევს სკვაირი და ექიმი კაპიტანს მიუსხდნენ სათათბიროდ. როცა ბჭობა დაასრულეს, შუადღე იყო გადასული. ექიმმა ხელი წამოავლო ქუდსა და დამბაჩებს, შემოირტყა დაშნა, ჯიბეში ჩაიდო რუკა, მხარზე თოფი მოიგდო, ჩრდილოეთის მხრიდან გადავიდა მესერზე და მკვირცხლად გაუდგა გზას ტყეში.

გრეი და მე ერთად ვისხედით ძელურის შორეულ კუთხეში, რათა მოთათბირეთა ლაპარაკი არ მოგვესმინა. გრეიმ პირიდან გამოიძრო ჩიბუხის ტარი და სულ გადაავიწყდა მისი კვლავ ჩადება, ისე გაშეშდა, როდესაც ტყეში მიმავალი ექიმი დაინახა.

— ვაჰ, დალახვროს ეშმაკმა, — წაილაპარაკა მან ბოლოს, — ექიმი ლივსი გაგიჟდა?

— არა მგონია, — მივუგე მე, — ჩვენ შორის, დარწმუნებული ვარ, ეგ ყველაზე გვიან გაგიჟდება.

— აბა, მეგობარო, — თქვა გრეიმ, — თუ ის არ გაგიჟებულა, მაშინ მე ვყოფილვარ გიჟი.

— მე მგონია, — ვუპასუხე მე, — ექიმს რალაც გეგმა აქვს, და, თუ აღლო არ მატყუებს, ახლა ბენ განის სანახავად უნდა მიდიოდეს.

როგორც აღმოჩნდა, მართალი ვიყავი. მაგრამ, ამასობაში, რაკი სახლში სულის შემხუთავი სიცხე ჩამოწვა და მესერს შიგნით მოქცეული პატარა ქვიშიანი ნაკვეთი შუადღის მზემ გაავარვარა, თავში სხვა ფიქრიც მომივიდა, რომელიც სულაც არ გამოდგა გონივრული და სწორი. საქმე იმით დაიწყო, რომ ექიმის ბედი შემშურდა, რომელიც გრილ, ჩრდილიან ტვერში მისეირნობდა, ხოლო გარშემო ჩიტები ჭიკჭიკებდნენ და ფიჭვების საამო სუნი იდგა; ამ დროს კი მე პაპანაქებაში ვიხრაკებოდი. სამოსით ცხელ ფისს ვეწებებოდი, თან იმდენი სისხლი ენთხია ჩემს ირგვლივ, იმდენი საცოდავი გვაძი ეყარა გარშემო, რომ ეს ადგილი შემეზიზნდა და ეს ზიზღი თითქმის შიშად გადამექცა.

ვრეცხავდი ძელურის იატაკსა და სადილის ჭურჭელს, მაგრამ ზიზღი და შური მაინც მძლავრობდა ჩემში და, როდესაც პურის ტომრის ახლოს აღმოვჩნდი, რაკი არავინ მითვალთვალებდა, ქურთუკის ორივე ჯიბე ორცხობილათი გამოვიტენე და გადავდგი კიდევ პირველი ნაბიჯი აქედან თავის დასაძვრენად.

თუ გნებავთ, სულელი მიწოდეთ. შეიძლება მართლაც სულელური, უგუნური საქმის ჩადენას ვაპირებდი, მაგრამ გადაწყვეტილი კი მქონდა, რაც შეიძლებოდა დიდი სიფრთხილით მემოქმედა. ეს საგზალი, თუ რაიმე შემემთხვეოდა, სულ უკანასკნელი, მეორე საღამომდე მეყოფოდა.

შემდეგ წყვილი დამბაჩა ავიღე და, რაკი სათოფისწამლე ქარახსა და ტყვიები უკვე მქონდა, თავი კარგად შეიარაღებულად ჩავთვალე.

რაც შეეხებოდა ჩემს გეგმას, თავისთავად ურიგო არ ჩანდა. მინდოდა ჩავსულიყავი ქვიშნარზე, რომელიც ნავსადგომს აღმოსავლეთის მხრიდან გაშლილი ზღვისაგან ჰყოფდა, მეპოვა წინა საღამოს შენიშნული თეთრი კლდე და გამერკვია, მართლა იქ ჰქონდა დამალული ნავი ბენ განს თუ არა. ეჰ, ახლაც დარწმუნებული ვარ, სრულიად ღირსეული საქმე გახლდათ. მაგრამ, ვინაიდან დანამდვილებით ვიცოდი, არავინ დამრთავდა მესრის გარეთ გასვლის ნებას, ერთადერთი ისლა დამრჩენოდა, უნებართვოდ დაუდგომოდი გზას და მაშინ გავმძვრალიყავი, როცა თვალს არავინ მადევნებდა. ეს, კარგი საქმის გასაკეთებლად ამორჩეული ისეთი უწესო გზა იყო, რომ თვითონ საქმესაც უკულმართ იერს ანიჭებდა, მაგრამ მე ხომ მხოლოდ პატარა ბიჭი ვიყავი და გადაწყვეტილება უკვე გულში ამოჭრილი მქონდა.

ჰოდა, ბოლოს ისე მოხდა, რომ საოცრად ხელსაყრელი პირობები შემექმნა ჩემი განზრახვის ასასრულებლად. სკვაირი და გრეი კაპიტანს ჭრილობას უხვევდნენ; ნაპირისაკენ გზა გახსნილი იყო. გავექანე იქით, გადავხტი მესერზე, შევერიე ხშირ ტყეს და, სანამ ჩემს გაპარვას შენიშნავდნენ, ისე შორს გავედი, რომ ჩემი ამხანაგები ხმასაც ვეღარ მომაწვდენდნენ.

ეს გახლდათ ჩემი მეორე სიბრიყვე, პირველზე გაცილებით უარესი, რადგან იქაურობა მხოლოდ ორი ჯანსაღი კაცის ანაბარა

მოატოვე; მაგრამ, პირველის მსგავსად, ესეც ყველას გადასარჩენად ჩავიდინე.

კუნძულის აღმოსავლეთ ნაპირისაკენ ავიღე გეზი. გადაწყვეტილი მქონდა, ქვიშნართან როგორმე ისე მივსულიყავი, რომ ნავსადგომის მხრიდან ჩემთვის არავის მოეკრა თვალი. საღამოდებოდა, თუმცა კვლავ თბილოდა და შხეც ანათებდა. მაღალ ტევრში რომ მივიკვლევდი გზას, შორიდან მესმოდა არა მარტო ოკეანის ტალღების განუწყვეტელი გრიალი, არამედ ფოთლების თავისებური შრიალი და ტოტების ჭრიალიც, რაც ამტკიცებდა, რომ ზღვის ნიავი ჩვეულებრივზე უფრო მძლავრობდა. მალე ჰაერის ცივი ნაკადებიც მომწვდა; რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ ტყის პირას გავედი და ცის კიდურამდე ლურჯად გადაჭიმული, მზის სხივებზე მოელვარე ზღვა დავინახე, რომლის აქაფებული ტალღები სანაპიროს აწყდებოდა.

განძის კუნძულის ირგვლივ მე არასოდეს მიხილავს წყნარი ზღვა. თუნდაც ზემოთ მზე კაშკაშებდეს, ჰაერი არ იძვროდეს, ზღვის ზედაპირი გლუვად და ლურჯად იდგეს, ეს ვეებერთელა ზვირთები მაინც აწყდება სანაპიროს და დღე და ღამე გრუხუნებს. არც მგონია, კუნძულზე ისეთი ადგილი მოიპოვებოდეს, სადაც კაცის ყურს მათი ხმაური არ მისწვდება.

დიდი ხალისით გავყევი ზღვის პირს, ვიდრე, ჩემი ვარაუდით, საკმაოდ შორს არ გავედი სამხრეთით. მერე სქელ ბუჩქნარში შევიმალე და ფრთხილად ავცოცდი ქვიშნარის ქედზე.

ჩემ უკან ზღვა იყო, წინ — ნავსადგომი. ზღვის ნიავი, რომელიც უჩვეულო სიმძლავრით უბერავდა, თითქოს არაქათი გამოეცალაო, უკვე ჩამდგარიყო. მის მაგივრად მსუბუქი სიო ქროდა სამხრეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან და ჯანლის დიდ ფთილებს ერეკებოდა. ნავსადგომის წყალიც ჩონჩხის კუნძულის საფარქვეშ ისევე წყნარად და მდორედ იდგა, როგორც ჩვენი პირველი შემოსვლისას. ამ შეუმღვრეველ, მოკრიალებულ წყლის სარკეში ზედმიწევნით გამოსახულიყო „ისპანიოლა“, აღმის მისაბმელი ადგილიდან წყალხაზამდე; მისი ანძის წვეროზე მეკობრეთა შავი დროშა — „მხიარული როჯერი“ — ფრიალებდა.

იქვე ერთ-ერთი მსუბუქი ნავი იდგა, მის კიჩოზე სილვერი მო-
ჩანდა. — მისი გამოცნობა ყოველთვის შეეძლო, — ხოლო გემის
კიჩოს მოაჯირს ორი კაცი გადმოჰყუდებოდა. ერთი წითელჩაჩიანი
იყო, ის არაშზადა, რომელიც ამ რამდენიმე საათის წინათ დავინახე
მესერზე ფეხგადმოდებული. ეტყობოდა, მუსაიფობდნენ და იცინო-
დნენ, თუმცა ამ სიშორიდან, — ერთ მილზე¹ მეტი იქნებოდა, —
რასაკვირველია, არც ერთი სიტყვა არ მესმოდა. ანაზდად საზარე-
ლი, არაადამიანური კვილი გაისმა, რომელმაც თავდაპირველად
ძალიან დამაფრთხო, თუმცა, მალევე ვიცანი კაპიტან ფლინტის,
თუთიყუშის ხმა და თითქოს სილვერის მაჯაზე წამოსკუპებული
ფრინველიც კი გარკვევით დავინახე, თავისი ჭრელი ბუმბულით.

ნავი მალე დაიძრა ნაპირისკენ, ხოლო წითელჩაჩიანი კაცი და
მისი ამხანაგი კაიუტაში ჩავიდნენ.

ამავე დროს მზეც მოეფარა ჭოგრიტის მწვერვალს, ნისლი
სქელდებოდა, და ჩამობნელებაც დაიწყო. მივხვდი, რომ, თუ ნავის
პოვნა იმ საღამოს მინდოდა, აღარ უნდა დამეხანებინა.

ბუჩქნარიდან საკმაოდ მაღლა ამოზიდული თეთრი კლდე ჯერ
კიდევ ერთი მერვედი მილის დაშორებით მაინც იქნებოდა. გვა-
რიანი დრო დამჭირდა იქ მისაღწევად, თან ხშირად დაოთხებული
მივფორთხავდი ჯაგებში. თითქმის დაღამებული იყო, როცა ხელი
შევახე კლდის უსწორმასწორო გვერდებს. მის ძირში მწვანეკორ-
დიანი პატარა ტაფობი ჩაეძალა ბორცვებსა და მუხლამდე სიმაღ-
ლის სქელ ჩირგვნარს, რომელიც იქ უხვად ხარობდა. ტაფობის
შუაგულში იდგა თხის ტყავებისაგან გაკეთებული ისეთი პატარა
კარავი, ბოშები რომ დაატარებენ ინგლისში.

სასწრაფოდ ჩავედი, ავწიე კარვის კალთა და დავინახე ბენ განის
ნავი — მართლაც რომ შინაურული ნახელავი: ერთიანი მაგარი
ხისგან გამოჩორკნილი, გვერდებგამობერილი ნავი თხის ტყავებით
იყო ამოფენილი. იგი ძალიან მოცუცქნული ჩანდა თვით ჩემთ-
ვისაც და, ვერ წარმომიდგენია, როგორ გაუძლებდა ზრდასრულ
ვაჟკაცს. შიგ ერთი დასაჯდომი ფიცარი იდო და ისიც, რაც კი

¹ მილი — სიგრძის საზომი ერთეული. სხვადასხვა სახელმწიფოში სხვადასხვა ზო-
მას ვარაუდობენ. აქ საზღვაო მილი უნდა იგულისხმებოდეს, რომელიც, როგორც სა-
ყოველთაოდ მიღებულია, 1852 მეტრს უდრის.

შეიძლებოდა, დაბლა; აგრეთვე ფეხის მისაჭერის მაგვარი რაღაც კქონდა ცხვირის მხარეს და ორმოსასმელიანი ნიჩაბი.

მანამდე არ მენახა ისეთი პატარა, ნუშა ნავი, როგორსაც უბველესი ბრიტანელები აკეთებდნენ, მაგრამ მოგვიანებით ვიხილე და უკეთ რომ წარმოიდგინოთ, როგორი იყო ბენ განის ნავი, მოგახსენებთ — ის მიაგავდა ადამიანის ხელიდან გამოსულ პირველ და ყველაზე უგვანო საშუალებას, რომელიც ჩვენმა წინაპარმა წყალზე გადასაადგილებლად შექმნა. მაგრამ ძველებური ნავისათვის დამახასიათებელი ერთი უპირატესობა მაინც გააჩნდა — ძლიერ მსუბუქი და ადვილად გადასატან-გადმოსატანი გახლდათ.

ახლა, რაკი ნავი ვიპოვე, შეიძლება იფიქროთ, რომ თავს დაუანებებდი უნებართვოდ ყიალს. მაგრამ, ამასობაში სხვა აზრი დამებადა და ისე ძალიან გამიტაცა, დარწმუნებული ვარ, თვითონ კაპიტანი სმოლეთიც რომ გადამდგომოდა წინ, მაინც განვახორციელებდი. გადავწყვიტე, ღამის საფარველის ქვეშ მოვპარულიყავი „ისპანიოლასთან“, გადამეჭრა ღუზის ბაგირი და ტალღების ანაბარა მიმეგდო. დაე, სადაც მოეპრიანებოდა, იქ გარიყულიყო ნაპირზე. გული დაუაჯერე, რომ მეამბოხეებს დილანდელი მარცხის შემდგომ ყველაზე მეტად ღუზის ამოღება და ზღვაში გასვლა ეწადათ. ჩემი აზრით, ამაში ხელის შეშლა, კარგი იქნებოდა. ხომ შევნიშნე, რომ თავიანთი გუშაგები უნავოდ დატოვეს, ამიტომ ვიფიქრე, ეს საქმე მაინცდამაინც ფათურაკიანი არ იქნება-მეთქი. მერე დავჯექი და დაბნელებას დაუწყე ლოდინი, თანაც ორცხობილას მოვუღებინე. ათი ათასში ერთი რომ გამოერევა, ისეთი ხელსაყრელი ღამე დადგა ჩემი განზრახვის აღსასრულებლად. ნისლმა მთელი ზეცა დაფარა. როგორც კი დღის უკანასკნელი სხივები მიიღია და გაქრა, წყვდიადი ჩამოწვა განძის კუნძულზე. ბოლოს, როცა ნავი ბეჭზე შევიდე და ბორძიკ-ბორძიკით და ხელის ცეცებით გამოვიტანე ტაფობიდან, ხომალდის სადგომ ყურეში მხოლოდ ორი ნათელი წერტილიღა ჩანდა.

ერთი იყო უზარმაზარი კოცონი სანაპიროზე, რომლის გვერდითაც დამარცხებული მეკობრეები ღრეობდნენ, მეორე კი — გემიდან გამომავალი მკრთალი შუქი, რომელიც ღუზაზე მდგარი ხომალდის ადგილსამყოფელს უჩვენებდა. გემი უკუქცევას შემოეტრიალები-

ნა, ახლა ცხვირი ჩემკენ მოემართა. ამიტომ შუქს რომ ვხედავდი, ის მხოლოდ ჯანღზე არეკლილი სხივები იყო, რომელიც კიჩოს კაიუტის სარკმლიდან იფრქვეოდა.

მიქცევა ახლახან დაწყებულიყო და წყლით გაჟღენთილი ქვიშის განიერი ზოლი უნდა გამეკლო, რომელშიც კოჭებამდე ჩავეფლე რამდენჯერმე, სანამ უკანდახეული წყლის კიდეს მივალწევდი. მერე ცოტა შევტოპე და ჩემი ნავი ფსკერით საკმაოდ მარჯვედ დავუშვი ზღვის ზედაპირზე.

თავი ოცდამესამე

მიქცევის ნაკადში

პაწია ნავი, ჩემი მოყვანილობისა და წონის ადამიანისათვის უხიფათო, მსუბუქი და წყალში სამყოფად მოხერხებული, მაგრამ, ამასთანავე, სამართავად მეტისმეტად ჯიუტი რამ იყო. რაც უნდა გექნა, მაინც ყოველთვის დალატობდა აღებულ გეზს და ყველაზე უკეთ ბზრიალ-ტრიალი ემარჯვებოდა. ბენ განმაც ხომ აღიარა: „უცნაური მოსახმარია, სანამ ალღოს არ აუღებო“.

რასაკვირველია, ამას რამდენიმე წუთში ვერ მოვახერხებდი და ნავიც ყოველ მხარეს შვრებოდა პირს, გარდა იმ მიმართულებისა, რომელიც მე მინდოდა. უმეტესად, გემის პარალელურად მიცურავდა და დარწმუნებული ვარ, ხომალდზე ვერასოდეს მოვხვდებოდი, მიქცევა რომ არ დაწყებულიყო. საბედნიეროდ, როგორც უნდა მომესვა ნიჩაბი, მიქცევის ნაკადი მაინც გემისკენ მითრევდა და „ისპანიოლაც“ ზღვაში გასასვლელ სრუტეში ისე იდგა, ძნელად თუ ავცდებოდი მას.

ხომალდი თავდაპირველად რაღაც ჩაშავებულ ლაქასავით ბუნდონად მეჩვენებოდა. შემდეგ სიბნელეში მისი ანძები და სხეული გამოიკვეთა. სულ მალე (რადგან, რაც უფრო ღრმად შევდიოდი წყალში, მიქცევის დინება მით უფრო სწრაფი ხდებოდა) ღუზის ბაგირთან აღმოვჩნდი და ჩავებლაუჭე.

გემს ისე ძლიერ ითრევდა დინება, რომ ღუზაზე ჩაბმული ბაგირი მშვილდის ლარივით მოჭიმულიყო. ხომალდის გარშემო წყვ-

დიადში, წყლის ნაკადი მთის პატარა მდინარესავით შხუოდა. ჩემი დანის რამდენიმე გადასმა და „ისპანიოლას“ შურდულივით გააქანებდა დინება.

ეს კი კარგი საქმე გახლდათ, მაგრამ იქვე მოვისაზრე, რომ უცბად გადაჭრილი მოჭიმული ბაგირი ისევე სახიფათო იყო, როგორც ტლინკებაყრილი ცხენი. ეჭვგარეშე იყო, რომ, თუ ასე სულელურად ჩავჭრიდი ღუზას, მე და ჩემი ნუშა ორთავენი გადაუყირავდებოდით.

ამან შემაჩერა და იქნებ სულაც ხელიც ამელო განზრახვაზე, კვლავ რომ არ გაეღიმა ჩემთვის ბედს. სიომ, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან უბერავდა, ჩამოლამების შემდეგ სამხრეთ-დასავლეთიდან დაქროლა. სწორედ მაშინ, როცა ფიქრებში ვიყავი გართული, ერთი დაუბერა, „ისპანიოლა“ შესძრა და დინების საპირისპირო მიმართულებით წასწია. ჩემდა სასიხარულოდ ვიგრძენი, როგორ მოეშვა ბაგირი და ხელი, რომლითაც მასზე ვიყავი ჩაბლაუჭებული, ერთი წამით წყალში აღმოჩნდა.

ამან მაშინვე მიმაღებინა გადაწყვეტილება. ამოვიღე დანა, კბილებით გავხსენი და ერთიმეორის მიყოლებით გადავჭერი ბაგირის გრეხილები, სანამ ხომალდი მარტო ორ წვერზე მოკიდებული არ დარჩა: მერე მშვიდად დაუწყე ლოდინი, რათა ეს უკანასკნელებიც გადამეჭრა, როცა ქარის მობერვაზე თოკი კიდევ უფრო მოეშვებოდა.

მთელი ამ ხნის განმავლობაში გემის კაიუტიდან ხმამაღალი ლაპარაკი მესმოდა; მაგრამ, მართალი მოგახსენოთ, ისე ძლიერ ვიყავი გართული ჩემი საქმით, ყურიც არ მითხოვებია. მხოლოდ ახლა, როცა ცოტა ხნით შევისვენე, უფრო ბეჯითად მივაყურადე.

მოსაუბრეთაგან ერთი, ნაჟის მესაჭე იზრავს ჰენდზი უნდა ყოფილიყო, რომელიც ოდესღაც ფლინტის მეზარბაზნე იყო, მეორე კი, რასაკვირველია, ჩემი მეგობარი წითელჩაჩიანი იქნებოდა. ეტყობოდა, ორივენი გაღეშილები იყვნენ და ისევ განაგრძობდნენ სმას, რადგან ერთ-ერთმა, ლანძღვა-გინებით, კიჩოს სარკმელი გამოაღო და წყალში რაღაც საგანი ისროლა — მგონი, ცარიელი ბოთლი. აშკარა იყო, რომი ისინი არა მხოლოდ გამტყვრალიყვნენ, არამედ სასტიკადაც

იყვნენ გაშმაგებულნი. გინება სეტყვასავით მოდიოდა და წარამარა ისეთი ღრიალი ატყდებოდა ხოლმე, რომ ვფიქრობდი, ხელდახელ ხომ არ შეიბნენ-მეთქი. შემდეგ ხმაური დაცხრებოდა და მას ხმადაბალი ბურტყუნი მოსდევდა, ვიდრე ისევ არ წაიკიდებდნენ.

სანაპიროზე ხეებს შორის მოელვარე დიდი კოცონი მოჩანდა. ვილაც მეზღვაურთა მოსაწყენ, ძველებურ, სვედიან სიმღერას მღეროდა. ეს სიმღერა არაერთხელ მომესმინა მოგზაურობაში და იქიდან ეს სიტყვები დამამახსოვრდა:

„ზღვაში სამოცდათხუთმეტი გადის,
მათგან კი მხოლოდ ერთი ბრუნდება...“

გავიფიქრე, რომ ეს სიმღერა მართლაც შეეფერებოდა იმ ადამიანების შეჭირვებულ მდგომარეობას, რომლებმაც ასეთი მძიმე დანაკლისი განიცადეს დილით, მაგრამ, სინამდვილეში, მათ ქცევას რომ უუკვირდებოდი, მიუხედავად: მეკობრეები ისეთივე უსულგულონი იყვნენ, როგორიც ზღვა, რომელშიც დაცურავდნენ.

ბოლოს სიომ დაუბერა, ხომალდმა სიბნელეში კიდევ უფრო მოიწია და ვიგრძენი, რომ ბაგირიც კიდევ უფრო მოეშვა. დანა მოვიმარჯვე და ერთი გულიანი, მძლავრი დასმით უკანასკნელი წვერებიც გადავკვეთე.

როგორც კი ბაგირს ხელი გავუშვი, იმ წამსვე „ისპანიოლას“ ცხვირს მივაწყდი. ამავე დროს, ხომალდმაც იწყო შემობრუნება; იგი ნელ-ნელა ტრიალდებოდა დინების ნაკადში.

როგორც კი ბაგირს ხელი გავუშვი, ძლიერად მოუუსვი ნიჩაბს, რადგან ყოველ წუთს ველოდი ნავის გადაბრუნებას. მალე დავრწმუნდი, რომ გემს ჯიქურ ვერ მოვწყდებოდი, ამიტომ პირდაპირ კიჩოსკენ, გემის გასწვრივ მოუუსვი და ამ გზით გავშორდი ჩემს სახიფათო მეზობელს. ის იყო, გემს უნდა გავცდენოდი, რომ ხელი მომიხვდა კიჩოს მოაჯირიდან გადმოკიდებულ წვრილ თოკზე და მყის მოვეჭიდე.

რატომ მოვიქეცი ასე, ახლაც არ ვიცი. ალბათ, ეს უბრალო ინსტინქტი უნდა ყოფილიყო, მაგრამ, რაკი ხელში მომხვდა თოკი და დამაგრებულიც გამოდგა, ცნობისმოყვარეობამ მძლია და გადავწყვიტე, ერთხელ მაინც შემეხედა კაიუტის სარკმელში.

თოკი თანდათან მოექაჩე და როცა ვივარაუდე, საკმაოდ ახლო ვარ-მეთქი, უდიდესი საფრთხის მიუხედავად, ნახევრად წამოვი-

მართე და ამგვარად შევძელი კაიუტის ჭერისა და ოთახის სივრცის მცირე ნაწილისთვის თვალის მოვლება.

ამასობაში გემი და მისი პაწია თანამგზავრი გვარიანი სისწრაფით მისრიალებდნენ წყალში. უკვე გაუუსწორდით კოცონს. გემი, როგორც ზღვოსნები იტყვიან, „ლაპარაკობდა“ და საკმაოდ ხმამაღლადაც — განუწყვეტელი შხუილით მიაპობდა ზვირთებს. ვიდრე კაიუტის სარკმელში კარგად არ შევიხედე, მანამდე ვერაფრით მოვისაზრე, გემზე მყოფებმა აქამდე რატომ არ ატეხეს განგაში. მაგრამ ერთი თვალის გადავლება საკმაო იყო იმისათვის, რომ ყველაფერი გამერკვია და მეტი ვერც გაუბედე იმ მოქანავე, ძნელად სამართავი პატარა ნავიდან. ერთი თვალის დაკვრით შევნიშნე, რომ ჰენდზი და მისი ამხანაგი სამკვდროსასიცოცხლოდ შებმოდნენ და ერთმანეთს ყელში უჭერდნენ ხელს.

დროულად დავეშვი ნავის დასაჯდომზე, თორემ ცოტაც და, წყალში ამოყოფდი თავს. ერთხანს ახრჩოლებული ჭრაქის შუქზე მოძიძგილე ამ ორი გაშმაგებული კაცის ჭარხალივით გაწითლებული სახეების გარდა ვერაფერს ვხედავდი. ამიტომ თვალები დავხუჭე, რომ კვლავ სიბნელეს შევჩვეოდი.

ბოლოს, კოცონთან მყოფმა გუნდმაც შემოსძახა ჩემთვის ასევე კარგად ნაცნობი სიმღერა:

„მკვდრის სკივრს თხუთმეტი კაცილა შერჩა,
იო-ჰო-ჰო-ჰო, და ბოთლი რომი!

სხვანი სმას, ეშმაკს ვერ გადაურჩნენ...

იო-ჰო-ჰო, ჰო, ჰო, და ბოთლი რომი!“

ის-ის იყო იმაზე დაუფიქრდი, რას შერებოდნენ „რომი და ეშმაკი“ იმ წუთებში „ისპანიოლას“ კაიუტაში, რომ ჩემი ნავი ანაზდეულად შეინძრა და გადაიხარა. იმავე წამს იგი მკვეთრად შემოტრიალდა და თითქოს გეზიც იცვალა. სისწრაფეც უცნაურად მოემატა.

თვალები დავაჭყიტე. ირგვლოვ მცირე ზომის ზვირთები თამაშობდნენ, მკვეთრი ტყლაშუნიტ იმსხვრეოდნენ და ოდნავ ფოსფორისებული შუქიც გადაჰკრავდათ. „ისპანიოლამ“, რომელსაც რამდენიმე იარდის¹ მანძილზე მივდევდი, თითქოს შეცვალა გეზი და დავინახე, როგორ გამოირჩა მისი ანძები ღამის სიბნელეში. უფრო კარგად რომ დაუაკვირდი, დაურწმუნდი, გემი სამხრეთისკენ მიექანებოდა.

¹ იარდი — სიგრძის საზომი ერთეული; უდრის 3 ფუტს, ანუ 91,44 სმ.

უკან მივიხედე და გული კინაღამ საგულედან ამომივარდა. კოცონი ზუსტად ჩემ უკან გიზგიზებდა. დინების ნაკადი სწორი კუთხით მობრუნებულიყო და უზარმაზარ ხომალდს და პაწია ნავსაც აჩქარებდა და ხმამაღალი შხუილით სრუტეში, ღია ზღვისაკენ მიაქროლებდა.

უცებ, ჩემ წინ მიმავალმა ხომალდმა მკვეთრად მოუხვია — ასე, ოცი გრადუსით მაინც შეტრიალდა. იმავე წამს მოისმა ყვირილი გემიდან. გავიგონე ფეხის ბრაგაბრუგი კიბეზე. მივხვდი, რომ ორ ლოთს თავი დაენებებინა ჩხუბისთვის და უბედურებას ისინი სასწრაფოდ გამოეფხიზლებინა.

მე საცოდავი კი ნავის ძირში გავწევი და მორჩილად მივენდებედს. გული დაუაჯერე, რომ სრუტის გასავალში რიფებსა და წყალქვეშა კლდეების თავზე აღმართული აქაფებული ტალღა ჩამითრევდა და მთელ ჩემს ტანჯვა-წამებას ერთბაშად მოეღებოდა ბოლო. სიკვდილს კიდევ ავიტანდი, მაგრამ აღსასრულის მოახლოების ასე თვალდათვალ ცქერა მიმძიმდა.

ასეთ ყოფაში რამდენიმე საათი გავატარე. განუწყვეტლივ აქეთ-იქით მისროდა დიდრონი ზვირთები, წამდაუწუმ ვიწუწუბოდი ატყორცნილი შხეფებისაგან და ტალღის ყოველი დაჯახებისას სიკვდილის მოლოდინში ვიყავი. ნელ-ნელა დაღლილობა შემომეპარა; ამდენ შიშსა და ზაფრიანობაში გარინდებამ დამრია ხელი და ბოლოს, შეიძლება დაუჯერებლად მოგეჩვენოთ, მაგრამ — ძილმა დამიმორჩილა. ვიწევი ჩემს პაწია ნავში, რომელსაც ხომალდი ზღვაში მიააქროლებდა და მესიზმრებოდა მშობლიური სახლი და ძველი „ადმირალი ბენბოუ“.

თავი ოცდაათხე

ნუშათი მგზავრობა

როცა გამომეღვიძა, კარგად გათენებული იყო და აღმოვაჩინე, რომ ჩემი ნავი განძის კუნძულის სამხრეთ-დასავლეთი კიდის გასწვრივ მიტოვტოვებდა. მზე შემადღებელიყო, მაგრამ მას ჯერ კიდევ ეფარებოდა ჭოგრიტის ვეება მწვერვალი, რომელიც ამ მხა-

რეს თითქმის ზღვამდე ეშვებოდა საზარელი ქარაფების სახით.

საბუქსირო ბაგირის თავის კონცხი და უკანა ანძის ბორცვი იქვე ჩემს გვერდით მოჩანდნენ. ბორცვი მოტიტვლებული და ჩაშავებული იყო; ბაგირის თავის კონცხს ორმოცი თუ ორმოცდაათი ფუტის სიმაღლის კლდეები უვლიდა, ძირში კი კლდეებიდან ჩამომსხვრეული ლოდების ქობა შემორტყმოდა. ერთი მეოთხედი მილითაც არ ვიქნებოდი ნაპირს დაშორებული, რომ გავიფიქრე, ნიჩაბი სანაპიროსაკენ მომესვა და ხმელეთზე გადავმჯდარიყავი.

ამ განზრახვაზე მალევე ავიღე ხელი. ჩამომსხვრეულ ქარაფებში ზღვის გაშმაგებული ზვირთები შხუოდა და ბობოქრობდა, წამდაუწუმ გაისმოდა ხმამაღალი გრუხუნი; მძიმე შხეფები აიტყორცნებოდა ცაში, იფანტებოდა და უკან ცვიოდა. დავინახე, რომ თუ ახლოს მისვლას გავბედავდი, უთუოდ პირქუშ ნაპირს შევასკდებოდი, ანდა წამოზიდულ კლდეებზე აცოცებას ფუჭად შევალევდი ძალ-ღონეს.

გარდა ამისა, თვალი მოვკარი ვეება ლოკოკინების მსგავს ლორწოიან, რბილტანიან ურჩხულებს — ორი თუ სამი ათეული ერთად დაცოცავდა თავბრტყელ კლდეებზე, ანდა ხმამაღალი ტყაპანით ცვიოდა ზღვაში; კლდეებში საზარლად გაისმოდა მათი ღრიალის გამოძახილი.

შემდეგ გავიგე, რომ ისინი სრულიად უვნებელი ზღვის ლომები ყოფილიყვნენ, მაგრამ მაშინ მათმა დანახვამ საბოლოოდ ამაღებინა ხელი ხმელეთზე გადასვლის განზრახვაზე. ასეთ საფრთხეში თავის ჩაგდებას მერჩივნა შიმშილით ამომხდომოდა ზღვაში სული.

ამასთან, როგორც ვივარაუდე, უკეთესი შემთხვევა მეძლეოდა. ამ კონცხის ჩრდილოეთით, ზღვის მიქცევის დროს, ხმელეთი ღრმად იჭრებოდა ზღვაში და ყვითელქვიშიან გრძელ ზოლს ტოვებდა. უფრო ჩრდილოეთით სხვა კონცხიც იყო — ტყიანი კონცხი, როგორც რუკაზე იყო აღნიშნული, ჩაფლული მაღალ, მწვანე ფიჭვნარში, რომელიც ზედ ზღვის კიდემდე ჩამოდიოდა.

გამახსენდა სილვერის ნათქვამი იმ დინების შესახებ, რომელიც განძის კუნძულის დასავლეთ სანაპიროს გასდევდა ჩრდილოეთის მიმართულებით. შევატყვე, რომ უკვე ვიმყოფებოდი ამ დინების გა-

ვლენის ქვეშ და ვამჯობინე უკან მომეტოვებინა საბუქსირო ბაგირის თავის კონცხი და ძალა შემომენახა, რომ უფრო მშვიდობიანი შესახედლობის ტყიან კონცხზე გადაჯდომა მეცადა.

ზღვის ზედაპირი ძლიერ ტორტმანებდა. სამხრეთიდან გამუდმებით უბერავდა ქარი და რაკი დინება ჩრდილოეთისკენ მიემართებოდა დიდრონი ტალღებიც დინჯად მიგვაქანებდნენ წინ.

სხვანაირად რომ ყოფილიყო, მე დიდი ხნის წინათ დავიღუპებოდი; მაგრამ მაინც განსაცვიფრებელი გახლდათ, რა მარჯვედ და უხიფათოდ ახერხებდა ცურვას ჩემი პატარა, მსუბუქი ნავი. როცა მშვიდად ვიწექი ძირში და მხოლოდ ცალი თვალითღა ვიცქირებოდი ნავის კიდის ზემოდან, ხშირად ვხედავდი, როგორ აღიმართებოდა იქვე, ჩემს ახლოს, ვეება, ლურჯი მთა, ჩემი ნუშა კი მხოლოდ შეიკუნტრუშებდა, შეითამაშებდა ზედ და ჩიტოვით მსუბუქად ჩაემვებოდა მეორე მხარეს.

ცოტა ხნის შემდეგ გული მომეცა და წამოვჯექი, რათა ნიჩბის მოსმაში მეცადა ჩემი სიმარჯვე. მაგრამ წონასწორობის ოდნავი შეცვლაც უდიდეს ცვლილებებს იწვევდა პატარა ნავის მოძრაობაში. ჯერ ხეირიანადაც არ ვიყავი წამომჯდარი, რომ ნავმა თავი ანება წყნარ მოძრაობას და ისეთი სისწრაფით დაეშვა ტალღის ციცაბო ფერდზე, რომ თავბრუ დამესხა; შემდეგ ცხვირით მომდევნო ტალღას დაეჯახა და შხეფების კორიანტელი დააყენა.

გავიწუწე, დაფრთხი და მაშინვე ჩემს ძველ მდგომარეობას დავუბრუნდი. ნავიც თითქოს კვლავ ჩადგა თავის კალაპოტში და ისევ ძველებური სიმსუბუქით გამაქროლა დიდრონი ტალღებს შორის. აშკარა იყო, იგი ხელს არ გამანძრევინებდა და, თუ მისი გეზის ჩემს ნებაზე მართვა არ შემეძლებოდა, ხმელეთამდე მიღწევის რაღა იმედი უნდა მქონოდა?

ძალიან შევშინდი, მაგრამ იხტიბარი მაინც არ გავიტეხე. უპირველეს ყოვლისა, ჩემი საზღვაო ქუდით ძალიან ფრთხილად ნელ-ნელა ამოვხაპე ნავიდან წყალი; მერე ნავის კიდიდან ერთხელ კიდევ გადავიხედე და დაუაკვირდი, როგორ ახერხებდა ეს პაწია ნავი უზარმაზარ ტალღებში ასე ოსტატურად გასხლტომას.

აღმოჩნდა, რომ ყოველი ტალღა, ერთფეროვანი, გლუვი, კრიალა მთის მსგავსი კი არ ყოფილა, როგორც ნაპირიდან ან გემბა-

ნიდან მოჩანს, არამედ ზედმიწევნით ჰგავს ხმელეთის რომელიმე ქედს, სავსეს მწვერვალებით, ფერდობებითა და ხეობებით. თავის ნებაზე მიშვებული ნავი აქეთ-იქით უხვევდა, ასე ვთქვათ, მიიკვლევდა გზას ამ დაბალ ხეობებში და ერიდებოდა დაქანებულ ფერდობებსა და ტალღათა მაღალ მწვერვალებს.

„მაშასადამე, — გავიფიქრე ჩემთვის, — აშკარაა, ასე უნდა ვიწვე და არ დავარღვიო წონასწორობა. მაგრამ ისიც აშკარაა, რომ შემოდის ნიჩაბი გადაყვო ნავიდან და დროდადრო, სწორ, მშვიდ ადგილებში, ერთი-ორჯერ ვუბიძგო ნაპირისაკენ“.

გაფიქრება და გაკეთება ერთი იყო. იდაყვებზე დაყრდნობილი უხერხულად ვიწექი და დროდადრო ნიჩბის მსუბუქი მოსმით ვცდილობდი ნაპირისაკენ მიმებრუნებინა ნავის ცხვირი.

ერთობ მომქანცველი და ნელი სამუშაო იყო, მაგრამ თვალდათვალ ჩანდა, მიწას ვუახლოვდებოდი. როცა ტყიან კონცხს მიუახლოვდი, მივხვდი, რომ უეჭველად გავცდებოდი იმ ადგილს, თუმცა უკვე თვალი მოვკარი ხეების მწვანე კენწეროებს, გრილი სიო რომ არხვედა და გული დავაჯერე, მომდევნო კონცხს უთუოდ მოვალწევ-მეთქი.

საკმაო ხანი გავიდა. წყურვილი მკლავდა. მზე საშინლად აცხუნებდა, მის სხივებს ზღვა გაასმაგებელი სიკაშკაშით ირეკლავდა. მარილიანი წყალი ზედ მაშრებოდა. ტურები და ყელი მეწვოდა, თაკარა მზემ თავიც ამატკივა. ასეთ დღეში მყოფი, უზარმაზარი ხეების ჩრდილში გახვეული კონცხის დანახვაზე გული მეღეოდა. მაგრამ დინების ნაკადმა იმ კონცხს მალე გამაცვილა და ზღვის უბე გამოჩნდა, სადაც ისეთ სანახაობას მოვკარი თვალი, რამაც სრულიად შეცვალა ჩემი განზრახვა.

ჩემ წინ, ნახევარი მილის მანძილზე, იალქნებგაშლილი „ისპანიოლა“ დავინახე. დარწმუნებული ვიყავი, შემიპყრობდნენ; მაგრამ წყურვილმაც ისე შემაწუხა, რომ აღარც ვიცოდი, გამხარებოდა თუ მწყენოდა მისი დანახვა. სანამ რაიმე გარკვეულ აზრს დავადგებოდი, გასაოცარი რამ შევნიშნე.

„ისპანიოლას“ გაშლილი ჰქონდა მთავარი იალქანი და ორი სამკუთხა აფრა. ულამაზესი, თეთრი ტილო თოვლივით ქათქათებდა, თუ ვერცხლივით კრიალებდა მზეში. როცა პირველად მოვკარი

თვალი, ყველა იალქანი დაბერილი იყო და გეზი ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ ეჭირა. დავასკენი: გემზე მყოფნი ალბათ უკან, ნავსადგომისკენ მიემართებიან და ამიტომ კუნძულის შემოვლას აპირებენ-მეთქი. უცბად უფრო და უფრო დასავლეთისკენ იწყო გადახვევა. თავში გამიელვა, თვალი მკიდეს და ახლა ჩემი დადევნება განიზრახეს-მეთქი. მაგრამ ბოლოს, ქარის საპირისპიროდ შებრუნდა, ერთ ადგილას გაიყინა და ერთხანს უმწეოდ იდგა აფართხუნებული აფრებით.

„ლაცები, — ვთქვი მე, — ალბათ გამოლენიებული არიან ლოთობით!“ თან გულში გავივლე, რა დღეს დააყრიდა მათ კაპიტანი სმოლეტი, ამ ყოფაში რომ ენახა-მეთქი.

ამასობაში ხომალდი ნელ-ნელა შემოტრიალდა, ზურგი მიუშვირა ქარს, დაბერა იალქნები, და ერთი თუ ორი წუთი სწრაფად მისრიალებდა, მერე ერთხელ კიდევ მიუბრუნდა პირქარს და გაშემდა. ეს მოძრაობა კვლავ და კვლავ გაიმეორა. ასე უთავბოლოდ, წინ და უკან, აღმა-დაღმა, ჩრდილოეთის, სამხრეთის, აღმოსავლეთისა და დასავლეთისკენ დაცურავდა „ისპანიოლა“, უაზრო ხეთქებითა და ფუჭად აფართხუნებული აფრებით. მივხვდი, რომ გემს არავინ მართავდა. და თუ ასე იყო, სადღა გადაიკარგა იქ შემორჩენილი ეკიპაჟი? ჩემი ფიქრით, ან გალემილები ეყარნენ მკვდრებით, ანდა მიატოვეს იგი და, თუ როგორმე მოვახერხებდი მასზე მოხვედრას, შესაძლო იყო, თავისი ნამდვილი კაპიტნისათვის დამებრუნებინა ხომალდი.

დინებას ჩემი ნავი და ხომალდი ერთნაირი სიჩქარით მიჰქონდა სამხრეთისკენ. ხომალდი კვლავინდებურად უთავბოლოდ მოძრაობდა. ყოველი შემობრუნების დროს იმდენ ხანს იდგა გაშემებული, რომ წინსვლის მაგიერ თითქოს უკანაც იხვედა. წამოჯდომა და ნიჩბის მოსმა რომ გამებედა, მგონი, შევძლებდი კიდევ დავწეოდი. ამ განზრახვას საგმირო თავგადასავლის სუნი უდიოდა და ფრთას მასხამდა, ხოლო მტკნარი წყლით სავსე კასრზე ფიქრი სიმამაცესა და მხნეობას მიორმაგებდა.

წამოვჯექი თუ არა, თითქმის იმავე წამს გავეხვიე შხეფების ბურუსში, მაგრამ ამჯერად აღარ ამიღია ხელი განზრახვაზე და მთელი ძალ-ღონითა და სიფრთხილით შევუდექი ნიჩბის მოსმას

უძრავად მდგარი „ისპანიოლასკენ“. ერთხელ იმდენი წყალი შე-
მოასხა ნავში, იძულებული გაუხდი, შევჩერებულიყავი და ამომეხა-
ვა. გული ჩიტოვით მიფრთხილებდა, მაგრამ ნელ-ნელა ალლო
ავუღე საქმეს და ჩემი ნუშა ისე მიმყავდა ტალღებში, რომ მხო-
ლოდ აქა-იქ თუ წაჰკრავდა ცხვირს და შემოდასხამდა ქაფს სახეში.

ახლა სწრაფად ვუახლოვდებოდი გემს. უკვე ვარჩევდი აქეთ-
იქით მოქანავე საჭის თითბრის ბრჭყვიალა სახელურს. არც ერთი
სულიერი არ ჩანდა გემბანზე. ისლა დამრჩენოდა მეფიქრა, რომ
იგი მიატოვეს, ან მთვრალეები ქვემოთ ეყარნენ, სადაც შემეძლო
ჩამეკეტა ისინი და მერე, რაც მომეპრიანებოდა, იმას ვუზამდი ხო-
მალდს.

გემი კი აქეთ-იქით ტრიალს განაგრძობდა. ყოველთვის, როცა
გეზი აერეოდა, იალქნები ნაწილობრივ მაინც იბერებოდა და ამით
კვლავ ქარის გავლენის ქვეშ ექცეოდა. მოგახსენეთ კიდევ, ეს იყო
ჩემთვის ყველაზე უარესი. გემის აფრები ზარბაზნებოვით გრუხუ-
ნებდა და ტკაცუნებდა, ხოლო ძელები გემბანზე გორავდა და
აქეთ-იქით ეხეთქებოდა. ამ ყოფაში გემი უმწეოდ გამოიყურებო-
და, იგი კვლავ გამიბოდა არა მარტო დინების ნაკადის სიჩქარის
შემწეობით, არამედ ზურგქარის ძალითაც, რაც, ბუნებრივია, საკ-
მაოდ ძლიერი გახლდათ.

ბოლოს ხელსაყრელი შემთხვევა მომეცა. ქარი რამდენიმე წამით
მინელდა. დინებამ ნელ-ნელა შემოაბრუნა „ისპანიოლა“ ისე, რომ
კიჩო მომიშვირა. კაიუტის სარკმელი გამოღებული იყო და ჭრაქიც
ისევ ენთო მაგიდაზე ამ დღის სინათლეზე. მთავარი იალქანი დრო-
შასავით ეკიდა. დინება რომ არა, ხომალდი სრულიად უძრავად
იქნებოდა.

ბოლო წუთებში გამისწრო კიდევ, მაგრამ ძალ-ღონე ორმაგად
დავძაბე და ერთხელ კიდევ შევეცადე დავწეოდი.

ასიოდე იარდით არ ვიქნებოდი დაშორებული მისგან, რომ ქარ-
მა კვლავ დაქროლა, მარცხენა მხარეს მიბრუნების შემდეგ იალ-
ქნები დაიბერა. იგი კვლავ მოსწყდა ადგილს და მერცხალივით
მსუბუქად გასრიალდა.

თავდაპირველად სასოწარკვეთილებაში ჩავვარდი, მაგრამ შე-
მდეგ გამიხარდა. ხომალდი კვლავ ჩემკენ წამოვიდა და ჩვენს

შორის არსებული მანძილის ნახევარი გამოიარა, შემდეგ ორი მესამედი, მერე სამი მეოთხედიც. უკვე ვხედავდი, როგორ მოაპობდა ტალღებს და მის ცხვირწინ წყალი თუთრად როგორ ქაფდებოდა. ჩემი დაბალი, პაწია ნავიდან უზომოდ მაღალი მეჩვენებოდა იგი.

მერე უცბად მივხვდი — განსაცდელი მემუქრებოდა და რაიმეს მოსაზრებისა და ხელის განძრევის დროც აღარ მრჩებოდა თავის გადასარჩენად. მე ერთი ტალღის ქედზე ვიყავი მოქცეული, რომ ხომალდი მეორიდან დაეშვა. გემის ცხვირიდან გადმოშვერილი საიალქნე ძელი ზედ ჩემს თავზე მოექცა. წამოვიჭერი და ისეთი ძალით შევხტი, რომ ნავი ბიძგისაგან ჩაიძირა. ცალი ხელით ძელს მოვეჭიდე, ფეხი კი ანძების დასამაგრებელ თოკებში გამეხლართა. სანამ ქოშინით ვებლაუჭებოდი ძელს, დაჯახების ყრუ ხმაზე მივხვდი, რომ გემი ჩემს ნუშას დაეჯახა და საბოლოოდ ჩაძირა. „ისპანიოლადან“ უკან დასახვევი გზა მომეჭრა.

თავი ოცდამეხუთე

„მხიარულ როჯერს“ ძირს ვუშვებ

ის-ის იყო გემის ცხვირიდან წინ გადმოშვერილ ძელს ორივე ხელით ჩავებლაუჭე, რომ წინა სამკუთხა აფრამ ისე გაიტყლაშუნა, თითქოს ზარბაზანი დაცალესო და მეორე მხარეს გაიბერა. ქარის დარტყმამ მთელი ხომალდი შეაზანზარა, მაგრამ, მეორე წამს, წინა აფრამ კვლავ გაიტყლაშუნა და უქმად ჩამოეკიდა.

ამ ანაზღეულმა შერყევამ კინალამ ზღვაში გადამიძახა. დრო აღარ დამიკარგავს — მაშინვე წავბობლდი გემის ცხვირისაკენ და თავდაყირა გადავეშვი გემბანზე.

წინა ერდოს საქარე მხარეს მოვხვდი. მთავარი აფრა, რომელიც ისევ დაბერილი იყო, კიჩოს ერთ ნაწილს ფარავდა ჩემგან. სულიერი არ ჭაჭანებდა. გემბანს, რომელიც ამბოხების შემდეგ აღარავის გაეწმინდა, უამრავი ნაფეხური ემჩნეოდა. თავმოტეხილი ცარიელი ბოთლები ცოცხალი არსებებოვით აქეთ-იქით აწყდებოდნენ გემბანიდან წყლის ჩასაწურ ღარებს.

უცხად ქარმა დაუბერა და ჩემს ზურგს უკან სამკუთხა აფრებმა ხმამაღლა გაიტკაცუნეს. საჭე მოტრიალდა; გემი მძიმედ აჭრაჭუნდა. იმავე წამს მთავარი აფრის ქვემო ძელმა გადაიწია, იალქნების სამართავმა თოკებმა ჭრიალი მორთეს და კიჩოს საქარე მხარეც გამოჩნდა.

ორივე გუშაგი იქ ეყარა: წითულჩაჩიანი გულალმა ეგდო გაშეშებული, ჯვარცმულივით გაეშალა მკლავები და კბილები დაეკრიჭა; იზრაველ ჰენდზი გემბანის მოაჯირს იყო მიყუდებული, ნიკაპი მკერდზე ჰქონდა დაბჯენილი, ხელები უმწეოდ დაეშვა ძირს, შხით გარუჯული სახე კი ქონის სანთელივით გასთეთრებოდა.

ერთ ხანსგემი ოჩანი ცხენივით ყალყზე დგებოდა და გვერდელად მიქვექვევობდა. იალქნები ხან ერთ, ხან მეორე მხარეს იბერებოდა და აფრის დასამაგრებელი განივი ძელი ისე ქანაობდა აქეთ-იქით, რომ ანძა დაძაბულობისაგან ხმამაღლა ჭრიალებდა. მოაჯირის ზემოდან გამუდმებით მოდიოდა შხეფების წვიმა. ხომალდის ცხვირი მძიმედ ეჯახებოდა ტალღებს და ეს ვეება გემი, უმართაობის გამო, უფრო დიდ განსაცდელში ვარდებოდა, ვიდრე ჩემი პატარა, უშნოდ გამოჩორკნილი ნუშა, რომელიც ახლა ზღვის ფსკერზე განისვენებდა.

ხომალდის ყოველ შეხტომაზე წითულჩაჩიანიც შეტოკდებოდა ხოლმე. საზარელი დასანახი იყო, მაგრამ ჩვეული გამომეტყველება არ შესცვლოდა — კბილებდაკრეჭილი, თითქოს კვლავ დამცინავად იღიმებოდა. გემის რყევის გამო, ჰენდზიც თითქოს უფრო და უფრო ძირს ეშვებოდა და გემბანზე წვებოდა: მისი სხეული თანდათან კიჩოსაკენ მიჩოჩავდა. ბოლოს მისი ცალი ყურისა და ცალი ქილვაშის გაზინთული კულულის გარდა ვეღარაფერს ვხედავდი.

ამავე დროს მათ ირგვლივ გემბანის ფიცრებზე მონთხეული ჩამუქებული სისხლი შევნიშნე და დავრწმუნდი, მთვრალეებს ჩხუბში ერთმანეთი დაეხოცათ.

სანამ მე გემბანის თვალიერებით ვიყავი გართული, მოულოდნელად იზრაველ ჰენდზის კენესა მომესმა, რომელიც ნაწილობრივ შემობრუნდა და კენესითა და ჯახხირით პირვანდელ მდგომარეობას დაუბრუნდა. როგორც აღმოჩნდა, ცოცხალი იყო. მისმა კენესამ და საწყალობელმა შესახედაობამ, ერთი წამით, გულიც მომიღბო,

მაგრამ, როგორც კი მისი მზაკვრული სიტყვები გამახსენდა, რომელიც ვაშლის კასრში ჯდომისას გავიგონე, მთელი სიბრაღული გამიქრა.

კიჩოსკენ გავემართე და მთავარ ანძამდე მივალწიე.

— გამოვცხადდი ხომალდზე, მისტერ ჰენდზ! — დაცინვით მოვახსენე მე.

მან მძიმედ გადმოატრიალა თვალები, მაგრამ იმდენად გამოლენჩებული იყო, გაკვირვება არ დასტყობია. ერთადერთი სიტყვის თქმალა მოახერხა:

— ბრენდი!¹

ვიფიქრე, დახანების დრო აღარ არის-მეთქი. გავძვერი აფრის ქვემო ძელის ქვეშ, რომელიც კიდევ გადმოხრილიყო გემბანზე, გავსხლტი კიჩოზე და კიბით კაიუტაში ჩავუდი.

ვერ წარმოიდგენთ, როგორ გადაექოთებინათ იქაურობა. რუკის ძებნაში ყველა დაკეტილი სკივრი და განჯინა გაეტეხათ. იატაკი სქლად დაეფარა ტალახს იმ ადგილებში, სადაც შლეგები დასალევად ანდა მოსათათბირებლად დამსხდარიყვნენ, კუნძულის ჭაობებში შლაპუნის შემდეგ. თეთრად შეღებილ და ოქროსფერ ჩარჩო-შემოვლებულ ტიხრებს ჭუჭყიანი ნათითურები ემჩნეოდა. გემის კუთხეებში ბლომად მიყრილი ცარიელი ბოთლები წკრიალებდა. ექიმის ერთი სამკურნალო წიგნი გადაშლილი იდო მაგიდაზე და ფურცლების ნახევარი ამოეგლიჯათ, ალბათ ჩიბუხების მოსაკიდებლად. ამ არეულობაში, ჩამუქებულ შუქზე, კვლავ ხრჩოლავდა ჭრაქი.

მარანში შევედი. არც ერთი კასრი აღარ ჩანდა. ბოთლების განსაცვიფრებელი რაოდენობა დაეცალათ და გადაეყარათ. ალბათ, რაც ამბობება დაიწყო, მას შემდეგ გამუდმებით სვამდნენ.

აქეთ-იქით ძებნაში მაინც წავაწყდი ერთ ბოთლს, რომელშიც ცოტაოდენი ბრენდი ჩარჩენილიყო; ჩემთვის ცოტა ორცხობილა, ცოტა ჩამწნილებული ხილი, ბლომად ჩამიჩი და ერთი ნაჭერი ყველი გამოვქექე. გემბანზე ამოვედი, საკუთარი მარაგი საჭის უკან მოვათავსე, სასმელი წყლის კასრს მივადექი, გული ვიჯერე და მხოლოდ შემდეგ მივართვი ჰენდზს ბრენდი.

¹ ბრენდი — ღვინისაგან გამოხდილი, საგანგებო წესით დაყენებული სასმელი.

სანამ კარგა ბლომად არ მოსვა, პირიდან არ მოუცილებია ბო-
თლი.

— ოჰ, — შესძახა მან, — მეხის მადლმა, სწორედ ეს მჭირდე-
ბოდა ახლა.

მე ჩემს კუთხეში მიოჯექი და საჭმელს შევექეცი.

— მძიმედ ხართ დაჭრილი? — შევეკითხე.

მან წამოიბურტყუნა, უფრო სწორად რომ ვთქვათ, წამოიყეფა:

— ის ექიმი რომ გემზე იყოს, თვალის დახამხამებაში მოვმჯო-
ბინდებოდი. მაგრამ, ბედი არ მწყალობს, ხომ ხედავ. აი, ასეა ჩემი
საქმე. ეგ ვირთხა კი მართლაც ფეხებგაფშეკილია, — დასძინა და
წითულჩაჩიანზე მანიშნა. — მაინც უვარგისი ზღვაოსანი იყო. შენ
საიდანღა გამოტყვრი?

— ჰო, — ვთქვი მე, — აქ ამისთვის გამოცხადდი, რომ გემს
დავეპატრონო, მისტერ ჰენდზ. კეთილი ინებეთ და თქვენს კაპიტ-
ნად ჩამთვალეთ!

პირქუშად გამომხედა, მაგრამ არაფერი უთქვამს. ლოყებზე
ცოტა ფერი მოუვიდა, თუმცა კვლავ მისავათებულად გამოიყურე-
ბოდა. თან ჩაცურებასა და ლაყლაყს განაგრძობდა, როცა გემი
აქეთ-იქით ეხეთქებოდა.

— სხვათა შორის, — განვაგრძე, — ამ დროშას მე ვერ ვიგუებ,
მისტერ ჰენდზ, და, თქვენის ნებართვით, დავუშვებ კიდევ. ამისთა-
ნა დროშას სულ არაფერი იყოს, ის სჯობია!

გავძვერი აფრის დასამაგრებელი ძელის ქვეშ, მივირბინე ჩამო-
საშვებ თოკთან, ძირს ჩამოვართიე მათი წყეული შავი დროშა და
ზღვაში გადავუძახე.

— ღმერთი წყალობდეს მეფეს! — შევძახე ქულის ქნევით, —
ძირს, კაპიტანი სილვერი!

ჰენდზს მთელი ამ ხნის განმავლობაში ნიკაპი მკერდზე ჰქონდა
დაბჯენილი და ფხიზლად და მზაკვრულად მადევნებდა თვალს.

— მე მგონი... მე მგონი, — თქვა ბოლოს, — კაპიტანო ჰოკინზ,
თქვენ ახლა ხმელეთზე გადაჯდომას მოინდომებთ და, ხომ არ მო-
ვილაპარაკოთ.

— რატომაც არა, — მიოუგე მე, — სულითა და გულით, მისტერ
ჰენდზ, ბრძანეთ. — და კვლავ მადიანად შევუდექი ჭამას.

— ამ კაცმა... — წამოიწყო მან და თავი ნელა გადააქნია გვაბისკენ, — ო'ბრაიენი იყო გვარად... მერალი ირლანდიელი... ამან და მე იალქნები გავშალეთ, გვინდოდა ყურეში დაგვებრუნებინა ხომალდი, ჰოდა, ახლა ეგ მკვდარია, მკვდარი!... ფეხები აქვს გაფშეკილი და არ ვიცი, ვინლა წაიყვანს ამ გემს. თუ მე არ გასწავლე, შენ ვერაფერს გააწყო. აბა, ახლა მომისმინე: შენ საჭმელ-სასმელი და ძველი მოსახვევი, ან ცხვირსახოცი მომიტანე ჭრილობის შესახვევად. მე კი გეტყვი, როგორ უნდა მართო გემი და, მგონი, ბარი-ბარში ვიქნებით!

— ერთს გეტყვი, — სიტყვა ჩამოვართვი მე: — სულაც არ ვაპირებ კაპიტან კიდის ნავსადგომში დაბრუნებას. განზრახული მაქვს ჩრდილოეთის ყურეში შევიდე და მშვიდად მივაყენო ხომალდი ნაპირს.

— კარგი! — შესძახა მან? — ეგრე იყოს, ისეთი გამოთავყანებული ტუტუციც არა ვარ, ბოლოს და ბოლოს. ვხედავ, განა ვერ ვხედავ? ვცადე ბედი, ვცადე და წავაგე; მოგებით, შენ მოიგე. ჩრდილოეთის ყურეში? რატომაც არა, მე არჩევანი არა მაქვს! მეხის მადლმა, თუ მოისურვებ, ჩემი სახრჩობელის კიბემდეც მიგაყვანინებ გემს! სწორედ ეგრე ვიზამ!

მისი ნათქვამი ჭკუაში დამიჯდა და მაშინვე მოვრიგდით. სამ წუთში „ისპანიოლა“ უკვე ზურგქართ მსუბუქად მისრიალდა განძის კუნძულის გასწვრივ. გულში იმედი მიღვიოდა, რომ შუადღემდე შემოვუვლიდი ჩრდილოეთის კონცხს, და კვლავ ჩამოვიდოდი ქვემოთ, ჩრდილოეთის ყურემდე. ზღვის მოქცევის დროს შეგვეძლებოდა უვნებლად მიგვეყენებინა ნაპირთან გემი, მერე კი დავიცდიდი, ვიდრე მიქცევა არ მოგვეცემდა საშუალებას გადასხდომისთვის.

შემდეგ საჭის სახელური დავამაგრე, ქვემოთ ჩავედი, მოვნახე ჩემი სკივრი, საიდანაც ამოვიღე დედაჩემის მოცემული რბილი აბრეშუმის ცხვირსახოცი. ჩემი დახმარებით ჰენდზმა შეიხვია თუძოში მიყენებული, სისხლგამდინარი, საკმაოდ ღრმა ჭრილობა. შემდეგ ცოტა დანაყრდა, კვლავ მოსვა ბრენდი და შესამჩნევად მომჯობინდა: უფრო მოხერხებულად წამოჯდა, უფრო ხმამაღლა და მკაფიოდ დაიწყო ლაპარაკი და სულ სხვა კაცს დაემსგავსა.

ზურგის ქარი ჩიტოვით მიგვაქროლებდა. შორს კუნძულის ნაპირი მოჩანდა და ყოველ წუთში იცვლებოდა ხედები. მალე გავცდით მაღლობ ადგილს და დაბალი, ჯუჯა ფიჭვებით მოწინწკლული ქვიშიანი ნაპირის გასწვრივ გავცურეთ. მალე იმასაც ჩავუარეთ და შევუხვიეთ კლდოვან ბორცვთან, რომლითაც კუნძული ბოლოვდებოდა ჩრდილოეთის მხარეს.

აღფრთოვანებული ვიყავი ჩემი ახალი მდგომარეობით და ვტკბებოდი კაშკაშა, მზიანი ამინდითა და სანაპიროს ნაირ-ნაირი სანახების თვალიერებით. ახლა უხვად მქონდა წყალი და საკვები; სინდისის ქენჯნა, რომელიც გამოპარვის გამო, ძალიან მაწუხებდა, დიდი გამარჯვების მოპოვებით მოგვრილმა სიამაყემ დამიცხრო. მგონი, აღარც არაფერი მექნებოდა სადარდელი, რომ არა ჰენდზის თვალები. ის მომჩერებოდა და უცნაური ღიმილი დასთამაშებდა სახეზე. ამ ღიმილში, ბერიკაცის უღიმღამო ღიმილში, ჩაქსოვილი იყო ტკივილიც და უძლურების განცდაც. მე ვსაქმიანობდი, ის კი მომჩერებოდა და მომჩერებოდა. მის გამოხედვას, ამ დროს, დაცინვის ნაპერწკალი და ღალატის ჩრდილიც დაჰკრავდა.

თავი ოცდამეექვსე

იზრავლ ჰენდზი

ქარმა, ჩემდა საბედნიეროდ, ახლა დასავლეთისაკენ გადაინაცვლა და უკვე ადვილად შეგვეძლო კუნძულის ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხიდან ჩრდილოეთის ყურის შესავალში მოვხვედრილიყავით. ოღონდ, სანამ მოქცევა საკმაოდ მაღლა არ აიწევდა, ღუზაზე დადგომის შესაძლებლობა არ გვქონდა, ვერც ნაპირზე გემის მიყენებას ვბედავდით და მოცდა დაგვჭირდა. ჰენდზი მასწავლიდა, ერთ ადგილას როგორ შემეკავებინა ხომალდი. ბევრი ცდის შემდეგ ეს საქმე წარმატებით დავაგვირგვინე და მერე ორივენი ჩუმად მივუსხედით საჭმელს.

— კაპიტანი, — მითხრა მან ბოლოს იმავე უკუღმართი ღიმილით, — აგე, იქ გდია ჩვენი ძველი მეგობარი ო'ბრაიენი; ხომ

არ გადაუძახებდი მაგას ზღვაში? მე მაინც დამაინც აზიზი არ გახლავარ და არც სინდისი მქენჯნის, სული რომ გავაფრთხო-ბინე, მაგრამ არა მგონია, საამო დასანახი იყოს; ჰა, რას იტყვი?

— ვერც მე ავწევ და არც მეჭაშნიკება ეგ საქმე. ასე რომ, იყოს იქ, სადაც არის, — მიუუგე მე.

— ეს გემი... ეს „ისპანიოლა“ უბედური გემია, ჯიმ, — განგრძო ჰენდზმა თვალის ჩაკვრით. — ამ „ისპანიოლაზე“ ბევრი დაიხოცა... რამდენი საბრალო მეზღვაური დაიღუპა მას შემდეგ, რაც შენ და მე ბრისტოლში გემზე ამოვედით. ასეთი უბედური ნაოსნობის მნახველი არა ვარ, არა! აი, ეს ო'ბრაიენიც მკვდარია, ხომ ნამდვილად მკვდარია? მე არა ვარ ნასწავლი; შენ კი ისეთი ბიჭი ხარ, კითხვა და ანგარიში იცი და, პირდაპირ მითხარი: როგორ გგონია, მკვდარია და, მორჩა, გათავდა, თუ კვლავ გაცოცხლდება?

— თქვენ შეგიძლიათ ადამიანის სხეული მოკლათ, მისტერ ჰენდზ, მაგრამ არა სული. ეგ აქამდეც უნდა გცოდნოდათ, — ვუპასუხე მე. — ო'ბრაიენი ახლა სხვა სამყაროშია და ეგებ კიდევ გვითვალთვალებს იქიდან.

— ეჰ! — შესძახა მან. — რა უბედურება იქნება, თუ ამდენი ზოცვა-ჟლეტვა დროის ტყუილად ფლანგვა გამოდგა. თუმცა სულელები, რაც მე მინახავს, დიდად არც არიან სათვალავში ჩასაგდები და არც მეშინია მათი, ჯიმ. ახლა რაკი სათქმელი მითხარი, მადლობელი ვიქნები, თუ ქვევითაც ჩაირბენ კაბინაში და ამომიტან... ჰო, ამომიტან... ჯანდაბას ჩემი თავი!.. ვეღარ მომიგონებია სახელი... ჰო, ამომიტან ერთ ბოთლ ღვინოს, ჯიმ... ეს ბრენდი ჩემთვის ძალიან მაგარია.

ჰენდზის გულმაჟიწყოფა არაბუნებრივად მეჩვენა, ხოლო ღვინო რომ არჩია ბრენდის, ეს ხომ სულ ვერ დავიჯერე. მთელი ეს ამბავი სხვა საქმისათვის იყო მოჩმახული. აშკარა იყო, უნდოდა, გემბანიდან გავეტყუებინე, მაგრამ რა განზრახვით, ვერ მივმხვდარიყავი. თვალებს ვერ მისწორებდა. აქეთ-იქით აცეცებდა. ხან ცას შეხედავდა, ხან ო'ბრაიენის გვამს მიაშტერდებოდა. თანაც იღიმებოდა და დამნაშავე და შეფიქრიანებული კაცის იერით ენის წვერს გა-

რეთ ყოფდა; ისე, რომ ბავშვიც მიხვდებოდა, რაღაც ღალატით ელო გულში. მიუხედავად ამისა, არ მიგრძნობინებია, რომ ეჭვი ავიღე და გულლიად გამოვეპასუხე.

— ღვინო? კეთილი. თეთრი გნებავთ თუ წითელი?

— მგონი, სულერთია ჩემთვის, მეგობარო, — მომიგო მან, — ოღონდ მაგარი იყოს და ბლომად, მეტი რა მინდა!

— კარგი, — ვუპასუხე მე, — მაშინ, პორტვინს მოგიტანთ, მისტერ ჰენდზ. მაგრამ ბევრი ქექვა კი დამჭირდება.

ამის შემდეგ რაც შემეძლო დიდი ბრაზაბრუხით დავეშვი კიბეზე, გავიდრე წაღები, ჩუმად გავირბინე ტალანი, ავედი წინა ერდოს კიბეზე და იქიდან გამოვყავი თავი. ჰენდზი ვერაფრით მიხვდებოდა, რომ ვუთვალთვალედი. ამრიგად, ყველანაირად ვეცადე, რომ მისი ყურადღება არ მიმეპყრო და შედეგად, ჩემი ყველაზე უარესი ეჭვებიც კი გამართლდა.

იგი ხელებსა და მუხლებზე წამოწეულიყო და, ტკივილისდა მიუხედავად, რასაც მისი თავშეკავებული კვნესა მოწმობდა, მაინც გვარიანი სიმკვირცხლით მიფორთხავდა გემბანზე. ნახევარ წუთში გემბანის მარცხენა მხარეს, წყლის ჩასაწრეტ ღარებამდე მიაღწია და თოკის გორგალიდან ტარამდე სისხლით გასვრილი დანა, უფრო სწორად, მოკლე ხანჯალი ამოაძრო. ერთ წამს ტუჩებმოკუმული დაყურებდა, სიბასრე გასინჯა, მერე სასწრაფოდ ქურთუკის უბეში ჩამალა და ისევ თავისი ძველი ადგილისაკენ, მოაჯირთან წაბობლდა.

მეც მხოლოდ ამის გაგება მინდოდა. იზრავლს შეეძლო აქეთ-იქით მოძრაობა, შეიარაღებულნიც ბრძანდებოდა და, რაკი ასე ძლიერ ცდილობდა გემბანიდან ჩემს მოშორებას, აშკარა იყო, მისი მსხვერპლი მე უნდა ვყოფილიყავი. შემდეგ რას მოიმოქმედებდა, — ეცდებოდა ფორთხვით გადაელახა კუნძული ჩრდილოეთის ყურედან ჭაობებში მოთავსებულ ბანაკამდე, თუ დიდ ტომს¹ დააქუხებდა ამხანაგების მოსახმობად, — ეს მე არ ვიცოდი.

მაინც დარწმუნებული ვიყავი, ერთ საკითხში ჯერ კიდევ შემეძლო მისი ნდობა, რადგან ჩვენი ინტერესები ერთმანეთს ემთხ-

¹ დიდი ტომი — აქ ზარბაზანს აღნიშნავს.

ვეოდა — ეს გახლდათ ხომალდის გადარჩენის საქმე. ორივეს გვეწადა, რაც შეიძლება ფრთხილად მიგვეყენებინა იგი დაცულად გილას, რათა, როცა დრო დადგებოდა, რაც შეიძლება იოლად და უხიფათოდ გამოგვეყვანა კვლავ ზღვაში. ვიდრე ამ საქმეს არ ავასრულებდით, ვფიქრობდი, ჩემს სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება-მეთქი.

ამ ფიქრებთან ერთად, უკან, კაბინისაკენ გავიპარე, ისევ ჩავიცვი წაღები, სახელდახელოდ წამოვავლე ხელი ღვინიან ბოთლს და ხელდამშვენებული გამოვცხადდი გემბანზე.

ჰენდზი ისევე იწვა, როგორც დავტოვე — ფუთასავით იყო მობლუნძული, ქუთუთოები დაეშვა, თითქოს ისე მისავათებულა, დღის შუქის გაძლების თავიც აღარ აქვსო. მაინც წამოიხედა ჩემს მისვლაზე, ბოთლს ჩვეული სიმარჯვით წააცალა თავი, თავისი საყვარელი სადღეგრძელო — „გვეწყალობდეს ბედი!“ — შესძახა და ბარაქიანად მოსვა. მერე ცოტა ხანს მშვიდად იწვა, შემდეგ თამბაქო ამოიღო და მთხოვა ერთი დაღეჭვა მომეჭრა.

— პატარა მომიჭერი, — მითხრა მან, — არც დანა მაქვს, არც ძალა მეყოფა, თორემ მე თვითონ ვიზამდი. ეჰ, ჯიმ, მგონი, წასულია ჩემი საქმე! მომიჭერი ერთი დაღეჭვა და ალბათ უკანასკნელიც იქნება ეს ჩემთვის, ყმაწვილო, არ უნდა ბევრი ჩიჩინი, სამარეში მიდგას ფეხი.

— კარგი, — მიუუგე მე, — მოგიჭრი თამბაქოს, მაგრამ, მე რომ თქვენს ადგილას ვიყო და ეგრე ცუდად ვგრძნობდე თავს, ლოცვას შევუდგებოდი და ცოდვებს მოვინანიებდი, როგორც ქრისტიანს შეშვენის.

— ცოდვებს? — იკითხა მან, — რა ცოდვებს?

— როგორ თუ, რა ცოდვებს! — შევძახე მე, — თქვენს ადამიანურ ვალს უღალატეთ, ცოდვაში, სიცრუესა და სისხლის ღვრაში ცხოვრობდით; აგერ, ახლაც, ცხვირწინ გიგდიათ საკუთარი ხელით მოკლული კაცი და კიდევ მეკითხებით, რა ცოდვებსო?! ღმერთს უნდა სთხოვოთ შენდობა, მისტერ ჰენდზ!

ცოტა ფიცხად ვლაპარაკობდი, რადგან თვალწინ მედგა მის ჯიბეში ჩამალული სისხლიანი ხანჯალი, რომლითაც, მისი ბოროტი განზრახვით, ჩემთვის უნდა მოეღო ბოლო. ჰენდზი საოცრად

აღზნებული ჩანდა, მან კიდევ ბლომად მოსვა ღვინო და საზეიმო კილოთი დაიწყო.

— ეს ოცდაათი წელიწადია, — თქვა მან, — ზღვაში დავცურა. მინახავს ავიც და კარგიც, შტილიც და შტორმიც, შიმშილიც და დანების ტრიალიც და კიდევ, რაღა არა! ჰოდა, უნდა გითხრა, არასოდეს მინახავს, რომ კეთილი საქმის ჩადენით ვინმეს ეხიროს. ვინც პირველი ჩასცემს დანას, მართალიც ის არის, მკვდრები არ იკბინებიან! აი, ეს გახლავთ მთელი ჩემი რწმენა... ამინ, მორჩა და გათავდა! ახლა ყური მიგდე, — უცბად შეცვლილი კილოთი დასძინა მან, — ბევრ დროს ვკარგავთ ლაპარაკში. მოქცევამ საკმაო დონეს მიაღწია. ახლა ჩემი განკარგულებები შეასრულე, კაპიტანო ჰოკინზ, მალე შევცურდებით ყურეში და საქმესაც მოვითავებთ!

სულ ორი მილიც არ გვექნებოდა გასაუღელი, მაგრამ ცურვა ძალიან ჭირდა. ჩრდილოეთის ნავსადგომში შესასვლელი არა მარტო ვიწრო და მეჩეჩიანი იყო, არამედ აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენაც ისე იყო გაწოლილი, რომ შიგნით მოხვედრისთვის ხომალდს მარჯვედ მართვა ესაჭიროებოდა. მაგრამ, მე კარგი შემსრულებელი ვიყავი, ჰენდზი კი ჩინებული ხელმძღვანელი. აქეთ-იქით ვუხვევდით, მივძვრებოდით და ნაპირების გასწვრივ ისეთი თავდაჯერებულობითა და სინატიფით ვიკვლევდით გზას, რომ პირდაპირ საამო სანახავი იყო.

როგორც კი გავცდით შესავალში აქეთ-იქით მოჯრილ კონცხებს, ხმელეთის ტყვეობაში აღმოვჩნდით. ჩრდილოეთის ყურის ნაპირებიც ისეთივე ხშირ ტყეს დაეფარა, როგორც სამხრეთის ნავსადგომისა, მაგრამ უფრო გრძელი და ვიწრო იყო, მდინარის განიერ შესართავს უფრო წააგავდა. სწორედ ჩვენ წინ, სამხრეთ ბოლოსთან, დავინახეთ საბოლოო დაშლისა და ღპობის პირას მისული სამანძიანი დიდი ხომალდი, რომელიც იმდენ ხანს გდებულებოდა აქ, რომ ზღვის მცენარეების ვეება ქსელში გახვეულიყო; გემბანზეც ბუჩქებს მოეკიდებინა ფეხი და ახლა მრავლად ჰყვავდა. სევდიანი სანახაობა გახლდათ, მაგრამ ეს სანახაობა იმასაც ადასტურებდა, რომ ნავმისადგომი წყნარი იყო.

— შეხედე, — თქვა ჰენდზმა, — ყური მიგდე: აი, ჩინებული ადგილი გემის მისაყენებლად. წმინდა, სწორი ქვიშა; ტალღებიც არასოდეს იცის, გარშემო სულ ხეებია, ძველ გემზეც ბალოვით გადაშლილა ყვავილები.

— ნაპირს რომ მივადგეთ, — შევეკითხე მე, — მერე როგორღა დავადწვეთ აქედან თავს?

— როგორა და, აი, ასე, — მიპასუხა მან: — მიქცევის დროს იქითა ნაპირამდე უნდა გაიტანო საბელი, შემოატარო რომელიმე დიდრონ ფიჭვს; ბოლო უკან წამოიღო, დაახვიო ჯალამბარს და დაუცადო მოქცევას. როცა წყალი აიწვეს, ყველა მეზღვაურს უნდა უბრძანო, საბელს მოქაჩოს და გემიც ისე კოხტად მოცურდება ქვიშიდან, თითქოს ზეთწასმულიაო. აბა, ახლა, ბიჭიკო, მაგრად იყავი. ცუდ ადგილს ვუახლოვდებით და გემსაც სწორედ იქით უჭირავს გეზი. ცოტა მარჯვნივ... ეგრე... პირდაპირ... მარჯვნივ... ცოტა მარცხნივ... პირდაპირ... პირდაპირ!

ასე იძლეოდა ბრძანებებს და მეც სულმოუთქმელად ვემორჩილებოდი, ვიდრე ანაზღად არ შეჰყვირა:

— ახლა, ჩემო თვალისჩინო, ქარისაკენ ვქნათ პირი!

ღონივრად დავაწეეი საჭეს, „ისპანიოლა“ სწრაფად შემობრუნდა და ცხვირით გაექანა დაბალი, ტყიანი ნაპირისაკენ.

ამ უკანასკნელი საქმიანობით აღგზნებულმა ველარ მოვახერხე თვალყური მედევნებინა ჰენდზისათვის, რომელსაც აქამდე საკმაოდ ფხიზლად ვუთვალთვალედი. ისე გატაცებით ველოდი, როდის შეეხებოდა მიწას ხომალდი, რომ სრულიად გადამვარდა გულიდან საფრთხე, რომელიც თავს დამტრიალებდა. მე გადახრილი ვიყავი მარცხენა მოაჯირიდან და ვაკვირდებოდი გემის ცხვირიდან ფართოდ გავრცელებულ წყლის ჭავლებს. შეიძლებოდა ჩემი სიცოცხლის გადასარჩენად ხელიც ვერ გამენძრია და ისე დავლუპულიყავი, რომ ანაზღად მოუსვენრობას არ შევეპყარი და თავი არ მომებრუნებინა. იქნებ ჭრაჭუნიც გავიგონე, ანდა თვალის კიდით მისი ამოძრავებული ჩრდილი დავლანდე; იქნებ ეს ცხოველური ინსტინქტიც იყო, მაგრამ, რომ მოვიხედე, ჰენდზს მარჯვენა ხელში ხანჯალი ეჭირა და ნახევარი გზა უკვე გამოვლილი ჰქონდა ჩემკენ.

ჩვენი მზერა ერთმანეთს შეხვდა და ორივემ ხმამაღლა შევყვირეთ, მაგრამ, ჩემი ხმა თუ თავზარდაცემული ადამიანის კვილი იყო, მისი — გაცოფებული ხარის გავეშებულ ღრიალს ჰგავდა. იგი წინ გამოექანა, მე განზე გავხტი გემის ცხვირისკენ და ხელი გამეშვა საჭის სახელურზე, რომელიც მკვეთრად მიტრიალდა საქარე მხარეს და, მგონი, ამან გადამარჩინა, რადგან იგი მკერდში მოხვდა ჰენდზს და ძირს დააგდო. სანამ გონს მოვიდოდა, თავს ვუშველე. გამოვვარდი იმ კუთხიდან, სადაც მან ხაფანგში მიმიმწყვდია და ახლა მთელი გემბანი ჩემს ხელთ იყო. მთავარი ანძის წინ დავდექი, ამოვიღე ჯიბიდან დამბაჩა, მშვიდად დაუმიზნე და, თუმცა იგი უკვე შემობრუნდა და ერთხელ კიდევ ჯიქურ წამოვიდა ჩემკენ, სასხლეტი მოვწიე. ჩახმახმა დაიჩხაკუნა, მაგრამ არც დაკვესება მოჰყოლია, არც სროლის ხმა — თურმე ფალია დაესველებინა და გამოუსადეგარი გაეხადა წყალს. თავბედი ვიწყევლე წინდაუხედაობისთვის. რატომ ადრევე ახლიდან არ გავტენე ჩემი ერთადერთი იარაღი და ფალიაში დენთი არ გამოვცვალე? მაშინ ხომ უმწეო კრავივით აღარ ვიდგებოდი ამ ყასბის წინაშე?

ხომ ასეთი ჭრილობა ჰქონდა, საკვირველი იყო, რა სწრაფად ახერხება მოძრაობას. შეჭალარავეებული თმა სახეზე ჩამოშლოდა; სახეც აჩქარებისა და სიშმაგისაგან ჭარხალივით გასწითლებოდა. მეორე დამბაჩის სასროლად დრო აღარ მქონდა და, მართალი გითხრათ, არც ძალიან მომინდომებია მისი მოხმარება, რადგან, დარწმუნებული ვიყავი, არც ის ივარგებდა. ერთი აშკარა იყო: მის წინაშე უკან არ უნდა დამეხია, თორემ მალე მიმიმწყვდევდა გემის ცხვირთან, როგორც ერთი წუთის წინ, კინალამ მიმიმწყვდია კიჩოზე. კიდევ რომ მოვეხელთებინე, ცხრა თუ ათი გოჯი სიგრძის სისხლით მოსვრილ ხანჯალზე ამაგებდა. ორივე ხელი ჩავავლე მთავარ ანძას, რომელიც გვარიანი მსხვილი იყო და მთელი ძალების დაძაბვით ველოდებოდი, თუ რას მოიმოქმედებდა.

რაკი დაინახა, გასხლტომას აპირებსო, ისიც შედგა. ერთი პირობა, ჩემს მოსატყუებლად, ხან მარცხნივ გაიწედა, ხანაც — მარჯვნივ. მეც მსგავს მოძრაობებს ვაკეთებდი მის დასაბნეუად. ეს სწორედ ის თამაში გახლდათ, რაც ხშირად მეთამაშა შინ, შავი სერის ყურის კლდეებში; მაგრამ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ,

თამაშის დროს ასე გაშმაგებით არასოდეს ამფართხალებია გული. მაინც, როგორც მოგახსენეთ, ეს ბიჭების თამაში იყო და ვიფიქრე, ჩემსას გავიტანდი თუძოში დაჭრილ ხანში შესულ მეზღვაურთან ჭიდილში. ჩემი ფიქრით, დიდხანს შეიძლებოდა ასე გაგრძელებულიყო, მაგრამ დასასრული მაინც საუაღალო იქნებოდა — ადრე თუ გვიან მაინც ბოლოს მომიღებდა.

ჰოდა, სანამ ამ ყოფაში ვიყავით, უცბად „ისპანიოლა“ ნაპირს დაეჯახა, შეზანზარდა და თვალის დახამხამებაში ქვიშაში შეიჭრა, შემდეგ ელვის უსწრაფესად გადაქანდა მარცხენა მხარეს, ვიდრე გემბანი ორმოცდახუთი გრადუსით არ დაიხარა. ჩასაწრეტი ღარებიდან ბლომად შემოასხა წყალმა და გუბედ ჩადგა გემბანსა და მოაჯირს შორის.

ორივენი ძირს დავცვივდით და თითქმის ერთდროულად ჩაუგორდით ჩასაწრეტი ღარებთან. მკლავებგაშლილი წითულჩაჩიანიც ჩვენ მოგვყვა. ერთმანეთთან ძალიან ახლოს მოვხვდით; ჩემი თავი ჰენდზის ფეხს ისეთი ძალით დაეტაკა, რომ კბილებმა ჭახანი მოიღო. მიუხედავად დაჯახებისა, პირველად მე წამოვხტი, რადგან ჰენდზს მკვდრის გვამი დაეცა ზემოდან და ძალე ვეღარ მოახერხა მისგან თავის დაღწევა. ხომალდის ანაზღეულმა დახრამ გემბანზე სარბენი ასპარეზი მომისპო. სხვა გზა უნდა გამომეძებნა თავის გადასარჩენად და თანაც სასწრაფოდ, რადგან მტერი თითქმის ზედ მყავდა მომდგარი. ფიქრის უსწრაფესად ვტაცე ხელი უკანა ანძის იალქნის დასამაგრებელ თოკებს, ხელების ერთმანეთზე მონაცვლებით ავცოცდი ზედ და მანამ არ მომითქვამს სული, სანამ ანძის ზემო ჯვარედინ ძელზე არ შემოვჯექი.

სიმკვირცხლემ გადამარჩინა — ზემოთ რომ მივისწრაფოდი, მოქნეული ხანჯალი სულ რაღაც ნახევარი ფუტით ასცდა ჩემს ფეხს. სიმწრისაგან პირდაფრენილ იზრაველ ჰენდზს სახე ჩემკენ მოექცია და განცვიფრებისა და იმედგაცრუების გამომსახველ ნამდვილ ქანდაკებას ჩამოჰკავდა.

ახლა, რაკი სულის მოთქმის შესაძლებლობა მომეცა, აღარ დავახანე და ფალიაზე თოფის წამალი შევუცვალე დამბაჩას. ერთი რომ გავიშზადე და ხელახლა გავტენე, რათა გული ორმაგად შემეჯერებინა, მეორესაც გამოვუცვალე ტყვია-წამალი.

ჩემმა ახალმა ღონისძიებამ ჰენდზი სახტად დასტოვა. იგი ხვდებოდა, რომ ბედის კამათელი მას აღარ წყალობდა. აშკარა ყოყმანის შემდეგ ისიც მძიმედ მოეჭიდა თოკებს და კბილებში ხანჯალგაჩრილი ნელ-ნელა გაჭირვებით შეუდგა ამოსვლას. უჭირდა დაჭრილი ფეხის თრევა და გზის მესამედზე მეტი არ ექნებოდა ამოვლილი, რომ მე მშვიდად მოვითავე ჩემი საქმიანობა, ორივე ხელში თითო დამბაჩა დავიჭირე და ჩამოვძახე:

— კიდევ ერთი ნაბიჯი, მისტერ ჰენდზ, და ტვინს გადმოვანთხვევინებთ! ხომ იცი, მკვდრები აღარ იკბინებიან, — დაცინვით დაესძინე მე.

იგი მაშინვე შედგა. სახის გამომეტყველებაზე ვატყობდი, გამოსავლის მოფიქრებას ცდილობდა, მაგრამ ეს საქმე ისე მძიმე ჩანდა მისთვის, რომ ჩემ მიერ მოპოვებული უპირატესობისგან გახარებულს ხმამაღლა გამეცინა. ბოლოს ერთი-ორჯერ გადაყლაპა ნერწყვი და ლაპარაკი დაიწყო. ოღონდ სახეზე კვლავ ემჩნეოდა უკიდურესი დაბნეულობის დაღი. ლაპარაკის დროს იძულებული იყო, ხანჯალი პირიდან გამოეღო, მაგრამ სხვა მხრივ არ განძრეულა.

— ჯიმ, — მითხრა მან, — მე მგონი, ორივემ ბევრი სისულელე ჩავიდინეთ და ახლა უნდა მოვრიგდეთ. გემი რომ არ გადახრილიყო, ჩემს ხელში იყავი, მაგრამ ბედი არ მწყალობს, ბედი!.. და, მგონი, ის დრო დადგა, რომ გამოვრძმედილმა, ძველმა მეზღვაურმა, შენნაირი ცხვირმოუხოცავი იუნგას წინაშე თითი მოკაკავო.

ხარბად ვუსმენდი მის ნათქვამს და ღობეზე შემომჯდარი მამალივით გადიდგულებული ნება-ნება ვიღიმებოდი, რომ თვალის დახამხამებაში ჰენდზმა მარჯვენა ელვის უსწრაფესად დაიქნია და რალაცამ ისარივით გაიზუზუნა ჰაერში. ვიგრძენი დარტყმა, მწვავე ჩხვლეთა და ანძაზე ბეჭით მიღურსმული აღმოვჩნდი. საშინელი ტკივილისა და გაოგნების წამს — ვერც ვიტყვი, რომ ეს ჩემი ნებით მოხდა, თან დარწმუნებული ვარ, შეგნებულად არც დამიმინებია — ჩემი ორივე დამბაჩა გავარდა, რის შემდეგაც იარაღი ხელებიდან გამისხლტა. ოღონდ, დამბაჩები მარტო როდი ჩაცვივდა ძირს — ყრუ შედახილით ჰენდზმაც ხელი უშვა თოკებს და თავდაყირა გადაეშვა წყალში.

თავი ოცდამეხვიდე

„პიასტრები“

ხომალდი რომ გადაიხარა, ანძებიც შორს გადაეკიდა წყალზე. მე ანძის ძელზე ისე ვიჯექი, როგორც ქანდარაზე, ხოლო ჩემს ქვემოთ ზღვის ზედაპირი ლივლივებდა. ჰენდზი, რომელმაც ჩემამდე ვეღარ მოაღწია, ჩემსა და გემის მოაჯირს შორის ჩავარდა წყალში. ერთხელ კიდევ ამოტივტივდა სისხლისგან წითლად შეღებილ ზღვის ქაფში, მერე კი სამარადისოდ ჩაიძირა. როცა წყალი დაწყნარდა, კვლავ დავინახე, როგორ იწვა წმინდა, ღია ფერის ქვიშაზე. გამჭვირვალე წყალში მის თავზე მცურავი თევზებიც კი მოჩანდა. ხანდახან, წყლის შერხევაზე, ისე იძვროდა, თითქოს წამოდგომას ლამობსო. მაგრამ ნამდვილად მკვდარი იყო, რადგან ტყვიაც მოხვდა და წყალმაც დაახრჩო. ასე ეგდო თევზების საზრდოდ სწორედ იმ ადგილას, სადაც ჩემს დასამარებას ცდილობდა.

თავი უქეიფოდ ვიგრძენი, გული მიღონდებოდა და შიშმა შემიპყრო. თბილი სისხლი ზურგსა და მკერდზე ჩამომდიოდა. ხანჯალი, რომელმაც ბეჭით მიმალურსმა ანძას, გახურებული შანთივით მწვაავდა. მაგრამ ბეჭის ტკივილი იმდენად არ მაწუხებდა, ვინაიდან მეჩვენებოდა, რომ მისი ატანა უდრტვინველად შემეძლო, არამედ კამკამა, მწვანე წყალში ჰენდზის გვერდით ჩავარდნის თავზარდამცემი შიში მტანჯავდა.

ხელები ისე მაგრად მოუჭირე ძელს, რომ ფრჩხილები ამტკივდა და თვალები დავხუჭე, თითქოს ამით მოვიშორე თავიდან საფრთხე. ნელ-ნელა მოვედი გონს, მაჯისცემა უფრო დამიწყნარდა და მხნეობაც დამიბრუნდა.

პირველ ყოვლისა, ხანჯლის ამოდრობა მოვინდომე, მაგრამ, ან ძალიან მაგრად იყო ძელზე ჩარჭობილი, ანდა, შეიძლება გულმა მიღალატა, უნებურად ცახცახი ამივარდა და თავი დავანებე. ჩემდა გასაოცრად, ამ აცახცახებამ მიშველა: ხანჯალი თურმე ცერად მქონდა შერჭობილი და მხოლოდ კანით მიჭერდა. ცახცახზე მოვწყდი მას, გაგლეჯილი კანიდან, რასაკვირველია, სისხლის დენამ იმატა, მაგრამ ახლა უკვე აღარაფერი მიშავდა, მარტო ჩემი ხიფთანი და პერანგილა იყო მიკრული ანძას.

ესენიც ერთი გაქნევით ავგლიჯე და მერე მარჯვენა მხარეს დამაგრებული თოკებით გემბანზე დავეშვი. ასე დამფრთხალს რაღა გამაბედვინებდა წყალზე გადაკიდებული იმ მარცხენა მხარის თოკებით ჩასვლას, რომლებიდანაც ახლახან იზრაველი გადაეშვა.

ჩავედი ქვემოთ და, რაც შეიძლებოდა, მოუუარე ჩემს ჭრილობას. გვარიანად მტკიოდა, სისხლიც ბლომად მდიოდა, მაგრამ ჭრილობა არც ღრმა იყო, არც სახიფათო და არც ძალიან მაწუხებდა, როცა მკლავს ვხმარობდი. შემდეგ მივიხედ-მოვიხედე და, რაკი ახლა გემი ჩემს საკუთრებად დავიგულე, განვიზრახე თავიდან მომეშონებინა მისი უკანასკნელი მგზავრი, ო'ბრაიენის ცხედარი.

ის, როგორც მოგახსენეთ, მოაჯირთან დავარდა და იქ იწვა საზარელ, უზარმაზარ თოჯინასავით, რომელიც, მართალია, ადამიანის აგებულების იყო, მაგრამ აკლდა ცოცხალი ადამიანის ფერი და იერი. უკვე ადვილად შემეძლო ასეთი საქმისთვის თავის გართმევა, რადგან ჩემს თავს გადახდენილი ფათურაკების შემდეგ თითქმის ყოველი შიში გამიქრა მკვდრებისადმი. ისე მოვიკიდე წელში ხელი, თითქოს ქატიონი ტომარა ყოფილიყო და ძლიერ გაქნევით წყალში გადაუშობა. გვამმა ხმამალალი ტყაპანი მოიღო წყალში და ჩაიძირა. წითელი ჩაჩი მოსძვრა და ზედაპირზე ატივტივდა. როგორც კი წყალი დადგა, დავინახე, რომ ის და იზრაველი ერთმანეთთან ახლოს იწვნენ და ორივეს სხეულს წყლის ნელი დინება არხევდა. ო'ბრაიენს, ჯერ სრულიად ახალგაზრდა კაცს, თავი მოტვლეპილი ჰქონდა. ეს მოტვლეპილი თავი მისივე მკვლელის მუხლებზე ედო და ორივეს თავზე სწრაფი თევზები დასრიალებდნენ.

ახლა მართლაც მართო დავრჩი გემზე. მიქცევაც დაიწყო. მზის ჩასვლას ისე ცოტა აკლდა, რომ დასავლეთ ნაპირზე მდგარი ფიჭვების ჩრდილმა უკვე ნავსადგომს მოაღწია და გემბანზე თარგებივით გამოისახა. საღამოს ნიაუმაც დაქროლა და, თუმცა ეს ადგილი აღმოსავლეთიდან კარგად იყო დაცული ორწვერა ბორცვით, ანძა-იალქნების თოკებს ზუზუნნი შეუდგა და უქმად მყოფმა აფრებმაც ფართხუნი დაიწყო.

მოხვდი, გემს საფრთხე ემუქრებოდა. სამკუთხა იალქნები სწრაფად ჩამოვუშვი და გემბანზე მოვათავსე, მაგრამ მთავარი

აფრის მოვლა უფრო ძნელი გამოდგა. რა თქმა უნდა, როცა გემი გადაიხარა, იალქნის დასამაგრებელმა ძელმაც გადაიწია და მისი თავი და იალქნის ერთი-ორი ფუტიც წყალში აღმოჩნდა. ჩემი ფიქრით, ეს კიდევ უფრო საშიშს ხდიდა მდგომარეობას, რის გამოც რაიმეზე ხელის ხლებასაც კი ვეღარ ვბედავდი. ბოლოს დანა ამოვიღე და გადავჭერი იალქნის ასაწვეი თოკები. აფრის ზემო კუთხე მაშინვე ძირს ჩამოვარდა, დაშვებული იალქნების ვეება მუცელი წყლის ზედაპირზე ატივტივდა. როგორ არ ვეცადე, მაგრამ დასაწვე თოკს ძვრა ვერ ვუქენი, ამიტომ, ეს იყო და ეს, რისი გაკეთებაც შეუძელი. ამის შემდეგ, „ისპანიოლაც“ ისევ უნდა მინდობოდა ბედს, როგორც მე.

ამასობაში მთელ ნავსადგომს ჩრდილი გადაეფარა. უკანასკნელი სხივები, მახსოვს, ხეებს შორის დატოვებულ ადგილებში იპარებოდა და მეფის სამოსელზე დატანებული პატიოსანი თვლებივით ბრჭყვიალებდა გემის აფრებზე. შემცვიდა. მიქცევა გრძელდებოდა, წყალი ტოვებდა სანაპიროს და ხომალდი უფრო და უფრო იხრებოდა ცალ მხარეს.

გავცოცდი წინ და გადავიხედე. წყალი საკმაოდ თხელი ჩანდა. თავის დასაზღვევად ორივე ხელით მოვეჭიდე გადაკვეთილ ბაგირს და ფრთხილად დავეშვი გემბანიდან. წყალი წელამდეც არ მომწვდა. ქვიშა მყარი იყო და, ტალღების კვალი აჩნდა. მხნედ გავტოპე ნაპირისკენ და მოვატოვე გვერდზე გადახრილი „ისპანიოლა“, რომლის მთავარი იალქანი ფართოდ დაფენილიყო წყლის ზედაპირზე. დაახლოებით ამავე დროს მზეც ჩაესვენა და ბინდბუნდში მოტორტმანე ფიჭვებს შორის ნიაჟმა დაუბერა.

როგორც უნდა ყოფილიყო, ბოლოს და ბოლოს, მოვწყდი ზღვას და არცთუ ხელცარიელი დავბრუნდი. ყურეში იდგა გემი, საბოლოოდ გათავისუფლებული მეკობრეთაგან და სრულიად გამზადებული კვლავ ზღვაში გასასვლელად. სული მიმდიოდა, სანამ მესერს შიგნით მოხვდებოდი და დავიწყებდი ტრაბახს ჩემი მონაპოვრით. ალბათ, ცოტას კიდევ გამკიცხავდნენ გაპარვისათვის, მაგრამ „ისპანიოლას“ ისევ ხელში ჩაგდება მძიმე საპასუხო საბუთი იყო, და, ვიმედოვნებდი, თვით კაპიტანი სმოლექტიც აღიარებდა, ტყუილად არ დაგიკარგავს დროს.

ამ ფიქრებში გართული და ჩინებულ გუნებაზე მყოფი მივიჩქაროდი ძელურისა და ჩემი ამხანაგებისკენ. მომაგონდა, რომ უკიდურესი აღმოსავლეთით ჩამომავალი მდინარე, რომელიც კაპიტან კიდის ნავსადგომს ერთვოდა, ჩემგან ხელმარცხნივ მდებარე ორწვერა ბორცვიდან ეშვებოდა. მეც იქით დავიჭირე გეზი, რათა მანამდე გადამელახა წყალი, სანამ დაბალი იყო. მთის ფერდობის ქვემო კიდეს გავყევი, მალე მის კუთხეს შემოვუარე და, დიდხანს არ გაუვლია, რომ მუხლებამდე სიღრმის მდინარეში გავტოპე.

იმ ადგილის სიახლოვეს მოხვდი, სადაც კუნძულზე დატოვებულ ბენ განს წავაწყდი. უფრო გაუფრთხილდი და ყოველ მხარეს ვაცეცებდი თვალს. თითქმის სრულიად ჩამობნელდა და, როცა ორ მწვერვალს შორის მოთავსებული ხევი გადაიშალა ჩემ თვალწინ, მის სიღრმეში ცაში ავარდნილი ცეცხლის ალი შევნიშნე. ჩემი ვარაუდით, ალბათ ვილაც კუნძულელი იმზადებდა ვახშამს აბრიალებულ კონტან. მაინც გამიკვირდა, რომ ასე გაუფრთხილებლად იქცეოდა; თუკი მე დავინახე ეს კაშკაშა შუქი, ხომ შეეძლო თვით სიღვერსაც მოეკრა თვალი სანაპიროს ჭაობებში გამართული ბანაკიდან?

ნელ-ნელა ჩამოწვა ღამის წყვდიადი. ძლივს ვიჭერდი სწორ გეზს. ჩემს ზურგს უკან დარჩენილი ორწვერა ბორცვი და ჭოგრიტის მთა ჩემგან მარჯვენა მხარეს, უფრო და უფრო ბუნდოვნად ისახებოდა. ვარსკვლავებიც ცოტა იყო და მკრთალად მოჩანდნენ ჩამუქებულ ცაზე. დაბლობში, სადაც გზას მივიკვლევდი, ჯაგნარში ვბორძიკობდი და ქვიშიან ორმოებში ვვარდებოდი.

უცბად ყველაფერი განათდა ჩემს ირგვლივ. ავიხედე. სხივების მკრთალი შარავანდედი დასდგომოდა ჭოგრიტის მწვერვალს და მალე რაღაც ფართო და ვერცხლისფერი გამოჩნდა დაბლა, ხეებს უკან. მივხვდი, მთვარე ამოსულიყო.

მთვარის შუქის წყალობით, სწრაფად გავლიე დარჩენილი მანძილი და ხან სიარულით, ხან სირბილით მესერს მივუახლოვდი. მაგრამ, მის წინ მდებარე კორომში რომ შევედი, მაინც წინდახედულება გამოვიჩინე — ნაბიჯი შევანელე და ცოტა უფრო ფრთხილად განვაგრძე გზა. ჩემი გმირული თავგადასავლის სავალალო დასასრული იქნებოდა, ამხანაგებს რომ შეცდომით ტყვია ეკრათ ჩემთვის.

მთვარე მაღლა-მაღლა იწვედა. მისი შუქი უხვად ეცემოდა ტყის გაშლილ ადგილებს და სწორედ ჩემ წინ, ხეებში, სხვანაირი ნათება შევნიშნე. იგი წითელი და მხურვალე ჩანდა; დროდადრო მინელდებოდა, თითქოს მბჟუტავი კოცონის ნაკვერჩხლებიაო.

ვერასგზით ვერ მოვისაზრე, რა უნდა ყოფილიყო.

ბოლოს ნაკაფის კიდეს მივადექი. დასავლეთი მხარე მთვარის შუქში იყო გახვეული. დანარჩენი მიდამო და თვითონ ძელურიც ჩრდილში მოქცეულიყო, რომელსაც სინათლის გრძელი, ვერცხლისფერი ზოლები ჰკვეთდა. სახლის მეორე მხარეს ვეება კოცონი ჩამწვარიყო, ნაკვერჩხლებად ღვიოდა და ალისფერ ანარეკლს აფრქვევდა, რომელიც მკვეთრად უპირისპირდებოდა მთვარის ნაზ, საამო ნათელს. ჩამიჩუმე არ ისმოდა, გარდა ნიავისგან გამწვეული ხმაურისა.

შევდექი. ძალიან გაოცებული ვიყავი და მგონი, ცოტა შიშაც შემეპარა. ჩვენ წესად არ გვექონდა დიდი კოცონების დანთება. კაპიტნის ბრძანებით ხელმოჭერით ვხარჯავდით შეშას და შემემინდა, ჩემს არყოფნაში რამე ავი საქმე ხომ არ შეემთხვათ-მეთქი.

ფეხაკრეფით შემოვუარე აღმოსავლეთის მხარეს; თან ჩრდილში ვიძალეობდი და ჩაბნელებულ, მოხერხებულ ადგილას მესერზე გადავძვერი.

კიდევ უფრო მეტი სიფრთხილისთვის ოთხზე დავდექი და უხმაუროდ გავცოცდი სახლის კუთხისკენ. ახლოს რომ მივედი, უცბად გულს მომეშვა. თავისთავად ვერაფერი საამო ხმა იყო და მის გამო, სხვა დროს, არაერთხელ დამიჩივლია კიდევ; მაგრამ მაშინ, ჩემი ამხანაგების ერთსულოვანი და მშვიდი ხვრინვის ხმამ მუსიკასავით დამიტკბო სმენა. ამ ხმამ ისე დამამშვიდა, როგორც შუა ზღვაში ვახტაზე მდგომი მეზღვაურის ღამეული შეძახილი — „ყველაფერი რიგზეა!“ — გამშვიდებს ძილ-ბურანში მყოფს. ამასთანავე, ერთი რამ უეჭველი იყო — სრულიად დაუცველებს ეძინათ. ახლა ჩემ მაგიერ სილვერი და მისი ბიჭები რომ წამოჰპარვოდნენ, ვერც ერთი ჩემი მეგობარი დღის სინათლეს ვეღარ იხილავდა. აი, რა გვიყო კაპიტნის დაჭრამ, გავიფიქრე მე, და კვლავ მკაცრად დავუწყე ყვედრება თავს, ისედაც ცოტანი, ასე ღვთის ანაბარა რომ მივატოვე ამ საფრთხეში.

ამასობაში კარსაც მივალწიე და წამოვდექი. შიგნით ისეთი წყვ-
დიადი მეფობდა, თვალთ ვერაფერი გავარჩიე. რაც შეეხება ხმას,
მძინარეთა გაბმული ხვრინვა ისმოდა, რასაც, ხანდახან, ფრთხია-
ლისა და კაკუნის მსგავსი უცნაური ხმაური ერთვოდა, რაც ვერა
და ვერ გამოვიცანი, რისი უნდა ყოფილიყო.

ხელები წინ გავიშვირე და მტკიცედ შევაბიჯე შიგნით. მოწვები
ჩემს კუთხეში (გავიფიქრე და თან ჩუმად ჩავიცინე) და დავტკბები
მათი განცვიფრებული სახეების ცქერით, როცა დილით დამინახა-
ვენ-მეთქი.

რალაც რბილს წავედე — მძინარის ფეხს. მძინარემ კვნესით
იცვალა გვერდი, მაგრამ არ გაულვიძია.

მერე კი ანაზდად სიბნელეში მკვეთრი ხმა გაისმა: პიასტრები!
პიასტრები! პიასტრები! პიასტრები! პიასტრები! — ასე გაუჩერე-
ბლად და კილოს შეუცვლელად, წისქვილის სარეკელასავით მო-
ჰყვა რაკარუკს.

ეს ხომ სილვერის თუთიყუში კაპიტანი ფლინტი იყო! აი? ხის
ქერწხე ვისი ნისკარტის კაკუნიც მესმოდა. ის ადამიანებზე უკეთ
გუშაგობდა და თავისი ყურისწამლები ძახილით ჩემი მისვლა შეა-
ტყობინა იქ მყოფთ.

გონზე მოსვლის დროც აღარ დარჩა. თუთიყუშის ხმაზე მძინა-
რნი გამოფხიზლდნენ და ფეხზე წამოიჭრნენ. სიბნელეში ვიცანი
სილვერის ხმა, რომელმაც საშინლად შეიგინა და დაიძახა:

— ვინ არის?!

გასაქცევად ვიბრუნე პირი, მაგრამ ვილაცას გამეტებით დავე-
ჯახე. უკან მივაწყდი და პირდაპირ ხელებში ჩავუვარდი მეორეს,
რომელმაც, თავის მხრივ, მტკიცედ შემომაჭდო მკლავები და გამ-
ძაგრა.

— ჩირალდანი შემოიტანე, დიკ! — ბრძანა სილვერმა.

ერთი კაცი ძელურიდან გავიდა და ანთებული ჩირალდნით შე-
მობრუნდა.

წიგნის ელექტრონული ვერსია
მოამზადა: აკაკი ციციშვილმა

ნაწილი მემქნსა

კაპიტანი სილვერი

თავი ოცდამეოთხე

მტრის ბანაკში

ჩირაღდნის წითელმა შუქმა ძელური გაანათა და ჩემი ყველაზე უარესი წინათგრძნობა გამართლდა. მეკობრეებს ხელთ ვგდოთ სახლი და მთელი ჩვენი მარაგიც. რომის კასრიც აქ იყო, ლორი და პურიც ძველებურად აქვე იწყო, მაგრამ ყველაზე მეტად იმან დამცა თავზარი, რომ ტყვეები არ ჩანდნენ. გული მწარედ შემეკუმშა, გავიფიქრე, ალბათ ყველანი დაიღუპნენ და რატომ მეც მათთან არ დავიღუპე-მეთქი.

სულ ექვსი მეკობრე იყო, სხვა არავინ გადარჩენილიყო ცოცხალი. ხუთი მათგანი ფეხზე იდგა, სასმლისაგან სახედასივებული და გაჟინჭდილებული. მეექვსე მხოლოდ იდაყვზე წამოწეულიყო, სახეზე მკვდრისფერი ედო და თავზე შემოკრული, სისხლით დალაქავებული სახვევი მოწმობდა, რომ იგი ახლახან დაეჭრათ და ეს-ესაა შეეხვიათ ჭრილობა. დიდი იერიშის დროს რომ ერთმა დაჭრილმა მეკობრემ ტყეს მიაშურა, ალბათ სწორედ ეს იყო.

თუთიყუში აყლაყუდა ჯონის ბეჭზე იჯდა და ნისკარტით ბუმბულს იწმენდა. თვითონ ჯონი, უწინდელზე უფრო ფერმკრთალი და მოღუშული ჩანდა. კვლავ თხელი, შავი მაუდის სამოსი ეცვა, რომლითაც საზავო მოლაპარაკებისთვის ელჩად გამოგვეცხადა, ოღონდ ძალიან წახდენოდა, რადგან ტალახით იყო მოსვრილი და ტყის ეკალბარდებისაგან დაგლეჯილი.

— დალახვროს ღმერთმა. — თქვა მან, — ჯიმ ჰოკინზი ყოფილა! ალბათ სტუმრად შემოგვიარე, ჰა, აბა, მობრძანდი, მობრძანდი, ყოველთვის მეამება შენი ნახვა!

ამ სიტყვებით რომის კასრზე ჩამოჯდა და ჩიბუხს დაუწყო გატენა.

— ერთი ჩირაღდანი მომაწოდე, დიკ, — თქვა მან და, როცა ცეცხლი კარგად მოუკიდა, დასძინა: — გმადლობ, ყმაწვილო. ახლა შეშის გროვაში ჩაამაგრე ეგ. თქვენ კი, ჯენტლმენებო, ისევ მიწეჭით!.. არა ხართ ვალდებული მისტერ ჰოკინზის წინაშე ფეხზე იდგეთ! დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, მოგვიტყვებს. მაშ, ჯიმ, — და თან ჩიბუხში თუთუნის ჩატკეპნა, — აქ ბრძანდები, რომ იცოდე, რა სიამოვნებაა შენი სტუმრობა საწყალი მოხუცი ჯონისთვის! პირველად რომ მოგკარი თვალი, მაშინვე მივხვდი, ყოჩალი ბიჭია-მეთქი, მაგრამ, ახლა ვხედავ, რომ ნამდვილი გმირი ყოფილხარ!

ამაზე, რასაკვირველია, პასუხი არ გამიცია. ზურგით კედელს მიმაყენეს. მეც ვიდექი და, მგონი, გარეგნულად მაინც, საკმაოდ ამაყად და მხნედ გამოვიყურებოდი, სინამდვილეში კი ჩემს გულში სასოწარკვეთას დაესადგურებინა.

სილვერმა ერთი-ორჯერ არხეინად მოქაჩა ჩიბუხი. მერე განაგრძო:

— ახლა, ჯიმ, რაკი აქა ხარ, — მითხრა მან? — ორიოდ სიტყვას მოგახსენებ. ყოველთვის მომწონდი, ყოველთვის! რადგან გამჭრიახი ყმაწვილი ხარ და თანაც, ჩემს თავს მაგონებ, როცა ახალგაზრდა და ლამაზი ვიყავი. ყოველთვის მსურდა ჩვენთან ყოფილიყავი, შენი წილი გრგებოდა საგანძურიდან და ჯენტლმენად დაგელია სული. და აი, ჩემო ყვინჩილავ, შენც მოხვედი. კაპიტანი სმოლეთი ჩინებული ზღვაოსანია, ამას მუდამ ვაღიარებდი, მაგრამ წესრიგის საქმეში ძალიან მოუდრეკელია: „მოვალეობა მოვალეობააო“, ამბობს და მართალიც არის. შენც სწორედ ამიტომ მოარიდე თავი კაპიტანს და გაიქეცი. ექიმიც ძალიან გაჯავრებულია შენზე — „უმაღური არამზადააო“, — აი ასე თქვა. ერთი სიტყვით, ამ საქმის თავი და ბოლო ისაა, რომ უკან ველარ დაბრუნდები, რადგან ისინი აღარ მიგიღებენ, და, თუ მესამე გუნდის შექმნას არ დაიწყებ, რომელშიც მარტო თვითონ იქნები, კაპიტან სილვერს უნდა შემოუერთდე.

ჯერ ყველაფერს კარგი პირი უჩანდა. მაშასადამე, ჩემი მეგობრები ისევ ცოცხლები იყვნენ, და, თუმცა ნაწილობრივ მჯეროდა

სილვერის ნათქვამი, რომ ისინი ჩემზე განაწყენებული იქნებოდნენ, მაინც უფრო მომეშვა გულს, ვიდრე შევწუხდი, ცალფეხას სიტყვების გამო.

— აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ჩვენს ხელთა ხარ! — განაგრძო სილვერმა, — თუმცა თვითონ ხედავ, რაღა თქმა გინდა. საბუთიანი ლაპარაკი მიყვარს. არასოდეს მინახავს, რომ მუქარას რაიმე ხეირი მოჰყოლოდეს. თუ ჩვენი საქმე მოგწონს, შემოგვიერთდი, არა და, ჯიმ, შენს ხელთაა უარის თქმაც... თავისუფალი ხარ და შენი ნებაა, მეგობარო; ხომ ხედავ, ყველანაირი ეშმაკობის გარეშე, პატიოსნად გელაპარაკები!

— მაშ გიპასუხობ? — ვკითხე აკანკალებული ხმით.

მის დამცინავ ლაპარაკში სიკვდილის საშიშროებას ვგრძნობდი, რომელიც თავს დამტრიალებდა; სახეზე აღმური მომედო და გულმაც გამწარებით დამიწყო დაგადუგი.

— ბიჭიკო, — მომიგო სილვერმა, — ძალას არაუინ გატანს, არაუინ გაჩქარებს, მოიფიქრე; ხომ იცი, შენთან ყოფნაში დრო საამუხრად მიქრის.

— მაშინ, — ვთქვი მე, ცოტა უფრო გულმოცემულმა, — თუ არჩევანი უნდა გავაკეთო, უფლება მაქვს ვიცოდე, რა ხდება, რატომ ხართ თქვენ აქ და სად არიან ჩემი მეგობრები.

— რა ხდება? — გაიმეორა ერთმა მეკობრემ ბუზღუნით. — ეჰ, ბედნიერია, ვინც ეგ იცის!

— ენას მუცელში ხომ არ ჩაიგდებდი, სანამ არაუინ გეკითხება! — დასჭყივლა მრისხანედ სილვერმა მოლაპარაკეს. მერე თავზიანი კილოთი ისევ მე მომიბრუნდა: — გუშინ დილით, მისტერ ჰოკინზ, ალიონზე, ექიმი ლივსი საზავო აღმით მოვიდა და მითხრა: „კაპიტანო სილვერ, თქვენ გაგაბრიყვეს — გემი წასულა“. ჰოდა, სანამ რომით ვსკდებოდით და სიმღერებს გავყვიროდით, გემი ცხვირწინ აგვაცალეს. ერთხელაც არ გაგვიხედავ მისკენ. გაცვივდით სანაპიროზე და, მეხის მადლს, სადღა იყო ჩვენი ძველი გემი! გაოცებისგან კინაღამ მიწაზე დაუყვარეთ! „აბა, — ამბობს ექიმი, — მოდით ხელშეკრულება დავდოთ“. ჩვენც, მე და იმან, ხელშეკრულება დავდეთ და ახლა აქა ვართ. რაც თქვენი იყო, ყველაფერი ჩვენ გვერგო: სურსათის მარაგი, რომი, ძელური, შეშა,

რომელიც წინდახედულად მოგიჭრიათ, მოკლედ, მთელი ხომალდი — ანძის წვეროდან ფსკერამდე. ისინი კი წავიდნენ და არ ვიცი, ახლა სად არიან.

ეს თქვა და კვლავ მშვიდად მიუბრუნდა ჩიბუხს.

— თუ თავში ის აზრი გიტრიალებს, — განაგრძო მან, — რომ ხელშეკრულებაში შენც გაგითვალისწინეს, აი, რა სიტყვებით დასრულდა ჩვენი მოლაპარაკება: „რამდენი დარჩით?“ — ვკითხე მე. „ოთხნი, — მიპასუხა მან, — ოთხნი და ერთი ჩვენგანი დაჭრილია. ის ბიჭი კი არ ვიცი, სად დაიკარგა, ჯანდაბას მისი თავი, — თქვა მან, — არც ძალიან მენალვლება, თავი მოგვაბეზრა“. აი, მისი სიტყვები!

— სულ ეგ არის? — ვკითხე მე.

— ჰო, სულ ეგ არის, რაც უნდა იცოდეთ, ჩემო პატარავ, — მიპასუხა სილვერმა.

— ახლა მე უნდა ავირჩიო?

— ახლა უნდა აირჩიო, — მითხრა სილვერმა.

— კეთილი, — ვთქვი მე; — ისეთი სულელიც არ ვარ, რომ არ მესმოდეს, რა მომელის. დაე, რაც მოსახდენია, მოხდეს, აღარ მენალვლება. რაც თქვენ გადაგეყარეთ, ბევრჯერ ჩავხედე სიკვდილს თვალებში. მანამდე კი ერთი სათქმელი მაქვს თქვენთვის, — ვთქვი და ძალიან ავლელდი. — ჯერ ის უნდა გითხრათ, რომ ცუდად არის თქვენი საქმე. გემი დაკარგეთ, განძი დაკარგეთ, ხალხი დაკარგეთ, მთელი თქვენი ზრახვები ჩაიფუშა და, თუ გინდათ იცოდეთ, ვინ დაგმართათ ეს უბედურება, — მე გახლავართ! მე ვიჯექი ვაშლის კასრში იმ დამეს, როცა ხმელეთს მოვკარით თვალი; მე მოგიყურადეთ, ჯონ, თქვენ, დიკ ჯონსონს, და ჰენდზს, რომელიც ახლა ზღვის ფსკერზეა, და ერთი საათიც არ იყო გასული, რომ თქვენი ნათქვამი სიტყვასიტყვით გადავეცი ჩვენებს. რაც შეეხება ხომალდს, მისი ბაგირიც მე გადავჭერი, გემზე დატოვებული თქვენი ამფსონებიც მე დავხოცე და მვეუ მიფაყენე ისეთ ადგილას, სადაც მას ვეღარასოდეს მიაგნებთ. ახლა ჩემი სიცილის რიგია, მე დაგიტრიალეთ ასე უკუღმართად საქმე. ისევე არ მეშინია თქვენი, როგორც პატარა მწერის. გნებავთ, მომკალით, გნებავთ, დამარჩინეთ. მაგრამ ერთს კი გეტყვით: თუ არ მომკლავთ, სასამართლოში რომ

წარდგებით მეკობრეობისათვის, რაც შემიძლია დაგეხმარებით, რომ სახრჩობელას გადაგარჩინოთ. არჩევანი თქვენზეა, ჩემი მოკვლა არაფერს შეგმატებთ, ზოლო, თუ დამინდობთ, მოწმეს მაინც შემოინახავთ სახრჩობელიდან თავის დასაღწევად.

დავდუმდი, რადგან, უნდა მოგახსენოთ, არაქათი გამოძელია. ჩემდა განსაცვიფრებლად, არც ერთი არ შერხეულა, ყველა ცხვრებივით მომშტერებოდა. სანამ ჯერ კიდევ თვალედაჭყეტილები იყვნენ, მე კვლავ ამოვიღე ხმა.

— ჰოდა, მისტერ სილვერ, — ვთქვი, — მე მგონი, აქ თქვენ ყველაზე გონიერი კაცი ხართ. თუ საქმე ცუდად დატრიალდა, ქენით სიკეთე და გააგებინეთ ექიმს, როგორ მოვიქეცი!

— დავიმახსოვრებ, — თქვა სილვერმა ისეთი უცნაური კილოთი, რომ ვერასგზით ვერ გადამეწყვიტა, აბუჩად მიგდებდა თუ ჩემი გამბედაობა მოეწონა.

— ერთსაც დავურთავ, — შესძახა წითელსახიანმა მოხუცმა მეზღვაურმა, სახელად მორგანმა, რომელიც აყლაყუდა ჯონის სამიკიტნოში მენახა ბრისტოლის სანაპიროზე, — ეგ იყო, „შავი ძაღლი“ რომ იცნო!

— ჰოდა, ყური მიგდეთ, — დაურთო გემის მზარეულმა, — ამას მე კიდევ ერთს დავუმატებ, მეხის მადლმა! ეს სწორედ ის ბიჭია, რომელმაც რუკა ასცინცლა ბილი ბოუნზს. ყოველთვის ეს ჯიმ ჰოკინზი გვეღობებოდა წინ!

— მაშ გაძიშვით! — დაიძახა მორგანმა და გინებაც მოაყოლა.

იგი ისე წამოიჭრა ზეზე და იძრო დანა, თითქოს ოცი წლის ჭაბუკიყო.

— მანდ ეგდე, — დასჭყივლა სილვერმა, — შენ ვინდა ბრძანდები, ტომ მორგან? იქნებ გგონია, შენა ხარ აქ კაპიტანი? მე შენ გასწავლი ჭკუას! აბა სცადე, გადამიდექი წინ და შენც იქით გაგისტუმრებ, საითკენაც შენამდე ბევრი გამიმგზავრებია ამ ოცდაათ წელიწადში — ზოგმა ანძის ძელზე დალია სული, ზოგი კიდევ ზღვაში თევზების ლუკმად იქცა! ჯერ არა ყოფილა ისეთი კაცი, ჩემთვის ავი თვალით შემოეხედოს და მერე გაეხაროს. კარგად დაიხსომე ეს, ტომ მორგან!

მორგანი შედგა, მაგრამ სხვებმა ატეხეს ხრინწიანი ბურტყუნი.

— ტომი მართალია, — თქვა ერთმა.

— დიდხანს ვითმენდი აბუჩად აგდებას, — დაუმატა მეორემ. — დაე, ჩამომახრჩონ, თუ შენგანაც მოვითმინო, ჯონ სილვერ!

— ჯენტლმენებო, რომელს უნდა ჩემთან შებრძოლება? — დაიღრიალა სილვერმა და კასრიდან წინ გადმოიხარა, თან მარჯვენა ხელში კვლავ ეჭირა აბოლებული ყალიონი. — თქვით, რა გნებავთ. არა მგონია, მუნჯები იყოს. ვისაც გული ერჩის, მზადა ვარ! ამდენ წელიწადს განა იმიტომ გაუძელი, რომ ვინმე მთვრალმა ინდაურმა სიცოცხლის დასასრულს თავსლაფი დამასხას? თქვენ იცით ჩვენი წესი; ყველანი, თქვენი აზრით, ბედ-იღბლის ვაჟკაცები ბრძანდებით. აბა, გამოდით, მე მზად გახლავარ! ვისაც გამბედაობა ეყოფა, იძროს დაშნა და, მართალია, ცალფეხა ვარ, მაგრამ, სანამ ეს ჩიბუხი დაიცლება, მანამ გადმოვაყრევინებ ნაწლავებს!

არც ერთი არ შერხეულა და არც არავის დაუძრავს კრინტი.

— ეგაა თქვენი ვაჟკაცობა? — დაუმატა მან და ჩიბუხი ისევ ჩაიდო პირში. — დიდი სასაცილო ხალხი ხართ! ბრძოლაში ვერაფერი შეილება ბრძანდებით! იქნებ სწორი ნათქვამი მაინც შეისმინოთ: მე ვარ აქ კაპიტანი, რადგან მთელი ერთი საზღვაო მილით თქვენზე ჭკვიანი გახლავართ. ბედ-იღბლის ვაჟკაცივით ბრძოლა თუ არ გინდათ, მაშინ, მეხის მადლმა, უნდა დამემორჩილოთ კიდევ; კარგად დაიმახსოვრეთ ეს! მე მომწონს ეს ბიჭი. ეს უკეთესი ვაჟკაცია, ვიდრე აქ მყოფი რომელიმე თქვენნაირი ვირთხა და გაფრთხილებთ: აბა, ხელი ახლოს ვინმემ!.. აი, ამას ვამბობ და კარგადაც დაიმახსოვრეთ!

ხანგრძლივი დუმილი ჩამოვარდა. მე გაჭიმული ვიდექი კედელთან. გული ისევ ჩაქუჩივით მიბაგუნებდა, მაგრამ მკერდში იმედის სხივმაც შემოაშუქა. სილვერი ზურგით კედელს მიყრდნობოდა, ხელები გულზე დაეკრიფა, ჩიბუხი პირის კუთხეში მოეგდო და ისე არხეინად გრძნობდა თავს, თითქოს სამლოცველოშიაო. ოღონდ თვალი მაინც ფხიზლად ეჭირა თავის ურჩ ქვეშევრდომებზე. ისინი ნელ-ნელა ძელურის შორეულ კუთხეში შეგროვდნენ და მათი ხმა-დაბალი ჩურჩულის ხმა განუწყვეტლივ ჩამესმოდა ყურში. ერთმანეთის მიყოლებით ატრიალებდნენ თავს და ჩირაღდნის წითელი

შუქი ერთი წამით ანათებდა მათ აგზნებულ სახეებს; მაგრამ ჩემკენ კი არა, სილვერისაკენ იყურებოდნენ.

— რაღაც სათქმელი უნდა გქონდეთ, — შენიშნა სილვერმა და გადააფურთხა. — ან ხმა ამოიღეთ და გამაგონეთ, ანდა კრინტს ნუსძრავთ!

— ბოდიშს ვიხდი, სერ, — მიუგო ერთმა, — თქვენ ჩვენი კაპიტანი ხართ, მაგრამ არის წესი, რომელსაც თქვენც ვერ დაარღვევთ, ეკიპაჟი უკმაყოფილოა; ის აბუჩად არავის ააგდებინებს თავს; მას თავისი უფლებები აქვს, ეს პირში უნდა გითხრათ და წესის თანახმად, უფლება გვაქვს, მოვილაპარაკოთ. ბოდიში, სერ, კაპიტნად მიმაჩნისხართ, მაგრამ ჩემს უფლებას ვიყენებ და გარეთ გავდივარ სათათბიროდ.

მერე ზღვაოსნური სალამი მისცა და ეს აყლაყუდა, თვალეზიანი ვითლებული, ოცდათხუთმეტობოდე წლის კაცი მტკიცედ გაემართა კარისაკენ და სიბნელეში გაუჩინარდა. სხვებიც, ერთმანეთის მიყოლებით მას გაჰყვნენ; თან, გავლისას, ყველა სალამს იძლეოდა და რაიმე მოსაბოდიშებელ სიტყვასაც ურთავდა.

— წესის თანახმად! — თქვა ერთმა.

— მეზღვაურთა თათბირზე! — თქვა მორგანმა.

ბოლოს, ყველანი გაიკრიფნენ და სილვერი და მე ჩირაღდნით განათებულ ოთახში დაგვტოვეს.

გემის მზარეულმა მყის გამოიღო პირიდან ჩიბუხი.

— ახლა ყური მიგდე, ჯიმ ჰოკინზ, — მითხრა მტკიცე, მაგრამ ძლივს გასაგონი ჩურჩულით. — შენი სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია და, რაც კიდევ უფრო სავალალოა, წამებით სიკვდილი გელის. იმათ ჩემი ჩამოგდება სურთ, მაგრამ, ხომ ხედავ, რა შეუპოვრად გიცავ. ჯერ არ მინდოდა შენი დაცვა, არა, სანამ შენი ნალაპარაკები არ მოვისმინე! სასოწარკვეთილებაში ვიყავი ჩავარდნილი ამდენი ფული რომ დაგკარგე, თანაც, სახრჩობელა მემუქრება. მაგრამ დავინახე, რომ კარგი ბიჭი ხარ. ვთქვი ჩემთვის: შენ ჰოკინზს უშველე, ჯონ, ჰოკინზი კი, შენ გიშველის. მისი უკანასკნელი იმედი ხარ და, მეხის მადლმა, ჯონ, ისიც შენი უკანასკნელი იმედია! ერთმანეთს დაეხმარეთ, შენ შენი მოწმე გადაარჩინე და ისიც შენს კისერს გადაარჩენს-მეთქი!

უკვე ალლო ავუღე მის ნათქვამს.

— იმას გულისხმობთ, რომ თამაში წააგეთ? — ვკითხე მე.

— ჰო, დალახვროს ეშმაკმა, — ეგრე მგონია! — მომიგო მან. — გემი დაიკარგა, სახრჩობელა და დარჩა! ეგ არის და ეგ! როგორც კი ყურეში გავიხედე და ხომალდს თვალი ველარ მოვკარი... მაგარი, შეუპოვარი კაცი ვარ, მაგრამ, მაინც სასო წარმეკვეთა, მივხვდი, რომ წაუაგე. ესენი და ამათი თათბირი კი... დამიჯერე, უგუნურები და მხდალები არიან. რაც შემიძლია, ვეცდები და დაგიხსნი მაგათი ხელიდან, ოღონდ გამიგონე, ჯიმ, კბილი კბილის წილ — შენც უნდა იხსნა აყლაყუდა ჯონი სახრჩობელისგან.

სახტად დავრჩი: რა უიმედო საქმეს მთხოვდა ეს ძველი მეკობრე და ყაჩაღების ბელადი!

— რაც შემიძლია, ცდას არ დავაკლებ, — მაინც კვერი დავუკარი მე.

— ხელშეკრულება დადებულია! — შესძახა აყლაყუდა ჯონმა. — შენ გულიანად ლაპარაკობ და, მეხის მადლს, მეც იმედი მომეცა!

მიჩლახუნდა ჩირალდანთან და ისევ მოუკიდა ცეცხლი ჩიბუხს.

— შეიგნე, ჯიმ, — თქვა მან, როცა მობრუნდა, — მხრებზე თავი მაბია, თავი! ახლა მე სკვირის მხარეს გახლავარ. ვიცი, სადღაც უშიშარ ადგილას მიმალე გემი. როგორ მოახერხე, არ ვიცი, მაგრამ უშიშარ ადგილას კი არის. ვხვდები, ჰენდზი და ო'ბრაიენი ტუტუცები გამოდგნენ. არცა მქონია მათი იმედი. ახლა ყური მიგდე: მე არაფერს გეკითხები და არც სხვებს ვაკითხვინებ რამეს. ვიცი, როდისაა წაგებულ თამაში, ვიცი, და ისიც ვიცი, ვინ არის სანდო ყმაწვილი! ეჰ, შენისთანა ახალგაზრდას... შენ და მე ბევრი კარგი საქმის გაკეთება შეგვიძლია ერთად!

მერე ბრენდი ჩამოასხა თუნუქის ტოლჩაში.

— ხომ არ იგემებ, მეგობარო? — მკითხა და, უარი რომ ვუთხარი, დასძინა: — მაშ, მე კი გადავკრავ, ჯიმ. ცოტა სასმელი მჭირდება ახლა, რადგან განსაცდელი მოგველის. მართლა, ამ განსაცდელის ხსენებაზე, ნეტავ, იმ ექიმმა რატომ მომცა რუკა, ჯიმ?

ჩემს სახეზე ისეთი წრფელი განცვიფრება გამოიხატა, რომ მან ფუჭად ჩათვალა შემდგომი გამოკითხვის გაგრძელება.

— ჰოდა, მომცა კი! — თქვა მან. — ალბათ, რაღაც იმალება ამ ამბავში; უეჭველია, რაღაც არის... უთუოდ რაღაც არის ამის იქით, ჯიმ... ცუდი ან კარგი!

მან კვლავ მოსვა და ისე მძიმედ გააქნია თავისი ვეება თავი, თითქოს კიდევ უარეს უბედურებას მოელოდა ბედისგან.

თავი ოცდამეცხრე

კვლავ შავი ნიშანი

მეკობრეთა თათბირი გრძელდებოდა: ერთი მათგანი შემობრუნდა ოთახში და ისეთივე საღმით, რომელსაც ჩემს თვალში დამცინავი იერი დაჰკრავდა, მცირე ხნით ჩირაღდანი ითხოვა. სილვერმა მაშინვე დართო ნება. მოციქული კვლავ გავიდა და ჩვენ სიბნელეში დაგვტოვა.

— ქარი აპირებს ამოვარდნას, ჯიმ, — მითხრა სილვერმა, და ახლა უკვე ძალიან მეკობრული და შინაურული კილოთი დამიწყო ლაპარაკი.

უახლოეს სათოფურში გავიხედე. დიდი კოცონის ნაკვერჩხლები ჩანავლებულიყო და ახლა ისე სუსტად და ბუნდად ბჟუტავდა, რომ მივხვდი, შეთქმულებს რატომ დასჭირდათ ჩირაღდანი. მოთათბირეები, მესრამდე დაახლოებით შუა გზაზე, ფერდობზე შეჯგუფულიყვნენ. ერთს ჩირაღდანი ეჭირა; ერთიც შუაგულში დაჩოქილიყო. მის ხელში მთვარისა და ჩირაღდნის შუქზე სხვადასხვაფრად მოლაპლაპე დანის პირს მოკარი თვალი. დანარჩენები ცოტა მოხრილიყვნენ, თითქოს ამ უკანასკნელის მოქმედებას ადევნებენ თვალყურსო. როგორც იქნა, გავარჩიე, დაჩოქილს დანასთან ერთად წიგნიც ეჭირა ხელში. ის იყო, საგონებელში ჩავვარდი, მათთვის ასე შეუფერებელი საგანი როგორ ჩაუვარდათ ხელში-მეთქი, რომ დაჩოქილი კაცი წამოდგა და მთელი ჯგუფი ერთად გამოემართა სახლისკენ.

— აქეთ მოდიან, — ვთქვი და ჩემს ძველ მდგომარეობას დავუბრუნდი, რადგან ჩემი ღირსებისთვის შეუფერებლად მიმაჩნდა თვალთვალის დროს დავენახე მათ.

— აბა, მოვიდნენ, ყმაწვილო... მოვიდნენ, — თქვა მხიარულად სილვერმა. — ჯერ კიდევ მომეძვეება ერთი გასროლა ღენთი მათ შესახვედრად.

კარი გაიღო და შიგნით ჯგროდ შემოსულმა ხუთმა მეკობრემ ერთი თავისიანი წინ წამოაგდო. სხვა გარემოებაში სასაცილო საყურებელი იქნებოდა მისი ფეხათრევით სიარული, რადგან ყოველი ნაბიჯის გადმოდგმაზე ჩერდებოდა და თან მომუჭული მარჯვენა ხელი ჰქონდა წინ გამოშვერილი.

— მოდი, მოდი, ყმაწვილო, — შესძახა სილვერმა, — არ შეგჭამ, მომეცი, ყვეეჩო, მე ვიცი წესები — მოციქულს არაფერს ვაზნებ!

ამით გათამამებული მეკობრე უფრო მკვირცხლად წამოვიდა წინ; ხელიდან ხელში რაღაც გადასცა სილვერს და კიდევ უფრო ცქვიტად მიაშურა თავის ამხანაგებს.

შზარეულმა დახედა მოცემულ საგანს.

— შავი ნიშანი! ეგრეც ვფიქრობდი, — შენიშნა მან. — ქალაღი სადღა იშოვეთ? ოჰო! ერთი ამას დამიხედეთ: თქვე უბედურებო! ამდგარხართ და ბიბლიიდან ამოგიჭრიათ. აბა, რომელი სულელი ჭრის საღვთო წერილს?

— აჰა! — შესძახა მორგანმა, — ხომ გითხარით, ამ საქმიდან ხეირი არ იქნება-მეთქი.

— ახლა კი დამთავრებულია თქვენი საქმე, — განაგრძო სილვერმა. — ყველას სახრჩობელაზე ჩამოგაკონწიალებენ. რომელ უტვინო ყვეეჩს ჰქონდა ბიბლია?

— დიკს! — მიუგო ერთმა.

— შენა, დიკ? მაშინ ის დროა, დიკი ლოცვას შეუდგეს, — თქვა სილვერმა. — ბედს ვეღარ ეწევა, დაიხსომეთ ჩემი სიტყვა!

აქ თვალეზრათლებული ახმახი ჩაერია ლაპარაკში.

— გეყოფა ყბედობა, ჯონ სილვერ, — უთხრა მან. — ჩვენ გადავწყვიტეთ, შავი ნიშანი გადმოგცეთ, როგორც წესია, ჯერ ნახე, რა აწერია ზედ. მერე ვილაპარაკოთ.

— გმადლობ, ჯორჯ, — მიუგო შზარეულმა. — საქმეში ყოველთვის მკვირცხლი იყავი და მიხარია, ადათ-წესებიც რომ ზეპირად იცი. ვნახოთ, ბოლოს და ბოლოს, რა წერია აქ? ოჰო! „ჩამოგდებული ხარ“... სულ ეგ არის? ძალიან კოხტად კი დაგიწერიათ!

გეფიცებით, ნაბეჭდს ჰგავს. შენი ნაწერია, ჯორჯ? სწორედ რომ პირველი კაცი ხდები ამ გუნდში! დარწმუნებული ვარ, მერე კაპიტანიც შენ იქნები. ერთი აქეთ მომაწოდე ეგ ჩირაღდანი, გეთაყვა, ჩიბუხი ჩამიქრა!

— აბა, გეყოფა, თქვა ჯორჯმა. — ნულარ ასულელებ ამ ხალხს. შენი ფიქრით, დიდი ვინმე ბრძანდები, მაგრამ ახლა ჩამოგდებული ხარ. კეთილი ინებე და გადმობრძანდი მაგ კასრიდან, ახალი კაპიტანი უნდა ავირჩიოთ.

— მეგონა, მართლა იცოდი წესები, — მიუგო ტუჩაბზუებით სილვერმა. — მაგრამ, შენ თუ არ იცი, მე ვიცი და აქ დავრჩები: გახსოვდეს, ჯერ კიდევ კაპიტანი გახლავარ, სანამ თქვენს ბრალდებებს არ გადმოალაგებთ, მანამდე კი თქვენი შავი ნიშანი ჩირად არა ღირს. ამის შემდეგ ვნახოთ რა იქნება.

— ნურაფრის გეშინია — უთხრა ჯორჯმა, — ჩვენ გვინდა ყველაფერი პატიოსნად გავაკეთოთ, პატიოსნად! პირველი ბრალდება ის არის, რომ შენ გამო ჩაიშალა ჩვენი საქმე — აბა, გაბედე, და უარი თქვი! მეორე: ხაფანგში მომწყვდეულ მტერს თავის დაძვრენის უფლება მიეცი. რატომ უნდოდათ აქედან წასვლა? არ ვიცი; მაგრამ აშკარაა, რომ წასვლა უნდოდათ. მესამე: შენ არ დაგვანებე გზაში დაუსხმოდით მათ თავს. შენს მურდალ ზრახვებს ვერ გამოგვაპარებ, ჯონ სილვერ, ორმაგ თამაშს თამაშობ! აი, რა არის შენი დანაშაული. დაბოლოს, მეოთხე: აი, ამ ბიჭის საქმე, დიდი ამბით რომ იცავ!

— სულ ეგ არის? — მშვიდად იკითხა სილვერმა.

— განა საკმარისი არაა? — მიუგო ჯორჯმა. — შენი უთავბოლოობისათვის ყველანი ანძაზე უნდა ჩამოგვკიდონ.

— აბა, ახლა ყური მიგდეთ და ოთხივე ბრალდებაზე პასუხს გაგცემთ. სულ სათითაოდ გიპასუხებთ. ვითომდა მე ჩავშალე ჩვენი საქმე, არა? მაგრამ, ხომ ყველამ იცით, რაც მქონდა ჩაფიქრებული! ისიც ხომ ყველამ იცით, ისე რომ გვემოქმედა, როგორც გეუბნებოდით, ახლა „ისპანიოლაზე“ ვიქნებოდით ყველანი, ცოცხლები და უვნებელნი; საჭმელ-სასმელიც თავზე საყრელი გვექნებოდა და განძიც ტრიუმში იქნებოდა ჩალაგებული, მეხის მადლმა! ჰოდა, ვინ შემიშალა ხელი? ვინ დამატანა ძალა, ვინ მაჩქარებდა მე, თქვენს

კანონიერ ბელადსა და კაპიტანს? ვინ გადმომცა შავი ნიშანი ხმელეთზე გადმოჯდომისთანავე და გააჩალა ეს ეშმაკის ფერხული? ოჰ, რა ჩინებული ცეკვაა. მეც თქვენთან ერთად ვარ შიგ ჩაბმული, სწორედ რომ ძალიან წააგავს თოკის ბოლოზე ჩამოკონწიალებულების მანჭვა-გრეხას, ლონდონ-ქალაქის სახრჩობელებზე რომ მართავენ! მერე და, ვინ ჩაიდინა ეს. ეს ჩაიდინა ენდერსონმა, ჰენდზმა და შენ, ჯორჯ მერი! ამ უგვანოებიდან შენდა დარჩი ცოცხალი. თანაც ტარტაროზის თავხედობით წამომდგარხარ და გნებავს კაპიტნად დამიდგე; ეს შენ, რომელმაც დალუპე ამდენი ჩვენიანი! მუხის მადლმა, ეს კი მეტისმეტია!

სილვერი შედგა. ჯორჯსა და მის თანამოაზრეებს სახეებზე შევატყვე, რომ ფუჭად არ ჩაევლო მის ნათქვამს.

— ეს პირველი ბრალდებისთვის, — შესძახა სილვერმა და ოფლი მოიწმინდა შუბლიდან, რადგან ისეთი ხმით ლაპარაკობდა, რომ მთელი სახლი ზანზარებდა. — გეფიცებით, მომბეზრდა თქვენთან ლაპარაკი! არც ჭკუა გაქვთ, არც მახსოვრობა. პირდაპირ მიკვირს, როგორ გამოგიშვეს დედიკოებმა ზღვაში. ზღვაში! დამიხედეთ ბედ-იღბლის ვაჟკაცებს! თქვენ, ჩემი აზრით, თურძები უნდა ყოფილიყავით!

— გეყოფა ჩვენი ლანძღვა, ჯონ, — ჩაურთო მორგანმა, — სხვა ბრალდებებსაც უპასუხე!

— ოჰ, სხვებსაც? — მიუგო ჯონმა, — ის სხვებიც ერთმანეთზე უკეთესია! კარგი, ამბობთ, ჩვენი საქმე დალუპულიაო. ეჰ, ნეტავი იცოდეთ, მართლაც როგორ დავიღუპეთ! ისე ახლოს ვართ სახრჩობელასთან, კისერიც კი მიშეშდება ამაზე ფიქრით. თითქოს ბორკილგაყრილი ვეკიდოთ, ფრინველები დაგვტრიალებდნენ თავზე, მეზღვაურები კი თითს იშვერდნენ ჩვენკენ. „ვინ უნდა იყოს“ — კითხულობს ერთი. „ეგა? ეგ ხომ ჯონ სილვერია! მე მაგას კარგად ვიცნობდი“, — მიუგებს მეორე და ქარის ყოველ დაბერვაზე ბორკილების ჩხარუნი გაისმის. აი, რა დღეში ვართ ახლა ყველანი ამის, ჰენდზის, ენდერსონისა და ჩვენი დამღუპველი სხვა ყვეყჩების წყალობით! თუ მეოთხე ბრალდების პასუხი და ამ ბიჭის ამბავი გინდათ, როგორ ვერ ხვდებით, დალახვროს ეშმაკმა, განა ეს მძევალი არ არის? განა ხელიდან უნდა გავუშვათ მძევალი? რა, არ გვარგებს!

ეგ იქნებ ჩვენი უკანასკნელი იმედიც იყოს! მაგ ბიჭის მოკვლა გინდათ? არა, მე მაგას არ ვიზამ, ძმებო! მესამე ბრალდება რაღა იყო? ჰო, გამახსენდა, მაგაზე კი ღირს ლაპარაკი! იქნებ არაფრად მიგაჩინათ ის, რომ თქვენს სანახაუდ განსწავლული ექიმი დადის ყოველდღე. რას იტყვი ამაზე, ჯონ, თავი რომ გაქვს გახეთქილი და შენ, ჯორჯ მერი, ექვსი საათის წინ ციებ-ცხელება რომ გაკანკალებდა, თვლებზე კი ახლაც ლიმონისფერი გადევს? იქნებ არც ის იცით, მაშველი გემი რომ უნდა ჩამოვიდეს? თანაც, არც ძალიან დაიგვიანებს. მაშინ ხომ არ დაგვჭირდება მძევალი, როცა საქმე გეშზე ასვლაზე მიდგება?! ახლა, რაც შეეხება მეორე ბრალდებას, — მტერს რატომ მოურიგდით, — თვითონ არ მებვეწებოდით დაჩოქილნი, მოურიგდით... მუხლმოყრილები მებვეწებოდით, ისე სასოწარკვეთილნი იყავით... კიდევ გააფრთხობდით შიმშილით სულს, იმათთან რომ არ შევთანხმებულყავი... მაგრამ, ეს ყველაფერი რა სახსენებელია! აბა, ამას დახედეთ, აი, რისთვის მოურიგდი!

და იატაკზე გადმოაგდო ქალაღდი, რომელიც მაშინვე ვიცანი: ყვითელ ქალაღდზე დახატული რუკა, ზედ მონიშნული სამი წითელი ჯვრით. ეს იყო რუკა, რომელიც მუშაობის კონვენტში ჩადებული ვიპოვე ჩვენს დუქანში დაბინავებული კაპიტნის სკოვრში. რატომ მისცა ექიმმა ეს, ვერაფრით მომესაზრებინა.

მაგრამ მე თუ სახტად დავრჩი, მეამბოხენი სულაც საკუთარ თვალს არ უჯერებდნენ. კატა რომ თავს დააცხრება, ისე მისცვივდნენ ყველანი, ერთმანეთს არ აცლიდნენ შეხედვას, ქალაღდი ხელიდან ხელში გადადიოდა. მათი ლანძღვა-გინების, ყვირილისა და აღტაცებული შეძახილების გამგონე, იფიქრებდი, არა მარტო ხელს ურევენ ოქროში, არამედ განძიანად უკვე სამშვიდობოსაც არიან გასული ზღვაშიო.

— ჰო, — თქვა ერთმა, — ეს მართლაც ფლინტისაა. „ჯ. ფ.“, ქვემოთ კი მკვდარი კვანძი. ყოველთვის ასე აწერდა ხეულს!

— კეთილი და პატიოსანი, — სიტყვა ჩამოართვა ჯორჯმა, — მაგრამ აქედან როგორღა უნდა დაუდწიოთ თავი განძიანად, თუ გემი არ გვეყოლება?

სილვერი უცბად წამოიჭრა ზეზე, ცალი ხელით კედელს მიეყრდნო.

— უკანასკნელად გაფრთხილებ, ჯორჯ, — დასჭყივლა მან, — კიდევ ერთი თავხედური სიტყვა და ჩემთან შებრძოლება მოგიწევს! როგორ? მე რა ვიცი, როგორ? ეგ შენ უნდა მითხრა... შენ და სხვებმა, რომლებმაც ხომალდი დაკარგეს შენი შემწეობით, ჯანდაბას თქვენი თავი! მაგრამ თქვენ რას იტყვით, მაგის თავი სადა გაქვთ! ბატის ჭკუაც არ მოგეპოვებათ. მაგრამ იმას კი გაიძულე, თავაზიანად მელაპარაკო, ჯორჯ მერი, კარგად დაიმახსოვრე!

— სწორია, — კვერი დაუკრა ბებერმა მორგანმა.

— სწორია? მეც ასე მგონია, რომ სწორია! — განაგრძო მზარეულმა. — თქვენ ხომალდი დაკარგეთ, მე განძი ვიპოვე. ვინ ივარგა ჩვენ შორის? არა, ახლა კი უარს ვამბობ კაპიტნობაზე, მეხის მადლმა! ვინც გინდათ, ის აირჩიეთ კაპიტნად. მეყო, რაც მაწვალეთ.

— სილვერი! — შეჰყვირეს მათ, — დაბრაწული იყოს ჩვენი წინამძღოლი! დაბრაწული კაპიტნად!

— ახლა მაგ კილოზე ამღერდით, არა? — შესძახა მზარეულმა. — ჯორჯ, ძმობილო, მგონი კიდევ დიდხანს დაგჭირდება მოცდა, და შენი ბედი, რომ შურისძიება არ მჩვევია. აბა, ძმებო, ამ შავ ნიშანს რაღა ვუყოთ? ახლა რის მაქნისია? დიკმა სული წაიწყმიდა და საღვთო წერილი სულ ტყუილად შებღალა, ეგ არის და ეგ!

— ზედ დაფიცება ხომ მაინც შეიძლება? — წაიბურტყუნა დიკმა, რომელიც აშკარად შეშფოთებული ჩანდა, საკუთარ თავს რომ ასეთი რისხვა დაატეხა.

— ფურცელამოგლეჯილ საღვთო წერილზე? — დაცინვით ჩამოართვა სიტყვა სილვერმა, — როგორ შეიძლება! მაგას ხომ შაირების წიგნზე მეტი ძალაც აღარ ექნება!

— მე მგონი, მაინც ღირს შენახვა, — თქვა დიკმა.

— აი, ჯიმ... ესეც შენ, სახსოვრად, — მითხრა სილვერმა და შავი ნიშანი მომიგდო.

იგი კრონის¹ სიდიდის ქალაქის მრგვალი ნაჭერი იქნებოდა, ერთ მხარეს არაფერი იყო დაბეჭდილი, რადგან ბოლო ფურცელი

¹ კრონა — ამ შემთხვევაში ინგლისური ვერცხლის ფული, რომელზედაც სამეფო გვირგვინი იყო აღბეჭდილი. უდრიდა ხუთ შილინგს.

ამოეხიათ, მეორე მხარეს კი გამოცხადების¹ ერთი მუხლი ეწერა. თვალში მეცა და დამამახსოვრდა შეძვედი სიტყვები: „ქოთაკები და მკვლევლები“. ნაბეჭდი მხარე ნახშირით გაეშავებინათ, რამაც თითები გვარიანად დამისვარა. სუფთა მხარეს იმავე მასალით ერთი სიტყვა ეწერა: „ჩამოგდებული ხარ“. ეს სამახსოვრო საგანი ახლაც გვერდით მიდევს, მაგრამ წარწერის ნასახიც აღარ ეტყობა, გარდა ერთი განაჩხაპნისა, ცერის ფრჩხილით დაჩნეულ ნაჭდევს რომ წააგავს.

ასე დასრულდა იმდამინდელი ამბავი. მერე ყველამ თითო-თითო გადაჰკრა და მოწეწით კიდევ დასაძინებლად. სილვერმა შური იმით იძია, რომ ჯორჯ მერი დააყენა გუშაგად და თან დაემუქრა, მოგკლავ, თუ რაიმე გამოგეპარაო. დიდი ხანი გავიდა, სანამ თვალის მოხუჭვას შევძლებდი და, რაღა თქმა უნდა, საკმაო მიზეზებიც მქონდა მოუსვენრობისთვის. ვიწექი ჩამობნელებულ ოთახში და ვფიქრობდი ჩემგან მოკლულ კაცზე, ჩემს სავალალო მდგომარეობაზე და კიდევ იმ თამაშზე, ასე ოსტატურად რომ წარმართავდა სილვერი — ცალი ხელით ამ ავაზაკებს იჭერდა, ცალით კი — ყოველ შესაძლებელ და შეუძლებელ ღონეს ხმარობდა, რათა სახრჩობელისგან დაეხსნა თავი და საცოდავი სიცოცხლე გადაერჩინა. თვითონ არხეინად ეძინა და ხმამაღლა ხვრინავდა. ხომ თავადაც ავაზაკი იყო, მაინც გული შემტკიოდა მისთვის, როცა ვფიქრობდი, რა დიდ საფრთხეში იყო ჩავარდნილი და რა სამარცხვინო დასასრული ელოდა.

თავი ოცდამათხ

პატიოსანი სიტყვა

გამომალვიდა, უფრო სწორად, ჩვენ ყველანი გამოგვალვიდა მკაფიო ხმამ, რომელიც ტყის პირიდან მოისმა:

— ეჰეი, თქვენ, ძელურში! — ისმოდა ძახილი. — ექიმი მოდის!

ეს მართლაც ექიმი გახლდათ. გამიხარდა მისი ხმის გაგონება, მაგრამ ჩემს სიხარულს მაინც ჩრდილი დაჰკრავდა: მწუხარებით

¹ გამოცხადება — ახალი აღთქმის ერთ-ერთი წიგნი.

მომავლად ჩემი ურჩობა, ნაჩუმათუვი გაპარვა და როცა დავინახე, სადამდე მიმიყვანა ამ საქციელმა, რა ხალხში და ხიფათში ჩამავლო, შემრცხვა და ვიფიქრე, რა პირით შევხედო-მეთქი ექიმს თვალებში.

ალბათ ღამიანად ამდგარიყო, რადგან, ის-ის იყო, თენდებოდა. სათოფურთან რომ მივირბინე გასახედად, დავინახე, მუხლებამდე ჯანღში იდგა, როგორც წინათ სილვერი.

— თქვენ ბრძანდებით, ექიმო? დილა მშვიდობისა, სერ! — გასძახა მყის გამოფხიზლებულმა და კეთილი ღიმილით სახეგაბადრულმა სილვერმა. — სისხამი დილაა, მართლაც ადრიანად ამდგარხართ, თუმცა, ნათქვამია — ადრე გაღვიძებული ჩიტი მეტ საკენკს იშოვისო. ჯორჯ, პატარავ, უშველე ექიმ ლივსის მესერზე გადმოსვლა. ყველაფერი კარგად არის, თქვენი ავადმყოფები ყველანი კარგად და მხიარულად არიან! — ასე ლაყბობდა იგი ფერდობზე გადამდგარი. ყავარჯენი ილლიის ქვეშ ამოედო, ცალი ხელი ძელურის კედლისთვის მიეყრდნო და ქცევითა და ლაპარაკის ტონით ნამდვილი ძველებური ჯონი გახლდათ.

— სიურპრიზი გვაქვს თქვენთვის შემონახული, სერ, — განაგრძობდა იგი. — აქ ერთი უცხო ბიჭუნა გვყავს... ჰე, ჰე, ჰე! ერთი ახალი მდგმური, სერ, ზაზუნასავით ეძინა ცალფეხა ჯონის გვერდით... მთელი ღამე გვერდი გვერდზე გვექონდა მიბჯენილი.

ამასობაში ექიმი ლივსი მესერზე გადმოსულიყო, უკვე კარგად მოახლოებოდა მზარეულს და შევატყვე, მღელვარებისგან ხმის კილო შეეცვალა, როცა იკითხა:

— ჯიმი ხომ არაა?

— სწორედ რომ ჯიმი გახლავთ, — მიუგო სილვერმა.

სახტად დარჩენილი ექიმი შედგა, ოღონდ კრინტი არ დაუძრავს და რამდენიმე წამმა განვლო, სანამ ნაბიჯის გადმოდგმას შეძლებდა.

— კარგი, — ამოღერდა ბოლოს, — ჯერ საქმე და მერე სიამოვნება, როგორც თქვენ ამბობთ ხოლმე, სილვერ. მოდი, ჯერ ავადმყოფები გავსინჯოთ!

მალე ძელურში შემოვიდა, ერთი მოღუშულად დამიკრა თავი და თავის საქმეს მიჰყო ხელი. სრულიად არ ეტყობოდა შიში, თუმცა

უნდა სცოდნოდა, რომ მისი სიცოცხლე ამ მუხთალ ადამიანებს შორის ბეწვზე ეკიდა. იგი ისე არხეინად ესაუბრებოდა აუადმყოფებს, თითქოს წყნარ ინგლისურ ოჯახში მიუწვევიათო. მისი ქცევა, ვფიქრობ, გაულენას ახდენდა მათზე; რადგან ისე ეპყრობოდნენ, ვითომც არაფერი მომხდარიყოს — ვითომ ის კვლავ გემის ექიმი ყოფილიყო, ხოლო ესენი კვლავ ერთგული მეზღვაურები.

— უკეთა ხარ, ძმობილო, — უთხრა თავშეხვეულს, — ბეწვზე ეკიდა შენი სიცოცხლე. რკინასავით მაგარი თავი გქონია. აბა, ჯორჯ, როგორ არის საქმე? ყვითელი ფერი კი გადევს. არცაა გასაკვირი — შენი ღვიძლი ვერ არის წესრიგში, ის წამალი დალიე? დალია ის წამალი, ბიჭებო?

— დიახ, დიახ, სერ, დალია! — უპასუხა მორგანმა.

— რადგანაც, ხომ იცით, რაკი მეამბოხეთა, ანუ, უმჯობესი იქნებოდა მეთქვა, სატუსალოს ექიმი ვარ, — თქვა ექიმმა ლოსიმ მისებური მხიარული კილოთი, — ჩემი ღირსების საქმედ მიმაჩნია, არც ერთი ქვეშევრდომი არ დაუუკარგო მეფე გეორგს (ღმერთი ფარავდეს მას!) და სახრჩობელას.

ავაზაკებმა ერთმანეთს გადახედეს, მაგრამ ჩუმად გადაყლაპეს ეს ხუმრობა.

— დიკიც უქეიფოდ არის, სერ, — თქვა ერთმა.

— ჰოო? — მიუგო ექიმმა. — აბა, მოდი აქ, დიკ, და მიჩვენე ენა. ოჰ, გასაოცარიც იქნებოდა, კარგად რომ იყოს! ამის ენა ფრანგსაც კი დააფრთხობს. ამასაც ციებ-ცხელება ეწყება!

— აჰა, აი, რა მოსდევს საღვთო წერილის წახდენას! — თქვა მორგანმა.

— ეს იმას ემართება, ვინც სახედარივით ყეყეჩია, — მყის მიაძახა ექიმმა. — და იმდენი ჭკუა არ აქვს, რომ სუფთა ჰაერი შხამიანისგან, ხოლო მშრალი მიწა — ჭირიანი ლაქაშისგან გაარჩიოს! დარწმუნებული ვარ, თუმცა, რასაკვირველია, ეს მხოლოდ ჩემი აზრია, ძალიან გაგიჭირდებათ სხეულიდან ამ აუადმყოფობის გამოდევნა. ჭაობში დაბანაკება იქნებოდა! სილვერ, გამკვირვებია თქვენი! თქვენ ხომ ისეთი ბრიყვი არ ხართ, როგორიც სხვები, თუმცა, არა მგონია, თქვენც რაიმე წარმოდგენა გქონდეთ, თუ როგორ უნდა იზრუნოთ საკუთარი ხალხის ჯანმრთელობაზე.

— აბა, — დასძინა მან შემდეგ, როცა ყველას წამლები დაალე-
ვინა და მისი მწარე სიტყვებიც ისეთი სასაცილო მორჩილებით
მოისმინეს, თითქოს საქველმოქმედო სკოლის შეგირდები ყოფი-
ლიყვნენ და არა სისხლიანი მუამბოხენი, — აბა, სადღეისოდ გეყო-
ფათ. ახლა, გეთაყვათ, ამ ბიჭთან დამალაპარაკეთ!

და დაუდევრად გადმოაქნია თავი ჩემკენ.

ჯორჯ მერი კართან იდგა, რაღაც უგემურ წამალს სვამდა და
თან იფურთხებოდა; მაგრამ ექიმის პირველსავე სიტყვაზე ალმურა-
ვარდნილი შემოტრიალდა და შეჰყვირა:

— არ შეიძლება! — თან გინებაც მოაყოლა.

სილვერმა მუშტი დაჰკრა კასრს.

— მოკეტეთ! — დაიღრიალა მან და მძვინვარე ლომოვით მოა-
ვლო თვალი ირგვლივ. — ექიმო, — განაგრძო მერე ჩვეულებრივი
კილოთი, — მეც მაგას ვფიქრობდი, რაკი ვიცი, როგორ გიყვართ
უგ ბიჭი. ყველანი დიდი მადლობელი ვართ შემწეობისთვის; რო-
გორც ხედავთ, სრულიად გენდობით და რომოვით ველაპავთ თქვენს
წამლებს. და, მე მგონი, ისეთი გზა გამოვნახე, რომ ყველას მოეწო-
ნება. ჰოკინზ, მომცემ პატიოსან სიტყვას, როგორც ახალგაზრდა
ჯენტლმენს შეჰფერის — თუმცა ღარიბი მშობლების შვილი კი
ხარ, — მომცემ პატიოსან სიტყვას, რომ არ გაიქცევი?

მე მაშინვე მივეცი სიტყვა.

— მაშინ, ექიმო, — თქვა სილვერმა, — თქვენ მესერს იქით
გადაბრძანდებით და, იქ რომ იქნებით, მე აქეთა მხრიდან მოგი-
ყვანთ ბიჭს, და, მე მგონი, მშვენივრად მოახერხებთ ერთმანეთში
ჭუკჭუკს. მშვიდობით ბრძანდებოდეთ, სერ და ჩვენი გულითადი
მოკითხვა მოახსენეთ სკვაირსა და კაპიტან სმოლეტს!

როგორც კი ექიმი გარეთ გავიდა, მყის იფეთქა უკმაყოფი-
ლებამ, რასაც აქამდე მარტო სილვერის თვალების სასტიკი
ბრიალი აკავებდა. სილვერს კვლავ დააბრალებს ორპირობა, თა-
ვის დაძვრენის მცდელობა და საკუთარი ამხანაგების ღალატი,
ერთი სიტყვით, სწორედ ის, რასაც მართლა სჩადიოდა. ეს ისე
აშკარად მეჩვენებოდა ახლა, რომ ვერც წარმომედგინა, როგორ
მოახერხებდა მათი რისხვის თავიდან აცილებას. მაგრამ იგი
დანარჩენებზე ბევრად უფრო ჭკვიანი იყო და წუხანდელმა გა-

მარჯვებამაც უდიდესი უპირატესობა მოაპოვებინა მათ წინაშე. წარმოიდგინეთ, ყველას სულელებსა და ყვეყნებს ეძახდა. თქვა, ამის ლაპარაკი ექიმთან აუცილებელიაო. ცხვირწინ უფრიალებდა რუკას და კითხულობდა: ნუთუ სწორედ იმ დღეს გინდათ შეთანხმების დარღვევა, როცა განძის საძებრად ვაპირებთ წასვლასო.

— არა, მეხის მადლმა! — შესძახა მან, — ჩვენ მაშინ უნდა დავარღვიოთ ხელშეკრულება, როცა შესაფერისი დრო დადგება, მანამდე კი უნდა ვულოლიაუო ექიმს, თუნდაც მისთვის წალების გაპრიალებაც დამჭირდესო.

მერე ბრძანა, ცეცხლი დაანთეთო. დინჯად გამოვიდა გარეთ ყავარჯენზე დაყრდნობილი, თან ცალი ხელი ჩემს ბეჭზე ედო. მისი ამხანაგები დაიბნენ, ისინი მისმა ენაწყლიანობამ უფრო დაადუმა, ვიდრე საბუთიანობამ.

— ნელა, ბიჭიკო, ნელა, — ჩამილაპარაკა მან, — თვალის დახამხამებაში გვეძგერებიან, თუ ფეხის აჩქარება შეგვატყვეს.

ამიტომ ძალიან დინჯად მივიწვევდით წინ ქვიშაში იმ ადგილისაკენ, სადაც ექიმი გველოდებოდა მესრის მეორე მხარეს მომდგარი. როგორც კი ხმის ადვილად მისაწვდენ მანძილზე მიუუახლოვდით, სილვერი შედგა.

— ესეც დაიმახსოვრეთ, ექიმო, — უთხრა მან, — ბიჭიც დაგიდასტურებთ, როგორ გადავარჩინე სიკვდილს და ამისთვის, დამიჯერეთ, კაპიტნობიდანაც კინალამ გადამაყენეს. ექიმო, როცა ასე ბეწვზე ჰკიდია კაცის სიცოცხლე, ასე ვთქვათ, უკანასკნელი ძალღონის დაძაბვით რომ ეწევა კაცი თამაშს, ეგებ ერთი გამამხნევებელი სიტყვა მაინც გაიმეტოთ მისთვის? გეთაყვა, იმასაც ნუ დაივიწყებთ, რომ მარტო ჩემი სიცოცხლე როდია ახლა საფრთხეში, ამ ბიჭის ბედიც ზედ ერთვის. ჰოდა, ერთი ტკბილი სიტყვა მითხარით, ექიმო; იმედის ნაპერწკალი მაინც გადმომიგდეთ სამადლოდ, რომ მოვებლაუჭო!

რაკი გარეთ გამოვიდა და მეგობრებსა და ძელურს ზურგი შეაქცია, სილვერი სულ სხვა კაცად იქცა, ლოყები თითქოს ჩაუცვივდა, ხმაც უკანკალებდა; გეგონებოდათ, სული ძლივს უდგასო.

— რაო, ჯონ, ხომ არ დაფრთხი? — ჩაეკითხა ექიმი ლივსი.

— ექიმო, მე მხდალი არა ვარ, აი, ამდენადაც კი არა ვარ! — და თითოთ აჩვენა. — რომ ვიყო, ვიტყოდი კიდეც. მაგრამ გულახდილად ვაღიარებ: პირდაპირ მაცახცახებს სახრჩობელას მოგონებაზე. თქვენ კეთილი და მართალი ადამიანი ბრძანდებით; თქვენზე უკეთესი კაცის მნახველი არა ვარ! ჰოდა, ნუ დაივიწყებთ, რა სიკეთეც გამიკეთებია, როგორც არ დაივიწყებთ, ვიცი, იმ ბოროტებასაც, რომელიც ჩავიდინე. ახლა, ხომ ხედავთ, განზე ვდგები და თქვენ და ჯიმს მართო გტოვებთ. ეგეც სიკეთეში ჩამითვალეთ — ხომ დიდი შეღავათია!

ამ სიტყვებით მან ცოტა უკან დაიხია, იმდენზე, ვიდრე ხმის მისაწვდენ მანძილს არ გასცილდა. იქ კუნძზე ჩამოჯდა და სტვენა დაიწყო. თან დროდადრო აქეთ-იქით ტრიალებდა ისე, რომ არაფერი გამოჰპარვოდა არც ჩვენს მხარეს, არც გარეთ გამოშლილი აუზაკების მხარეს. ისინი წინ და უკან მიმოდრიოდნენ ქვიშაში გაჩაღებულ ცეცხლსა და სახლს შორის, საიდანაც ღორი და პური გამოჰქონდათ საუზმის მოსამზადებლად.

— მაშასადამე, ჯიმ, — მითხრა სევდიანად ექიმმა, — შენ აქ ხარ. რასაც დათესავ, იმას მოიმკი, ჩემო ბიჭიკო. ღმერთმა იცის, გული არ მიშვებს, ყვედრება დაგიწყო, მაგრამ ავია თუ კარგი, ამას მაინც გეტყვი: კაპიტანი სმოლეტი რომ ჯანსაღად ყოფილიყო, გაპარვას ვერ გაბედავდი. ჰოდა, ის აუად იყო, ველარ დაგაკავა, შენ კი ამით ისარგებლე. წმიდა გიორგის მაღლმა, ეგ სწორედ მუხთალი საქციელია!

უნდა ვაღიარო, რომ ამ სიტყვების გაგონებაზე ტირილი ამივარდა.

— ექიმო, — ვთქვი მე, — ცოტა შემიბრალებთ. მე თვითონაც ბევრი ვუსაყვედურე თავს. ჩემი სიცოცხლე ისედაც ბევრზე ჰკიდია და ახლაც მკვდარი ვიქნებოდი, სილვერი რომ არ გამომქომაგებოდა. ჰოდა, ექიმო, მერწმუნეთ, მე შეიძლება დავიღუპო, — ახიც არის ჩემზე, — მაგრამ წამებისა კი ძალიან მეშინია. თუ წამება დამიწყეს...

— ჯიმ, — გამაწყვეტინა სიტყვა ექიმმა და ხმის კილო სულ შეეცვალა, — ჯიმ, ეგ არ მოხდება. გადმოხტი მესერზე და გავიქცეთ!

— ექიმო, — ვუთხარი მე, — პატიოსანი სიტყვა მაქვს ჩამორთმეული.

— ვიცი, ვიცი, — შესძახა მან. — ჯიმ, ეგ ჩემზე იყოს, მე ვკისრულობ, მთელ მაგ სირცხვილს, ჩემო ბიჭიკო. მაგრამ აქ დარჩენას კი არ დაგანებებ. გადმოხტი! ერთი ნახტომი და გარეთ იქნები; მერე კი მოუუსვათ აქედან.

— არა, — ვუპასუხე მე, — თქვენ ჩინებულად იცით, თვითონაც არ იზამდით მაგ საქმეს; არც თქვენ, არც სკვაირი და არც კაპიტანი. არც მე ვიზამ. სილვერი მენდო, სიტყვა ჩამომართვა და მეც უნდა დაუბრუნდე. მაგრამ, ექიმო, სათქმელი არ დამამთავრებინეთ: თუ წამება დამიწყეს, შეიძლება წამომცდეს, სად არის გემი დამალული. მე ხომ ხელთ ვიგდე გემი — ნაწილობრივ ბედმა გამიღიმა, ნაწილობრივ გაბედულებამ მიშველა. ახლა ხომალდი ყურეში დგას, სამხრეთ ნაპირთან ისე ახლოს, რომ ზღვის მოქცევისას ტივტივებს, მიქცევის დროს კი მეჩერზე ჯდება.

— გემი! — შესძახა ექიმმა.

მოკლედ მოუუთხრე ჩემი ფათურაკებიანი თავგადასავალი და იმანაც ბოლომდე ჩუმად მომიხმინა.

— სწორედ რომ ბედისწერაა, — შენიშნა მან, — როცა დაუამთავრე. — ყოველთვის შენ გადაგვარჩენ ხოლმე სიკვდილს და, ახლა როგორ გგონია, ჩვენ დასაღუპად მიგატოვებთ? ეგ რა სამაგიეროს გადახდა იქნება, ჩემო ბიჭიკო! შენ აღმოაჩინე შეთქმულება; შენ იპოვე ბენ განი. იმისთანა საქმე ჩაიდინე, ას წელიწადს რომ იცოცხლო, უკეთესს ვერ ჩაიდენდი და ვერც ჩაიდენ. ოჰ, ეს ბენ განიც დიდი კვიმატი ვინმეა. სილვერ! — გასძახა მან. — სილვერ! ერთი რამ უნდა გირჩიოთ, — განაგრძო ისევ, როცა მზარეული მოახლოვდა, — იმ განძის ძიებას მაინცდამაინც ნუ დააჩქარებთ!

— დიახ, სერ, რაც შემიძლია, ვეცდები, მაგრამ ეგ შეუძლებელია, — თქვა სილვერმა. — ბოდიშს ვიხდი, მაგრამ იცოდეთ, მე მხოლოდ იმ განძის ძიებით შემიძლია ჩემი და ამ ბიჭის სიცოცხლის გადარჩენა.

— კარგი, სილვერ, — მიუგო ექიმმა, — თუ ეგრუა საქმე, ერთს კიდევ გეტყვი: განძის ძებნაში ყურადღება მიაქციეთ კვილს.

— სერ, — სიტყვა ჩამოართვა სილვერმა, — მართალი მოგახსენოთ, ან ძალიან ბევრი გამიმხილეთ, ან ძალიან ცოტა, რა გნებავთ, რატომ მიატოვეთ ძელური, რატომ მომეცით ეგ რუკა? ვერაფერი გავიგე, მაგრამ მაინც თვალდახუჭული დავემორჩილე თქვენს ბრძანებას და ერთი იმედიანი სიტყვა კი არ გამიგონია! ახლა, კიდევ ერთი საიდუმლო! თუ არ გსურთ გარკვევით ამიხსნათ, რა გაქვთ ჩაფიქრებული, პირდაპირ მითხარით და მეც ხელს ავიღებ ამ საქმეზე.

— არა, — ჩაფიქრებით მიუგო ექიმმა, — მეტის თქმის უფლება არა მაქვს. ხომ იცით, ეს არ არის ჩემი საიდუმლო, სილვერ, თორემ პატიოსან სიტყვას გაძლევთ, არ დაგიმალაფდით. მაგრამ, რამდენის თქმის უფლებაც მაქვს, გეტყვი; ცოტა უფრო მეტსაც, რადგან კაპიტანი, დარწმუნებული ვარ, ისედაც ძალიან გაჯავრდება! პირველ ყოვლისა, მცირე იმედს ჩაგისახავ: სილვერ, თუ ჩვენ ორივენი გადავურჩით ამ მგლის ხაფანგს, ყოველმხრივ ვეცდები, გიხსნა, ოღონდ ფიცს კი ვერ ვუღალატებ და სიცრუეს ვერ ვიტყვი.

სილვერს სახე გაებადრა.

— მაგაზე უკეთეს სიტყვას, დარწმუნებული ვარ, სერ, დედაჩემიც ვერ მეტყოდა, — შესძახა მან.

— აი, ეს არის ჩემი სიტყვა, — დასძინა ექიმმა, — და კიდევ: ეს ბიჭი გვერდიდან არ მოიშოროთ, თუ შველა დაგჭირდებათ, ხმა მომაწვდინეთ. შევეცდები გადაგარჩინოთ და მაშინ თვითონვე დარწმუნდებით, რომ ფუჭად არ ვლაპარაკობ. მშვიდობით, ჯიმ.

ექიმმა ლოვსიმ მესერში გამოყო ხელი, ჩამომართვა, სილვერსაც თავი დაუქნია და აჩქარებული ნაბიჯით ტყე-ტყე გაუდგა გზას.

თავი ოცდამეთერთმეტი

განძის ძებნა. ფლინტის გეზის მაჩვენებელი ისარი

— ჯიმ, — მითხრა სილვერმა, როცა მარტო დაურჩით, — მე თუ შენ გადაგარჩინე, შენც გადამარჩინე მე და მაგას არ დაგიფიწყებ. ვხედავდი, ექიმი რომ გეხვეწებოდა, გავიქცეთო... ცალი თვალით ვხედავდი! დავინახე კიდევც აშკარად, თითქოს ჩემი ყურით მომეს-

მინოს, უარი რომ სტკიცე. ჯიმ, ეს შენ სწორედ სასიკეთოდ ჩაგეთვლება. ეს იმედის პირველი სხოვია ჩემთვის მას შემდეგ, რაც იერიში ჩაგვეფუშა და ამას შენ უნდა გიმაღლოდე. ახლა, ჯიმ, ამ განძის საძებრად უნდა გავემართოთ, ასე ვთქვათ, თვალდახუჭული და ეს არაფრად მეჭაშნიკება. ჩვენ ერთმანეთს არ უნდა მოვშორდეთ, ხელი ხელს უნდა მოვცეთ, და ჩვენს კისრებსაც გადავირჩინოთ ყოველნაირი ბედისწერის ჯიბრზე.

სწორედ ამ დროს დაგვიძახეს, საუზმე მზად არისო. მალე ქვიშაზე დავსხედით ორცხობილის და შემწვარი შაშხის საჭმელად, იმხელა ცეცხლი დაენტოთ, ხარი შეიწვებოდა ზედ და ისეთი სიცხე დადგა, მხოლოდ საქარე მხრიდან თუ შეიძლებოდა მიახლოება და ისიც დიდი სიფრთხილით. იმავე მფლანგველი ბუნების წყალობით, მე მგონი, სამჯერ იმაზე მეტი შეეწვათ, რისი შეჭმაც შეგვეძლო. ერთმა მათგანმა კი სულელური სიცილით მონარჩენი ხორცი პირდაპირ ცეცხლში ჩაყარა, რომელიც ამ უჩვეულო საწვავმა კვლავ ააბრიალა და ააგუგუნა. ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს ასეთი უზრუნველი ხალხი. მართო, ასე ვთქვათ, დღევანდელ კვერცხს რომ ეტანებოდნენ და ხვალინდელ დღეზე არ ფიქრობდნენ. რაღა ითქმის განიავებულ სურსათსა და ჩაძინებულ გუშაგებზე და, თუმცა შეტაკების დროს საკმაოდ გულადები იყვნენ, ვხედავდი, რომ ხანგრძლივ ბრძოლაში სრულიად არ ივარგებდნენ.

თვით სილვერსაც კი, რომელსაც ბეჭზე შემოესვა თავისი კაპიტანი ფლინტი და ისე შეექცეოდა, კრინტი არ დაუძრავს მათი უთავბოლოობის გასაკიცხად. ამან ძლიერ გამაოცა, რადგან სილვერი ცბიერების განსახიერება იყო და მეკობრეთა შორის ყოველთვის წინდახედულებითა და გამჭრიახი გონებით გამოირჩეოდა.

— დიახ, მეგობრებო, — თქვა მან, — ბედი თქვენი, რომ შემწვარი მოზვრის ეს გოგრა ფიქრობს თქვენ მაგოვრად. რაც მინდოდა, შევიტყვე კიდევ. ნამდვილად იმათ აქვთ გემი. სადა აქვთ გადამალული, ჯერ კიდევ არ ვიცი; მაგრამ როცა განძს ხელში ჩავიგდებთ, მივდგებ-მოვდგებით და იმასაც ვიპოვით. თანაც, ნავები ხომ ჩვენ გვაქვს და ამით მათზე წინ ვართ.

ასე შეუჩერებლივ ყბედობდა და თან პირი ცხელი ლორით ჰქონდა გამოტენილი. ამგვარად უსახავდა მათ გულში იმედს და, ეჭვი მეპარება, რომ ამასთანავე საკუთარ თავსაც იმხნევებდა.

— რაც შეეხება მძევალს, — განაგრძობდა იგი, — ეგ, ჩემი ვარაუდით, უკანასკნელად ემუსაიფებოდა მისთვის ძვირფას ადამიანს. ჩემთვის საჭირო ცნობები უკვე შევიტყვე და ამაზე მადლობა მომიხსენებია მისთვის; ახლა, მორჩა და გათავდა. მაგას თოკზე გამობმულს წამოვიყვან, განძის საძებრად რომ წავალთ; რადგან, იცოდეთ, ჯერ ოქროსავით უნდა შევინახოთ, რომ, თუ რამე შეგვემთხვა, გამოვიყენოთ. როცა გემსა და განძს მოვიპოვებთ და ზღვაში შევცურავთ, მაშინ მოველაპარაკებით მისტერ ჰოკინზს, მოველაპარაკებით და საკუთარ წილსაც მივუზღავთ მთელი მისი გულკეთილობისათვის.

რა თქმა უნდა, კარგ გუნებაზე დადგნენ. მე კი ძალიან წამიხდა ნირი. მის მიერ დაწყობილი გემის განხორციელება რომ მოხერხებულყო, ორმაგად მოღალატე სილვერი, ჯერ კიდევ ორივე ბანაკში რომ ედგა ფეხი, უეჭველია, სიმდიდრესა და თავისუფლებას ამჯობინებდა და მეკობრეებთან ერთად გაიქცეოდა. საზრჩობელიდან თავის დაძვრენის მცირე იმედი, თუ ვინიცობაა, ჩვენს მხარეს იქნებოდა, ვერ გადაწონიდა განძის დაუფლების სურვილს.

ის კი არა, თუნდაც საქმე ისე დატრიალებულიყო, რომ იგი იძულებული გამხდარიყო ექიმ ლივსისთან დადებული პირობა არ დაერღვია, მაშინაც საფრთხე გველოდა! რა დღე დაგვადგებოდა, როცა მისი თუ მისი ხელქვეითები ყველაფერს მიხვდებოდნენ — იმას, ხეიბარსა, და მე, პატარა ბიჭს — საკუთარი სიცოცხლე იარაღით უნდა დაგვეცვა ხუთ ღონიერ და გამოცდილ მეზღვაურთან ბრძოლაში!

ამ ორმაგ საფრთხეს დაურთეთ ის იდუმალება, რომლითაც მოცული იყო ჩემი მეკობრეების საქციელი: მესრის უცნაური მიტოვება; რუკის აუხსნელი დათმობა; ექიმის კიდევ უფრო ძნელად შესაცნობი უკანასკნელი გაფრთხილება სილვერისადმი — „განძის ძებნაში ყურადღება მიაქციეთ კვილს“ და, ადვილად მიხვდებით, რა გემო შეიძლებოდა ჩამეტანებინა საუზმისთვის და რა გულდა-

მძიმებული ავედევნე უკან განძის საძებრად მიმავალ ჩემს დამტყვევებლებს.

ვინმეს რომ დავენახეთ მაშინ, უცნაურ სურათს იხილავდა. ყველას მეზღვაურთა გასვრილი სამოსი ეცვა და ჩემ გარდა ყველა კბილებამდე იარაღში იჯდა. სილვერს ორი თოფი ეკიდა — ერთი მკერდზე და ერთი ზურგზე; წელზე გრძელი დაშნა ერტყა და განიერი ხიფთანის ორივე ჯიბეში თითო დამბაჩა ედო. მის უცნაურ გარეგნობას ბეჭზე წამოსკუპებული კაპიტანი ფლინტი აგვირგვინებდა, რომელიც სხაპასხუპით ისვროდა ზღვაოსანთა ნალაპარაკვის უთავბოლო ნაწყვეტებს. მე წელში თოკი მქონდა შებმული და მორჩილად მივდევდი მზარეულს, რომელსაც თოკის თავისუფალი ბოლო ხან თავისუფალ ხელში ეჭირა, ხან მძლავრ კბილებში. სწორედ ისე მიმათრევდნენ, როგორც მოშინაურებულ დათვის.

სხვებიც სხვადასხვანაირად იყვნენ დატვირთულნი. ზოგს წერაქვები და ნიჩბები მოჰქონდა — ყველაზე პირველად „ისპანიოლადან“ ეს ნივთები გადმოზიდეს ხმელეთზე; ზოგს ღორი, ორცხობილა და ბრენდი მოეკიდებინა ზურგზე. მთელი სურსათი, შევნიშნე, ჩვენი მარაგიდან იყო და მივხვდი სილვერის წინაღამინდელი ნათქვამის ჭეშმარიტებას: იმას რომ ხელშეკრულება არ დაედო ექიმთან, უხომალდოდ ის და მისი მეამბოხენი წყლისა და თავიანთი ნანადირევის ამარა უნდა დარჩენილიყვნენ. წყალი არაფრად ეჭაშნიკებოდათ, მეზღვაური კი ჩვეულებრივ ვერაფერიშვილი მონადირეა. ამასთან, თოფისწამალიც უნდა ჰქონოდათ ძალიან უხვად.

ჰოდა, ასე მოკაზმული გავუდექით გზას — თვით თავგადახეთქილიც კი წამოვიდა, რომლისთვისაც ჩრდილში ჯდომა უფრო უპრიანი იქნებოდა. ერთმანეთის მიყოლებით, როგორც იქნა, მივალწიეთ სანაპიროს, სადაც ორი ნავი გვიცდიდა. ამათაც დასტყობოდათ მთვრალი მეკობრეების უგერგილო ხელი — ორივე ნავი ტალახით იყო დასვრილი და შიგაც წუმპე იდგა, ხოლო ერთს სკამი ჰქონდა ჩატეხილი. ერთი მათგანის დაკარგვის საფრთხის თავიდან ასაცილებლად, გადაწყვიტეს ორივე ნავი წაეყვანათ. ამიტომ გადავნაწილდით, ჩავსხედით და გავუდექით გზას.

გზაში მცირე კამათი გაიმართა რუკის თაობაზე. წითელი ჯვარი ისე დიდად იყო გამოსახული, რომ გეზის ზუსტ მაჩვენებლად

ვერ გამოდგებოდა. მეორე მხარეს წაწერილ შენიშვნასაც, როგორც დაინახავთ, ერთგვარი ორჭოფული აზრი ეძინებოდა. თუ მკითხველს ახსოვს, იქ ეწერა:

„მაღალი ხე. ჭოგრიტის კალთა. მიმართულება ჩ.ჩ.ა.-დან და ჩ.-სკენ.

ჩონჩხის კუნძული ა.ს.ა. და ა-საკენ. ათი ფუტი“.

მაშასადამე, მთავარი სანიშნო მაღალი ხე იყო. ახლა, ჩვენ წინ ნავსაყუდელს ორასი თუ სამასი ფუტის სიმაღლეზე ზეგანი მოსდგომოდა, რომელიც ჩრდილოეთით ჭოგრიტის მთის დაქანებულ სამხრეთ ფერდობს უერთდებოდა და სამხრეთით კვლავ ქარაფიან, კლდოვან მწვერვალად აღიმართებოდა, უკანა ანძის ბორცვს რომ ედახდნენ. ზეგანი ნაირ-ნაირი სიმაღლის ფიჭვებით იყო უხვად მოფენილი. ზოგიერთი მათგანი ორმოცი-ორმოცდაათი ფუტის სიმაღლეზე მაინც ყელყელაობდა მეზობლების თავზე და, რომელი იქნებოდა სწორედ კაპიტან ფლინტის „მაღალი ხე“, მარტო ახლოს მისვლის შემდეგ თუ შეიძლებოდა გამორკვეულიყო კომპასის მეშვეობით.

თუმცა საქმე ისე წავიდა, რომ სანამ ჩვენ ნახევარ გზას გავივლიდით, ყველამ სათითაოდ ამოიჩემა საკუთარი ხე. მხოლოდ აყლაყუდა ჯონი იჩეჩდა მხრებს და ურჩევდა მათ, მოიცადეთ, ჯერ ახლოს მივიდეთო.

სილვერის განკარგულებით, რათა ნაადრევად არ დავდლილიყავით, ნიჩბებს ნელა ვუსვამდით. საკმაოდ ხანგრძლივი მგზავრობის შემდეგ გადავსხედით მეორე მდინარის შესართავში, რომელიც ჭოგრიტის მთის ტყიან ხევზე ჩამოდიოდა. იქიდან მარცხნივ გავუხვიეთ და ზეგანზე ასასვლელ ფერდობს შევუდექით.

ძნელად სავალი, ჩაჭაობებული ნიადაგი და გახლართული მცენარეულობა ძალიან აბრკოლებდა ჩვენს წინსვლას. მაგრამ ნელ-ნელა ქვიანი აღმართი დაიწყო, ტყემაც იცვალა სახე და უფრო გამეჩხერდა, მართლაც, ახლა კუნძულის ყველაზე უფრო ლამაზ კუთხეს ვუახლოვდებით. სურნელოვანი ცხრატყავა და ყვავილოვანი ბუჩქნარი თითქმის ბალახით მოდებულებოდა. მწვანე ხავსნარში,

აქა-იქ, ფიჭვების წითური ღეროები ასვეტილიყო, ფართო ჩრდილსაც აყენებდა და საამო სურნელსაც ფენდა ირგვლივ. გრილოდა, ნელი სიო უბერავდა და მზის შვეულ სხივებქვეშ საოცრად გვიხალისებდა გუნებას.

ჩვენი გუნდი მარაოსავით გაიშალა. შეძახილებით დახტოდნენ წინ და უკან. დაახლოებით შუაგულში, სხვებს საკმაოდ ჩამორჩენილნი, სილვერი და მე მივჩანჩალებდით. მე თოკზე ვყავდი გამობმული, თვითონ კი მძიმე ხვნეშით ძლივს მიიწევდა მცოცავ ხრეშში. ხანდახან ხელსაც შევაშველებდი ხოლმე, თორემ ლამის ის ერთადერთი ფეხი დასხლტომოდა და ფერდობზე დაგორებულობდა.

ასე გავიარეთ ნახევარ მილამდე და ზეგანს ვუახლოვდებოდით, რომ მარცხენა მხარეს ყველაზე მოშორებით მიმავალმა მეკობრემ ზარდაცემულივით შექნა ყვირილი. მის ყვირილზე სხვებიც მისკენ გაეშურნენ.

— განძს ჯერ ვერ იპოვიდა, — ჩაგვილაპარაკა მოხუცმა მორგანმა, გვერდზე რომ ჩაგვიარა, — ის უფრო ზემოთ უნდა იყოს დამარხული!

როცა ჩვენც მივალწიეთ იქამდე, მართლაც, სრულიად სხვა რამ დაგვხვდა. უზარმაზარი ფიჭვის ძირში მიწაზე იდო ადამიანის ჩონჩხი, რომელსაც მწვანე, მხოხავი მცენარეები შემოხვეოდა. აქა-იქ ძონძები მოჩანდა. დარწმუნებული ვარ, ყველა შეძრა ამ საშინელმა სანახაობამ.

— მეზღვაური ყოფილა, — თქვა ჯორჯ მერიმ, რომელიც სხვებზე უფრო გაბედულად მივიდა ახლოს და ტანსაცმლის ნაფლეუტებს სინჯვა დაუწყო. — ეს ნამდვილად მეზღვაურის სამოსია.

— ჰო, — თქვა სილვერმა, — ასე უნდა იყოს. არა მგონია, ვინმეს აქ ეპისკოპოსის ნახვის იმედი ჰქონოდა. მაგრამ ეს ძვლები რანაირად აწყვია? რაღაც არაბუნებრივად ჩანს!

მართლაც, უფრო რომ დაუუკვირდით, სხეულის მდგომარეობა არაბუნებრივად გვეჩვენა. გარდა იმისა, რომ ცოტა დანაწევრებული იყო (ესეც, ალბათ, მისი გვამის საკორტნად დამსხდარ ფრინველებსა და იმ მხოხავ მცენარეებს უნდა გამოეწვია, რომლებსაც ნელ-ნელა შემოესუდრათ ნეშტი), ისარივით სწორად იწვა: ფეხები ერთ

მხარეს ჰქონდა გაჭიმული, თავზემით გადაყრილი ხელები კი — მოპირდაპირე მხარეს მიემართა.

— ერთი აზრი მომივიდა ამ გამხმარ გოგრაში, — შენიშნა სილვერმა: — ეს კომპასი უნდა იყოს! აგე, შეხედეთ ჩონჩხის კუნძულის ყველაზე მაღალ ადგილს, კბილივით რომ ამოუშვერია თავი. აბა, კომპასით გასინჯეთ, რა მიმართულებას გვიჩვენებს!

შეადარეს. გვამი პირდაპირ ჩონჩხის კუნძულის მიმართულებით იყო და კომპასი ზუსტად უჩვენებდა აღმოსავლეთ-სამხრეთ-აღმოსავლეთისა და აღმოსავლეთის მხარეებს (ა.ს.ა. და ა.).

— მეც ეგრე ვფიქრობდი, — შესძახა შხარეულმა. — ეს გეზის მაჩვენებელი ისარია! სწორედ იქით არის პოლარული ვარსკვლავი და იქ აწყვია ბრჭყვიალა ოქროებიც. მაგრამ, მეხის მაღლმა, სწორედ გული მეყინება, ფლინტი რომ მაგონდება. ეს უეჭველად მისი ერთ-ერთი ოინია. ის და კიდევ ექვსნი იყვნენ აქ მარტო. ყველა დახოცა სათითაოდ, ეს კი აქ გაშოტა, და კომპასივით დადო. გრძელი ძვლები უჩანს და თმაც ქერა უნდა ჰქონოდა. ჰო, ეს ალარდაისი უნდა იყოს. გახსოვს ალარდაისი, ტომ მორგან?

— ჰო, — მიუგო მორგანმა. — როგორ არ მახსოვს! ჩემი ფული ემართა, ფული, და ჩემი დანაც გამოიყოლა ნაპირზე.

— დანა თუ ჰქონდა, — თქვა მეორემ, — რატომ აქ არსად ჩანს? ფლინტი ისეთი ვინმე არ იყო, მეზღვაურის ჯიბეები გაექექა, ფრინველებიც, მე მგონი, ხელს არ ახლებდნენ.

— ეგეც მართალია! — შესძახა სილვერმა.

— აღარაფერი შეურჩენიათ, — თქვა მერიმ, რომელიც კიდევ ფათურობდა ძვლების გარშემო, — არც სპილენძის ფული, არც სათუთუნე! რაღაც, საეჭვო ჩანს ეს ყველაფერი!

— ეგრეა, მეხის მაღლმა! — კვერი დაუკრა სილვერმა, — საეჭვოა და, სასიკეთოც არ უნდა იყოს ეგ ამბავი. დალახვროს ეშმაკმა! ბიჭებო, ფლინტი რომ ცოცხალი იყოს, ახლა, აქ, ძალიან ცხარე დღე დაგვადგებოდა ყველას, ისინიც ხომ ექვსნი იყვნენ, ჩვენც ექვსნი ვართ და ახლა იმათგან მარტო ძვლებიღაა დარჩენილი.

— ნუ გეშინია, ფლინტი მკვდარია, საკუთარი თვალით ვნახე, — თქვა მორგანმა. — ბილიმ მიმიყვანა მასთან. გაშოტილი იწვა და ქუთუთოებზე ბრინჯაოს ფულები ედო.

— მკვდარიო?.. ჰო, მართლაც მკვდარი უნდა იყოს, — ჩაერია ლაპარაკში თავშეხვეული კაცი, — მაგრამ, თუ ვინმეს აჩრდილი დაბორიალეობს ამქვეყნად, ეგ ფლინტიც უნდა იყოს! ისე უბედურად ამოუვიდა სული!

— ჰო, ჯახირით მოკვდა, — შენიშნა მეორემ; — ხან შლეგობდა, ხან ღრიალებდა, რომი მომიტანეთო, ხან კი მღეროდა — „მკვდრის სკივრს თხუთმეტი კაციღა შერჩა...“, — მართალი გითხრათ, მას შემდეგ შემძულდა ამ სიმღერის გაგონება. სადაც ფლინტი იწვა, იქ ძალიან ცხელოდა, სარკმელი გამოეღოთ და მოისმოდა, როგორ მღეროდა, თან მომაკვდავი ადამიანის ხროტინიც ერთვოდა.

— აბა, აბა, — თქვა სილვერმა, — შეწყვიტეთ ეგ ლაპარაკი. ის მკვდარია და ფეხზე ვერ ივლის, ძალიანაც რომ მოინდომოს. თუ მოჩვენებაა და, დღისით მაინც ცხვირს ვერ გამოყოფს. გვეყოფა ყბედობა, აბა, გავწიოთ დუბლონების საძებრად!

მართლა დავიძარით, მაგრამ, მიუხედავად მცხუნვარე შხისა და დღის კაშკაშა შუქისა, მეკობრეები აღარც ტყეში გაფანტულან, აღარც ხმამაღლა დაულაპარაკიათ. შემკრთალები გვერდიდან არ შორდებოდნენ ერთმანეთს და ხმადაბლაც ლაპარაკობდნენ. მკვდარი მეკობრის აჩრდილმა შიშის ზარი დასცა ყველას.

თავი ოცდამეთორმეტი

განძის ძებნა. ხმა ტყეში

ერთი მხრივ, ამ დამთრგუნველი სურათის ხილვით, მეორე მხრივ, დადლილობის გამო, როგორც კი აღმართი აათავეს, მთელი გუნდი დასასვენებლად შეჩერდა.

ზეგანი დასავლეთისკენ იხრებოდა და ამ ადგილიდან, სადაც ჩვენ დასასვენებლად დავსხედით, ორივე მხარეს ვრცელი სანახები იშლებოდა. ხეების კენწეროების ზემოდან, ტყიან კონცხს დავყურებდით, რომელსაც ქობასავით უვლიდა ირგვლივ ტალღები. უკან არა მარტო ნავსადგომი და ჩონჩხის კუნძული მოჩანდა, არამედ აღმოსავლეთი დაბლობის იქით გადაჭიმული ზღვის ზედაპირსაც ვხედავდით. თავზე ჭოგრიტის მწვერვალი დაგვეყურებდა, რომელიც

ზოგან ეული ფიჭვებით იყო შეწინწკლული, ზოგან — ღარტაფებით ჩაშავებული. ჩქამიც არსაიდან ისმოდა, გარდა ტალღების შორეული გრუხუნისა, რომელნიც კუნძულს აწყდებოდნენ. არც ერთი აფრა არ ჭაჭანებდა ოკეანეში. ეს უსაზღვრო სიცარიელე კიდევ უფრო ამძაფრებდა სიმარტოვის შეგრძნებას.

სილვერმა შესვენების დროს ზოგი მიმართულება გასინჯა კომპასით.

— აქ სამი „მაღალი ხეა“, დაახლოებით ჩონჩხის კუნძულის ხაზის გასწვრივ, — თქვა მან. — „ჭოგრიტის კალთა“, მე მგონი, იმ დადაბლებულ ადგილს უნდა ნიშნავდეს. ახლა ბავშვსაც კი არ გაუჭირდება სამალავის მიგნება. თუმცა, ცუდი არ იქნება, ჯერ წავიხემსოთ.

— მე მაინცდამაინც არ მეწვის კუჭი, — წაიბურტყუნა მორგანმა. — ფლინტის გახსენებაზე თითქოსდა მადა გამიფუჭდა.

— ეჰ, შვილო ჩემო, ბედს უმადლოდე, რომ ის მკვდარია, — უთხრა სილვერმა.

— სწორედ ეშმაკსა ჰგავდა, — შესძახა მესამე მეკობრემ და გააფრჟოლა, — სახეც სულ გალურჯებული ჰქონდა!

— ეგ რომმა დამართა — დასძინა მერიმ.

— ლურჯიო!.. რაღა თქმა უნდა, ლურჯი იქნებოდა!

მას შემდეგ, რაც ჩონჩხს წააწყდნენ და ამნაირი ფიქრები აეშალათ, სულ დაბლა და დაბლა უწევდნენ კილოს და ახლა თითქმის ჩურჩულზე გადავიდნენ, ასე რომ, მათი ლაპარაკის ხმა არც კი არღვევდა ტყის მყუდროებას. ანაზღად ჩვენ წინ ხეების შუაგულიდან წვრილმა, წკრიალა ხმამ ცნობილი სიმღერა წამოიწყო:

„მკვდრის სკივრს თხუთმეტი კაციღა შერჩა...

იო-ჰო-ჰო-ჰო, და ბოთლი რომი!..“

ჯერ არასოდეს მინახავს ამ მეკობრეებზე უფრო შეძრწუნებული ხალხი. ექვსივეს მკვდრისფერი დაედო. ზოგი ზეზე წამოხტა, ზოგი ერთმანეთს მოეჭიდა; მორგანი კი მიწაზე ფორთხვას მოჰყვა.

— ეს ფლინტია!.. — შეჰყვირა მერიმ.

სიმღერა ისევე ანაზღად შეწყდა, როგორც დაიწყო — იტყოდით, შუა ბგერაზე გაწყდაო, თითქოს მომღერალს ვიღაცამ პირზე დააფარა ხელი. მზიანი, ნათელი დღე იდგა. ხეების მწვანე კენწეროები-

დან ამოვარდნილი ხმა, მე მგონი, ტკბილადაც კი ჟღერდა და ვერ გამეგო, რატომ შეშინდნენ ასე ჩემი თანამგზავრები.

— დავიძრათ, — გაცრეცილი ბაგეებით ძლივს ამოღერდა სიტყვა სილვერმა, — თორემ ვერ არ ივარგებს! უცნაური ამბავია კია და ხმასაც ვერა ვცნობ, მაგრამ, ეს ნამდვილად არ არის ფლინტი, იცოდეთ, ვილაც მიეთმოეთობს... ვილაც ხორციელი!

ამ ლაპარაკში კვლავ გული მოეცა და ცოტა ფერიც დაუბრუნდა. სხვებმაც ყური ათხოვეს მის გამამხნეველ სიტყვებს და, ის ის იყო, ცოტა გონს მოვიდნენ, რომ ისევ იგივე ხმა გაისმა; ოღონდ კი არ მღეროდა, შორეულ ძახილად მოისმოდა და მისი სუსტი გამოძახილი ჭოგრიტის მთის ნაპრალებს მოედო.

— დარბი მაკ-გროუ, — გოდებდა იგი, — დარბი მაკ-გროუ! დარბი მაკ-გროუ! — კიდევ და კიდევ გაისმოდა ხმა; შემდეგ ცოტა აიმაღლა კილო და გინებით, რომელსაც აქ გამოვტოვებ, შეჰკოვლა: — რომი მომიტანე, დარბი!

მეკობრეები მიწაზე მილურსმულელებით იდგნენ და შიშით თვალები გადმოეკარკლათ. ხმა უკვე დიდი ხნის მიმწყდარი იყო, მათ კი, ენაჩავარდნილებს, თვალები ისევ საზარლად ჰქონდათ დაჭყეტილი.

— აშკარაა! — ძლივს მოითქვა სული ერთმა, — უნდა მოვუსვათ აქედან.

— ეგ იყო მისი უკანასკნელი სიტყვები, — ამოიკვნესა მორგანმა, — მისი უკანასკნელი სიტყვები ამქვეყნად!

დიკს ბიბლია ამოეღო და გულმხურვალედ ლოცულობდა. დიკი, სანამ ზღვაში გავიდოდა და მეკობრეებს შეუერთდებოდა, ღვთისწიერ ოჯახში იზრდებოდა.

სილვერი მაინც არ შემდრკალა. მესმოდა, როგორ უკაწკაწებდა კბილები, მაგრამ მაინც არ ტყდებოდა.

— ამ კუნძულზე ჩვენ გარდა არავის არასოდეს გაუგონია მაგ დარბის ამბავი. — ბუტბუტებდა ის, — არავის, იმათ გარდა, ვინც აქ არის ახლა! — მერე თავს ძალა დაატანა და შეჰყვირა: — ძმებო, მე აქ განძის ამოსათხრელად მოვედი და ვერც კაცი და ვერც ეშმაკი ვერ შემაჩერებს. ფლინტისა მის სიცოცხლეშიც არ მეშინოდა და, მეხის მადლმა, მკვდარსაც არ გავექცევი. შვიდასი ათასი გირვანქა

სტერლინგი ერთი მეოთხედი მილითლა თუ იქნება ჩვენგან დაშორებული. როდის ყოფილა, რომ ბედ-იღბლის ვაჟკაცს ზურგი ეჩვენებინოს ამდენი ოქროსთვის, სახეჩალურჯებული, ლოთი, ბებერი ზღვაოსნის, და ისიც უკვე მკვდრის, შიშით?

მაგრამ მის ხელქვეითებს მხნეობის გამოღვიძების ნატამალი არ ეძინოდათ. პირიქით, უფრო ეცემოდათ თავზარი მისი მკრეხელური სიტყვების მოსმენაზე.

— ხმა ჩაიკმინდე, ჯონ! — უთხრა მერიმ. — მოჩვენება არ გააბოროტო.

სხვები კი, ისე იყვნენ შეძრწუნებულნი, რომ კრინტიც ვერ დაეძრათ. კიდევ მოკურცხლავდნენ აქეთ-იქით, მაგრამ ამასაც ვერ ბედავდნენ. ამიტომ ერთად და თანაც, ჯონ სილვერთან ახლოს ყოფნას არჩევდნენ, თითქოს მისი გაბედულება მათაც შველისო. სილვერმა, თავის მხრით, ჩინებულად დასძლია საკუთარი სისუსტე.

— მოჩვენება? — ჰო, შეიძლება, — დაიძახა მან, — მაგრამ, ერთი რამ ვერ გამიგია, — გამოდახილი ჰქონდა. ჰოდა, აბა, ვის უნახავს ოდესმე მოჩვენებას ჩრდილი ჰქონოდე! თუ ეგრეა, მაშინ გამოდახილი როგორღა ექნებოდა? ეგრე არ არი?!

ეს საბუთი მე ძალიან უსუსური მეჩვენა, მაგრამ ჩემდა გასაოცრად, ჯორჯ მერის ძალიან მოეშვა გულზე.

— ჰო, ეგ ეგრეა, — კვერი დაუკრა მან. — მართლაც რომ გაბია გოგრა მხრებზე, ჯონ, და სწორიცა ხარ! ყველაფერი რიგზეა, ბიჭებო! მხოლოდ რაღაც გვეშლება. მართალია, თავიდან ფლინტიც ხმას ჰგავდა, მაგრამ, მერე და მერე, არც ისე ძალიან. უფრო სხვა ვიდაცის ხმას წააგავდა... უფრო წააგავდა...

— ეშმაკმა წაიღოს, ბენ განისას! — დაიღრიალა სილვერმა.

— დიახაც, რომ მისას ჰგავდა! — შესძახა მორგანმაც და მუხლებზე წამოჯდა. — ბენ განი იყო!

— განა სულერთი არ არის? — იკითხა დიკმა, — ერთიც მკვდარია და მეორეც..

მაგრამ დანარჩენები აღშფოთებით შეხვდნენ ამ შენიშვნას.

— მერე რა, ვის ეშინია ბენ განისა! — დაიყვირა მერიმ. — გინდ მკვდარი იყოს, გინდ ცოცხალი, რა ბედენაა!

გასაოცარი იყო, როგორ გამხნევდნენ და მოვიდნენ ფერზე. მალე კვლავ მოჰყვნენ ყბედობას, ოღონდ დროდადრო ყურს უგდებდნენ იდუმალ ხმას და, რაკი ველარ გაიგონეს, იარაღები გაიდეს მხრებზე და დაადგნენ გზას. მერი წინ მიდიოდა და ხელში სილვერის კომპასი ეჭირა, რათა ჩონჩხის კუნძულის სწორ ხაზს არ ასცდენოდნენ. იგი მართალი გამოდგა — გინდ მკვდარი ყოფილიყო, გინდ ცოცხალი, ბენ განის არავის ეშინოდა.

მარტო დიკს ეჭირა კვლავინდებურად ხელში ბიბლია და დამფრთხალი, თვალეზღაპრული მოდიოდა. მაგრამ არავინ თანაუგრძნობდა და სილვერი მასხარადაც კი იგდებდა მის სიფრთხილეს.

— ხომ გითხარი, — ეუბნებოდა იგი, — შენი საღვთო წერილი წამხდარია-მეთქი. თუ ეგ დასაფიცებლადაც აღარ ვარგა, როგორ გგონია, სულს რაიმე რიდი ექნება მაგისი? არამც და არამც! — თანაც ერთი წამით ყავარჯენს დაბჯენილი შედგა და თითები ცხვირწინ გაუტკაცუნა.

მაგრამ დიკმა მაინც ვერ მოიბრუნა გული. მალე აშკარა გახდა ჩემთვის, რომ ყმაწვილს სენი ერეოდა. სიცხის, დაქანცულობის და საზარელი ამბების ზეგავლენით ექიმ ლივსისგან ნაწინასწარმეტყველები ციებ-ცხელება, ეტყობოდა, სწრაფად უძლიერდებოდა.

აქ, ზემოთ, ჩინებული სავალი იყო. გზა ცოტა თავდაღმა ეშვებოდა, რადგან, როგორც მოგახსენეთ, ზეგანი დასავლეთისკენ დაბლდებოდა. ფიჭვები ძალიან გაფანტულად, აქა-იქ ხარობდა და იელნარის კორომებს შორისაც ფართო, ღია ადგილები იყო დარჩენილი. რაკი საკმაოდ სწორხაზოვნად მივდიოდით ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით, უფრო და უფრო ვუახლოვდებოდით ჭოგრიტის მთის კალთებს, საიდანაც ფართოდ მოგავლეთვალი იმ დასავლეთ ყურეს, სადაც ერთხელ ისეთი გულისხმეთქა და კანკალი განვიცადე ჩემს პატარა, ნუშა ნავში მოკალათებულმა.

ერთ მაღალ ხეს უკვე მივალწიეთ, კომპასით შევამოწმეთ და ჩვენთვის სასურველი არ გამოდგა. მეორეც ასეთივე იყო. მესამე თითქმის ორასი ფუტით ასცილებოდა ბუჩქნარის კორომს. ბუმბერაზი მცენარის მოწითალო ტანი ათიოდე ფუტის სიმსხო მაინც იქნებოდა, ხოლო მის ჩრდილქვეშ ჯარისკაცების ასეული მოახერ-

ხებდა ვარჯიშს. იგი კარგად ჩანდა აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდანაც და მართლა შეიძლებოდა რუკაზე სანაოსნო ნიშნად გამოეყენებინათ.

მაგრამ ახლა მისი სიდიდე კი არ ახდენდა შთაბეჭდილებას ჩემს თანამგზავრებზე, არამედ იმის ცოდნა, რომ შვიდასი ათასი გირვანქა სტერლინგის ოქრო სადღაც მის განიერ ჩრდილქვეშ იყო ჩამარხული. როცა უფრო მიუახლოვდნენ, ფულზე ფიქრმა შთანთქმათი წინანდელი შეშფოთება. თვალები აუელვარდათ, უნებურად ნაბიჯიც ააჩქარეს; მთელი სასიცოცხლო ძალებით მიიწვედნენ იმ საუნჯისაკენ, იმ ფუფუნებისა და სიამისაკენ, რომელიც ყოველ მათგანს მიწაში დამარხული ელოდა.

სილვერი მიხტოდა თავისი ყავარჯნით და თან ილანძლებოდა. ნესტოები დაჰბეროდა და უთრთოდა. როცა ბუზები დაასხდებოდნენ გახურებულ და ალაპლაპებულ სახეზე, მაშინ ხომ სულ გიჟივით იგინებოდა; გაშმაგებული ქაჩავდა თოკს, რომლითაც გამობმული ვყავდი და დროდადრო საზარლად მიბრიალებდა თვალებს. თავს სულ აღარ იწუხებდა საკუთარი ფიქრების დაფარვისთვის და მეც დაწერილივით ვკითხულობდი მის აზრებს. ოქროს სიახლოვემ ყოველივე სხვა გადაავიწყა. მისი დაპირება და ექიმის გაფრთხილება, ორივე, წარსულს ჩაჰბარდა. ეჭვი არ მეპარებოდა, გადაწყვეტილი ჰქონდა, ხელთ ეგდო განძი, „ისპანიოლა“ ეპოვა, ასულიყო ზედ, ყელები დაეჭრა დანარჩენებისთვის და ზღვაში შეცურებულიყო, სისხლითა და სიმდიდრით დამძიმებული. ამ შემადონებელი ფიქრებით შეშფოთებულს, განძის მაძიებელთა სწრაფი ნაბიჯისათვის ფეხის აყოლება მიჭირდა. ხან აქ ვბორძიკობდი, ხან იქ და მაშინ იყო, რომ სილვერი ტლანქად ექაჩებოდა თოკს და მომაკვდინებლად მიბრიალებდა თვალებს. დიკი, რომელიც ჩამოგვრჩა და ახლა ბოლოში მოჩანჩალებდა, თავისთვის ბუტბუტებდა ლოცვებსა და წყევლა-კრულვასაც, რადგან ციებ-ცხელება უფრო და უფრო ერეოდა. ჩემს საცოდაობას ესეც ზედ ერთვოდა. ყველაფერს კი აგვირგვინებდა ის, რომ თვალწინ მედგა ტრაგედია, რომელიც ოდესღაც ამ ზეგანზე გათამაშდა, როცა იმ უღვთო, ლურჯსახიანმა მეკობრემ — იმან, ვინც სავანაში მოკვდა მეკობრეთა საშინელი სიმღერის ღრიალსა და სასმლის მოთხოვნაში — აქ საკუთარი

ხელით ექვსი თავისი ამხანაგი გამოასალმა სიცოცხლეს. გავიფიქრე, ახლა ასე მიწყნარებულ ტყეში მაშინ, ალბათ, ყურისწამლები კვნესა-კვილი ისმოდა-მეთქი და ამ გაფიქრებაზე, თითქოს, ყურში ჩამესმოდა ის ხმები.

ახლა ბუჩქნარის კიდესთან ვიყავით.

— ვაშა, ბიჭებო, მომყევით! — შესძახა მერიმ და პირველი მოსწყდა ადგილიდან.

ათიოდე ნაბიჯიც არ გაერბინათ, რომ დავინახე, ყველანი უცბად შედგნენ. გაისმა ხმამაღალი შეძახილი. სილვერი შლეგოვით მიიწევა და წინ და თავისი ხის ფეხით მიწას ჩიჩქნიდა. რამდენიმე წამი და, მეც და ისიც მუხდაცემულებოვით გაუშეშდით.

ჩვენ წინ დიდი ორმო იყო, არცთუ ახალი ამოთხრილი, რადგან გვერდები უკვე ჩაშლოდა და ფსკერზედაც ბალახი ამოქოჩრილიყო. შიგ წერაქვის გატეხილი ტარი ეგდო და ყუთის ფიცრებიც აქეთ-იქით მიმოფანტული ეყარა. ერთზე გავარვარებული რკინით ამოეწვათ სიტყვა „ლომვეშაპი“ — ფლინტის ხომალდის სახელი.

ყველაფერი ცხადზე ცხადი იყო. დაფლული განძი ეპოვათ და გაეტაცათ — შვიდასი ათასი გირვანქა სტერლინგი გამქრალიყო!

თავი ოცდამეცამეტე

ბელადის დამხობა

ასეთი იმედგაცრუება, ალბათ, გაჩენის დღიდან არ მოსწრებია ქვეყანას. ექვსივენი დამბლადაცემულებოვით იდგნენ. სილვერი პირველი მოვიდა გონს და მოინელა დარტყმა. მისი სული და გული, მთელი ძალ-ღონის დაძაბვით, დოდის ბედაურივით მიისწრაფოდა ამ ფულისკენ და, თვალის დახამხამებაში ყველაფერი დაინგრა; მაგრამ თავი შეიკავა, გონება მოიკრიბა და მანამდე შეცვალა მოქმედების გეგმა, სანამ სხვები ამ საუაღალო ამბავში გარკვევას მოასწრებდნენ.

— ჯიმ, — ჩამჩურჩულა მან, — ხელი მოჰკიდე ამას და მზად იყავი.

თან ორლულიანი დამბაჩა მომაწოდა.

ამავე დროს ნელა დაიძრა და, რამდენიმე ნაბიჯის გაულის შემდეგ, ორმოს მეორე მხარეს მოვექეცით. მერე გადმომხედა და თავი დამიქნია, თითქოს მეუბნებოდა „მძიმე მდგომარეობააო“, რაშიც, მეც ვეთანხმებოდი. ახლა კვლავ ალერსიანად მიცქერდა და ისე აღმაშფოთა ამ განუწყვეტელმა ორპირობამ, რომ ველარ მოვითმინე და წაეჩურჩულე:

— მაშ, კიდევ იცვალეთ მხარი?

პასუხი აღარ დასცალდა. აუზაკები ლანძღვა-გინებითა და ყვირილით გადაეშენენ ორმოში და თითუბით შეუდგნენ მიწის ჩიჩქნას, ფიცრებს კი განზე ისროდნენ. მორგანმა ერთი ოქრო იპოვა. ეჭირა ხელში და უშვერად იგინებოდა. ორგინეიანი იყო და ერთხანს ხელიდან ხელში გადადიოდა.

— ორი გინეა! — დაიღრიალა მერიმ და თან სილვერისაკენ იშვერდა მას. — ეგ არის შენი შვიდასი ათასი გირვანქა სტერლინგი, ჰა? სწორედ რომ კარგი შეთანხმება გცოდნია! შენ ხომ არასოდეს წაგიხდენია საქმე, შე კუნძისთავიანო ყეყეჩო!

— თხარეთ, ბიჭებო, თხარეთ, — ურცხვად ჩასძახა სილვერმა, — მგონი, ცოტაოდენ მიწის თხილს მაინც იპოვით!

— მიწის თხილსო! — კვილით გაიმეორა მერიმ. — ბიჭებო, გესმით? მე გეუბნებით, რომ მაგან თავიდანვე იცოდა ყველაფერი. აბა სახეში შეხედეთ, თუ ზედ არ აწერია!

— ოჰ, მერი, — შენიშნა სილვერმა, — კიდევ აგეშალა კაპიტნობის საღერღელი? დიდი ჯიუტი ვინმე ყოფილხარ!

მაგრამ ამჟამად ყველა მერის უჭერდა მხარს.

ორმოდან ამობობლება დაიწყეს, თან გაშმაგებით გვიბრიალებდნენ თვალებს. ერთი რამ შევამჩნიე, ჩვენთვის სასიკეთო: ყველანი მოპირდაპირე მხარეს ამოვიდნენ ზევით.

ჰოდა, ასე ვიდექით ორნი ერთ მხარეს, ხუთნი — მეორე მხარეს. შუაში თხრილი გვყოფდა და ჯერ იმდენად არაუინ იყო შეგულიანებული, რომ პირველი მოქნევა გაებედა. სილვერი არ შერხეულა, აკვირდებოდა მათ, გამართულად იდგა თავისი ყაპარჯნით და, ისე გულმშვიდად იცქირებოდა, ვითომც აქ არაფერიო. მართლაც რომ გულადი იყო.

ბოლოს მერიმ, ეტყობა, იფიქრა, სიტყვით გავაქეზებო დანარჩენებს.

— ბიჭებო, — თქვა მან, — ესენი მარტო ორნი არიან. ერთი — ბებერი ხეიბარია, რომელმაც ყველანი წამოგვათრია და სასიკვდილოდ დაგვყარა აქ; მეორე — ის ლეკვია, რომელსაც მინდა გული ამოგლიჯო. ახლა მე...

თან ხელი აღმართა, ხმასაც აუწია და აშკარა იყო, იერიშის მოტანას აპირებდა, რომ სწორედ მაშინ — ბახ! ბახ! ბახ! — სამი სროლა გაისმა ჯაგნარიდან. მერი თავდაყირა გადაეშვა ორმოში; თავშეხვეული მეკობრე ბზრიალასავით დატრიალდა და მთელი სიგრძით გაიშოტა გვერდზე, ოღონდ ჯერ კიდევ იკრუნჩხებოდა; ხოლო დანარჩენმა სამმა პირი იბრუნა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, მოკურცხლა.

თვალის დახამხამებაში ჯონ სილვერმა დამბახის ორივე ლულიდან ტყვია დაახალა სულთმობრძავ მერის და, როცა მომაკვდავმა უკანასკნელად გადმოატრიალა მისკენ თვალები, ჩასძახა:

— ჯორჯ, მე მგონი, გავსწორდით!

იმავე წამს ჯაგნარიდან გამოსული ექიმი, გრეი და ბენ განიცემოგვიერთდნენ; ხელში ბოლავარდნილი თოფები ეჭირათ.

— წინ! — დასჭყივლა ექიმმა. — აბა ჩქარა, ბიჭებო! ნავებისაკენ გზა უნდა მოვუჭრათ!

ჩვენც თავქუდმოგლეჯილნი გამოვუდექით მათ და ხანდახან მკერდამდე ბუჩქნარშიც გვიხდებოდა გზის გაკაფვა.

უნდა მოგახსენოთ, სილვერიც თავგამოდებით ცდილობდა, არ ჩამოგვრჩენოდა. ჯაფას, რომელიც მას თავისი ყავარჯნით ხტომის დროს ადგებოდა, ჯანსაღი კაციც ვერ გაუძლებდა. ოცდაათიოდე იარდით ჩამოგვრჩა და, ფერდობის კიდეს რომ მივადწიეთ, უკვე არაქათი გამოეცალა.

— ექიმო, — დაიძახა მან, — გაიხედეთ! ნულა ჩქარობთ! მართლაც, საჩქარო აღარაფერი იყო. ზეგნის მოშიშვლებულ კუთხეში სამი მეკობრე მოჩანდა, რომლებიც ისევ იმ მიმართულებით მირბოდნენ, რომელსაც თავიდანვე დაადგნენ — უკანა ანძის მთისაკენ ეჭირათ გეზი. ჩვენ უკვე მათსა და ნავებს შორის ვიყავით მოქცეულნი. ამიტომ ოთხივენი დავსხედით სულის მოსათქმელად. ამასობაში ნელ-ნელა, გაოფლიანებული სახის წმენდით, აყლაყუდა ჯონიც მოვიდა.

— გულითადად გმადლობთ, ექიმო, — თქვა მან. — მგონი, დროზე მოგვისწარით მე და ჰოკინზს. ოჰ, ეს შენა ხარ, ბენ გან! — დაურთო მერე. — მართლაც რომ კარგი რამ ყოფილხარ!

— ღიახ, ბენ განი ვარ, — მიუგო კუნძულზე მიტოვებულმა და თან შეშფოთებისაგან გველთუვზასავით იგრიხებოდა. — როგორ ბრძანდებით, მისტერ სილვერ? მგონი, ცუდად არ უნდა იყოთ! — დასძინა დიდი ხნის ღუმილის შემდეგ.

— ბენ, ბენ, — წაიბუტბუტა სილვერმა, — არ უყურებ, რა საქმე მიყავი!

ექიმმა გრეი გაქცეული მემბოხეებისაგან მიტოვებული ერთ-ერთი წერაქვის წამოსაღებად დააბრუნა. მერე ნელ-ნელა ფერდობს რომ გაუყევით ნაუებისაკენ, გზაში რამდენიმე სიტყვით გვიამბო, რა მოხდა. ამ ამბავმა ძალიან დააინტერესა სილვერი. მთელი მონათხრობის გმირი, თავიდან ბოლომდე, ნახევრად გამოსულელებული, კუნძულზე მიტოვებული ბენ განი გახლდათ.

ბენი, ხანგრძლივი მარტოდმარტო ხეტიალის დროს, კუნძულზე ჩონჩხს წასწყდომოდა და გაეჩხრიკა. მასვე ეპოვა განძიც; ამოეთხარა (მისი წერაქვის გატეხილი ტარი იყო, ორმოში რომ ეგდო); მრავალი მომქანცველი გზობა გაეკეთებინა და ზურგით გადაეზიდა იგი მაღალი ხის ძირიდან ორწვერა მთის გამოქვაბულში, კუნძულის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს და იქ დაებინაუებინა, „ისპანიოლას“ ჩამოსვლამდე ორი თვით ადრე.

როცა ექიმს, იერიშის შემდეგ, ეს საიდუმლო შეეტყო მისგან და, როცა, მეორე დღით, ნავსადგომიც ცარიელი ეხილა, მისულიყო სილვერთან და მიეცა რუკა, რომელიც ახლა აღარაფრის მაქნისი იყო; მიეცა სურსათის მარაგიც, რადგან ბენ განის გამოქვაბული საუსე იყო მისგანვე დაშაშხული თხის ზორცით; მიეცა ყველაფერი, რათა საშუალება მოეპოვებინა მესრიდან ორწვერა მთამდე მშვიდობით გადაბარგებისათვის და, რათა, ციებიან ადგილს მოშორებულნი, ფულს გუშაგად დასდგომოდნენ თავს.

— შენთვის კი, ჯიმ — თქვა მან, — გული მეთანადრებოდა, ვიცოდი, ჩვენს გადასვლას შეიძლებოდა საფრთხეში ჩაეგდე. მაგრამ, პირველ რიგში იმათზე ვიზრუნე, ვინც თავის მოვალეობას არ უღალატა და შენი ბრალი იყო, რომ მათ რიცხვში არ მოხვდი.

იმ დღით, რაკი მიმხვდარიყო, რომ მეამბოხეებისათვის გამზადებული საშინელი განსაცდელი ჩემს ბედსაც გადაეხლართა, სულ სირბილით ევლო გამოქვაბულამდე; დაჭრილ კაპიტანთან სკვაირი დაეტოვებინა; თან წამოეყვანა გრეი და ბენ განი და პირდაპირ გადმოესერათ კუნძული, რომ დიდ ფიჭვთან ჩასაფრებულიყვნენ. ოღონდ მალე დაენახა, რომ ჩვენს გუნდს გამოესწრო და, რაკი ბენ განი ფეხმარდი იყო, წინ გამოეშვა, რათა რაიმე ეღონა. იმასაც აზრად მოსვლოდა, თავისი ყოფილი ამხანაგების ცრუმორწმუნეობით ესარგებლა და სახელდახელოდ მოფიქრებული ოინით მათი სვლა შეეფერებინა, რაც მოახერხა კიდევ. ამასობაში გრეიმ და ექიმმაც მოახერხეს თავის დავლა და, სანამ განძის მაძიებელნი მოაღწევდნენ, მანამდე უკვე საფარში ისხდნენ.

— ეჰ, — თქვა სილვერმა, — ბედი ჩემი, რომ ეს ჰოკინზი მახლდა, თორემ, საწყალი ჯონი ლუკმა-ლუკმად რომ აეკუწათ, თითსაც არ გაანძრევდით, ექიმო!..

— რა თქმა უნდა, — მიუგო მხიარულად ექიმმა ლოვსიმ.

ამასობაში ნავესაც მიუადექით. ექიმმა წერაქვით გაუპო ძირი ერთ მათგანს, მეორეში კი ჩავსხედით და ჩრდილოეთის ყურისაკენ გავუდექით გზას.

რვა თუ ათი მილის სავალი იქნებოდა. სილვერი, თუმცა დაღლილობისაგან თითქმის სიკვდილის პირას იყო მისული, მაინც ნიჩაბს მიუჯდა დანარჩენებით და მალე ზღვის გლუვ ზედაპირზე მიექროდით. სრუტესაც მალე გავცდით და შემოუარეთ კუნძულის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეს, რომლის გარშემოც, ოთხი დღის წინ ბაგირებით შემოვატარეთ „ისპანიოლა“.

ორწვერა მთას რომ ჩავუარეთ, თვალი მოვკარით ბენ განის გამოქვაბულის შავ ხახას და მის წინ თოფზე დაყრდნობილ კაცს. ეს სკვაირი გახლდათ. ცხვირსახოცი აუფრიალეთ და სამჯერ შევძახეთ ვაშა; სილვერმაც გულიანად შემოგვაშველა ხმა.

კიდევ სამი მილი გავიარეთ და ჩრდილოეთის ყურეში შევედით, სადაც „ისპანიოლა“ დავინახეთ! იგი თავის ნებაზე დაცურავდა აქეთ-იქით. უკანასკნელ მოქცევას აუტოვებინა და ძლიერი ქარი რომ ყოფილიყო, ან ისეთი მძლავრი დინება, როგორიც სამხრეთ ნავსადგომში, მას თვალთ ვეღარ ვიხილავდით; ანდა, თუ ვიხილა-

ვდით, მხოლოდ ნამსხვრევებს. საბედნიეროდ, ხომალდზე მხოლოდ მთავარი აფრა დაზიანებულიყო. გავაშხადეთ სათადარიგო ღუზა და დაახლოებით საჟენ-ნახევარი სიღრმის წყალში ჩაუშვიით. შემდეგ პატარა ნავით ყველამ რომის სახელობის პატარა უბეში შევცურეთ, რომელიც ბენ განის საგანძურთან ყველაზე ახლოს მდებარეობდა. გრეი კი მარტო დაბრუნდა ნავით „ისპანიოლაზე“, სადაც გუშაგად უნდა დარჩენილიყო იმ ღამეს.

სანაპიროდან გამოქვაბულის შესასვლელს ფერდი აუყვებოდა. მის თავზე სკვაირი შემოგვევება. ტკბილად და ალერსიანად შემხვდა. ჩემს გაპარვაზე კრინტი არ დაუძრავს — არც ავად უხსენებია, არც კარგად. სილვერის თავაზიან სალაშზე კი აღმურმა გადაჰკრა სახეზე.

— ჯონ სილვერ, — უთხრა მან, — თქვენ ბრძანდებით დიდი არა-მზადა და თაღლითი... საშინელი თაღლითი, სერ! მითხრეს, დევნას ნუ დაუწყებო. კეთილი, მე არ გამოგედევნებით, მაგრამ თქვენგან დახოცილები, ვაჟბატონო, დოლაბებოვით გკიდიათ ყელზე!

— გულითადად გმადლობთ, სერ, — მიუგო აყლაყულა ჯონმა და კიდევ მისცა სალაში.

— როგორ მიბედავ მადლობის თქმას! — შეჰყვირა სკვაირმა. — ეს, ჩემი მხრიდან, მოვალეობის ღალატია; მომწყდით თავიდან!

ამის შემდეგ ყველანი გამოქვაბულში შევედით. საკმაოდ ხალვათი ადგილი იყო. იქვე პატარა წყარო ამოჩუხჩუხებდა და კამკამა წყლის გუბე იდგა, რომელსაც გვიძრა შემოსჯარვოდა. ძირს სილა იყო მოფენილი. ცეცხლის პირას კაპიტანი სმოლეტი იწვა, შორეულ კუთხეში კი თვალი მოკარი ბუნდოვნად მოკიაფე ფულის დიდრონ გროვებს და ოქროს ზოდების ოთხკუთხა ხორებს. ეს გახლდათ ფლინტის განძი, რომლის საძებრადაც ამ სიშორეს წამოვედით და რომელიც ჩვიდმეტი ადამიანის სიცოცხლედ დაჯდა. მაგრამ რამდენი სხვა ადამიანის სიცოცხლე შეწირა მის მოხვეჭას; რამდენი სისხლი და ცრემლი დაიღვარა, რამდენი ხომალდი ჩაიძირა, რამდენი თვალახვეული ვაჟკაცი გაიყვანეს ფიცარზე ტანჯვით დასაღუპავად; რამდენი სიცრუის და ბოროტების ფასად შეგროვდა ეს განძი, ვერავინ იტყოდა. ამ კუნძულზე სამი კაცი ჯერ კიდევ ბოგინობდა, — სილვერი, ბებერი მორგანი და ბენ განი, — რომელთაც წილი

ედოთ ამ ბოროტმოქმედებებში და იმედოვნებდნენ, ოღონდ ამაოდ, ჯილდოშიც დაიდებდნენ წილს.

— მოდი ჩემთან, ჯიმ, — მითხრა კაპიტანმა, — შენ კარგი ბიჭი ხარ შენი ასაკის კვალობაზე, ოღონდ, არა მგონია, კვლავ ერთად მოგვიხდეს შენ და მე ზღვაში გასვლა. ძალიან თავკერძა ყმაწვილი ბრძანდები, მე კი მაგას ვერ მოვითმენ. ეს შენა ხარ, ჯონ სილვერ? რამ მოგიყვანა აქ?

— ჩემს მოვალეობას დავუბრუნდი, სერ, — მიუგო სილვერმა.

— ჰოო? — ჩაილაპარაკა კაპიტანმა და მეტი აღარაფერი უთქვამს.

რა საამური ვახშამი ვიგეძე იმ ღამეს ყველა ჩემს მეგობართან ერთად; რა გემრიელი იყო ბენ განის დაშაშხული თხის ხორცი და „ისპანიოლადან“ წამოღებული რჩეული საჭმელი, რომელსაც ერთი ბოთლი ძველებური ღვინო დაგაყოფეთ! დარწმუნებული ვარ, არავინ ყოფილა დედამიწის ზურგზე ჩვენსავით ბედნიერი და მხიარული. სილვერი უკან მიმჯდარიყო, ცეცხლის შუქი თითქმის არც ხვდებოდა, მაგრამ გულიანად ილუკებოდა; მზად იყო მაშინვე წამოვარდნილიყო ზეზე, თუ ვინმეს რაიმე დასჭირდებოდა. ჩვენს სიცილზეც გულდამშვიდებით იცინოდა და ისეთივე ალერსიანი, თავაზიანი, დაუზარებელი და ქლესა მეზღვაური გახლდათ, როგორიც აქეთ მგზავრობის დროს.

თავი ოცდამეთერთხეტი

და უკანასკნელი

მეორე დღით აღრიანად შევუდექით საქმეს, რადგან ამდენი ოქროს გადატანა თითქმის ერთი მილის მანძილზე, ხმელეთით სანაპირომდე და იქიდან კი სამი კილომეტრის მანძილზე ნავით „ისპანიოლამდე“, საგრძნობი ჯაფა იყო ასე ცოტა ხალხისათვის. კუნძულზე ჯერ კიდევ თავისუფლად მოხეტიალე სამი ავაზაკისთვის ძალიან არ ვიცხლებდით თავს. სერზე დაყენებული ერთადერთი გუშაგი კმაროდა ანაზღეული თავდასხმისაგან დასაცავად. თანაც ვფიქრობდით, რომ უკვე საკმარისად მოხვდათ და ჩვენი შეწუხების თავი აღარ ექნებოდათ.

ამიტომ საქმე სწრაფად მიიწვედა წინ. გრეი და ბენ განი ნავით მიდი-მოდოდნენ, ზოლო დანარჩენები განძს აგროვებდნენ სანაპიროზე. თოკით ერთმანეთზე გადაბმული ორი ზოდი ვაჟკაცისათვის გვარიან ტვირთს წარმოადგენდა და ნელ-ნელა თუ შეეძლო სიარული. მე, რაკი ზიდვაში ვერაფერი გამოსადეგი ვიყავი, მთელი დღე გამოქვაბულში ვსაქმობდი — ნაღდ ფულს დაცლილ საპურე ტომრებში ვყრიდი.

ბილი ბოუნზის განძით ესეც ნაირ-ნაირი ფულის ნიშნების უცნაური კოლექცია იყო, ოღონდ გაცილებით დიდი და გაცილებით მრავალფეროვანი, დიდ სიამოვნებასაც მგვრიდა მათი დახარისხება. ინგლისური, ფრანგული, ესპანური, პორტუგალური ფულები; გინეები და ლუიდორები, დუბლონები და ორგინეიანები, მოიდორები¹ და ცეზინები²; უკანასკნელი ასი წლის განმავლობაში ევროპის ტახტებზე მჯდარ მეფეთა სურათები; უცნაური აღმოსავლური მონეტები, რომლებზეც ძაფის ხლართის ანდა ობობას ქსელის მსგავსი გამოსახულება იყო აღბეჭდილი; მრგვალი, კუთხოვანი და შუაგულში გახვრეტილი მონეტები, თითქოს ყელზე სატარებლად — მე მგონი, მსოფლიოს თითქმის ყოველნაირი ფული უნდა ყოფილიყო იმ განძში. რაოდენობით ზომ, დარწმუნებული ვარ, შემოდგომის ფოთლებით მრავლად იყო; ისე რომ, მათ დახარისხებაში ზურგი და თითები ამტკიცდა.

დღე დღეს მისდევდა ამ მუშაობაში. ყოველ საღამოს უამრავი სიმდიდრე აგვექონდა გემზე, მაგრამ სახვალიოდაც ბევრი რჩებოდა გადასატანი და მთელი ამ დროის განმავლობაში სამი გადარჩენილი მეკობრისა არაფერი გაგვიგია.

ბოლოს — მე მგონი, მესამე ღამე იქნებოდა — ექიმი და მე ვსეირნობდით სერზე, რომელიც კუნძულის დაბლობ ნაწილს გადაჰყურებს, რომ ქვემოდან, უკუნეთი წყვდიადიდან, ქარმა კვილის თუ სიმღერის მსგავსი რაღაც ხმა მოიტანა. მხოლოდ ეს პატარა ნაწყვეტი მოგვხვდა ყურში და კვლავ ძველებურად სიჩუმე ჩამოვარდა.

— ზეცამ შეუნდოთ, — თქვა ექიმმა; — მეამბოხენი არიან!

— ყველა გაღეშილია, სერ, — მოისმა ჩვენ უკან სილვერის ხმა.

სილვერი, უნდა მოგახსენოთ, სრულიად თავისუფლად იყო მიშვებული და, მიუხედავად, ჩვენი მხრიდან, საკმაოდ უკმეხი მოპყრობისა,

¹ მოიდორი, ანუ მუადორი — ძველებური პორტუგალური ოქროს ფული.

² ცეზინი — ვენეციური ოქროს ფული XIII საუკუნისა.

ძველებურად მეგობრულ განწყობილებაში მყოფ ხელქვეითად მიაჩნდა თავი. მართლაც გასაკვირია, რა მორჩილებით იტანდა ამ აბუჩად აგდებას და რა მოუწყენელი თავაზიანობით ცდილობდა ყველას გულის მონადირებას. მე მგონი, ყველა ისე ეპყრობოდა, როგორც ძაღლს, გარდა ბენ განისა, რომელსაც კვლავ უზომოდ ეშინოდა თავისი ძველი კვარტირმაისტერიისა, და, ჩემი, რომელზეც მართლა მიუძღოდა ცოტაოდენი ამაგი. თუმცა, ვფიქრობ, საკმაო საბუთი მქონდა, დანარჩენებზე უარესი აზრი მქონოდა მის შესახებ, რადგან, მე ხომ ვიხილე, როგორ აპირებდა ახალ ღალატს ზეგანზე, როდესაც განძის ხელში ჩაგდებას იმედი მიეცა. ექიმმა საკმაოდ მკვახედ გაეპასუხა.

— ან გალემილები არიან, ანდა გაშმაგდნენ!

— მართალი ბრძანდებით, სერ, — სიტყვა ჩამოართვა სილვერმა, — ოღონდ, ეგ სულერთია თქვენთვის და ჩემთვის.

— არა მგონია, ღმობიერებასა და და კეთილშობილებაზე გქონდეთ პრეტენზია, მისტერ სილვერ, — მიუგო ექიმმა დაცინვით, — ამიტომ, ჩემმა სიტყვებმა შეიძლება გაგაკვიროთ კიდევ, მაგრამ, დარწმუნებული რომ ვიყო, ისინი გაშმაგდნენ, მივატოვებდი ამ ბანაკს და, რა საფრთხეშიც უნდა ჩამეგდო საკუთარი სიცოცხლე, ჩემი ხელობის შესაფერისად ვუშველიდი.

— მომიტკვეთ, სერ, მაგრამ, ძალიან შეცდებოდით, — წარმოთქვა სილვერმა. — დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, თქვენს ძვირფას სიცოცხლეს გამოესაღმებოდით. ახლა მე თავიან-ფეხებიანად თქვენს მხარეს გახლავართ და არ ვისურვებდი ჩვენი გუნდი შესუსტებულიყო, მით უმეტეს, თქვენ გამოგკვლებოდით, რაკი ვიცი, მე პირადად, რას უნდა გიმადლოდეთ. მაგრამ ისინი, ქვემოთ რომ არიან, ვერ მოახერხებენ პატიოსანი სიტყვის შენახვას... ვერა, კიდევ რომ უნდოდეთ. და კიდევ უფრო მეტი — არც თქვენსას დაიჯერებენ.

— სამაგიეროდ, — თქვა ექიმმა, — თქვენ არ ღალატობთ პატიოსან სიტყვას, ცოტა ხნის წინ დავრწმუნდით ამაში.

ამის შემდეგ იმ სამი მეგობრის შესახებ თითქმის აღარაფერი გვსმენია მხოლოდ ერთხელ კიდევ გავიგონეთ შორს გავარდნილი თოფის ხმა და ვიფიქრეთ, ალბათ ნადირობენო. გაიმართა თათბირი და გადაწყდა, ისინი კუნძულზე დაგვეტოვებინა. ამ გადაწყვეტილებამ უზომოდ გაახარა ბენ განი, გრემიაც მოიწონა ეს გადაწყვეტილე-

ბა. დაუტოვეთ ტყვია-წამლის დიდი მარაგი, თხის შაშხის გროვა, ციების წამალი და სხვა საჭირო ნივთები: სამუშაო ხელსაწყოები, ტანსაცმელი, სათადარიგო აფრა, ორიოდე საყენი თოკი და ექიმის განსაკუთრებული დაჟინებით — ბლომად თამბაქო.

ეს გახლდათ ჩვენი უკანასკნელი საქმიანობა კუნძულზე. მანამდე განძი დავაბინავეთ, საკმაო წყალი და, ყოველი შემთხვევისათვის, თხის დანარჩენი ხორციც გემზე ავზიდეთ. ბოლოს, ერთ მშვენიერ დილას, ამოვიღეთ წყლიდან ჩვენი ნახელავი ღუზა და დავიძარით ჩრდილოეთის ყურიდან იმავე აღმით, რომელიც კაპიტანმა ააფრიალა და რომლის ქვეშაც ვიცავდით ჩვენს ძელურს.

სამი ავაზაკი, როგორც მალე დავრწმუნდით, უფრო ბეჯითად გვითვალთვალებდა, ვიდრე გვეგონა. რადგან, ვიწროებში გავლისას, როცა სამხრეთი ქიმის ახლოს უნდა ჩაგვევლო, სამივე დავინახეთ ქვიშიან ზეგანზე დაჩოქილი — ვედრების ნიშნად ხელები გამოემშვირათ ჩვენ კენ. მე მგონი, ყველამ განვიცადეთ, ამ საცოდავ ყოფაში რომ ვტოვებდით მათ. მაგრამ ახალი ამბოხების შიშით ვერ ვბედავდით მათ აყვანას და თანაც, ვერაფერი სიკეთე იქნებოდა, ჩამოსახრჩობად წაგვეყვანა ისინი სამშობლოში. ექიმი გამოეხმაურა მათ და აცნობა ჩვენგან დატოვებული მარაგისა და მისი ადგილსამყოფლის შესახებ. მაგრამ ისინი მაინც განაგრძობდნენ ჩვენი სახელების ძახილს და გვევედრებოდნენ, ღვთის გულისთვის, ღმობიერება გამოიჩინეთ და დასალუპად ნუ გაგვწირავთო.

ბოლოს, რაკი დაინახეს, გემი მაინც განაგრძობდა გზას და სწრაფად სცილდებოდა კუნძულს, ერთი მათგანი, ვერ ვიცანი რომელი, ჩახრინწული ღრიალით წამოხტა ზეზე, უცბად მოიმარჯვა თოფი და ტყვია მოგვაყოლა, რომელმაც ზუზუნით გადაუქროლა თავზე სილვერს და მთავარი აფრა გახვრიტა.

ამის შემდეგ გემბანის მოაჯირს ამოვეფარეთ. როცა კიდევ გავიხედე, ისინი უკვე აღარ ჩანდნენ ქვიშნარზე და თავად ზეგანიც თითქმის შორს მილეულიყო. ბოლოს და ბოლოს, უკან მოვიტოვეთ ყველაფერი და შუადღემდე, ჩემდა გასახარად, განძის კუნძულის უმაღლესი მწვერვალზე ჩაიძირა ზღვის ლურჯ სივრცეში.

ისე ცოტანი ვიყავით გემზე, რომ ყველას უნდა გამოგველო ხელი. მარტო კაპიტანი იწვა კიჩოზე გაშლილ ლეიბზე და განკარგულე-

ბებს იძლეოდა. რადგან, მართალია საგრძნობლად მომჯობინდა, მაინც მოსვენება ესაჭიროებოდა. გეზი ავიღეთ ესპანური ამერიკის უახლოესი ნავსადგურისკენ, ვინაიდან ვერ ვბედავდით დამხმარე მეზღვაურების გარეშე შინისკენ მგზავრობის გაგრძელებას. ქარის მიმართულების წამდაუწუმ ცვლამ და ორმა გრიგალმა ხომ სულ წაგვართვა ილაჯი, სანამ იქამდე მივალწევდით.

მზე ჩადიოდა, როცა ღუზა ჩავუშვით ხმელეთით შემოზღუდულ მშვენიერ უბეში. მაშინვე შემოგვერტყნენ ზანგებით, მექსიკელი ინდიელებითა და მულატებით საუსე ნაგები, გვთავაზობდნენ საყიდლად ხილსა და ბოსტნეულს და მზად იყვნენ ჩვენ მიერ მათთვის გადაყრილი მონეტების ამოსაღებად ჩაეყვინათ წყალში. პირქუმ, სისხლიან კუნძულზე ყოფნის შემდეგ, ამდენი ალერსიანი სახის (განსაკუთრებით შავკანიანებისა) დანახვა, ტროპიკული ქვეყნების ხილის გემო და ყველაზე მეტად კი სინათლეები, რომლებიც ქალაქში კიაფობდა, მომაჯადოებლად მოქმედებდა ჩვენზე. ექიმმა და სკვაირმა მეც თან გამიყოლეს, რათა სანაპიროზე გაგვეტარებინა საღამო. იქ ინგლისის სამხედრო ხომალდის კაპიტანს შეხვდნენ, გამოელაპარაკნენ, აუვდით მის გემზე და ისე სასიამოვნოდ გავატარეთ დრო, რომ უკვე ინათა, როცა „ისპანიოლაზე“ დავბრუნდით.

მარტო ბენ განი იყო გემბანზე და, როგორც კი ფეხი შევდგით ხომალდზე, საკვირველი მანჭვა-გრეხით გამოგვიტყდა, სილვერი გაიპარაო. რამდენიმე საათის წინ, ბენ განის ხელშეწყობით, სილვერს დაქირავებული ნავით თავისთვის ეშველა, ბენი გვარწმუნებდა, ეს მხოლოდ იმიტომ ჩავიდინე, თქვენი სიცოცხლე რომ გადამერჩინა, რადგან უთუოდ დაიღუპებოდით, „ის ცალფეხა ეშმაკი“ გემზე რომ დარჩენილიყო. მაგრამ, ეს კიდევ არაფერი — გემის მზარეული ხელცარიელი არ წაბრძანებულყო. უჩუმრად გამოეჭრა ტიხრი და გამოეღო ერთ-ერთი ფულიანი აბგა, ალბათ სამასი თუ ოთხასი გინეის ღირებულებისა, რათა შემდგომ ხეტიალში თავი გაეტანა.

მე მგონი, ყველას ეამა, ასე იოლად რომ გადავურჩით.

ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ვიშოვეთ რამდენიმე დამხმარე მეზღვაური და ოკეანეში შევცურეთ. მშვიდობით ჩამოვედით სამშობლოში და „ისპანიოლა“ სწორედ მაშინ მივაყენეთ ბრისტოლს, როცა მისტერ ბლენდლი მაშველი ხომალდის გამოგზავნაზე იწყებ-

და ფიქრს. წასულებიდან მხოლოდ ხუთიღა ჩამოყვებით გემს უკან. მართლაც რომ „სხვანი სმას, ეშმაკს ვერ გადაურჩენ“; თუმცა, რასაკვირველია, ჩვენ არც ისე ცუდ მდგომარეობაში ვიყავით, როგორც ის გემი, რომლის სიმღერასაც ისინი მღეროდნენ ხოლმე:

„ზღვაში სამოცდათხუთმეტი გადის,
მათგან კი მხოლოდ ერთი ბრუნდება“.

ყველას უხვად გვერგო განძიდან წილი და, ჩვენ-ჩვენი გონიერებისა და უგუნურების წყალობით, ბრძნულად თუ სულელურად, მოვიხმართ. კაპიტანმა სმოლეტმა თავი დაანება ზღვაოსნობას. გრუის არა მარტო არ გაუფლანგავს თავისი ფული, არამედ, გადაწყვიტა ცხოვრებაში წარმატებისთვის მიეღწია, საზღვაო საქმე ზედმიწევნით შეისწავლა. ახლა იგი კაპიტნის თანაშემწე და მშვენივრად გაწყობილი გემის თანამფლობელია. თან დაქორწინდა და ოჯახის მამა ბრძანდება. რაც შეეხება ბენ განს, მასაც მიეცა თავისი ათასი გირვანქა სტერლინგი, რომელიც სამ კვირაში გაფლანგა, ანუ, უფრო სწორად რომ მოგახსენოთ, ცხრამეტ დღეში, რადგან მეოცე დღეს კვლავ ფულის სათხოვრად მოვიდა. მაშინ, სწორედ ის საქმე ჩააბარა მას სკვაირმა, რისიც ასე ძალიან ეშინოდა კუნძულზე ყოფნისას, — თავისი პარკის მეთვალყურედ დანიშნა. იგი კვლავ ცოცხალია; ძალიან უყვართ სოფლის ბიჭებს, ოღონდ ცოტა მასხრადაც იგდებენ, ხოლო კვირაობით და სადღესასწაულო დღეებში მშვენივრად გალობს ეკლესიაში.

სილვერისა აღარაფერი გაგვიგია. ეს საზარელი ცალფეხა მეზღვაური, როგორც იქნა, საბოლოოდ გაქრა ჩვენი ცხოვრებიდან. გავბედავ და ვიტყვი, ალბათ, ის თავის ბებრუხანა ზანგ დედაკაცს შეხვდა და ჩინებულად ატარებს დროს მასთან და კაპიტან ფლინტთან ერთად. იმედი ვიქონიოთ, რომ მშვიდობიან ცხოვრებას ეწევა, თორემ, იმქვეყნიურ სასუფეველში მოხვედრის ისედაც მცირე შანსი ჰქონდა.

განძის დანარჩენი ნაწილი — ვერცხლის ზოდები და იარაღი, — კვლავ იქაა, სადაც ფლინტმა დაფლა, და ალბათ, იქვე დარჩება. მე კი ვერანაირი ძალა ვერ ჩამათრევს იმ წყეულ კუნძულზე. დღესაც მესიზმრება უზარმაზარი ტალღები და შეშინებული წამოვიჭრები ხოლმე ლოგინიდან, როცა ყურებში კვლავ ჩამესმის კაპიტან ფლინტის მჭახე ხმა:

— პიასტრები! პიასტრები! პიასტრები!

სარჩევი

ნაწილი პირველი

ბებერი მეკობრე.....	7
თავი პირველი	
ბებერი ზღვის მგელი ფუნდუკში „ადმირალი ბენბოუ“	7
თავი მეორე	
შავი ძალღი გამოჩნდება და გაქრება.....	14
თავი მესამე	
შავი ნიშანი	20
თავი მეოთხე	
მეზღვაურის სკივრი.....	26
თავი მეხუთე	
ბრმის აღსასრული.....	32
თავი მეთექვსე	
კაპიტნის ქაღალდები.....	38

ნაწილი მეორე

გემის მზარეული	
თავი მეშვიდე	
ბრისტოლში მივდივარ.....	45
თავი მერვე	
სამიკიტნო „ჭოგრიტი“	51
თავი მეცხრე	
თოფისნამალი და საჭურველი.....	56
თავი მათე	
საზღვაო მგზავრობა.....	62
თავი მეთერთმეტე	
რა გავიგონე ვაშლის კასრში.....	69
თავი მეთორმეტე	
ომის თათბირი.....	75

ნაწილი მესამე

ჩემი თავგადასავალი ხმელეთზე.....	82
თავი მეცამეტე	
როგორ დაიწყო ჩემი თავგადასავალი ხმელეთზე.....	82
თავი მეოთხმეტე	
პირველი დარტყმა.....	87
თავი მეთხუთმეტე	
კუნძულელი.....	92

ნანილი მეოთხე

მესერი.....	100
თავი მეთექვსმეტი	
ექიმი აგრძელებს თხრობას: როგორ დატოვეს გემი	100
თავი მეჩვიდმეტი	
ექიმი აგრძელებს თხრობას:	
პატარა ნავის უკანასკნელი მგზავრობა.....	105
თავი მეთვრამეტი	
ექიმი აგრძელებს თხრობას:	
პირველი დღის ბრძოლის დასასრული	110
თავი მეცხრამეტი	
კვლავ ჯიმ ჰოკინზი აგრძელებს თხრობას:	
მეციხოვნენი ძელურში	115
თავი მეოცე	
სილვერის მოციქულობა.....	121
თავი ოცდამეერთე	
იერიში	127

ნანილი მეხუთე

ჩემი თავდაგასავალი ზღვაში.....	134
თავი ოცდამეორე	
როგორ დაიწყო ჩემი საზღვაო ფათერაკები.....	134
თავი ოცდამესამე	
მიქცევის ნაკადში	140
თავი ოცდამეოთხე	
ნუშათი მგზავრობა	144
თავი ოცდამეხუთე	
„მხიარულ როჯერს“ ძირს ვუშვებ.....	150
თავი ოცდამეექვსე	
იზრავლ ჰენდზი	155
თავი ოცდამეშვიდე	
„პიასტრები“	164

ნანილი მეექვსე

კაპიტანი სილვერი.....	170
თავი ოცდამეჩვიდმეტი	
მტრის ბანაკში.....	170

თავი ოცდამეცხრა	
კვლავ შავი ნიშანი	178
თავი ოცდამეათე	
პატიოსანი სიტყვა	184
თავი ოცდამეთერთმეტი	
განძის ძებნა. ფლინტის გეზის მარვენებელი ისარი.....	191
თავი ოცდამეთორმეტი	
განძის ძებნა. ხმა ტყეში.....	198
თავი ოცდამეცამეტი	
ბელადის დამხობა	204
თავი ოცდამეთოთხმეტი	
და უკანასკნელი.....	210

წიგნის ელექტრონული ვერსია
 მოამზადა: აკაკი ციციშვილმა

www.PDF.ChiaturaINFO.GE